

Օրազրույց

1

1957



შინაპარსი

მ. ლებანიძე — ახალგაზრდობა (ლექსი)	8
ზ. ნატროშვილი — ჯაქროს ბიჭი (მოთხრობა)	7
თ. ზილაძე — ახალი ლექსები	18
რ. ბერნსი — ლექსები (თარგმანი ინგლისურიდან თამარ ერისთავისა)	23
ა. სულაქაური — ლექსები	28
ლ. გოთუა — გრემული ქარვასლიონი (მოთხრობა)	31
ბ. ლემონიძე — ძველი რვეულიდან (ლექსები)	47
ს. ჩიქოვანი — ლექსები	50

ზ ა უ ნ ი ქ ი

ბ. რჩულიშვილი — სიყვარული მარტის თვეში. ● წელი ტანგო. ● თვირთვილა. ● შემოდგომა ბაბუა კოტესი. ● სათავური (მოთხრობები)	52
ა. სალუქვაძე — ლექსები	68
ბ. ბებეშიძე — სანამ ერთად ვართ (მოთხრობა)	71

ჩვენი აღამიანები

3. თორღუა — ცხოვრების ერთი ფურცელი (ნარკვევი)	78
---	----



საფესტივალო სამზადისი	83
-----------------------	----

მწერლის არქივიდან

მის. ჯავახიშვილი — მიწის ყვილი (მოთხრობა)	87
---	----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. ასათიანი — შენიშვნები თანამედროვე ქართული პოეტიკის შესახებ	107
---	-----

474

1

1957

ივნილი

სახელგამი





ნ. ზაშვავაძემ — ენთეტკური აღწრდის
 ზოგიერთი საკითხის გამო . . . 116

თ. კოკალაბაძემ, ზ. ზუზუშვიმ — რუსულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა დადგენისათვის . 123

ხ. ცანიშვილი — ახალი მასალები და „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხი 127

ს ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

აპ. ბაძრაძემ — სცენარისტი და რეჟისორი 131

მ ო გ ზ ა უ რ ი ს ღ ლ ი უ რ ი

ირ. აბაშიძემ — ინდოეთის გზებზე . . . 134



შ. დემეტრაძემ — სერგეი ესენინი საქართველოში 148

ს ა ტ ი რ ა დ ა ი უ მ ო რ ი

ჯვებზე ღუშბავა, ომეგა ალზაიძემ — ფართოდ დავნერგოთ ტექნიკა ლიტერატურაში 149

ნაწყვეტები მწერლებიდან 152

ნახატი-ხუმრობა 154

ჟ ო ვ ე ლ ი მ ს რ ი დ ა ნ

ქრონიკა 155



რ ე დ ა კ ტ ო რ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ ჭ ე ლ ი ძ ე

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. კვიციანი.


რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ ტექრედაქტორი რ. ჩაჩანაძემ

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/V-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 220. უე 00151. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 4.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



3. 0. ლ66060

ნახატი ნ. ყუკოვისა

მუხან ლეონიძე

ა ხ ა ლ ბ ა ზ რ დ ო ბ ა

იქ,
სადაც ლურჯად ღალანებს ყანა,
იქ,
სადაც თუჯი იისფრად ღღვება,
იქ,
სადაც ოფლი იქცევა ღვარად,
იქ,
სადაც შავი ყამირი ტყდება —
ყველგან შენა ხარ,
ახალგაზრდობაე!

იქ,
სადაც სუეცს დაჰბრუნავს ჯანლი,
იქ,
სადაც გემი ყინულებს ჰკვეთავს,
იქ,
სადაც ძვლებზე ჩხრიალებს არხი
და
კაუჩუკი ჯუნგლებში წვეთავს —
იქაც შენა ხარ,
ახალგაზრდობაე!

და, რომ იცოდე შენ შენი ფასი,
და, რომ იცოდე შენ შენი წონა, —
მწვანე სიმღერა მოფრინავს ცაში
და უბოდიშოდ გრგვინავს და ქროლავს.
ასე მგონია, შენა ხარ ვაზის
ლერწით შეკრული ყაყაჩოს კონა —
მაგრამ არ იცი შენ შენი ფასი,
მაგრამ არ იცი შენ შენი წონა!..

თავისუფლების იქუხებს ჰანგი,
 სულს მოსწყურდება გზებზე მგზავრობა,
 ადგება ერთ დღეს ოცი წლის ფრანგი,
 ზედ მიგიფურთხებს ბებერ მთავრობას;
 ჩაიცვამს ბიჭი ცისფერ მაისურს
 საფესტივალოდ უცხოსა მხარეს...
 ო, პოლ, ძვირფასო, ვიცი რაიც გასურს,
 რამ მოგაყენა მოსკოვის კარებს!
 სხვადასხვა ერის, სხვადასხვა ფერის
 მოსკოვის ბაღში ზრიალებს ხალხი:
 ხვდება ერთმანეთს ხელები ჩვენი —
 მარტოდენ კუნთი, მარტოდენ ძარღვი.
 ხომ შეიძლება ჩვენი ტყეები,
 თქვენი ტყეები არ ვთალოთ კუბოდ,
 ხომ შეიძლება მთელი დღეები
 ჩვენ თივის ღერით სასმური ვწრუპოთ!
 კოკტილჰოლში — ფრანგული ღვინო,
 კოკტილჰოლში — გრიალებს ჯაზი...
 ჰოი, მარიპენ, რაინის შვილო,
 რარიგ ტურფა ხარ და რარიგ ნაზი!
 ო, შენც, ბეკ ტეჩერ — პანტერა შავი
 დამსიზმრებია მე ზანგის ქალად,
 თქვენც, სინიორინავ, რომაულ ყვავილს
 ჩვენი ფუტყარი გეხვევათ ჯარად...
 მე სისხლის ფასად მშვიდობა ვძებნე,
 სიყვარულისთვის ამ ქვეყნად დავშერი,
 თქვენ გამახსენეთ, ომებით ბებერს,
 რომ ჯერ ნორჩი ვარ და ისევ ბავშვი.
 განა არა სჯობს ეს სიყვარული,
 ეს სიხარული, ძვირფასო ჩემო!
 შემოგვენთება ცეცხლი ფარული,
 აგვიტაცებს და აგვიტანს ზემოთ.
 და მიყვარს, მიყვარს მე ესპანეთი,
 მიყვარს შოტლანდი და მისი მჯერა.
 და გვესმის, გვესმის ჩვენ ერთმანეთის
 ფიქრი, წუხილი და გულის ძგერა;
 დავრჩებით ძმებად — მოსკოვის შემდეგ
 მე იქნებ შენსკენ ბევრიც ვიწვალო,
 გადმოუჭროლო სტეპებს და ქედებს
 და ხომალდებიც გამოვიცვალო...
 კონტინენტიდან კონტინენტამდე
 ღარიბ მგონისგან, როგორც რამ ჯილდოს,
 მიუტანს ქნარი მწვანე სიმღერას
 ჭაბუკ ბედუნის და ჭაბუკ ინდოს.
 ჩავკიდოთ ხელი — ამინ, აღსრულდეს —
 მშვიდობა ჭალებს, მშვიდობა ყანებს!

ახლა თავიდან! — იმით დასრულდეს,
რითაც დავიწყეთ სიმღერა მწვანე:

იქ,
სადაც სუეცს დაჰბრუნავს ჯანლი,
იქ,
სადაც გემი ყინულებს ჰკვეთავს,
იქ,
სადაც ძვლებზე ჩხრიალებს არხი
და
კაუჩუკი ჯუნგლებში წვეთავს —
ყველგან შენა ხარ,
ახალგაზრდობავ!

იქ,
სადაც ლურჯად ღიანებს ყანა,
იქ,
სადაც შავი ყამირი ტყდება,
იქ,
სადაც სისხლი თქრიალებს ღვარად
და
სისხლის ფასად მშვიდობა დგება —
იქაც შენა ხარ,
ახალგაზრდობავ!



„შაქროს ბიჭი“

ნახატი ზურაბ ლეუვახი.

გიორგი ნაგროზიძე

ზაქროს ბიჭი

მართლაც უჩვეულო სანახავია ეს ვეება მინდვრები, ივრის პირებზე რომ იწყებინა, მერე შირაქის ზეგანზე ამაღლებიან და ალაზნისაყენ დაეშვებიან. გაპხედვ და თვალს ვერაფერზე შეაჩერებ. მარტო არწივი ბოინობს ცაში, თმახუტუკა ღრუბლებს ეთამაშება და მიწაზე კი, შორს ოდნავ მოციაგე ნისლში, რალაც მომცრო ბორცვები მიმოფანტულან... თივის ბულულებსა ჰგვანან, მაგრამ დახეთ... ის ბულულები, ფერდაში რომ იდგნენ, უკვე სერის თავზე მოექცნენ, მერე ქვემოთ ჩამოჰყვენენ, ტბის პირზე გამოვიდნენ და იმ ტბამ ერთბაშად გულზე გადაიხატა ყველაფერი: ახლა წყლის ლურჯ სარკეში თავდაყირა ჩანან ცაში მონავარდე არწივიც, თმახუტუკა ღრუბლებიც და ის საქონლის ნახირიც, წელან თივის ბულულები რომ გეგონათ.

აბა ერთი სცადეთ და ჩამოუარეთ იმ მინდვრებს: ყველაზე უფრო გალადებული საქონელი რომ დაგხედებათ, სიარულის ნაცვლად ლალად და ნებვირად რომ მიირწევა, ბეწვი რომ უბზინავს, კანში რომ ველარ ეტევა — იცოდეთ, ეს სოფელ ზემოჭალის კოლმეურნეობის ნახირი იქნება.

ალარც სერი სჭირდება და ალარც დამლა იმათ საქონელს — ისედაც იცნობენ. ყველაფერი ეს მიტო სიყმაშვილის წყალობაა, სოფელში ზაქროს ბიჭს რომ ეძახიან, საკვებმოპოების ბრიგადირად რომ მუშაობს. მართლაც მარჯვე ბიჭია, საზრისიანი და ფხიანი, საქმეში მუდამ მუყაითი და დაუზარელი. ჯოჯოხეთური ზამთარი რომ ჩამოდგეს იორზეც და მილარზეც, ისეთი თოვლი რომ მოვიდეს, ბალახს კი არა, სახლებსაც რომ წანამქრავს ხოლმე, ზემოჭალის საქონელს არა გაუტყირდება-რა! ყველა ფერმას თივაც თავზე საყრელი აქვს და შვრიაც, სულანურაც და წვნიანი საკვებიც. მამ ტყუილად კი არ არის, რომ მიტოს დღე და ღამე ძაღლის ფეხი აქვს გამობმული, ერთთავად მინდორშია, კიდევ რა ვიშოვო, რომ პირამდე გატენილ სასილოსე ორმოებსა და საგულდაგულოდ გადანახულ თივის ზვინებს ცოტა რამ მაინც წავუმატოო. ხომ ასე მოუცლელია ზაქროს ბიჭი, მაგრამ მაინც იმდენი დრო რჩება, რომ დაუსწრებელზე სწავლობს.

თვითონაც ვერ შეამჩნია მიტომ, ისე გაითქვა სახელი მთელ რაიონში. რაიკომის მდივანმაც კარგა ხანია შეამჩნია ეს ბიჭი, მოეწონა და თვალში მოუვიდა. როცა ძნელ ზამთარში რომელიმე დაუდევარი თავმჯდომარე რაიკომს მიადგებოდა და მოთქმას დაიწყებდა: მიშველეთ, საქონელი შიმშილით მეხოცებო, რაიკომის მდივანი ჯერ გაუწყობოდა და, გულს რომ მოიფხანდა, მიტო სიყმა-



შვილს გამოიძახებდა. მიტომაც იცოდა რაზე იბარებდნენ, მაგრამ საწყლბდა, აქაოდა მეც თვითონ ბეჩავი ვარ, სხვას როგორ დაევხმარო, ისე მაქვს საქმე, რაიკომში წამოსვლას ვაპირებდი, იქნება მანუქონ რამეო. მაგრამ რაიკომის მდივანმა იცოდა, რომ მიტო ძუნწობდა და უმაღლ სინდისზე შეაგდებდა ხოლმე:

— არა გრცხვნიან, ბიჭო? მე შენი იმედი მაქვს და შენ კი... — სიტყვას არ დაამთავრებდა.

არც უნდოდა დამთავრება. ესეც საქმარისი იყო. მიტო გაპირებულს მუდამ დაეხმარებოდა — თავს მოიკლავდა და თავის თავმჯდომარეს დაითანხმებდა, სადღაც თვის ზედმეტ ზეინს იპოვნიდა და მოძმეს ხელს გაუმართავდა.

ამ სიკეთესთან ერთად მიტო გარეგნობითაც თვალმიმტაცი ვაჟკაცი დადგა პატარაობაში კი თურმე ძალზე თხელი და ნამლევა იყო და მაშინ მეტსახელად წრუწუნა მიტოს ეძახდნენ. ახლა კი წრუწუნას აღარა უგავს-რა: ტანი ალვის ხესავით აიყარა, მზემოკიდებულ სახეზე სიღინჯის იერი გადაეკრა და ხმაც დაუბოხდა; დასაციინი იმას აღარაფერი სჭირდა და წრუწუნაც დაავიწყდათ. ან კი რა სახსენებელი იყო ის მეტსახელი, — მიტო ისე უყვარდა ყველას, თვალში რომ ჩავარდნოდით, ხელს არ ამოისვამდნენ.

რაიკომის მდივანმა ერთ დღეს იფიქრა — ამ ცხენს ცოტა უფრო ვრცელი მოედანი სჭირდება, ბარემ რაიკომში გადმოვიყვანო.

ასე გახდა მიტო რაიკომის ინსტრუქტორი.

რაიკომის მდივანი ვარაუდში არ შემცდარა: გადააკვდებოდა მიტო საქმეს და თავისას გაიტანდა, მთელ კვირას არ დაიძინებდა, ფრთას გამოსისამდა, აღაზან-იერის მინდვრებს ერთ დღეში შემოიბრუნებდა; მაგრამ რაიკომის მდივანმა ერთი რამ ვერ გაითვალისწინა: ბიჭი თითქო თვალსა და ხელს შუა გამოცვალესო; საქმეში ისევე ბეჯითი იყო, მაგრამ რატომღაც უფროსის იერი მიიღო. სხვა უცნაურობაც დასჩემდა მიტოს: რაიკომის მდივანი ფრონტზე ყოფნისას მხარში იყო დაპირილი და ცალი მხარი ოდნავ აწეული დაჰქონდა. ცოტათი უხდებოდა კიდევ; და აი ერთ თვეში მიტომაც ასეთი სიარული დაიწყო, გაივლიდა ქუჩაზე და ყველას რაიკომის მდივანი გაახსენდებოდა ხოლმე.

ხასიათიც გამოეცვალა მიტოს: დამნაშავესა და საქმის წამხდენს რომ გაუწყობოდა, ცუდ კაცს რომ დატუქსავდა, აღარც კარგს გაუხსნიდა წარბს, თავს აღარ გაუყადრებდა. ისე იქცეოდა, თითქოს მარტო ამ რაიონისა კი არა, მთელი ქვეყნის ბედი მას აბაროთ.

გული კი მაინც ალალი ჰქონდა, მაგრამ გულში ვინ ჩაჰხნავდა.

სოფელში შეუმჩნეველი რა დარჩებოდათ და მიტოს ეს რომ შეატყვევს, მაშინვე დიდი ხნის დავიწყებული მეტსახელი, „წრუწუნა მიტო“ გაახსენდათ. ახლა სხვაგვარად აღარავინ იხსენიებდა.

ზაქროს ბიჭი კი თავის თავს უკვე ზახარიის ეძახოდა და ცდილობდა სხვებისათვისაც ყური შეეჩვევინებინა ამ სახელისათვის, რომ იმ წრუწუნა მიტოს სახსენებელი ყველას მეხსიერებაში გამქრალიყო. მეზობლის ბავშვს რომ დაუძახებდა, ეტყოდა:

— შენს გაზრდას, პაპიროსი მომიბრუნინე... ნოქარს უთხარი, ზახარიჩმა გამომგზავნა-თქო.

მეორეს შეუთვლიდა:

— ზახარიჩი შემოგვხვეწა, ერთი საათით შენი „პობედა“ მათხოვე-თქო.

შორეულ სოფელში წამსვლელს დააბარებდა:

— ზახარიჩი ხვალ ჩამოვა და ესა და ეს ქაღალდები მზადა გქონდეთ-თქო.



და არ იცის მიტომ, რომ ის პატარა ბიჭიც, ნოქართან რომ მიიბრის, ის მეტყველებს, ის შორს სოფელს წამსვლელიც ასე მოახსენებენ ხოლმე მის დანაბარებს:

— წრუწუნა მიტომ გამომგზავნაო...

იმას კი არა ჩივიან, რომ წრუწუნა კი არა, ვეფხვევით ბიჭია... თვალები ქორისა აქვს და ქორჩორიც ისეთი, გასათხოვარი გოგოები თვალს რომ მოჰკრავენ, მერე ღამით მშვიდად აღარა სძინავთ, შფოთავენ, საბნებს იხდიან, რაღაც უცნაურ სიზმრებს ხედავენ, ისეთ სიზმრებს, რომლებსაც დედას ვერ მოუყვები.

ის კი საწყენად რჩება ყველას, რომ ასეთი კარგი ბიჭი აღარ იღიმება და აღარც ხუმრობა ესმის.

ჰოდა, არ აპატიეს: აქაოდა შენისთანებიც გვინახავსო, ვის ედიდგულები, ნეტავი რა გემართებს შენო... იმ საკვებს თუ იმარაგებდი, იქაც შენთან არ ვიყავით?! იქაც ჩვენი ხელი იყო, ჩვენა ვთიბავდით და ჩვენვე ვაბუღებდით; შენც, მართალია, ცელი გეჭირა ხელში და ჩვენთან იყავ, მაგრამ ახლა ეგ ავტოკალამი რომ გეჭირავს, კოსტუმის გარეთა ჯიბეში რომ ჩაგირჭვია, განა მაგაზე ჩამოწყდა ეს ქვეყანაო! მაგაზე უფრო კრელ ჩხირებს გაგითლით ვანაანთ ტყეში, თუ აგრე მოგწონსო!

ასე ლაპარაკობდნენ სოფელში. თვითონ მიტო კი აზრზეც არ იყო, თუ რას ამბობდნენ მეზობლები მასზე. პირიქით, ეგონა, რომ მისი ავტორიტეტი უფრო და უფრო მაღლდებოდა, ეგონა, რომ ის საძულველი მეტსახელი ქვეყანაზე კაციშვილს აღარ ახსოვდა.

მარტო მამინ დაირღვა მიტოს სულიერი მყუდროება, როცა მანანა დაინახა პირველად: სწორედ იმ წელს გამოამწყესეს მანანა აქეთ, თბილისიდან მასწავლებლად გამოგზავნეს. რაიონის ჩამოვლის დროს ბიჭი თავის სოფელში მოვიდა და სულ რომ არ ელოდა, აინუნშიც რომ არ იყო, სწორედ იმ დროს ვარსკვლავივით ქალიშვილს მოჰკრა თვალი და რატომღაც გული შეუკრთა, შეუფართხალდა; იმის მერე ჩაუვარდა გულში მთის ვარდივით დაღანა ქალიშვილი და სულ უფრო მოუხშირა თავის სოფელში სიარულს. ყიტაანში რომ გაეგზავნათ უფროსებს, შემოქალაქი ჩაივლიდა და მერე გასწევდა იქით, თუმცა ამით გზას გაიგრძელებდა ხოლმე; ბოლოს იმდენი მოახერხა, რომ რევიზიაზე წამოვიდა იმ სკოლაში, სადაც მანანა მასწავლებლად მუშაობდა.

რაკი-ლა მიტომ იცოდა, რომ მანანა ისტორიის მასწავლებელი იყო, მთელ ღამეს აღარ დაიძინა, გაიხსენა, რაც თვითონ ესწავლა სამუალო სკოლაში, თითქო ძნელ გამოცდას აბარებდნენ, სახელმძღვანელოებს ჩაუჯდა და, დილით, მამლებმა შესამედ რომ იყივლეს, ინსპექტორის თანხლებით შემოქალაქისაკენ გამოსწვია.

მაგრამ დახეთ უბედობას! მანანა იმ დღეს სკოლაში არ იყო, თბილისში წასულიყო. თურმე ელვა-დეპეშით გამოიძახეს — მამა ავად არის და შენა გკითხულობსო.

მიტომ იხტიბარი არ გაიტეხა და მანანას კლასში შევიდა. რა ვუყოთ, რომ მასწავლებელი აქ არ არის, მით უკეთესი! ჩამოვა და გაივებს, როგორ შეამოწმა მისი კლასი რაიკომის ინსტრუქტორმა! თავი ეამაყება ბიჭს და იმას აღარა ფიქრობს, რომ ამგვარი შემოწმების უფლება არა აქვს.

ეს მიტომაც იცის, მაგრამ რაკი-ლა განათლების განყოფილების ინსპექტორი წამოიყოლა, ჰგონია, რომ ყოველგვარი დაბრკოლებაც ამით მოიხსნა.

მიტო კლასში ამაყად შევიდა, ინსპექტორის გარდა, ლიტერატურის მასწავლებელიც შეიყოლა, საკლასო ჟურნალი გადაფურცლა, შუბლი შეიკმუნა, არ

მოეწონა, რომ ჟურნალში ბევრი ორიანი ეწერა და მერე მოწაფეებს სჭირებდა

— დღეისთვის რა გქონდათ?

— ურარტუ, მასწავლებლო! — წამოხტა უკანა მერხიდან ნაწნავებიანი გოგონა.

— ძალიან კარგი! დაჯექი!

და მიტო წუთით ისევ ჩაფიქრდა, ბავშვების ცნობისმოყვარე სახეებს ჩააჩერდა. ყველანი ნაცნობები იყვნენ, მეზობლის გოგო-ბიჭები, და ალბათ ამიტომაც იყო, რომ ზაქროს აციმციმებული თვალებით შესცქეროდნენ. ის კი წარბ-შეკმუხვნილი იყო — დასწყევლოს ღმერთმა, ეს რა დაემართა, წუთელ ყველაფერი გაიმეორა: არაბთა შემოსევაც და მათი გაძევებაც, მარაბდის ომიც და შაჰ-აბასის ლაშქრობაც და კიდევ ვინ მოსთვლის... ეს ურარტუ კი სულ არ გახსენებია. მაგრამ არა უშავს-რა, მაინც გამოჰკითხავს... და წინა მერხზე მჯდომი ქოჩორა ბიჭი ააყენა.

— აბა, მომიყევი...

მერე დაჯდა და ქალღალღზე რაღაც წრეების ხაზვა დაიწყო. ბიჭი კი ჰყვებოდა:

— ურარტუ განსაკუთრებით გაძლიერდა მერვე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მენუასა და მისი შვილის არგიშტის მეფობაში. მეფეს იშპუინმა და მისმა შვილმა მენუამ ქალღების ღმერთის ტაძარს მუსასირში მსხვერპლად შესწირეს ათას ას თორმეტი სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი და ოცდაერთი ათას ექვსასი თხა და ცხვარი...

ზაქროს ბიჭმა ყურები დაკვიტა. მოსწავლე კი განაგრძობდა:

— ურარტუს მეფემ სარდური მეორემ სამხრეთ ამიერკავკასიაში ლაშქრობის დროს წარიტაცა სამი ათას ხუთასი ცხენი, ორმოცდაათი ათას სამას ოცდაცამეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ორას თოთხმეტი ათას შვიდასი ცხვარი... ამურბანიპალმა დასწვა ურარტელთა ქერი და თივა მესოპოტამიაში... მანას ქვეყანა დაფარული იყო დიდი და პატარა არხებით... სთესდნენ ცხენის საკვებ ბალახებსაც კი...

...ერიჰა, დახეთ, ეს რა ისტორია ყოფილა!.. ზედი არ გინდა კაცს?! ამაზე კარვად რომელი ისტორია იცის ზაქროს ბიჭმა, ტყუილად კი არ იყო ოთხ წელს საკვებმოპოვების ბრიგადირად, იმ არგიშტისაც და იმ მენუასაც სიზმრადაც არ მოელანდებოდათ, რაც ამას მოჰარი და სუდანურა, ესპარცეტი და შერია დაუთესავს.

და უკვე გათამამებულმა ბიჭს ჰკითხა:

— ჰქონდათ თუ არა ურარტუში სასილოსე ორმოცი?

ბიჭმა გაოცებით შეხედა: ამაზე მასწავლებელს არაფერი უთქვამს... მაგრამ, რა თქმა უნდა, ექნებოდათ, რაკი-ლა საკვებ ბალახებსა სთესავდნენ. ამიტომ გამომცდელს თამამად დაუქინა თავი და ისიც კი დაუმატა — ცხოველებიც ბაგურ კვებაზე ჰყავდათ გადაყვანილიო.

მიტომ ისე იგრძნო თავი, როგორც თევზმა ალაზნის წყალში. მან ერთი კარგი მხარული მოუსვა და ურარტუს სამეფოდან სავესებოთ გაუჭირებლად ზემოქალის კოლმეურნეობაზე გადავიდა, სადაც მისი წასვლის შემდეგ ვეღარც სილოსი ჩადეს ხეირიანად, ვეღარც ესპარცეტის ძველებური მოსავალი მოიყვანეს, სუდანურაც დაუწრიოკდათ... იქვე აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი დროულად უნდა გამოეწორადეს... მერე თავისი შთაბეჭდილებები მოაყოლა, ჩრდილო კავკასიაში, კრასნოდარის მხარეში რომ მიეღო, როცა მეცხოველეთა დელეგაცია წაიყვანა...



— იმ სოფლის სახელი არ მახსოვს, — ჰყვებოდა მიტო, — მაგრამ იმათ სი-
ლოსს რა დამავიწყებს... აი ხომ გინახავთ ჩვენებური კარგი კიტრის მწიღი
ქონდრითა და ცერეცოთი? ისეთი სუნი ჰქონდა... თვალი ველარ მოვაშორე...

— ხომ არ გაგიმინჯავთ, ზახარიჩ? — იქედნურად ჰკითხა ლიტერატურის
მასწავლებელმა.

მიტომ ახლა კი იგონებო, რომ შესტობა, მაგრამ გაწყრომის დროც აღარ
იყო. ზარი დაირეკა.

* * *

აბა ვისაც გინდა ჰკითხე, თუ ახსოვდეს, როგორ დაიბადა მისი სიყვარული,
რომელი წუთიდან დაიწყო ის... არც მანანას ახსოვდა. აგონდებოდა მხოლოდ
ის, რომ როცა რაიონის ცენტრში ჩავიდა, თათბირზე, ვიღაც ეშხიანი ვაჟკაცი
შეეგება... სადღაც ენახა წინათ, მაგრამ ვერ გაიხსენა... ის ბიჭი კი აღარ მოეშვა.
თათბირზე გვერდით მოუჯდა და აღარ მოჰშორდა, მერე კინოსურათი უჩვენეს—
კინოც დამთავრდა და მანანას მარტოს გაუძნელდა სოფელში წასვლა...

ჩამოთოვლილი მინდვრები და ხეობები უნდა გაეგვლო და ამ შუალამისას კი
არა, დღისითაც არ იყო ეს ადვილი.

მაგრამ მიტო ხომ გვერდითა ჰყავს. მან უეცრად ვილაცის დაგვიანებული
მანქანა გააჩერა და, როგორც კინოში, ქალიშვილს ახლაც გვერდით მიუჯდა და
ზემოქალამდე გააცილა.

დამშვიდობებისას მანანამ დიმილით უთხრა:

— როცა აქეთ ჩამოხვიდეთ, ჩემს უნახავად წასვლა არ გაბედოთ...

მიტოს გული შეუფართხალდა — მიხვდა, რომ ეს იყო დასაწყისი რალაცისა,
ყველაზე უკეთესისა და ყველაზე სანეტაროს დასაწყისი.

მას მერე სულ რალაცას ელოდა მანანა, რატომღაც გული უთრთოდა, თვი-
თონაც არ იცოდა რატომ... ვერ ხვდებოდა, თუ რატომ ფიქრობდა მუდამ იმ
ბიჭზე, როცა მარტო დარჩებოდა ხოლმე, აზრით მუდამ მასთან რათ იმყოფე-
ბოდა. ველარაფერი გაუგო თავის გულს და ამ უცნაურ ახალ გრძნობასაც სა-
ხელი ჯერ ვერ მოუძებნა. ყოველივე ეს მას რატომღაც აღელვებდა. უფრო მე-
ტად შეშფოთდა, როცა შაბათ საღამოს გაიგო, ზვალ სოფელში მიტო უნდა
ჩამოვიდესო.

იმავე შაბათ საღამოს მანანამ ახლად დამეგობრებული, ამავე სოფლის
მკვიდრი და ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ნინო მათიაშვილი, ენა-
მწარე და კვიმატი ქალი, დაიმარტოხელა და ვითომ სხვათაშორის ჰკითხა:

— ნინო, დიმიტრის ხომ იცნობ... მგონი აქაური უნდა იყოს, თქვენი სოფ-
ლელი!

— რომელ დიმიტრის, გოგო?

— სიყმაშვილზე გეკითხები...

— ჰოო, წრუწუნა მიტოს ამბობ?...

— არა, — აიბზუა ტუჩები მანანამ, — რაიონში რომ მუშაობს, ინსტრუქ-
ტორად, იმას არ იცნობ?

ნინომ გამომცდელად შეხვდა, უცებ თითქოს რალაცას მიხვდაო, წამოიძახა:

— ზახარიჩზე მეკითხები? როგორ არ ვიცნობ... მირონის ბიჭია... რაო.
გულში ხომ არ ჩაგივარდა, შე სამიწვე! აბა ეგენი არ იყოს! ჩვენი ბიჭები ჩვენ
თვითონვე გვინდა; შინ რომ ბაღსა შიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო, — გაი-
ხსენა სადღაც გაგონილი ანდაზა ნინომ.

მანანას აღმური წაეკიდა სახეზე, მიხვდა, რომ გასცა თავისი საიდუმლო,



რომელსაც თურმე ნაპარევი ცხენივით მალვაც სჭირდებოდა... ნინომაც დააჯობა, რომ გადააჯობა, რატომღაც შეეცოდა მანანა, მოეხვია, მოეფერა და ჩურჩულით უთხრა:

— მართლა მოგწონს?

მანანა შეკითხვის აზრმა კი არ გააოცა, არამედ სწორედ ამ ჩურჩულმა, რომელიც რაღაც დაუცხრომელ ცნობისმოყვარეობასა და განცვიფრებას გამოხატავდა, რაღაც დიდად სასიხარულოს თუ დიდად საოცარს. ამიტომ ეს შეშფოთება მანანასაც გადაედო და ინანა კიდევ, ამაზე ლაპარაკი რომ დაიწყო. უნებურად სიტყვა ჩაუწყდა და თავი-და გაიქნია, არაო.

ერთ წუთს ორივენი სდუმდნენ, მერე ისევ მანანამ დაიწყო:

— არ დაგიმაღავ, ნინო! ხვალ ჩემთან უნდა მოვიდეს... შენ ყველაზე ახლობელად მიმაჩნისხარ... როგორც ღვიძლ დას, ისე გენდობი... არაფერი არ მინდა შენთან დასამალი მქონდეს. ჰოდა, აი გეტყვი: ხვალ ჩემთან უნდა მოვიდეს... მე კი მას არც კი ვიცნობ... მითხარი როგორი ბიჭია, ცუდი ხომ არაფერი შეგინიშნავს... ხომ უნდა ვიცოდე... დედას გეფიცები, ჩვენში სერიოზული არაფერი ყოფილა, შენ კი ვინ იცის რა არ იფიქრე, მაგრამ სტუმარიც ხომ უნდა იცოდენ არის!

ნინოს თვალბუბნი ისევ გაიღვავა ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალმა, მაგრამ მალე ისევ ჩაქრა, და ქალმა უცებ გაუგო თავის დობილს, წელზე ხელი მოჰხვია:

— შენი ჭირიმე, მანანა... არაფერი ცუდი არ შემინიშნავს... ძალიან კარგი ბიჭია, — და ნინოს უცებ ღიმილმა გაუბრწყინა სახე, — ოღონდ ერთი ცუდი ზნე სჭირს...

— რა ზნე? — შეშფოთდა მანანა.

— ამ ბოლო ხანებში კისერი სტკივა ცოტათი...

— რას ამბობ, ექიმს არ ეჩვენა?

— იპ, შენ კი გაიხარე, ექიმი რას უშველის, გოგო!

— ნინო, რა ქარაგმებით მელაპარაკები, მითხარი ყველაფერი...

-- მე ყველაფერი გითხარი და დანარჩენს ხვალ შენ თვითონ დანიხავ... ვინ არის ეგ, იცი? შენი აქ არყოფნის დროს რომ შეგამოწმა... გაიგე? ახლა როგორც გულმა გირჩიოს, ისე მოიქეცი, ჩემი დარიგება რაღად გინდა?

მანანა განცვიფრებული და შემკრთალი იყო...

— მაშ ეგ არის ის ყმაწვილი? დედაა, მე კი სულ სხვა წარმოდგენა მქონდა! რას ვიფიქრებდი, თუ ის არამკითხველ რევიზორი... — სიტყვა ველარ დაამთავრა.

— გიკვირს განა?

— მაშ რა, გენაცვალე! აზრზეც ვერ მოვსულვარ!

— შენ კი არა, გოგო, ყველასა გვწყინს... ასე გამოიცვალა ეგ მიწადასაყრელი, თორემ ისეთი კარგი იყო... მოსტყდეს ის დაღრეცილი კისერი...

და ნინომ აღარ დაამთავრა.

სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ. მეგობრები გულთბილად გამოეთხოვნენ ერთიმეორეს.

* * *

გათენდა კვირა დილა. ზამთრის მზე კარგა მადლა წამოსული იყო, როცა სოფლის გზაზე მიტო გამოჩნდა და რაღაცას ლოდინი დაუწყო.

ლეღავდა, ხარბად სწევდა, უკვე მეოთხე პაპიროსი გადაადგო, ნახევრად მოუწყველი, და მეხუთე ამოიღო კოლოფიდან.

უეცოდ წინ „პობედა“ გამოჩნდა და მიტოც უშა გზაზე გადმოვიდა. სიხა-

რულით თვალები გაუბრწყინდა, როცა რაიკომის მდივნის მანქანა იცნო ისიც დანახა — შოფერი კაბინაში მარტო იჯდა.

შოფერმაც იცნო მიტო, მანქანა გაუჩერა.

— ბესო, — შეეხვეწა მიტო შოფერს, — შენი ჭირიმე, ერთი სათხოვარი მაქვს და უარს ნუ მეტყვი, ბიჭო! მოდი ცოტა ხნით მანქანა მათხოვე.

— ჩაჯექ, რაღას მელრიჯები! — უპასუხა შოფერმა.

— არა, ბესო... რაიონში არ მოვდივარ... აქავე უნდა მიმიყვანო...

— ბიჭო, მაგაზე მეხვეწები?

მიტო მაინც არ შევიდა კაბინაში, ერთ წუთს დადუმდა და მერე დაიწყო:

— არა, მოიცა... გჯერ მათქმევინე... აი ამ ორლობეში მოუხვევე... ღელეს რომ გადაივლი, მარცხნივ ეზოში შეხვალ... გრძელ სიგნალს მისციე... აივანზე ახალგაზრდა ქალი გამოვა... მე გადმოვალ კაბინიდან, მისკენ წავალ და ხელს რომ ჩამოვართმევ, ამ დროს შენ დამიძახე: ზახარჩი, მოვიცადო თუ წაივლი-თქო. მე იქნებ ცოტა გაგიწყრე მაშინ და შენ არ გეწყინოს...

— კარგი ერთი რაღა... — თვალები გაუფართოვდა ბესოს და ძმაცაცს ფერდში ხელი წაჰკრა.

— შენი ჭირიმე, ბესიკ! — შეეხვეწა მიტო.

— მალარიჩში რას იკისრებ? — ჩაჰკითხა შოფერმა.

— ხუთ ბოთლ ღვინოს და ალაზნის ლოქოს, ქინძით, ძმრით...

— ნწუ, — გაიქნია თავი ბესიკამ, — ცოტაა...

— ქორწილში დაგპატიებ...

— ერიპა, აგრეა საქმე? მაშ მოკვდეს ბესიკა-ბიჭი, თუ თავზე არ შემოგვევლოს... მობრძანდი, უფროსო! ჩაჯექი! იქ რომ გადმოხვალ, მაგრად დამტუქსე, ოღონდ მეტისმეტს ნუ იზამ...

— არა, ისე ცოტა შეგახურებ...

— გასაგებია...

მიტო შოფრის გვერდით დაჯდა და მზის სხივებზე გაბრწყინებულმა მანქანამ ორლობეში შეუხვია.

ეზოში რომ შევიდნენ, მიტო წყნარად გადმოვიდა კაბინიდან და პასუხისმგებელი მუშაკის დინჯი ნაბიჯით წავიდა მანანასაკენ, მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და ბესიკას ხმაც მოესმა („ზახარჩი! მოვიცადო თუ წაივლი“), მიტო შემობრუნდა და უკმეხად უთხრა:

— წადი, მაგრამ არ მაცდევინო. თქვენ, შოფერები, ძალიან უღისციბლინო ხალხი ხართ. ხუთი წუთიც რომ დააგვიანო, იცოდე, თვალით აღარ დამენახო...

— გასაგებია, უფროსო! — გამოსძახა ბესიკამ.

მიტომ მას აღარც კი შეჰხედა, მანანას მიუბრუნდა:

— გამარჯობა, მანანო! ჭირმა დაწყევლოს ეს შოფერები... გამაწვალეს... ამ წელიწადში აგერ მესამე მოვხსენი... ეს მეოთხეა. აღარ ვიცი რა ვქნა!

მანანამ თითქოს ეს ვერ გაიგონა, სიტყვა ბანზე აუვლო და დიმიტრი შინ შეიპატიჟა.

ბესიკა-ბიჭმა კი რაღაც ეშმაკურად ჩაიცინა, მანქანა ეზოშივე შემოაბრუნა და მერე ისევ გაჰყვა ზამთრის ფერდაკარგული მზის სხივებით მოქარგულ ორლობეს.

* * *

მიტოს გული უცნაურად შეუთრთოლდა, როცა მანანას ოთახში შევიდა. საკვირველი იქ არაფერი დაუნახავს — კედელზე გობელენი ეკიდა, ზედ არაბეთის



ქვიშიანი უდაბნო იყო დახატული, მოგზაური ბედუინები საითღაც მიტრომდნენ; სწორედ იმ ბედუინთა ცხენების ფლოქვების დაბლა უბრალო მაგიდა იდგა, თეთრი გაქათქათებული სუფრით, კუთხეში — საწოლი; ძალზე ჩვეულებრივი იყო ყველაფერი, თანაც უცნაური მყუდროების და სიმშვიდის მომფენი.

ოთახში თუნუქის ღუმელი გიზგიზებდა, ცხელდა. მიტომ ჯერ პალტო გაიძრო და საწოლის ძვიდევ ჩამოჰკიდა, მერე პიჯაკიც გაიხადა და სკამის ზურგზე ისე ჩამოჰკიდა, რომ ფორმა არ დაჰკარგოდა. მანანა შეეკმუხნა, ერთი კი გაიფიქრა — ნეტავ რაზე ტიტვლდება ეს კაციო, მაგრამ აღარაფერი უთქვამს.

მიტომ რატომღაც ისე ჩამოჰკიდა პიჯაკი, რომ იქიდან ავტოკალამი მოჩანდა, დაკეცილი ცხვირსახოცი ამოიღო და ისევ ჩაიღო ჯიბეში. მერე მანანას თამამად შეხედა და დაიწყო:

— მაშ ასე, მანანა! არის ამხანაგების აზრი რომ... — და როგორც კი ქალს თვალბში შეხედა, შეცბუნდა. რაღაც უცნაურად უტკეროდა მანანა, ახლა მის თვალბში სიყვარულიც იყო და სამედურავიც. ველარაფერი გაიგო ბიჭმა, სიტყვა გაუწყდა და დაჩუმდა.

— ვინ არიან ეგ ამხანაგები, დიმიტრი, ან რა უნდათ? — ჰკითხა მანანამ და ნინოს გუშინდელი სიტყვების აზრს ახლა-ლა ჩასწვდა, რატომღაც კისერზე შეჰხედა მიტოს. ბიჭს კისერი მართლაც ახლა სულ უცნაურად მოღრცეოდა და საცოდავი სანახავი იყო.

— ამხანაგები ფიქრობენ, რომ... (ამ ამხანაგებში მიტო, ცხადია, მარტო თავის თავს გულისხმობდა), კარგი იქნებოდა...

და ისევ გაუწყდა სიტყვა. ეს რა ემართება, ნუთუ შეკრთა და დაიბნა მუდამ გაუტეხელი მიტო-ბიჭი?!

მანანას კი თვალები უბრწყინავს:

— ბოდიში, ამხანაგო დიმიტრი! — წყნარად ამბობს ის. — თქვენ სტუმრად მოხვედით ჩემთან, თუ რომელიმე ორგანიზაციამ გამოგვზავნათ?..

მიტო უხერხულად შეიშმუნა...

— არა, ორგანიზაცია რა შუაშია? მე... პერსონალურად...

ისევ დაჩუმდა, მაგიდაზე წიგნი შენიშნა და როგორც წყალწადებული ხავსს, ისე მოეჭიდა, დაუწყო უაზროდ ფურცვლა, ისე რომ თვითონაც არ იცოდა რას ჩაღიოდა.

ისევ მანანამ გამოიყვანა უხერხული მდგომარეობიდან შემფოთებული და საბოლოოდ დაბნეული ბიჭი, დაბნეული თავისი მარცხისაგან, სანატრელი ქალის ისე სიახლოვისაგან, რომ მისი თმის სურნელსაც კი გრძნობდა. დიმიტრის ზომ ჯერ ასეთი რამ არ განეცადა.

იმ დღეში იყო მიტო, ჭაბუკობაში კაცს უეცრად სიარული რომ დაავიწყდეს: თითქოს ენა დაება. მანანას შეეცოდა და ისეთი სიტყვა გადაუდგო, რომ ბიჭისათვის ენა ამოედგევიანებინა:

— აბა მითხარით, დიმიტრი, რა ამბებია რაიონში... ხელმძღვანელი ამხანაგები აქ ისე იშვიათად ჩამოდიხართ. პირდაპირ დანატრულებული ვართ.

— არა, რატომ, — ამოიღო ხმა ბიჭმა, — ჩვენ ყოველი უბანი მხედველობის ქვეშ უნდა ვიყოლიოთ...

„ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა მანანამ, — საწყალი ბიჭი, რა ენაზე ლაპარაკობს... „მხედველობის ქვეშ“... ნუ თუ მეც თავის „მხედველობის ქვეშ“ მოვლის?..“ და ხმამაღლა კი ეს უთხრა:

— მაპატიეთ... მე აქ ახალი ჩამოსული ვარ... ამიტომ იქნებ რამე შემეშალოს, ისე ვერ განვსაჯო, როგორც საჭიროა. მაგრამ აქ, თქვენთან, ბევრი რამ

არ მომწონს... ხანდახან ისეთ რამეს გაიგონებ, ყურს არ გინდა დაუჯერო... ამხანაგებში აქ წინათ თბილისში წავედი... მაშა იყო მძიმე ავადმყოფი... სწორედ იმ ხანებში აქ ერთი ვაებატონი ჩამობრძანებულა, ჩვენს სკოლაში... ნეტავი აქ ვყოფილიყავ, — მუქარით წააგრძელა მანანამ, — ნახავდა, როგორ გავისტუმრებდი. შესულა ჩემს კლასში განათლების განყოფილების ინსპექტორთან ერთად, ჩემს ნაცვლად ლიტერატურის მასწავლებელი შეუყვანიათ გაკვეთილზე. აუღია აღრიცხვის ყურნალი და უყვირნია — ეს რა ამბავია, ვინ დაწერა ამ ჩვენს მოწინავე რაიონში ამდენი ორიანიო... იმ დროს, როცა ჩვენი რაიონის კოლმეურნეები, ინტელიგენციასთან ხელიხელჩაკიდებულნი, იბრძვიან ახალი წარმატებებისათვის, ეტყობა აქ ეს ვერ გაიგეს და ისევ გადმონაშთების ტყვეობაში არიანო, ორიანი — ეს ხომ ბნელი წარსულის გადმონაშთიაო... რატომ ამ კლასის მასწავლებელმა არ იკითხა, რამდენი ორიანია ცენტრიდან დაშვებულიო... უმეკველად არასწორი იქნებო... მოუწყვია შემოწმება და იქვე, სასწრაფოდ გამოუსწორებია მდგომარეობა, ნახევარ საათში... ურარტუში სილოსის ორმოები აღმოუჩენია, მერე კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაუკრიტიკებია, ბავშვებისათვის, სულ ყველასათვის, ხუთიანები დაუწერია, მე კი მთელი წელია თავს ვიტებს და ვერაფერი გავწყვი... ამბობენ, ის ბიჭი წინათ საკვებმოპოვების ბრიგადირი იყო და მიჩვეულია საქმის ადვილად გამოსწორებასო... თურმე ამ რევიზიის ამბავი რომ გაიგო, რაიკომის მდივანმა მაგრად აუწია ყური, მაგრამ მე მინდოდა თვითონ დამესაჯა...

მიტო ჯერ გაწითლდა, მერე სიფითრემ დაუარა სახე... „იცის თუ არა, რომ ჩემზე ლაპარაკობს?.. არა... არ იცის...“

მანანა კი განაგრძობდა:

— სახელი არ მახსოვს მისი... სადღაც ჩავიწერე... მოიცა, მოვძებნი, — და მანანამ რაღაც ქაღალდს დაუწყო ძებნა, ვერ იპოვნა, მალე მიატოვა და მიტოს მიუბრუნდა, — რაღაც სასაცილო სახელია... თურმე იმიტომ ეძახიან ამ მეტსახელს, რომ კისერი ასტიკვებია ამ ბოლო დროს... უმიეღო ავადმყოფია, ექიმი ვერას უშველისო, მითხრეს. თქვენ არ შეიძლება არ იცნობდეთ იმ ყმაწვილს, ალბათ, დღე და დამე ერთად ხართ!

— არა, — წამოილულულა მიტომ, მერე საათს დახედა და უცებ აჩქარა: — ხუთ დამავიწყდა, რაიონში თათბირი მქონდა... უნდა წავიდე...

— აბა მაშ ნუ გაცდებით, — წამოიძახა მანანამ, დასტაცა მის პიჯაკს ხელი და ისე მიაწოდა, რომ ბიჭს ხელები გაეყარა. მიტომ ჩაიკვა და რატომღაც ისევ სკამზე დაჯდა.

ქალმა გოცემბით შეხედა, არაფერი უთქვამს, ისევ დუმილი ჩამოვარდა ოთახში. მიტო აჩქარებით სუნთქავდა, ნანობდა იმ წყეულ დღესაც, როცა კლასში შევიდა, იმასაც, რომ იქვე საზეიმო პატაკი შეადგინა, იმასაც, რომ სკოლაში უფროსობა დაიწყო. ერჩივნა ისევ საკვებმოპოვების ბრიგადირი, ისევ ის ტლუ ბიჭი ყოფილიყო, ჭკვიანი და საზრისიანი. ახლა კი მიხვდა, რა შორს შეუტოპავს მორევში, მიხვდა, რამდენი მწარე სილა გააწნეს მას ამ წუთში! მერე ვინ? ქალაქიდან ჩამოსულმა ქალმა, მარად სიზმარში მონატრებულმა მანანამ, ეშმაკურად რომ ეღიმება და ასე აშკარად გადადის იერიშზე; მიტო კი სკამზე ზის, თუ დაბლა იატაკზე გდია, წაქცეული, ორივე ბეჭით მიწაზე გართხმული. და მოწინააღმდეგე როდი აყენებს. არაფრით არ ზოგავს მიტოს თავმოყვარეობას:

— ისიც მითხრეს, — განაგრძობს მანანა, — წინათ ძალიან კარგი ბიჭი იყოო...

ეს კი მეტისმეტი იყო, მიტომ ველარ აიტანა და განწირულივით წამოიძახა:



— მე ისევ ისეთი ვარ, მანანო!

— თქვენ? თქვენ აქ რა შუაში ხართ? — და ქალიშვილის თვალებში იმ ნაპერწკლებმა გაიელვეს, ჭირისუფალს რომ დაეტყობა ხოლმე, როცა მძიმე ავადმყოფი ამ ქვეყნისაკენ მობრუნებას დაიწყებს.

ზაქროს ბიჭი კი ისევ ჩაიწვა, სახეზე აღმურმა დაურბინა.

მერე, თითქოს ცული სიზმრისაგან გამოფხიზლდნო, თავი შეაჩინა, ქოჩორი უკან გადაიყარა და უეტრად მიხვდა, სად წააგო: აღარც თავისი ინსტრუქტორობა უნდოდა, ეგ კი არა, აღარც ბრიგადირობაზე მიუღიოდა გული და ელვის სისწრაფით გადასწყვიტა, რომ სულ წავიდოდა, მინდორის ბიჭად გადაიქცეოდა, უბრალო მწყემსად დადგებოდა, მებატკნედ, როგორც მამამისი ზაქრო იყო მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

უცებ აეხილა ბიჭს თვალები და მანანამაც, ვითომ არ იცოდა, მაინც არ დაზოგა:

— მამ თქვენ ბრძანდებით, ვაჟბატონო, ის უფროსი?

— უფროსი კი არა! მე ერთი საწყალი ბიჭი ვარ, მანანო! მაპატიე, შენი ქირბიე...

ქალიშვილს უფრო მეტად შეებრალა ჭაბუკი და თავი ჩაღუნა...

აღარ უტკებოდა ბიჭს, და მაინც ჰხედავდა მის აღმურგადაკრულ სახეს, მის ჩამოშლილ ქოჩორს... ქალიშვილი როგორღაც ხედებოდა და კითხულობდა მის იღუმალ ფიქრს — სულ წავალ ამ ქვეყნიდან, თრიალეთის გზაზე დავიკარგებო. გაშვება კი არ უნდოდა და არც ის იცოდა, როგორ გაეჩერებინა აქ...

მერე ქალიშვილმა ისევ ეს მოიფიქრა:

— შენ მაინც ჩემს პირველ კითხვაზე არ მიპასუხე, მიტო! ვინ ამხანაგებმა გამოგზავნეს აქ და რატომ მაინცადამაინც მე ამირჩიეს?

მიტომ ახლა კი ასწია თავი.

— არავის არ გამოვუგზავნივარ, მანანო! აი ამ გულმა მომიყვანა! — და გულზე ხელი დაიდო. — მაგრამ ახლა მიხვდები, რომ შენი შესაფერი არა ვარ...

— გულმა? — ჩაჰკითხა ქალმა.

— ჰოო! გულმა აღარ დამანება... აღარ მომასვენა... მინდორში ვიყავ და შენზე ვფიქრობდი, სახლში ღამით აღარ მეძინა... მაგრამ...

და მიტომ ახლა კი ნამდვილად წამოიწია წასასვლელად. მანანას ისევ გაეღიმა:

— მოიცა, მიტო! შენი მანქანა ჯერ არ მოსულა!

— ჩემი არ არის, მანანო! რაიკომის მდივნისაა! გეცე მაპატიე და ყველაფერი დაივიწყე!

მანანას ისევ ეშმაკურად გაეღიმა. მან, ცხოვრებაში გამოუტყდელმა, პირველად თავის სიცოცხლეში დაიმორჩილა ბიჭი და ახლა ისე ატრიალებდა ხელში, თითქოს თაფლის სანთლისაგან ყოფილიყოს გამოძვრწილი. ახლა თვითონ ხელ-ახლა ძერწავდა, ეჯიბრებოდა ბუნებასაც და ცხოვრებასაც, ღმერთივით ხელ-ახლა ჰქმნიდა ამქვეყნად აღამიანს, ატრიალებდა თავის თითებში და ახლა იმისი ნება იყო, რა ფორმასაც მისცემდა მას.

ზაქროს ბიჭმა კი, პირველად თავის სიცოცხლეში, დაკარგა ძალაც, ღონეც და როგორც ალაზნის მორგევი მოერიოს კაცს, ისე დაჰყვებოდა აღმა-დაღმა მანანას სურვილებს.

თავისი ნებისყოფა მას აღარ ჰქონდა, ეგ კი არა, თავისი სახელიც აღარ ახსოვდა.

— მიტო, — ჩაესმოდა მას მანანას ხმა, — მე ბევრი რამ კარგი გამიგონებ...
შენზე, როგორ ჰყვარებიხარ შენს მეზობლებს, ნაცნობებს...

მიტომ ხელი ჩაიქნია...

— მე რომ კარგი ვყოფილიყავ, მანანო, ქვეყანა მე შემომნატრებდა!

— სულ დაჰკარგე იმედი? ასეთი რა დაგეპართა?

— შენი გული ვერ ვიპოვე!

— ჰაი, შე სულელი, შენა! სადაც დაჰკარგავენ, იქ არ ეძებენ ხოლმეო, სულ სხვა ადგილას ეძებენ და, რა თქმა უნდა, ვერ პოულობენ. შენ რაღად ეძებდი აქ?

— რაღად დაგიმალო, ახლა წასულია, შენ ხომ ახლოს აღარ გამიკარებ...

— ვითომ რათათ, რამ შეგაჯავრა ჩემი თავი...

— შემაჯავრაო? რას ამბობ, გოგო! მე მივხვდი, რომ არ ვვარჯივარ...

— არა, მიტო! შენ ძალიან კარგი ბიჭი ჰყოფილხარ!

— მართალს ამბობ, მანანა?!

— მართალს გეუბნები!

ბიჭმა ალაზნის ველს გაჰხედა. ნისლები ჩამოწოლილიყვნენ, ცა მოქრუშული იყო და საავდროდ ემზადებოდა. მანანამაც იქით გაიხედა და წამოიძახა:

— აკი ძალიან ლამაზია ალაზანიო, მეუბნებოდნენ... მე არ მომწონს... ცუდი ნისლი სცოდნია...

— აბა ერთხელ ახლოდან გაჩვენებ და მერე მიხვდები როგორია ალაზანი... შენ თვითონ დაინახავ!.. მანამდე კი ნუ დასძრახავ, შენი ჭირიმე! გატარებ იმ ნისლებში, ციხიან ყურეში ბროწეულების ტყეს გიჩვენებ... და მერე თქვი ალაზნის აუგი, თუ ენა მოგიბრუნდება...

ეზოში ისევ წელანდელივით გრძელი სიგნალი გაისმა... მიტომ გაოცებით გადახედა მანანას და იმანაც სიცილი ველარ შეიკავა:

— ჩვენი მანქანა მოვიდა!

მიტო გაოცებული იყო. ეს რაღა ოინი მოუწყვია ბესიკა-ბიჭს! თუ ნამუსი შეუნახა თავის ძმა-კაცს, თავისი როლი ბოლომდე გააგრძელა?!

მიტო დაფაცურდა, მაგრამ მანანამ შეაჩერა, დაჯექიო, უბრძანა და თვითონ აივანზე გამოვიდა, შოფერს გადასძახა:

— უფროსს ცოტა შეაგვიანდება და ნულარ დამიციდო... — და გაეცინა.

ბესიკამ გაბრწყინებული თვალებით შეხედა ქალს, ერთხანს უცქირა, თვალი ველარ მოსწყვიტა და მერე ღიმილით სახეგაბადრულმა მანქანა ეზოში ნელ-ნელა შემოაბრუნა.

ორლობეში დიდხანს ისმოდა „ბობედის“ რაღაც საზეიმოდ ხმააწეული სიგნალები, მერე ისიც მიწყდა, ბინდიც ჩამოწვა და სინათლე კი ისევ ჩანდა მასწავლებლის მყუდრო ოთახში.



თამაზ ჭიჭიძე

ახალი ლექსები

მანისი

ნუ იტყვი —
 ყველა გაზაფხული ერთნაირია,
 ყველა სხივი და ყველა შხაპუნა...
 მე აბა როგორ გამახარებს, ვერ გამოვიცა,
 რაც უკვე იყო,
 რამაც უკვე იგაზაფხულა.
 გახედე —
 სივრცეს სიმაისე შემოესია,
 გახედე —
 როგორ იზრდებიან მთები ბავშვებით,
 ყველა ცისკარი ჯერ უთქმელი დიდი ლექსია,
 ყველა ჭადარი — დროშა გაშლილი.
 გახედე —
 რტონი გაფენილან, ფოთლებს აშრობენ,
 ფოთოლი — თოთო ხელისგული — ცას ეფერება...
 ყველაფერია:
 სიჭაბუკე,
 ყრმობა,
 ბავშვობა,
 სიხარული და არდაბერება.
 ხარაჩოები,
 ვენახები,
 ხიდი,
 არხები,
 დამძიმებული ორთქლმავლები და ხომალდები;
 და გჯერა — ჩვენ ვართ შემართული მძლავრი ტალღები,
 გაშლილ ველებზე სიხარულად რომ მოვვარდებით.
 ჩვენა ვართ, ვისაც ამ მაისით უნდა ეხარა,
 ვისაც გვაქვს მზისკენ გამიზნული წრფელი მიზნები,
 როგორც იზრდება, დიადდება ჩვენი ქვეყანა —
 ისე ვინთებით,

ისე ვმღერით,
 ისე ვიზრდებით.
 დავდივარ, ვიცი, სიყვარულის შუქი დამყვება,
 დავდივარ ლალად და პირდაპირ ვუმზერ შეგობრებს,
 და მიხარია — ჩემს სიცოცხლეს,
 ყოფნას ამ ქვეყნად
 ყველა მაისი ახლებურად გაიმეორებს...

*
* *

გაგიხარდება გამთენიისას
 შუა ქალაქში მამლის ყვილი,
 გაგახსენდება შენი არაგვი,
 შენი რიონი,
 შენი ყვირილა.
 და გრძნობ დღესავით როგორ თენდება,
 მუხის რტოსავით ცაზე გასული,
 როგორ გავსებს და აღარ გასვენებს
 შენი სიმღერა ახალგაზრდული.
 დაგეხატება მთელი ქვეყანა —
 ბუხრები...
 ქარში ჩალის ჩივილი...
 გაგიხარდება გამთენიისას
 შუა ქალაქში მამლის ყვილი...

*
* *

თითქო ამბობდა მზე — დავიღალე
 და ნუთუ ხელში არ ამიყვანთო...
 ფერდაკარგული მზე ოქტომბერის
 მეგობარივით მიგვეყვ იყალთოს.

 შებერებია კედლებს კუნელი,
 ხმელი ფოთლები სიმშვიდეს შლიან,
 დინჯად დამსხდარან საუკუნენი
 და ყურს უგდებენ ცაცხვების შრიალს.

 უკვდავებაზე მობაასენი
 ფრთხილად ვაბიჯებთ ქვებზე სტუმრები...
 მერე უეცრად მოვა არსენი
 და ბავშვებივით გავიტრუნებით...

მე მოგიყვები ძველისძველ ამბავს,
 იქნება წვიმაც, მშენც და ღრუბლებიც...
 ნელა ისწორებ მუხლებზე კაბას
 და კურდღლებივით თრთიან მუხლები.

შენ ზიხარ ჩუმი, თვალღებდახრილი,
 ვიცი, თვალები მაინც მხედავენ...
 შორს მტკვარი მიდის, როგორც დაღლილი,
 ჩაძინებული ცხენზე მხედარი...

და აღარ მახსოვს — რისთვის დავსხედით,
 რამ გააჩუმა ასე ცაცხვები...

*
* *

ქარი ჭადრებში მიდის ტკაცუნით,
 ჭავჭავაძეთა ფუძეზე ვდგავარ,
 ალაზნის პირი და სატაცური
 ახდენილ სიზმარს ვინ დამიმგვანა...

ქედები ფრენით გადავიარე,
 ვნახე გრემი და ვნახე ნეკრესი...
 და ხეობებში, როგორც მდინარე,
 დაგუბებულა ხმა ერეკლესი.

დავალ და გულში ყოველ ცისმარე
 იშლება ვარდი წინანდალისა...

*
* *

გაწუწული და ჩამოგლეჯილი
 და ჩამომწვარი, როგორც ასანთი,
 დაბრუნდა ზღვიდან... პირქვე დაემხო...
 არ უძინია დიდი ხანია.

ტირის და საბანს უსწორებს ცოლი...
 კუთხეში გდია ნიჩბის ნატეხი.
 შორს ზღვა გუგუნებს...
 შორს ზღვა გუგუნებს...
 და ზღვით სავსეა მისი სიზმრები...

ეს კაცი მხოლოდ გუშინ დაბრუნდა
 ჭალარა თმებით და ყავარჯნებით,
 ნაჭრილობევი და ნახანძრალი
 სახეს ატყვია, როგორც მარჯნები.

სად არ უვლია, სად არ ყოფილა —
 მავთულხლართებში, თხრილებში, წყალში...
 ის ისევ ომში მოხვდა ომიდან
 და მერე უცებ დაბერდა ბავშვი.

მერე წანწალი ევროპის ველზე...
 ფოთლების ცვენა... ცემა და სტვენა...
 უცხო სადგური... გზები და გზები...
 ბერლინი...
 რომი...
 პარიზი...
 ვენა...

ქარი და წვიმა... მოთქმა ყვაეების:
 ტყვე, ტყვე... და ძილი მინდვრად და ტყე-ტყე...
 ნუ მიხვალ მასთან,
 ნურაფერს ეტყვი
 და ნუ დაურღვევ ამ დიდ სიმშვიდეს...

*
 * *
 სულ ერთმა ჭიქამ, სულ ერთმა ჭიქამ
 დამატრო ასე და... მომაგონდი.
 აღარსად -სჩანდი,
 აღარსად იყავ...
 სულ ერთმა ჭიქამ დამატრო ასე.

ვიფიქრე — წავალ, გავივლი გზაზე,
 შემხვდები ალბათ ამ ქუჩის ბოლოს,
 სხვა ფერის კაბა გეცმება მხოლოდ...
 სულ ერთმა ჭიქამ დამატრო ასე.

მერე რამდენი შენ მიგამსგავსე
 რხევით,
 ღიმილით,
 ხმით და სიცილით...
 მომინდა უცებ შენი სიცივეც...
 სულ ერთმა ჭიქამ დამატრო ასე.

რა იყო მაინც ის ერთი ჭიქა —
 ოქტომბრით სავსე და შენით სავსე...
 აღარსად სჩანდი...
 აღარსად იყავ...
 სულ ერთმა ჭიქამ დამათრო ასე...

*
 * *

წაბლის მორებში ჯდება ნოტიო,
 ქარი ეხლება კედლებს ხველებით,
 და გუბე-გუბე დააბოტებენ
 დაბერებული ქადრის ხეები...

განთიადისას დაღლილი ვდგები —
 თითქოს ღამეში გრივალს ვეომე,
 ვხედავ, ბურუსში ჩაფლული მთები
 როგორ ეძებენ ერთიმეორეს.

მგონია წვიმით ჩამოძენდილი,
 ქართ ნაცემი ღამის მეხრე ვარ...
 მეცოდებიან მთები ძმებზეთ
 და მათი წილი ქარი მეხლება...

*
 * *

ბროწეულებში ცა გახლართულა,
 არმაზს, ზედაზენს გულზე მზე უზის...
 და ჯვარი თითქო ცის ხომალდია,
 საქართველოზე დაბმული ღუზით.

და ბროწეულის ყვავილის ცეცხლი,
 როგორც ტყვილი, კივის და იწვის...
 ჩემს მკერდს და ხელებს,
 ფიქრს და სიმღერას
 აბრუებს სუნთქვა გამთბარი მიწის...

მეცა მაქვს მიწა, ცა, გაზაფხული,
 ბროწეულები, მთები, ტყეები,
 მდინარეები, როგორც ბალახში
 ჩამოვარდნილი ცისარტყელები.

და ამ მიწაში, ხეებში, ცაში
 ჩემი სიცოცხლე მღერის და ფეთქავს...
 ყური დამიგდე —

მე შემიძლია
 ეთქვა, რაც გაზაფხულს უნდოდა ეთქვა...

როგორც ბაინსი

ჯონ ანდერსონ

ჯონ ანდერსონ, ჩემო ტკბილო ჯონ,
სულ პირველად როცა გნახე შენ,
ყორნისფერი თმები გქონდა, ჯონ,
უნაოქო გქონდა სახე შენ.

ის იერი შეგიცვალა დრომ,
თოვლის ფთილას დაგიმსგავსა თმა,
მაგრამ ტკბილად დამიბერდი, ჯონ,
ჩემო ტკბილო, ჩემო სულის თქმავ.

ჯონ ანდერსონ, ჩემო ტკბილო ჯონ,
ერთად განვევლეთ აღმართები გზის,
ჩვენს გულს ახსოვს სიხარული, ჯონ,
ბევრი ტკბილი და ნეტარი დღის.

ახლა დაღმა მივჩანჩალებთ, ჯონ,
კვლავ შენთან ვარ, და შენ ჩემთან ხარ,
საფლავშიაც ერთად ჩავალთ, ჯონ,
დავიძინებთ იქაც მხარდამხარ.

ქერის მარცვალი ჯონი

სამ ზვიად მეფეს, დიდებულს,
განთქმულს ძალით და ღონით,
უბრძანებია — მოკვდესო
ქერის მარცვალი ჯონი.

მიწა გადახნეს, დამარხეს
მძიმე ბელტების წონით,
დამარხეს და თქვეს — მოკვდაო
ქერის მარცვალი ჯონი.

მაგრამ მოვიდა აპრილი,
 მოჰყვა შხაპუნა წვიმა,
 ჯონი ამოძვრა მიწიდან,
 სიცოცხლეს გაუღიმა.

ზაფხულის მზეში მომძლავრდა
 და გაიმაგრა ძვალი,
 შეიარაღდა შუბებით,
 მტერს დაუყენა თვალი.

ზაფხული მიიწურა და
 დღე გაუთენდა შავი,
 სახსრებში იგრძნო ტკივილი,
 დაბლა დაჰკიდა თავი;

ხანში შევიდა, დასუსტდა,
 სულ მთლად ეცვალა ფერი,
 ახლა კი მის მტრებს დაუდგათ
 ჯავრის ამოყრის ჯერი.

მუხლმოცელილი ძირს დასცეს,
 მტრებმა იხმარეს ძალა,
 მერე დააკრეს ფორანზე
 და როგორც მაწანწალა

ის გაბაწრული წაიღეს,
 მაგრად დაბეგვეს კეტით,
 ქარში იმდენ ხანს ახტუნეს,
 სანამ დაესხა რეტი.

წყლით დიდი ორბო აავსეს,
 ღრმა წყალს არ ჰქონდა ფონი,
 და შიგ ჩაუშვეს, ჩასძირეს
 ქერის მარცვალი ჯონი.

კვლავ დაანარცხეს მიწაზე,
 და ვაი, მისი ბრალი —
 იმდენი გვემეს, გაუქრეს
 სიცოცხლის ნიშანწყალი.

ცეცხლი შეუთთეს, დახუთეს,
 — მოკვდესო მოსაკვდავი;
 მეწისქვილემ კი ქვებს შუა
 მთლად დაუჩეჩვა თავი.

გულიდან სისხლი დასწურეს,
 სისხლიც დალიეს ხარბად,

შურისძიების წყურვილის
მოკვლა უნდოდათ, ალბათ.

მაგრამ მაშინვე გაუქრათ
ზრახვა და გრძობა მტრული,
წყრომის წილ გულს დაეუფლათ
მხიარულება სრული.

ჯონის სისხლს ცხოველმყოფლობა
არ დაუკარგავს დღესაც,
მხნეობას ნერგავს, დარღს აქრობს,
გულში სიხარულს თესავს.

მაშ, ხსოვნა იყოს, მარადის
კეთილად მოსაგონის,
ცოცხლობდეს მრავალეამიერ
შთამომავლობა ჯონის!

ვინც რა უნდა თქვას, რაგინდ რა იყოს

კაცს პატიოსანს თუ სიღარიბე
და არქონება გეთაკილება,
ზიზღის ღირსი ხარ, მონა, ლაჩარი,
სირცხვილით არსად გაგემხილება.

ვინც რა უნდა თქვას, რაგინდ რა იყოს,
არ გვედარდება, არ გვერცხვინება,
ვიყოთ ღარიბი და უსახელო,
არ გვსურს წოდება და წარჩინება.

ვინც რა უნდა თქვას, რაგინდ რა იყოს,
წოდება ვის რას შემატებს ვითომ,
ის ოქროს ფულის ყალიბს ჰგავს მხოლოდ,
ბაჯალლო ოქრო კაცია თვითონ.

დაე ტანთ გვეცვას ძველმანი, ფლასი,
დე გვაკლდეს ლუკმა, რაგინდ რა იყოს,
ბრიყვის ეცვას ფარჩა, ღვინო სვას თასით,
კაცი კაცია, რაგინდ რა იყოს.

ვინც რა უნდა თქვას, რაგინდ რა იყოს,
მარტო აბჯარი ვერ შექმნის რაინდს,
კონკიცი რომ ეცვას კაცს პატიოსანს,
გვირგვინის ღირსი იქნება მაინც.

შეხედეთ ამ კაცს, მას ლორდი ჰქვიან,
 თვალს აბრიალებს, იფერებს პატისს,
 სათაყვანებელ კაცადაც თვლიან,
 მაგრამ ბრწყვია, ჰკუა აქვს ბატის.

ვინც რა უნდა თქვას, რაგინდ რა იყოს,
 ჯვრები, მეღლები, სირმა ნაფერი,
 მისი წოდება და წარჩინება
 სასაცილოა, სხვა არაფერი.

მეფემ წყალობით თუ გადმოგხედა,
 აგაღზევებს და გაგათავადებს,
 მაგრამ გულითაც რომ მოინდომოს,
 პატიოსნებას ვერ გითავაზებს.

ვინც რა უნდა თქვას, დიდი წოდება
 კაცის ღირსება ნუ გეგონება,
 ღირსებად მითქვამს პატიოსნება
 და გამჰრიახი ჰკუა-გონება.

გვჯეროდეს, გვწამდეს, დადგება უამი,
 გადაიქცევა ცხადად ოცნება,
 ღირსეულ ადგილს მოიპოვებენ
 ქვეყნად ჰკუა და პატიოსნება.

ვინც რა უნდა თქვას, რაგინდ რა იყოს,
 ეს ჩემი სიტყვა არ გაწბილდება;
 მოვა დრო, ქვეყნად გაქრება შუღლი
 და კაცი კაცთან დაძმობილდება.

მონის გოდება

ჩემო ტკბილო სენეგალო,
 ჩემო ღვიძლო მიწა-წყალო.
 შენს წიაღში დამატყვევეს მტრებმა,
 შენს ნაპირებს, კალმით ნახატს,
 ვერასოდეს ვეღარ ვნახავ,
 ვაი ჩემს ბედს, ვირჯინიის ტყვე ვარ.

მზე სენეგალს არ აკარებს
 ყინვას, თოვლს და მსუსხავ ქარებს,
 ჩემი მხარე ვირჯინიას არ ჰგავს;
 იქ ზამთარშიც ვარდი ხარობს,
 ნაკადული მოჩანჩქარობს,
 ვაგლახ, ბედი ვის სად გადაკარგავს!

წილად მერგო ხვედრი ძნელი,
 კვლავ უარეს ჭირსაც ველი,
 დანატრული მეგობარს და მოყვასს,
 დავიქანცე, დავილაღე,
 მწარე ცრემლად დავიღვარე,
 ან აქამდე სული როგორ მომყვა!

ცოლი მყავს და ნამუსი მაქვს

ცოლი მყავს და ნამუსი მაქვს,
 არ დაეუთმობ არავის,
 რქებს ვერაინ ვერ დამადგამს,
 არც დავადგამ არავის.

ფულს დავხარჯავ, თუ მაქვს ჩემი,
 არ ვუმადლი არავის,
 არა მაქვს რა გასაცემი,
 არც სესხსა ვთხოვ არავის.

მე არავის ვემონები,
 არც ვბატონობ არავის,
 მტერს შიშველი ხმალით ვხვდები,
 ქედს არ ვუხრი არავის.

გავიხარებ, გავლალღები,
 არ ვიდარდებ არავის,
 თუ არავის ვენალვლები,
 არც მე ვნალვლობ არავის.

თარგმანი თამარ ერისთავისა



აკრილ სულაკაუჩი

ს ა ლ ა მ ო

შენ მიეფარე მაღალ მთა-გორებს,
დაგიძახე და ვერ გაგაგონე.

ვერ გაგაგონე და დაგედევნე,
გაგიყებული მთებში ვყიოდი.
მერე მთებზე და მერე ქედებზე
ნიაღვარივით გადმოვდიოდი.

დამაწვებოდა ღრუბლის ჩრდილები
და დაცემული ისევ ვდგებოდი,
ვეკიდებოდი კლდეებს ფრჩხილებით,
ხმელ ფესვს კბილებით ვეჭიდებოდი.

გაგიყებული მოგდევი ასე,
გახელებული მთებში ვყიოდი.
მე არ ვიცოდი სინათლით სავსე,
სითბოთი სავსე საღ მიდიოდი.

* * *

ახლა იქ ვდგავარ, სადაც ღრუბელი
კლდეზე ჰკიდია
და ვხედავ, ვხედავ როგორ მიდიხარ.

დაგინახეს და გიცნეს თვალებმა,
მე ეხედავ — ზღვაა,
შენ ზღვად ეშვები დასაყანებლად.

შენსკენ ისწრაფვის გული და გონი
და მინდა ვნახო,
შენი შუქი როგორ ანთია,
თან დაგიძახო და გაგაგონო:
— შემხედე მაინც,

რა პატარა გოლიათი ვარ!

სხვა სილამაზით

ნერგავით მკლავზე გადაგიწვინე,
იყო მაისის ღამე უვრცესი.
გადმოვიხარე და დავიძირე
შენი თვალების ღრმა სილურჯეში.

სულის ნათელი შუქი მაჩვენე,
ბრწყინვა მაჩვენე უცხო ფერების
და შენში შენვე აღმოგაჩინე
სხვა სილამაზით და სხვა მშვენივლით.

აღმოგაჩინე და გამიკვირდა —
ამდენ სინათლეს როგორ იტევდი...
ასე მყვინთავენს ზღვათა სიღრმიდან
ამოაქვთ ხოლმე მარგალიტები.





„გრემული ქარვასლიონი“

ნახტი ლადო გუდიაშვილისა

ღვანე გოთუა

კ რ ე მ უ ლ ი

ქარვასი

ოქრო-პაპას ურემი გრემ-ქალაქის მთავარ კარიბჭეს რომ მიადგა, იქ უკვე ბლომად მიჯრილიყვენ ურემებიც, აქლემ-ქარავნებიც, ცხენოსნებიც და ბაზრობაზე ქვეითად მოსული ხალხიც.

— ბიჭო, ქოხსალამურავ, გალავანს რიყე-რიყე დავუაროთ, ახალი კარით შევიდეთ ქალაქშია!.. იქ არც შევფერხდებით. — შეუძახა ოქრო-პაპამ წინ მავალ წამოდერებულ ყმაწვილს და თავადაც ურმიდან ფეხები ბებრული სიფრთხილით ჩამოჰკიდა. ნაბადში გახვეული სოფლის საყვირი შეასწორა და გოგრებითა და ყარფუზებით სავსე ურმიდან ჩამოვიდა.

— ე სოფლის ღორტოტო რამ წამოგაღებინა, ბერიკაცო? — გაიკვირვა ურემს წამოწეულმა ტანოქლაქა და ყბადიდა კაკა-მეველემ, — ხომ არ უნდა გაჰყიღო, კაცო?!

— რას ამბობ, რასა... სოფლის რიხია!.. იქნებ დავგვირდეს, დღეს ქარვასლის კარის შეყრაა!

ქედღელები ჯგუფად მიჰყვნენ ურემს და ახალ კარს მიადგნენ.

აქ მართლაც ნაკლები იყო ხალხი. ყმაწვილმა საოცრად მეტყველი, დაფაციცებული თვალი მოავლო რკინის კარსა და ჩარჩოს, ახლად ამოშენებულ ქვიტკირს, ზედ ჩამომდგარ ჯმუხა კოშკსა და კედელში ამოყვანილ ნიშს. იქვე ამოკვეთილ თარიღსაც დააკვირდა. მას ახლახანს ასწავლა ცოტა რამ კითხვა და ფელა სოფლის ობლების მფარველმა ოქრო-პაპამ... და ახლა ყოველ წარწერას სასწაულად თვლიდა. საქმე და იღუძალება სწორედ ამ კაუჭა და გვირისტა ნიშნებში იყო, თორემ აბა ზეპირად ლექსების თხზვაში და თქმაში მას ხომ ახლომანლო სოფლებშიაც არ ჰყავდა ბადალი.

— ამ კარით მე ჯერ არ შევსულვარ გრემშია!

— აბა რას შეხვიდოდი, წელს არის ამოჭრილ-ამოყვანილი ამ ძველ გალავანშია!.. — ბებრული ხელი წარწერას გადაუსვა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წაიკითხა: — „შეიბა და გასრულდა 1585 წელსა. ალექსანდრე მეფის ბრძანებითა, მათარსა სოვდაგრის სახსრითა“...

ქალაქში რომ შევიდნენ, იქ უკვე დიდი ნარდიბაზრობა იყო.

გრემში ორი დიდი ქარვასლა მიჯნავდა ბაზრის თავსა და ბოლოს: მეფის ქულბაქები და თარსა-გალავანი.

კახთ-ბატონებს ძველთაგანვე საუკეთესო სავაჭროები ჰქონდათ კახეთის



დბა-ქალაქებში. სარგებელიც დიდი იყო და შინაურ საქმეთა წარსაწესრიგად დიდად მოქმედი საშუალებაც.

მტკიცე წესითა და ადათით ალექსანდრე კახეთში არა მარტო მეფე-ბატონად ითვლებოდა, არამედ პირველ ხელოსნადაც და პირველ სოვდაგრადაც. უფლებაც მის ხელში იყო და ბაზრის მაზანდაც.

ჰოდა, ქარვასლის კარსაც ჰქონდა თავისი გარიგება, თავისი დღესასწაული ქარვასლიონი, შემოდგომის ბაზრობის ბოლოს.

ამ დღეს ვაჭარ-ხელოსნები მეფის ქარვასლაში შეგროვდებოდნენ, ბჭობდნენ, სარჩელ-საჩივრებს არიგებდნენ. მსაჯულად და მეგამრიგედ თავად კახთბატონი უნდა დაჰქდარიყო, და ბოლოს საერთო ლაღობა-სანახაობით და ფსონის პურით თავდებოდა ეს ამო შეყრა.

ჰოდა, ეს დღეც დადგა. დილიდანვე გაცხოველდა ადებ-მიცემა. ამ დღეს ყოველი ჩაწოლილი თუ ხელშემონახული საქონელი ფასდაკლებით გადიოდა.

სოვდაგრები და ხელოსნები ან თავნს რასმე უმატებდნენ საქონელსა თუ ნაკეთობას, ან „სახალისოს“ უკლებდნენ მსყიდველთ.

ჯერ მეფის ქარვასლამ მისცა ფასდაკლების ნიშან-ნიმუში.

არც თარსა-გალავანი ჩამორჩა. მერმე კი მთელი ბაზრობა აჰყვა და ადებ-მიცემა მართლაც გახალისდა და გაცხოველდა.

ბაზრის კიდებში მუშაითები და ჯამბაზები ამოძრავდნენ. ქულბაქების ბანებზე მესაყვირენი და მაძახურნი გადმოდგნენ. ტარულებმა წესი და რიგი წარმართეს. გამოცხადების მსურველნი თავის ნიშნებს გამოაჩენდნენ ბანზე. საყვირს დააქუხებდნენ და თავისი ქვეყნის საქონლის სიკეთესა და მაზანდას აუწყებდნენ ხალხს.

დღეს ბევრი იძახეს ძეგამ-გრემელ-ტფილელმა ვაჭრებმა. წმინდა გიორგის ჯვარ-დროშები გამოაფინეს. შირვანიდან, განჯიდან, თეირანიდან ამოსულიყვნენ სოვდაგრები. ხმალაღმართული, მზედადგმული ლომებით მოხატული დროშა-ფარჩები გადმოეფინათ ქულბაქის თავზე. რუჰმელ ვაჭრებს ახალმთვარიანი მწვანე ალაში გაეშალათ, არზრუმ-სტამბოლის სახელით გაჰყიოდნენ... მაგრამ საერთო ყურადღება მაინც რუს-სოვდაგრებმა მიიპყრეს.

საყვირთან ფარივით მრგვალ ჩხაზე გადაქიმული კვეცილი ბიარალი ეკიდა. ზედ ორთავა ოქროსფერი არწივი ეხატა. სოვდაგრებს კი, მიუხედავად სიციხისა, რუსულ-ვაჭრული ძვირფას ბეწვიანი ქურქები ჩაეცვათ. თავზეც ადლის სიმაღლე ბეწვისავე ქუდები დაეხურათ... საყვირს აქუხებდნენ და ამთარხანისაკენ იწვევდნენ გრემელ ვაჭრებს...

— ჩაჰბერე, რუსო! ჩაჰბერე!.. მაგ ორთავა არწივმა იქნებ ე ვერანა ჰრელვაჭარა აჭილყავი გაჰფანტოს! — თავის წვერს ეჩურჩულებოდა და ექიჩმაჩებოდა ოქრო-ჰაპა.

ქედლებს თავისი საქმეები მოეთავებინათ და ახლა ბაზრის ვეება კალოს თვალთვალში იყვნენ.

საერთოდ გლეხობა ბლომად მოსულიყო გრემში. კახთა გარდა მთიდან აბჯარ-ჩაჩქანში ჩამჯდარი თუშ-ხევსურნი ჩამოსულიყვნენ. ელის თათრები მოერეკებოდნენ თათრულა ცხვრებსა. ბელაქნელი მშვიდობიანი ლეკები აფრილებდნენ გასასყიდ ნაბდებს. კახეთში შემოხიზნული და დამკვიდრებული სომხები, გრძელწვერა ებრაელები, მრავლად სხვა ტომისანი ერთად ირეოდნენ და ერთად ფუსფუსებდნენ. მაინც ჩიხტიკოპიანი, მანდილიანი თუ თავსაფრიანი ქალები ფრთაშებმულებივით ყველგან ასწრებდნენ და ჟრიაშულს აორკეცებდნენ.



გალავნის გარეთ ჯგროდ ირეოდნენ დასაპალნული აქლეგები, ჩარდახიანი ურმები, მთაში ნასუქი ცხენები, თარაქამა ხარები და მრავალი სხვა ზედაგი და წვრილფეხობა.

მეფის ქარვასლა საზეიმოდ იყო მორთული. აივანზე ხალ-ფარდაგები ეკი-და. თაროებზე საჩინო საქონელი წამოეწიათ. კარ-დარაბები ყვიცშებარული მუ-ხის ფოთლებით იყო შემკული. დიდ ფუნდუქში კი ფსონის პურის დიდი სუფრა გაეშალათ. გარე მისავალთან, ფართო კიბის თავზე, მსაჯულთ საჯდომი იყო. აქვე იღო გრდემლ-ჩაქუჩი. დიდსასწორიც აქვე გაემართათ. კიბის ხარის-ხებზე ჩამოწყობილი იყო ყველა ზომის საწონები, საწყაულები, კოდები, კოკები, ჩაფები, ლიტრები, ხელადები და სხვა ზომა-წონის დამოწმებუ-ლი ერთეულები. ცალკე ქანდარაზე იღო ვერცხლის ადლი და ოქროს ლანგარი.

ამ დღეს აქ მოწმდებოდა ყველა ხელოსან-მოვაქრის „წონა-ზომანი“. უვარ-გისთ აქვე გრდემლზე ამტვრევდნენ პატრონისა და ხალხის წინაშე, ხოლო პატრონს პირმოსაწმენდი გადახდებოდა მეფისა და ფსონის პურის სასარგებ-ლოდ.

ქარვასლის კარზე რომ მობრძანდა კახთ-ბატონი, ჯერ კიდევ ჰქურქელ-საწ-ყაულთა სინჯვა არ იყო დამთავრებული.

ალექსანდრემ კიბის თავში, მაღალ ტახტზე მოიმუხლა. ხალხს დაენახვა. დღეს მასაც ყურთმაჯებიანი ქალაქური კაბა ეცვა და, როგორც პირველ ქარ-ვასლის პატრონს, ოქროს გასაღები ეკიდა წელზე. მახლობლად სამეფო საქ-მეებში მისი ერთ-ერთი მდივანი, ხოლო საქარვასლოში — მისივე მეტოქე მათარ-სა სოვდაგარი უჯდა, სწორედ ის, ახალ კარიბჭეზე ამოკვეთილი წარწერა რომ იხსენიებდა.

აქვე იყვნენ დიდთავადნი, დიდებულნი, სარღლები. მალე დიდ-პატარა ბა-ტონიშვილებიც მოეახლნენ მამასა და ხალხს.

ხალხი საქმეს ხელმოჩქარებით ითავებდა და ქარვასლიონზე მიემუტრებო-და... მთავარი სანახაობა აქ ელოდა მოსულთ.

ჯერ გახურებული ნარდიბაზრობა არ გათავებულა იყო, რომ ქალაქში ხმა დაირხა, ზედა უბანმა „ყეენი“ გამოუშვაო.

ბაზარს უფრო მოემატა ცეცხლი. ყველა ჩქარობდა. მსყიდველი აღარ ჩასდევდა წვრილ ფულს. ფეხზე ვაჭრებმაც და ხელმარჯვე ხელოსნებ-მაც უფრო მოაშელავათეს ფასები ყველას სიჩქარის ოფლი და ლტოლვა დააცხრა.

განსაკუთრებით ქვედა უბნელები შეწუხდნენ:

— გაგონილა! ბურთშიაც ზედა უბნელებმა გჩაგრონ... ახლა ყეენიც გა-მოუშვან? ფიე, ჩვენ რალა? ე რა ბაჩაჩუნები ვყოფილვართ?

— ბერიკებო! მოშიარენო! თავი მოიქაჩლეთ, ქვედა უბნის მაზანდა არ დასცეთ!

ზედა უბნიდან კი მართლაც მოდიოდა „ყეენი“. მაღალ, ყინჩმრუდე აქლემ-ზე შემჯდარიყო, თავზე თეთრი დოღბანდი მოეხვია, მისი ბოლო კი აქლემის კულზე გამოება. ტანზე ყვითელფორეჯებიანი გრძელკაბა ეცვა, წელზე სპი-ლენძის ლაკანი ეკიდა. თავისი ქალამნები აქლემისთვის წინა ფეხებზე ჩაეცმია, თავად კი შიშველ ფეხებზე აკვნის შიბაქები დეზებად დაება. ზურგზე ნიღაბე-ბის დასტა მოეგდო. ხელში სამადლიანი, საყევრის შოლტი ეპყრო და ხალ-ხის თავზე წარამარა ატლამუნებდა. აქლემს უკან მეზურნეები, სხვა მესაკრავე-ნიც და მათი დამქაშებიც დაკვრიოთა და ღრიანცელით მოსდევდნენ.

„ყენის“ ტალღამ გლეხებიც გაიტაცა.

— ჰაი დედასა, რა ყოფაში არიან?! — გადასძახა ოქრო-პაპამ კაკა-მეველეს. — ერთი ამათ ჩვენი ბერიცა აჩვენათ!?

— ჰოდა, რა, იცი რა იქნება?! ერთი ჩვენებურად... გლეხ-კამეჩურად... ჰა! — და ქედვლებიც საერთო დინებას მიჰყვნენ.

„ყენის“ უკვე ქარვასლის ფორეზე გასულიყო, კრიჭადაკრეჭილად და თვალების ვარვართ ხალხს გადაჰყურებდა და შოლტით ემუჭრებოდა...

— ყენი ჯავრობს! გაგონება იყოს! სმენა და გაგონება! — ასმიანდნენ დამქაშები, მაგრამ მოზვავებული ხალხი სანამ მიდგებ-მოდგებოდა და კარგად საქვრეტ ადგილს მონახავდა, „გაგონების“ დამყარება ვერ მოხერხდა.

გაჯავრებულმა ყენმა დეზად ამოკრული შიბაქი სპილენძის ლაკანს შემოჰკრა, შოლტის ტარიც მიამშველა და ისეთი ვიი-უმშველებელი ასტეხა, რომ ბობოქარი ხალხის ყურთასმენაც კი წაიღო.

— რა ამბავია, ყენეჯანი!? — შესძახეს ხელოსნებმა. — რა მოხდა!?

— ფუტკარმა იყარა! ფუტკარმა! თაფლს დაედო! — და უფრო დასცხო ლაკანს. ხალხი უფრო მიაწყყდა მოედანს.

— სად არის მერმე?.. ან ფუტკარი ან თაფლი?

— სად... სად? — გაიძახოდნენ უკანა და მხრებზე ასხდებოდნენ წინანებს.

— ფუტკარი თქვენა ხართ, ხალხნო! მე კი თაფლი!.. ჯანი გაგვარდეთ, ქვედან უბნელებო — ამომლოკეთ! ამომლოკეთ!.. და გზაც მომეციოთ!!

ახლო მდგომი ხალხი დაგრიალდა და მიდგა-მოდგა, შუა მოედანზე გაუშვა „თაფლოსანი“.

— გვაჰამა მაგ ენაბილწმა!.. გვაჰამა!.. უყან, ხალხნო! კრაზანას თაფლია! მწარ-მწარა!

მაგრამ ყენს ახლა ახალი ტალღა მიასკდა... აქეთ-იქიდან მიიძახეს:

— ყენ, ფეხშიშველა რათა ხარ? ქალამნები რა უყავი?

— აქლემს ჩავაცვი, რეგვენებო! აქლემსა! ხევით რომ მომჩერებინართ — ქვეშ შემომხედეთ... ქვედა უბნელებო! — ნელი ტატიით მიდიოდა და გზა-გზა პასუხებს ძირკვიმატად აფრქვევდა ყენი.

— რათა მერმე? შენ ჩაგეცვა! ჩლიქიანი ხომ არა ხარ? — არც ხალხი აკლებდა ხელს.

— მე ზედ ვზივარ! ქუდი მხურავს!.. კუდს მიბია!

— მერმე რა გამოდის?! ერთად რა იქნება?!

— ექვსფეხა და ორთავა! აბა დამითვალეთ! მეტი რაც მიბოვნოთ — სამემკვიდროდ თქვენი იყოს! მიჩუქნია!.. გრძელთმიანებო... კალთიანებო... თავში ტკბილებო — ბოლოს მწარებო! — და ყენი აქლემის კუზზე აიჩანა, ქალების ქოქოლასა და ყაყანს ყური აღარ უგდო, ყვეითლად შედებილ-დაბურდული მატყლის ლომ-ნიღაბი აიფარა, ახლა სხვა მხარისაკენ მიბრუნდა და ერთიცი ომახიანად აბუბუნდა.

— ვინა ხარ? — უმაღ შეიძახეს აქედანაც.

— არც მხეცი, არც კაცი! — ნიღაბმოუხდელად გასძახა და უფრო უმატა მულრობასა და ბუბუნს.

— მაშა? ეჭე! ჰერიპა! ეგრე როგორ იქნება? მაინც?! — ახლა ხალხიც აჰყვა და ღრიანცელი შექნა...



— თავი ლომისა მამია... ფეხები ნეხვისა! — ყენმა მნიშვნელოვნად ჩაახველა, ბანებისაკენ გაიხედა... — შულაცა ვთქვა?

— სთქვი! სთქვი! — შესძახეს ამქრებმა...

— ნუ იტყვი! ნუ! არა... არა! — აკრიახდნენ ბანებზე გადმომდგარი ქალები.

— ჰოდო... ზრდილობისთვისაო... ფასი დამდეთ... იგრე... უთქმელ-ნათქვა-მი დარჩეს...

ყველამ თავის დაიფაროს,
როგორც სურდეს, მოიხმაროს...
ოდონდ გული გაიხაროს!

— არა, მაინც რა!? — ეკითხებოდნენ მოჯრილი გლეხები, რომლებიც არ ყაბულდებოდნენ ქალაქელების „იგრე ნათქვამს“.

— მაინც რა!? ჯერი არ არის! აგრე როდი იქნება! მაინც რა!?

— შიბაქი! შიბაქი! — შემოძალებულთ გადმოსძახა ყენმა და დეზ-შიბაქი შემოჰკრა ლაკანს, კუხზე შედგა, მალლა აიწია... თითქოს ხარხარის ტალღაზე ამოდდა.

— სად იწევ? სად მიდიხარ?! — შესძახეს დამქაშებმა.

— შეზე...
— რათა?

— გამწყრალი ვარ... ჰკუა უნდა ვასწავლო — ადრე ამოდის, გვიან ჩადის! სხვას ხვეს აძლევს, მე თავს არ მიკრავს!

— დახე რა ჰქონია გუნებაში ამ ზარმაცსა და უხიაგსა! — ახმიანდნენ გლეხები...

— რომ არ დაგიჯეროს?

— შევქამ...

— მოუკელ!.. კუქი რომ დაგწვას?

— ალაზანს დავლევ...

— ჰი გიდი!.. რომ არ გეყოს?

— იორსაც დავაყოლებ!

— რომ ვაგებროს? — ახლა ერთხმად მიიძახეს გლეხებმა.

— შიბაქი! შიბაქი! — ისევ დეზი გაჰკრა ლაკანს... აქლემიც დასძრა, წინ წააყენა. ქარვასლის კიბისაკენ მიაბრუნა. მეფესა და დიდკაცობას ენა გამოუყო. ახლა სხვა — ვრძელნისკარტა ნიღაბი აიფარა და გაიფხორა.

— ახლა ვინ ვარ? მიცანი და გავაფრენ! მიცანი და გავაფრენ!

— სთქვი რამე სანიშნო! ნიშანი! ნიშანი! — მიიძახეს მოქალაქეწმა.

ყენმა ლექსად დაამღერა და დამქაშების დაბალ-დოლის ხმაზე ტანში აიგრია... აცუნდრუტდა...

— ნიშანი და ქვიშანი...

ნაცარ-გარდაქეშანი...

უჰკუო და გულქანა,

თავწვრილ-ბოლომსუქანა...

მიცან კილო-ხმაშია, დამინახე ცაშია!

ქვით-კირო და ქვით-ხურო! ქვით-კირო და ქვით-ხურო!

— უი, ფრინველია! ჩიტი?! — ბანებზე ჩორჩულს ქუჩაბანდებში ქაქანი ჰყვებოდა, მაგრამ ყველას ეშინოდა ენამწარე ყენის ჩანგალზე წამოკვებისა...



— უი, მე გავიგე! გამოვიცანი! ვთქვა, განა! არ გამამასხროსს ^{გარკვეული} უფრო გარკვეული ხმა დაირხა ბანიდან.

— მიცანი და გავაფრენ! მიცანი და გავაფრენ! — კვლავ გამომწვევად გადასძახა მოედანს კუზზე აჩაჩხულმა ყეენმა...

— აბა, ქალო! აბა, ქალო! ე მაგ მალალ ბანიდანა...
თუ ამიციან — გამოვაფრენ ამ ყეენის თავიდანა!..

ნისკარტიანი ნილაბი უფრო აათამაშა, ხელი თავში წაიშინა და ახლა კიბის თავზე მჯდარ მეფესა და დიდებულებს თუ დიდ სოვდაგრებს გასძახა:

— თავში სამი ჭკუა მქონდა თავითგანა...
სამივე თუ გამიფრინდა თავითგანა...
ამის მეტი რა გამოვია ამ ჩემ ყეენ-თავითგანა!
ქვით-კირო და ქვით-ხურო! ქვით-კირო და ქვით-ხურო!

— მწყერი! მწყერი! — სადღაც ქუჩაბანდის ბოლოში გავარდა ძახილი და ხალხს თავზე გადმოუარა.

— მართალია! მართალი! მწყერია, მწყერი! ჰოდე, ეგ არის! ამოხსნილია!.. — ახმიანდა დიდ-პატარა. აქლემკაცმა ნილაბი გადააგდო, ხელები შეკყარა, თავში ვაი-ვიშით წაიშინა:

— ამის მეტი რა გამოვია ამ ჩემ ყეენ-თავითგანა!

ქულის ზედა კოსრო დოღბანდთან ერთად გადაიძრო, შიგ ჩამალული, გვირგვინად შეკრული პურის თავთავები გამოაჩინა... იქიდან კი ყველასათვის მოულოდნელად სამი მწყერი ფართხალით გადმოფრინდა, განცვიფრებულ მოედანს გადაეგვლო და თავს უშველა...

— გააფრინა! მწყერები გააფრინა ყეენმა! — აროხროხდა ხალხი.

— რა მოხდა, რა?! — ჰკითხულობდნენ შორს უკანანი, რომლებიც საერთო სიცილს კი აპყენენ, მაგრამ მიზეზისა არა იცოდნენ რა, ახლა ძიობდნენ და იჭაჭებოდნენ ერთდროულად.

— მწყერები გააფრინა! მრავლად ჰყოლია!

... და ვიღრე ხმა ფოლორცების ბოლოს მისწვდებოდა — სამი მწყერი უკვე ასად იქცა.

— უი ქა! ამ პოპლიკა თავში ასი მწყერი სად ჩაატია?

— მა რის ყეენია ქა? ასი მწყერი რა ბედენაა, ასი ბატი უნდა ჩაიტოს! მეტი რა ჩარა აქვს — ყეენია! — დაობდნენ და ხარხარებდნენ ბანებზე თუ შუკებში. დოღმა ხმა უფრო გამოიღო, მეზურნეებმაც საკრავები ააჰყვიტინეს...

— ტაში ყეენს! — შეხმიანებულ ხალხს თავად დასძახა ყეენმა და აქლემის კუზზე ფეხმარად აცეკვდა. ყოველ შემობრუნებისას ახალ ნილაბს იფარებდა, ხან ქონდრის კაცი იყო, ხან დევ-ჩანჩურა, ხან მგელ-თხა, ხან დიდყურა ჩოჩორი. ნილაბისდა შესაფერისად ბაჯბაჯებდა, ბღღვინავდა და ჰბაძავდა... ჰოდა, ჩოჩორულად რომ აჩოკინდა და ყროყინიც ამოაბა, მას ქვედა უბნიდან მართლაც ვირის ყროყინი აპყვა. ეს კი ნამდვილი, ნალდი და უთადლითო ვირის ხმა იყო.

— ამოიციანო! ამოიციან იმანაცა... ჯილდო ეკუთვნის, ჯილდო დიდყურასა! ახარხარდა ხალხი, მაგრამ უეცრად ქვევით რაღაც მოძრაობა იშვა, ტლლლ-სავით მიექან-მოექანა, ზევითაც მოედო ხალხს... კიბეზედაც კი მისწვდა დიდ სოვდაგრებსა და მალალმოხელე სტუმრებს.

— განი! განი! განი! გზა! მოდის! მოდიან ქვედა უბნელები!

— ხონთქარა! ხონთქარა მოდის!

გზაზე ხალხი მიდგა-მოდგა და შუა მოედანზე თეთრ ვირზე აღმჯდარი „ხონთქარა“ გამოატარა.

მალალსა და გამხდარ, ტანწოწოლა კაცს გრძელი ფეხები მიწაზე ეთრეოდა, კრელ ძონძებში ჩახეულს გულზე მოზრდილი ბრჭყვილა ნამგალა მთვარის მსგავსი რამ ეკიდა, ზედ ვირის ავშარა იყო გრძლად გამოზმული. თავზე ცხენის ძის თულ-დოლბანდი გაეწყო, განზე გაფარჩხულ ფეხებზე მოზრდილი, ახალ მთვარედ ამოთარგული ფოსტლები ამოეკრა.

— ოჰმე, ახალ მთვარეზე არ ყოფილა გაჩენილი ეს გამჩენძალი! — აქლემის სიმალიდან დააძახა საბრძოლოდ მომზადებულმა ყენნმა... — დამაცათ, ძველიც დავეიწყო!

— დაგვენახე! დაგვენახე! — ახმაურდნენ უკანანი... ბალღები ხეებზე შეძვრნენ, ბანებს დაეტანა ხალხი. — დაგვენახეთ! გამოაჩინეთ! გამოაჩინეთ! ვინ მოვიდა?

— ახლავ, გეთაყვათ! ხალხნო და ჯამათნო! ამ საათში! დამაცალეთ, მუხლი გავშალო — ყენი წავშალო! ვირზე ავმალღდე — აქლემს დავედარო!.. მიწ-ყოზილად ამეტყველდა ხონთქარა და ვირზე შედგა. ახლა უფრო გამოჩნდა მისი სიმაღლე და სიგამხდრე. მაგრამ ამ ახალ კაც-ნიღაბს წელთან სამოსი გამოჰბეროდა, უფრო მეტიც გამოჰბურთოდა დაბალ ღიბად, გავა სქლად აჯდა და ტანწოწოლას — ვეება კვირისთავიან თითისტარს ამსგავსებდა.

— აქლემზე ავმალღდე — ცას გავეკარო!.. მალალბუქნა დავუარო... ხალხის გული გავახარო!

ვირზე წამომდგარი მთესავივით ჰფანტავდა სიტყვებს.

ახლა უკანანიც ჰხედავდნენ და გაფაციცებით უმზერდნენ — უსმენდნენ ამ ახალ მოვლენილ სანახაობას.

ყენი თუ აქლემ-კაცი ყველას დაევიწყდა, თუმც იგიც აქვე, ხონთქარას წინ იდგა თავის აქლემიანად და ყურადღების შემობრუნებას ცდილობდა... მაგრამ სიტყვის კავი და თასმა ხონთქარას ხელში იყო:

— ცას ხელი შევკიდო... მზე ჩამოვიღო — მთვარე ჩამოვეიღო! ვარსკვლავები დაევაქედო... ღრუბლებს თვალი დაუთხარო... ელვა ვათამაშო! დამაცადეთ, ერთი ხონთქარის ლოცვა ვთქვა! ნომეშველენით... მომეხმარენით... ხელი გამომართეთ, თავზე დამისვით... ჯერ თავზე წამოგაჯდეთ, მერმე დედას გიტირებთ! დაუჯდომელს შეგყრით... მეხსა და სეტყვას არ მოგაკლებთ... თქვენცა განა, ზედა უბნელებო!

— ეჰე, დახე მაგასა, რეებს სურვილობს ეს დორღიალა გველაძე! — აერიამულდა ამქრობა. — აგვიკლებს, მა რა? ხელი მიე, ხელი! ესლა გვაკლია!

— ბაკუკები! ბაკუკები! — უეცრად გამყვიანი ხმით დაიყიენა ხონთქარამ და ქვედა უბნელი დამქაშების მიერ მიწოდებული ხუთიოდ აღლიანი სიმაღლის ორჩოფეხები დააყუდა. ბაკუკებს საფეხურებად სამ-სამი როკი ჰქონდა ზეშემადღებულად შუაზე მალა ჩადგმული.

ხონთქარამ ვირის ავშარა დაიგრძელა, კისერზე გადაიგდო და სახედრის ზურგიდან პირდაპირ ბაკუკზე შედგა-შემადღდა, ვირი ლაჯებს ქვეშ მოიტოვა და ხალხის თვალის წინ იწყო ტატითა და ფეხშენაცვლებით „ცაზე ასვლა“, თან „ხონთქარის ლოცვა“ წამოიწყო:

— აკიბული-ჩაკიბული...

ჩანგალა და ნამგალა...

ჩოჩორა და ავშარა...
ჭუკები და ჩიკორები,
კუკები და ბაკუკები! ჰიო!

მეორე საფეხურზე რომ შედგა, აქლემს გაუსწორდა, მესამეზე კი ყვეს ზევიდან მოექცა, ბაკუკების სამკლავურები ღლიაგებში მოიგლო, ცხვირი ხშიანად მოიხოცა და ყვეს გადააწვინტლა.

— აჯობა! სიმაღლეშია აჯობა! — შეაძახა ხალხმა და გაფაციცდა.

მაღლა ჰაერში გადამწყვეტი წუთი დგებოდა. ორი გაფხორილი მტრქე უნდა სძგერებოდა ურთიერთს. ზედა და ქვედა უზნელებიც მოიზიდნენ.

ხონთქარამ ახლა ავშარაზე იტაცა ხელი:

— ვირი კისერზე მკიდია! გრემის ზედა უზნელებო... თქვე პირდაუბანელებო! მირჩიეთ, ზეცაზე ავიყვანო თუ ყვეს ვაჩუქო?!

— რა ჭირად მინდა! ქვედა უზნელებს სამწვადედ გაუგზავნე! — შესძახა ყვენმა... — ვირის ბასტურმა მაგათ!..

მაგრამ ხონთქარა უფრო აღრიალდა:

— ხალხნო! თქვენ გაარიგეთ, თქვენი დასტური მომეცით!

— აჩუქე! აჩუქე! — ერთხმად შესძახეს მახლობლებმა... ზედა უზნელებმა ასტეხეს განგაში და ღრიანცელი, მაგრამ ხონთქარამ ყურიც არ ათხოვა...

— ჰოდა მართალია! მაღლა დიდყურას რა უნდა! აცე, კაცო! — ერთი მგახედ შესძახა და ბანებზე თუ ქულბაქებში ჯერ ღრიანცელი არც იყო ჩაკლებული, რომ ხონთქარამ ბაკუკა ნაბიჯი წარსდგა და ავშარას მარყუქი ყვენს უეცარი მოქნევით თავზე გადააცვა.

— აბა გაქირი! მუტრუკული გაქირი! — ქვევით ჩასძახა ბაკუკამ.

ქვედა უზნელებიც ამას ელოდნენ, ვირი კუდით დაითრიეს. ავშარამოდებულმა ყვენმა აასავსავა ხელები და აქლემის კუზიდან ახარხარებული ხალხის ტალღაში ჩაიფარცხა.

— არიქა! დაამაგრეთ! ხელი სტაცეთ!.. — შეიქნა ზედა უზნელთა დაგვიანებული ძახილი...

— რა უყო, კაცო! ჯერი არ არის, ჯერი! — ყვიროდნენ აქა-იქ, მაგრამ გვიან იყო. უყვენო აქლემი იდგა მოედანზე და ისიც ყურებწამოქაჩულად, გაკვირვებით შეკყურებდა ბაკუკებიან მაღალკაცს.

— მწყრებს გააყოლა! თავის მწყრებს! უჯობნია! — შეფრფენით ხარობდნენ და იჭაჭებოდნენ ქვედა უზნელები.

ხონთქარამ კი გამარჯვებულად მოიზეიმა და ახმინებული საკრავების კილოზე ბაკუკ-დავლური ჩამოუარა და ჩამოუმღერა:

— ხონთქრის ყვეის ვალობითა...

ბაკუკების კვალობითა...

ქვედა უზნის წყალობითა,

გლოცავთ, ზედა უზნელებო:

ბიჭებს — დორბლი, დორბლიაო!

ქალებს — ჭორფლი... ჭორფლიაო!

ზედაუზნელების გაჯავრებული შეძახილი ხარხარსა და სიცილში იძირებოდა. ხალხის გატაცება თანდათან მატულობდა. თავდავიწყებულ მანდილოსნებს ჩიხტიკოაები დაპბრეცოდათ, პირდაღებული შეკყურებდნენ ცაში შეკუნტრუშებულ ხონთქარას. ჩასუქებულ სოვდაგრებს სიცილისაგან ცრემლები მოს-

დგომოდან და ხარხარის ძალა-ტოკვაზე აწყობილი ღიბები საბერველში აუღ-ჩაუღიოდან.

მეფეც და დიდთავადნიც სანახობას მოეხიბლა. თავშეკავება უცხო, სტუმარ მოქარავენთაც დაეკარგათ. ხალხის საერთო განწყობილებას ისინიც ჩაეთრია. ყველაზე გაკვირვებულნი მაინც რუსი სტუმრები იყვნენ. მათთვის ეს სრულიად ახალი სამყაროს სანახობა იყო, თანაც ყველაფერი ნიშანდობლივი და გასაგები. მათ დიდწოწოლა ქუდები მოეხადნათ, ბეწვის ქურქები გადაეხსნათ და ხან ხმა-ჩაბრუნებულად, ჩაკუქუქებულად იცინოდნენ, ხან კი ქამარში ხელჩავლებულნი ისეთ „ვახახაიას“ ხმაზე გრგვინავდნენ, რომ უნებურად სხვებსაც აცდუნებდნენ და აცინებდნენ...

— სთქვი რამე; სთქვი! ყვენი თუ გააგდე, სიტყვაშიაც აჯობე! — ჯიბრობდნენ ზედა უბნელები... — ვინ ხარ? ვინა?!

მესაკრავენი დაბალ კილოზე გადავიდნენ. ხონთქარამაც უკლო როკვას...

— მე ვინაო? მე ვინაო...
არ გამაჩნია ბინაო...
თუ მიცან წინდაწინაო —
ცხვირიმც დამაცემინაო!
ფრთებიც ამასხმევენაო!

ხონთქარამ მხრები აათათქუნა და აიფხორა. თვალები მოავლო ბანებს, ერთი გოგო ამოინიშნა და ბაკუკურად მიუბუქნა, საქილეკო თუ გამოსაცნობი ლექსი მიუმღერა:

— ... გოგოვ, ლამაზ-ბუტიაო...
გამიკეთე ბუდეაო!
გუგუ! გუგუ! გუგუ!

გოგო აილანდა, მართლაც ლამაზად გაიბუტა და დედას ამოეთარა, მისი ლეჩაქის ბოლო სახეზე აიკრა. ბაკუკ-კაცი კი ახლა უკვე სხვა ბანთან იყო, ქვემოთ. მჯღართ პირდაპირ გადაალაჯა და ახალბედა ნაქვრივალს მიუმღერა:

— ... გოგოვ, კულირეცხიაო...
ჩეკე, ჩეკე კვერცხიაო! გუგუ!

— გუგუ! გუგუ! გუგუ! — აიტაცა ხალხმა და აქეთ-იქით ქუჩაბანდებში აავუგუნა...

— ქა! რა თავში ვიხლი! შე ბაკუკად ჩამომხმარო, შენა! ეს რა მითხრა!? არ გამამასხრა, გამატრიოზვა ქალი?! შენი ყადრი ნახე, შე ხეკაყუნავ! — დაუტატანა, ორთავ ხელით ქოქოლა მიასყარა ნაქვრივალმა.

— გუგუ! გუგუ! — გაიძახოდა და ხარხარებდა ხალხი... ერთობლივ დიდ-პატარა...

— აბა თუ მავან არ გამოიცნოს!? ნახე თუ არა!

— ქალო, ქალო ქანქალო,
გამიზარდე ბახალო!

ახლა სქელ-დაბალა დედაკაცს შეაწია ლექსი ხონთქარამ...

— გუგუ! გუგუ! — ადი-ჩამოდოდა კიბე-თავენებზე, ბან-ქუჩებზე ძახილ-ქუხილი.



— უი ქა! გუგული იქნება, მა რა! — გადასძახა ხონთქარას ნაგვიანე ვად პირზე ხელი მიიფარა.

ხონთქარასაც ჩანს ეს უნდოდა, ბაკუეები გალაჯა და ნიშნად გამოცნობისა ერთი ლაზათიანად, შეყოვნებით, შეზვიადებულად და დაგემრიელებით ცხვირი დააცემინა. წელშიაც განგებ მოიხარა, სწორედ იმდენად, რომ კულის რიკის არესთან გავასქელი შარვლის ნაოჭი გადახსნილიყო... იქიდან კი ნამდვილი, ცოცხალი გუგული გადმოფრინდა...

— უი ქა! სად ჰყოლია! — მიამიტად წამოიძახა ნაქერივალმა...

— ქვეშეთ ჰბერავს ქვედა უბნელი! ქვევიდან გამოდის!

— უჯობნია! უჯობნია! — ახმინდა ხალხი.

დამფრთხალი და გაოგნებული გუგული კი ქარვასლის თავზე შემოჯდა, ფრთა-ბოლო დაფაფრა და გაკვირვებულ ხმაზე ნამდვილი, ბუნებრივი „გუგუ“ გადმოსძახა ქარვასლის კარის შეყრას.

— გუგუ! გუგუ! — გრგვინვაში გადასული ხარხარით აჰყვა მთელი ქალაქი.

— აბა თუ მეფის ქარვასლაში არ დასდოს კვერცხი? — გაიძახოდნენ ნირ-შეშლილი ზედა უბნელები.

— მეფეს ეგ „მასალა“ არ აკლია! დახე რა ვაეები მოესწრნენ! — პასუხობდნენ ქვედა უბნელები. მეფის დიდი სასახლე ქალაქკარეთ იყო და იგიც „ქვედა უბნელად“ ითვლებოდა.

ქარვასლის კარის შეყრისას ღირსეულს თავად მეფე აჯილდოვებდა. ახლაც გაამზადა „მჯობნის ქისა“ და მუხის ფოთლების გვირგვინი. მას სახიობა დამთავრებული ეგონა. ასევე ეგონა ხალხსაც, ალბათ თვით ყენ-ხონთქარასაც. მაგრამ მოულოდნელად ქარვასლიონს ახალი გაგრძელება აღმოაჩნდა.

ხონთქარას დასტას ჯერ „ხონთქრული“ არ დაემთავრებინა, როცა თარსა-გალაუნის მხრიდან ისეთი რიხიანი ღოროტოტოს ხმა მოისმა, რომ ყველამ ყური სცქვიტა...

— ეს რაღა არის!? ვინ არიან?!

— გზა! გზა! — შორიდანვე გაისმა ძახილი და ზედაც ბერიკული მრუდი სიმღერის რიხიანი კილო მოსწვდა შეყრას.

გუნდის სიმღერაში ღოროტოტოც მონაწილეობდა, სტვირიც და დოლ-ბუკის მგრგვინავი ხმაც გაისმოდა.

— უიმე, ტახში არ ჩამჯდარა!

— ტახ-ბერიკა! ტახ-ბერიკა! — მაღალ ბანებიდან მოისმა ძახილი.

ბანიდან ბანზე მოხტოდნენ მოზარდნი. ისევ ამოძრავდა მოედანი...

— ვინ არიან!? ვინ! სადაურები!? ვინა ხართ, კაცო!?

— ქედლეები ვართ! ქედლეები! გზა! გზა ბერიკასა!

— გლეხები! ქედლეები ყოფილან! — მოახსენეს ნაამებ მეფეს.

ყიყინი და სიმღერა-გუგუნი დაბორილობდა გრემის თავზე.

— აბა... ახალი საკბილო დამანახეთ! მომშვივია! რაც ყენს დავმართე, ამას მეტე წაკვიდო! — გაიძახოდა ხონთქარა, თავის ბაკუეებს აბაკუნებდა, ლობეყორეს ედებოდა... მაგრამ მას უკვე აღარავინ აქცევდა ყურადღებას. მისი „გუგულიც“ გაფრენილი იყო.

მრუდ მღერალთა ქარგაზე ვიღაც მაღალი, პირდაპირ გულიდან ამოდებულნი ხმით ქარგავდა კილოს.

— სსუ! ჩუმად! — ურთიერთს დაუტატანეს და ერთი უფრო შეხმიანდნენ მოედანზე.



— ჰეი, შენ! ე მანდ ბაკუებიდან თუ ჩამოვიდეთ? — მიძახებს ხონთქარაძე და დაეხრება.
საც და ჩაჩუმეს. იგივე ყენის აქლემს მიეყუდა და დაეხრება.

სამო კილო/და ტკბილი ხმა უმალ დაეუფლა მსმენელთ.

— ვინ არის, ხონთქარაძე? საიდან გამოტყვრა!? რომელი უბნიდანა?
ხონთქარაძე მოჰხედა შემკითხველს. აქლემს ამოფარებული, მის მიერ „და-
მარცხებული“ იდგა და კედლს იფხანდა...

— არ ვიცი, ყენ-მამო! ტახში ჩამჯდარა ვილაც!

მალე ხალხის კედელი გაიპო და მოედანზე ნიკორა კამეჩი გამოჩნდა. ზურ-
გზე ბზით სავსე ვოდორი ედგა. ამ ვოდორ-ბუდეში ტახ-ბერიკა ჩამდგარიყო,
სახეზე ეშვებინა ტახის ნილაბი ჩამოეცვა, ტახზე გადმობრუნებული ძველტყა-
პუჭი მოეხურა, ღორისა და დათვის ნარევს დამსგავსებოდა. ცალ ხელში დინ-
ვის თოკი მოეგლო, მეორეში კი ფიწალი.

— რა ყოფილა! დახე... დახე! ეს კუდალა კამეჩი სადღა გამონახა!? — ჰკვი-
რობდა ხალხი. მართლაც კამეჩს ერთი ცილა მოკვნიტილი, მეტად მოძრავი კუ-
დილა ჰქონდა.

ოქრო-პაპას თაოსნობით მომავალი გლეხების ჯგუფი კი მატულობდა..
აქეთ-იქიდან სხვა სოფლებიც ეტანებოდნენ.

— ბიჭო, არ დაიბნე, ნირი არ შეიშალო! — ჩუმად შეამხნევა ოქრო-პაპამ
ტახში მჯდარი ქოხსალამურა. სოსია მენახირესაც ნიშანი მისცა. მანაც სოფლის
ღორტოტო კვლავ დაქუხა.

ტახ-ბერიკამ „გზისპირული“ გზაშივე მოითავა, მაგრამ შეყრის ხალხმა
კარგად ვერ გაიგო... ხელად ახმინდა...

— თავიდან! თავიდანა სთქვი! გზის პირი დაილოცე!

— არ მივიღებთ ისე! არ მივიღებთ! გულის გასაღები! გულსალხინო!

ტახ-ბერიკამ დინვის თოკს ჩამოჰკრა და ეშვინი ყბები ააკაკაპა, თან თვა-
ლის ქუქრუტანიდან ოქრო-პაპას გადაჰხედა.

— თავიდან დაიწყე! — თვალი უყო ოქრო-პაპამ და სოსიას ღორტოტო
დაამეებინა. ახლა მეზურნეები დაბალ კრინზე შეასახელა.

ქოხსალამურას შესანიშნავი სამოძახილო ხმა ჰქონდა. მკაფიო მეტყველ-
წამლერებით წამოიწყა:

— იიოოდაა...

კუდალა კამეჩო და... ცოხნაში ასე ჩიოდაო...

ერანი თუ თურანიო — ძერანი თუ ყორანიო...

ყენი და ხონთქარიო — ორივე ერთად არიო...

აღია და ოსმანო — ორივე თათარიო!...

— მართალია! შენ გაშველა ღმერთმა! ეს კუდალა კამეჩი ბრძენი ყო-
ფილა!

— კარგ უთქვამს! მართალ უთქვამს! სწორედ სახლთუხუცესად გამოდგე-
ბოდა!

— ჩვენ ახში ვიციო... დიდთავადებსა და სოვდაგრებს გააგონე! გააგები-
ნე! — ერთად შეხმინადა გულშეხსნილი ხალხი.

— ახლა ისიცა სთქვი — ვინა ხარ? საიდან მოსულხარ? რა მოგაქვს?

— „გზისპირული“ კარგი იყო, ახლა ვინაობისა სთქვი! ვინაობისა!

ოქრო-პაპამ თვალი ახლა კაკა-მეველეს უყო. კაკამაც თავისი ვეება ყბები
ზანღუკივით გააღო და აგეთი ღრიალი ამოუშვა, მთელი მოედანი გააშემა:

— სმენა იყოს და გაგონება!



— ყენ-ხონთქრის გავორება! — კაკას ღრიას ლექსად ააყობს ბერიკამ, მაგრამ აქ კი ზედა და ქვედა უბნელების ხალხ-ფალავნები გაერთიანდნენ.

— ვინაობა სთქვი! ვინაობა! არ გავიშვებთ! ქილიკის ჯერი არ არის!

— უწესო! უწესო!

ახლა ბაზრობაზე მოსული გლეხობა ტახ-ბერიკას ქომავად ახმიანდა:

— აცალეთ! აცალეთ! თვად უკეთ იცის! გლეხ-ბერიკა! განა ქალაქ-ბაზარა ბიჭია!

ოქრო-პაპამ ისევ კაკას გაჰკრა ნიდაყვი. წასჩურჩულა კიდევაც. მეველები ისევ მოარღვია ყბები:

— კამბეჩაური წესია...

და ისევ ქოხსალამურამ აიტაცა ძახილ-სიმღერა:

— თავში ჰკა უმჯობესია!

მერმე ამოჰკა რბილოსა...

სამასხრო-სასაცილოსა!

...ქალაქელების კილოსა...

მა რა გეგონა, შვილოსა!?

ქოხსალამურამ დინგის თოკი აამუშავა — ეშვები აკაკაპაპა. მოედანზე, მაინც გლეხთა შორის, ცოცხალივით გავორდა ხარხარი. ოქრო-პაპამ ცოტაც აცალა, გულს ვიდრე მოიფხანდა გლეხობა ან საპასუხოდ ახმიანდებოდნენ ქალაქელები და ხელად წარბი შეუთამაშა სოსიას. მენახირემ ღრმად შეისუნთქა, საბერველივით აივსო მკერდი და ღოროტოტოს დაეწაფა. ქალაქელებმა ყურებზე იტაცეს ხელები:

— ჯა, ე რა მეხის ხალხი მოსულა!?

ახალგაზრდა ბერიკამ „ვინაობის ლექსიც“ სიმღერითა სთქვა:

— სულიერი და ცხოველი...

დღე — მზე ვარ, ღამე — ღამურა...

ჩამოდექ კაცი ყოველი,

ტახში ჩამჯდარი მოველი

ქედელი ქოხსალამურა,

ბერიკა-კამბეჩოველი!

— დიდი ვინმე ყოფილა! — ახმიანდნენ სოვდაგრები, გაკილვა სცადეა.

— ესეც კარგად სთქვა! გააფასა ყენ-ხონთქარა! — კიბის თავიდან გადასცხა მეფემ და ხელი აუქნია.

— გააფასა! გააფასა! — დაეთანხმა ნამები ხალხი.

— აბა ეშვისა სთქვას, თუ ასეა! — ერთხელ კიდევ ამოიღო ხმა ხონთქარ-ბაკუკებიანმა. ტახ-ბერიკამაც არ დააყოვნა:

— ალაზნის წყალში ნაბანი,

ნურც მე გგონივართ ჯაბანი!

სიცილის მალაღობელი...

ღვინის დამლევი პეშვითა,

დოყლაპიების მცნობელი

ტახ-ბერიკული ეშვითა!

— ეგეც შენ ეშვისა! გაჰკრა! გაჰკრა ეშვი! გააბურთავა! — აყვირდა ხალხი.

— ახლა ძღვნისა სთქვას! — გაჰკვირდნენ ზედა უბნელები.

— ამოცანისა! ამოცანისა! — მისძახოდნენ ქვედანი.

— ორივეს ვიტყვი! — ქოხსალამურამ ღორის ღინგი ზევით, კეფისაკენ გადიწია და სახე გამოიჩინა.

ახლა ტახი ცას შეჰყურებდა, ბერიკა კი ხალხსა და მეფეს.

— ყვითელ-ყვითელა, მზის დარი,
 ნაყოფი გლეხის გარჯისა...
 ირგვლივ, ვაკეზე ნატარი,
 ბოლოს გამცვეთი კაჟისა...
 თუ გამოიცნობთ — მოგიძღვნით
 მეფის სალაროს ხარჯისა!

— აგრე იყოს! აგრე! კარგი დახლი დამიდგება! მზად არის საბერიკო ქი-
 სა! — გასძახა კახთ-ბატონმა. მას საერთოდ უყვარდა მახვილიტყვაობა, ხოლო
 ეს გლეხის ბიჭი კი მოსწრებულად და უკითხავად გულში შეუძვრა.

— ოქრო! ფული! აგრეა! ყვითელ-ყვითელი!.. ვაკეზე ნატარი!.. ყოველი
 კაჟისა და სიმართლის გამცვეთი! ჰოდე!

— ადვილისა! ჭკუის კოლოფო! ფუქია! ყეენ-ხონთქარისა უმჯობესი
 იყო! — ხმამალა მარჩიელობდნენ... ვარაუდობდნენ... ურთიერთ შორის დავ-
 ობდნენ მოედანზე, ბანებზე, კიბის ხარისხებზე...

ქოხსალამურა კი განაგრძობდა:

— მრავალ თითებში ნასხლექი,
 ამო ნიავის ძალითა...
 ჭკუის კოლოფო, რას მეტყვი...
 მოგართვა ამ ფიწალითა!?

...და ოთხთითა ფიწალი ჰაერში შეატრიალა ქოხსალამურა-ტახბერიკამ.

— მამ ოქრო არ ყოფილა! მე კი მეგონა მეტვის ქისა დამრჩა-მეთქი!

— გამოიცან და დაგრჩება! გამოიცან! — ურთიერთს აქეზებდნენ ხელოს-
 ნები.

— ბზე! ბზე! — ახლგაზრდული გატაცებით წამოიძახა კახთ-ბატონმა. —
 მეფის „საბერიკო ქისა“ მე დამრჩა! ქისა მე, ხოლო ბზე — მაგათ! ყეენ-ხონ-
 თქარს მიაყარე! ხალხსაც არგუნე... ჭკუის მოსაყვანია!

— ჰერიპა! რა ჭკუა-ბერიკა მეფე გეყოლია კახეთშია! გიშველოს ღმერ-
 თმა! — გაცეცებულ მოედანს გადასძახა ქოხსალამურამ, გოდორში ფიწალი ამო-
 უსვა და მეფის ნაბრძანები გულმოდგინედ შეასრულა... აქლემის ჩრდილში შე-
 ყუჟულ ყეენ-ხონთქარას უწია ბზემრავალი.

ცას წეული ხარხარი ბზესთან ერთად აიტაცა და ათამაშა ქარ-ნიავმა.

— კარგი, ჰოდე — გვეყო! გეჯობნია! გვაკმარე... განა ბზექამიებიცა ვართ!

— მართლა რქიანი საქონელი ხრმ არ გგონივართ! დაგვაყენე! — სახეს
 არიდებდნენ და აქლემქვეშ იმალებოდნენ ყეენ-ხონთქარა და მათი ახლო დამ-
 ქაშები.

— დააპურა! დააპურა! ბზე აქამა! ბზით აზიარა! აზიარა! — გაიძახოდნენ
 შეთამამებული გლეხები.

— აქლემში გააძვრინა! — ბანს აძლევდნენ ყასბები და სალახები.

— შეაწია თაენითა და სარგებლითა! — ახლა აღარც ქეთხუდები იშურებ-
 დნენ ყია-ხმისა და ახალბერიკას ქებას.



ხოლო ბზიანი ფიწალი ახლა ხალხს გადაუქნია ბერიკამ და მარჯვნივ თუ მარცხნივ უხეად გადააყარა... წინანი ყიყინ-ხარხარით უკანა რიგებს მიაწყდნენ და ერთი ჯახ-მოძრაობა შექნეს. ბერიკამ ბზე ახლა ქალებსაც უწია ბანებსა და ღობის ძირებში...

— უი შენ კი დაგვესო და დაგებზევა თვალები! ქა, ლეჩაქი არ გამიბზეიანი!
— ლეჩაქები! ქალებო, ლეჩაქები ამოიფარეთ! — მოედნის ოინბაზებმა შექნეს ძახილი... — ბზეწვიებო, ლეჩაქები!

ირველივ ისეთი ლაღობა და სიცილ-ხარხარი იყო გამეფებული, რომ ახლა უკვე ყოველი სიტყვა და ქცევა ტახში მჯდარისა ხარხარის ახალ ტალღას უნებურადაც იწვევდა. სიცილი თავად ჰბადებდა სიცილს, თავშეკავეების საზღვრები დაკარგული იყო.

ქოსხალამურა თითქმის ხელსახეზად გრძნობდა, რომ იგი უხილავად, მაგრამ განუსაზღვრელად ჰფლობდა შეკრულ მოედანს, სიცილში გაჰკაჰულ მის მრავალ სახესა და გულს, მეფიდან — უკანასკნელ მენახირემდე.

აი ახლა უეცრად მოსწყვეტს, გააშეშებს ყალყზე შემდგარ ხარხარს... ყველას კისერს წააგრძელებინებს... ფეხის თითებზე შეაყენებს დიდ-პატარას, კაცსა თუ ქალსა... ბატონსა თუ გლეხსა... მერმე კი ისევ შეაცურებს სიცილის მორევში.

ტახ-ბერიკამ ღორის დინგიც შეიტოვა თავზე, ხოლო სახეზე ახლა „ქათამ-ნისკარტა“ წიღაბი აიფარა. ღორ-ქათამას საოცარი ნარევი მხეც-ფრინველი ბორგავდა კუდალა კამეჩის ზურგზე შემოდგმულ ბუდეში.

— კაკა! კაკა! კაკა! — მღალ ხმაზე აკრიახდა და აწრიალდა ღორ-ქათამა.

— ჩუმად, ხალხნო! კვერცხსა სდებს!.. რაიმე ოინი იქნება! — აყიყინდნენ ხეებზე შემძვრალი ბიჭები... — არ გაგვაცუროს ამ ღორ-ქათამამა!

— ჰკუთო, გრემელებო! ფლავის ქამა არ გეგონოთ... რაღაც შუაკაური! არ დაგვეკდონ! — გაიძახოდნენ ზეინკლები და მჭედლები.

ღრიანცელი ერთბაშად აშიშინდა და ისე უკვალოდ ჩაქრა, თითქოს წყალი გადაასხეს ცეცხლსა და ნაღვერდალს.

ახლა მხოლოდ „ღორ-ქათამას“ კრიახი და კაკანი ისმოდა. ქოსხალამურა წელში ჩაიწურა და ბუდეში ჩაცუცქდა. ოქრო-პაპამ სოსიას წაჰკრა ხელი, კაკაც შეამზადა.

სოსიამ ახლა ყაყლიყოს ხმაზე დააგრიალა საყვირი...

— სუ! გააჩუმეთ! რა დროს ეგაა! ხელს ნუ უშლით!

— არ ჩაატყდეს კვერცხი! არ ჩაატყდეს! — ახრიალდა ხალხი. ზოგი ოინ-ბაზობდა, მაგრამ ზოგი ალბათ გულწრფელად სწუხდა. თანდათან ირეოდა მრუდ-მართალი, ყველაფერი შეუცნაურებულად და შეზვიადებულად გამოსჩანდა.

— ფიქრი ნუ გაქვთ, სოფლის ღოროტოტო, მაშველია! დიდი კვერცხი იცის! — ყბები განახვნა კაკამ.

პირდაღებული და მოზიდული ხალხი სასწაულებით მოელოდა „კვერცხის დადებას“. სანახაობა უკვე ჯადოქრულ შემოქმედებაში გადადიოდა.

ქოსხალამურამ დაითმინა და ღოროტოტო რომ მიჩუმდა, ბუდე მოჰქექა და კრიახს ლექსი ააყოლა:

— კრუხმა იკრუხა-მაკრუხა,
დამიდო კვერცხი შავტრუხა...
ნეტავი რა ვქნა — რა იყოს?
ვინც გამოიცნოს, წაიღოს!



— გვიჩვენე!.. დაგვანახე! რა დასდე, რა!? — ერთპირად შეპღრიალა ხარმონიონმა. ქოსსალამურამ განზრახ სიმძიმით, ორივე ხელით „ძლივს“ ამოიღო ბუღდიდან კარგა მოზრდილი, მრგვალი, შავ-მწვანედ ჩათსამული გოგრა, მაღლა ასწია და ხალხს დაანახა...

— აჰა, ხალხნო! თქვენი საჩუქარი იყოს!

— დახე მაგასა!? მაგის დამდეხს კარგი კუკუხნაკ-კურტუმო გქონია!

— უი... გოგრა! გოგრა! სად გააჩინა? — ბანებზე გაპკოდნენ ქალები...

— რათ გვინდა გოგრა-კვერცხი საჩუქრადა?!

— მაშ არა და პირდაპირ ერბო-კვერცხს დაგიდებდა! მა რა გევონა! — ხორხოცებდნენ ხელოსნები.

ოქრო-პაპას დასტელებმა საცეკვაო დაუკრეს და ბერიკა მაღლა ბუღდში გოგრიანად აროკდა და ამღერდა:

— გოგორა... გოგრა... გოგრიო...

რა შეიღობილს მომგვრიაო?!

იწილო და ბიწილო...

ჩემო ოთხფეხ წიწილო!!

— ოთხფეხი წიწილიო!? მოიცა, ხალხნო! ე მანდ კიდევ რაღაცა ჯადო-კაური უნდა იყოს!?

— კიდევ გვატყუებს, მოგვადორებს ე... ცრუქათამა! არ წამოეგოთ, არ წამოეგოთ! — აფრთხილებდნენ ურთიერთს მოქალაქენი...

— ამ გაქსებულმა გლეხის ბიჭმა სულ თავის ჭკუაზე არ გვათამაშა!? — წყნანარევად ხითხით-ჩურჩულებდნენ კიბეზე მდგარი დიდებულნი.

ყველამ გაფაციცებით მიუგდო ყური ლექსის შინაარსსა და შეფარულ ქარამას. უცხო სტუმრებიც ხარბად ძიობდნენ ნათქვამის აზრსა და ერთი ქართულ-უცხოური ჩარბულალა ჩაებათ.

ქოსსალამურა კი თავისას ლანძვავდა:

— გოგრა... გოგრა... კვანჭიო...

შიგ რა გიზის... რა ჭიო?!

— არ ვიცით!.. არ ვიცით! — გაიძახოდა შეეკვებული ხალხი, თან ცნობის-მოყვარეობით იწოდა.

— სთქვი, შე ენამანჭიო,

რა სახის კულრაჭიო?!

— არ ვიცით, არა! ვერ დაგვიჭერ! გელიქეშად ნათქვამია! — გუგუნებდნენ ირგვლივ.

— ყურფამფალა ჭიჭიო,

უკან-მაღალ-კანჭიო...

ტყეში გააქვს ფხაჭიო!

— არ ვიცით! ვერ გამოვიცნობთ! ფხაჭანი გაიტანოს! ფხაჭანი!

ხალხს უკვე მხოლოდ სანახაობა და სიცილ-ხარხარი სწყუროდა... მოფიქრების არც სურვილი და აღარც ძალა აღარა ჰქონდა.

ქოსსალამურას უჯერ-მაჯერად ჩაეღიმა:

— აბა განი!.. — და „გოგრა-კვერცხი“ შუა მოედანზე აქლემის მიმართულეზიფ გადაავღო. ხალხმა უმაღ უგანა და თითქმის ყველამ კარგად დაინახა, როგორ დაასკდა ქვაფორეს და შუაზე გაიბო „გოგრა-კვერცხი“. ხალხმა პირის დაღება ვერ მოასწრო, რომ გოგრიდან მოზრდილი ბაჭია ამოხტა.



— ბაქია! ბაცაცა! კურდღელი! არიქა, არ გაუშვათ! დაიჭირეთ ^{მარცხულში} ბედი! — გავარდა მრავალხმიანი ყვილი და მერმე კი ყველაფერი აირია.

დამფრთხალი კურდღელი აქლემს გაუძვრა ფეხებში. ატალღებული ხალხიც მისწვდა აქლემს, კინალამ გადათელა... ყენი და ხონთქარა ხომ უმალ გაიტაცა და სადღაც მოედნის კიდეში გაპრიყა.

დაფეთებული და გაოგნებული კურდღელი აქეთ-იქით ეცა, მაგრამ აბა სად წაუვიდოდა ამოდენა ხალხს. გასწვრივი სახლის კიბეზე მიიჩხა, მერმე ზედ შეხტა. კიბის თავში კაბაშილიფად მჯდარ ღედაკაცს შეუვარდა კალთის ქვეშ... ივივლა ქალმა, კიბეზე დაგორდა...

— დახე, სად ეძებდა სოროსა?

— დაინავსა! დაინავსა... ბაქია! — კიბისაკენ მიქანდა ხალხი.

კურდღელმა ერთხელ კიდეც იცვალა მხარი და ახლა მეფის ქარვასლის ფართო კიბეზე შეიჭრა.

— მეფესთან წავიდა საჩივლეღადა! — ხალხის ხმა დაჰფარა კაკამ...

— წავიდა! წავივიდა! — ახლა თავადები და ღიბიანი სოვდაგრები წამოიშალნენ, ყურთმაჯები აფერიალეს... მათარსა სოვდაგარმა ვერცხლის გასაღებიც კი უწვდინა კურდღელს. ქარვასლის ირგვლივ და მოედანზე აღუწერელი ღრი-ანცელი და ორომტრიალი ბორიალობდა... თითქოს ათას კურდღელს მისდევდა ათი ათასი მონადირე.

მხოლოდ ოქრო-ჰაპას ირგვლივ მომდგარი ქედლები იდგნენ და ხარხარებდნენ. ქოხსალამურასაც ქათმის ნილაბი კისერზე ჩამოეგდო და ახლა იგიც გული-ანად ხარხარებდა.

კიბის შუაწელზე მისჩიხეს გულგახეთქილი კურდღელი. ცხრა ხელი მაინც სწვდა ერთდროულად... მათ შორის მეფისა და მათარსას ხელიც ერია...

— მეფეს! მათრთვით! მეფეს! — ახმიანდნენ კიბის ირგვლივ შეჯგუფული თავადები და დიდებულები...

— არა, სიცილისა და შემოქმედების მეფეს! მან თავად გადასწყვიტოს კურდღლის ბედი! — ძლივს აბამდა სიტყვას სიცილისაგან ნეკნებნატკენი კახთბატონი... — თავად კი აქ მომგვარეთ! ყველასათვის უჯობნია!

— ყველასათვის! — ერთობლივ ედასტურებოდა მოედანი.

— ბერიკას ქისაც მაგისტვის ალალია! სწორედ დიდ-ბერიკა ყოფილა! ალალია! ალალი! — ზედა და ქვედა უბნელებმა ცას უწიეს ძახილი.

დიდ-ბერიკას კი მიგვრილ კურდღელი გულში ჩაეხუტებინა და თითქოს რაღაცას ეჩურჩულებოდა... მერმე მოედანს გადასძახა:

— თუ ჩემზეა — თავისუფლება კურდღელს! აბა, გზა, გრემ-გორისაკენ! — ხალხს ხელი აუქნია, კურდღლის გზას ბუჩქნარით შეფენილ გორისაკენ მისცა გეზი. ხალხი უმალ ორად გაიყო, შუაში გზა დაიდო და შურდულივით გავარდნილ კურდღელს თვალი და ღიმილი გააყოლა...

უკან რომ მოიხედეს, კამეჩის ზურგზე აღარც ბუდე იყო, აღარც დიდ-ბერიკა. იგიც ხალხში გათქვეფილიყო, ოღონდ ახლა ყოველ მათგანს სადღაც გულის კუნჭულში უჯდა, უღიტიწებდა, საოცნებო და სახალისო ფრთას უშლიდა... ცხოვრების დუხჭირს უადვილებდა, ლალიანობასა და იმედიანობას უმტკიცებდა...



გიორგი ლონიძე

ძველი რვეულიდან

ხ ე

წუხელ, სიზმარში,
მე ხე ვიხილე,
მზის შარავანდის
შუქით შვენოდა;
ხე დიდებული
ბორჯღალ ტოტებით
ქვეყნიერებას გადაჰფენოდა...
ახოვანი და
ჯავარიანი
მოირხეოდა
ნიაქარობით;
ხის ქვეშ მრავალი
იღვა ხარატი
და აკვნებს სთლიდნენ
ხისგან გალობით.
ხეს კი ტოტები
არ აკლდებოდა,
პირიქით,
უფრო ემატებოდა;
და ბურბუშელა

მის გარეშემო
ვარდის ფურცლებად
იფანტებოდა...
უცბათ მოიჭრა
კუბოს ოსტატი,
კიდევ გათალა ორი ფიცარი.
ხემ შეიკვნესა...
მე ყელში ვეცო,
ის კუბოს მთლელი
მყისვე ვიცანი!
ირგვლივ ისმოდა
ბავშვთა ჟღერები, —
ათი ათასი
იღვა სულიყო,
ზეცას შესთხოვდნენ
ხელებგაწვდილნი,
ციდან
სეტყვა
არ წამოსულიყო...

რამდენი წვიმა ჩამოიცალა,
რამდენი წვეთი, რამდენი ცვარი...
მაგრამ გული არ გამოიცვალა
და სიყვარული არი...
არც არი...

ხან შეივსება, ვით ჯამში ღვინო,
ხან იფანტება, როგორც ნაცარი,
ხან აყვავდება, როგორც ღიღილო,
ხან ჩამოდნება, როგორც ანჩხარი,

ხან ჩუმად არი... თითქოს არც არი...
მაგრამ გვსურს იგი კვალად ვიხილოთ,
თუმც გვახსოვს მისი ნაავეკაცარი.
ხან კი ჩაგვივლის ველურ კივილით,
როგორც დამღეწი სალმანასარი!
მაშ, ვთქვათ სახსრების ყველა

ტკივილით,
ამწვარ ლოყაზე ცრემლით ნაცვარით;
„ერთხელ ვიხილოთ“

დავილიდინოთ,
ჰეი, არი და...
ვგონებ, არც არი!..

თელავის ნეკერჩხალი

ბერო და აბეჩხარო,
თელავის ნეკერჩხალო!
საით მიერეკები
გრძელ ფიქრების ქარაენებს?
ათასწლეულ ტოტებზე
რა სევდას აქანავენ?

თავს უხრიდი არავის,
ყმად არავის ეახელ,
შენ ფატრავდი ქარიშხალს,
შენ ამსხვრეველა ნიაღვრებს.

ხომ არც ერთხელ არ მოტყდი,
მიწაზე არ იცოცე...
რა სევდას აქანავენ
მთელი შენი სიცოცხლე?..

თელავი

აკაკი, ვაჟა

მომისმენია აკაკი,
 ვაჟა,
 ახლა ეთერის ხმებში მღერიან:
 დღესაც ტაშს ვუკრავ,
 ვუყვივი ვაშას!
 მათი სიმღერა დამდაღველია...

გვათბობს ღვთიურ ხმის ცეცხლის გურგური,
 ჩვენი მტრის გულის დასამყავებლად,
 მღერის აკაკი, როგორც ბულბული,
 და არწივივით — ვაჟა-ფშაველა.
 განა ბულბული,
 განა არწივი?
 მათი სიმღერით სამშობლო მღერის...
 და საქართველოს წმინდა ბარძიმი
 საესეა მათი ცრემლის ნამქერით;
 სულ ცოცხალია, სულ უკვდავია,
 ერის ცრემლებით რაც ინამება:
 რაც მებრძოლია, — ცეცხლმსუთნაქვია,
 ვერ შეაშინებს ბედის წამება!
 როგორც რჩეულთა ძველი წესია,
 საომარი გზით ვლიდენ იგინიც,
 დაფნის გვირგვინზე უწმინდესია
 მოწამის შუბლზე ეკლის გვირგვინი!
 განვლეს ეკალი, მოიმკეს ვარდი,
 სიკვდილის ცელი ვერ მოერიათ:
 ახლა ჰშვენნიან დიდების კვართით,
 ხალხის უწმინდეს გულში მღერიან.

. . .

ბევრს გაუვლია გზა სამშობლოსი,
 ზოგს დანანებით და ზოგს წამებით.
 ძნელია ზიდვა საქართველოსი,
 ამ ტვირთს ზიდავდნენ ჩვენი მამები...

სიმონ ჩიქოვანი

*
* *

ლექსის დაწყება ძნელია ისე,
როგორც შენობის საძირკვლის ჩაყრა,
ჰქუხს და წვიმის ხმა ვერ შევითვისე,
თუმცა შემიჩნდა სიმღერის მახრა.

ლექსის ამოთქმა არ ვარგა ყელით,
თუ არ ამოჰყვა სული და ხორცი,
თუ არ დაერთო წყაროს ხმა წრფელი
და მთის ყვავილის მშვენება მორცხვი.

მაინც რა არის სიმღერის ფუძე,
ჩემი წყლული თუ ხალისი სხვისი?
ეუქუნა წვიმა, ჯეჯილის მძძძე,
თუ მთის ალერსით დაღლილი ნისლი?

მაინც რა არის საფანი ლექსის?
ტბაზე ჭავლი თუ სრიალი ტივის,
სატრფოს თვალეზში გაკრული კვესი,
თუ სურნელება მოთიბულ თივის?

ლექსის დაწყება ძნელია, როგორც
ქარში კოცონად დანთება ჩალის,
როგორც ვარსკვლავის შერჩევა ცაზე
და მოლზე პოვნა დაკარგულ თვალის.

მაინც ვინ აწვდის ოცნებას საკვებს,
ხვავით ვინ ავსებს საგულე კალათს?
ლექსი ჰგავს ნებზე აკვამლულ საკმელს
და სიბერესთან სიცოცხლის კამათს.

ბერძნის ამავენი

კოდალა ტყეში აღვიძებს მუხას,
კოდალას ხეზე კაკუნი უყვარს.

მუხის ქერქს ურტყამს მომახულ ნისკარტს,
თუ თხოვს — სარკმელი გაუღონ ცისკარს.

ვინ შეცვლის ერთხელ განკუთვნილ იღბალს,
ვინ ამწვანებს გაძარცულ რტოებს.
მუხას ბინდი და ღუმილი ხიბლავს
და ტყის მომავალ სიმწვანეს ტოვებს.

კოდალას, ხეზე ყურივით მიკრულს,
უნდა უამბოს საწუთროს კოროი,
და მოხუც მუხას, ლომივით დიდგულს,
კორს ურჩევნია უუქუნა თქორი.

კარს უკაკუნებს კოდალა მუხას,
როგორც კალატოზს — კაკუნი უყვარს.


ჩოფურა ქერქზე უმიზნებს ნისკარტს,
თითქო ეძახის სიცოცხლის ცისკარს.

რამდენი წლის ხარ, — კოდალა ჰკითხავს, —
კარი გამიღე, მდუმარე ნუ ხარ,
მოხუცო, ძილი არ გარგებს დიდხანს,
მაღე მოგპრიან და მიტომ ვწუხვარ.

მინდა ვესროლო კოდალას თოფი:
რას ჩააცივდა უღრანის მეფეს,
მინდა მოვწმინდო ბერძნულს ოფლი
და შევუერთო ლაქვარდი შხეფებს.

ეგებ თოფის ხმამ შეაკრთოს მუხაც,
მოხუცს ეგონოს მეხი და თქეში, —
მაისის წვიმა ეწვიოს უღრანს
და მუხა ისევ ამღერდეს ტყეში.





ბუჩაბ ჩჩაუღიბვიდი

სიყვარული მარტის თვეში

- კარგი, ბიჭო, რა მოგივიდა, მოეშვი მაგ გოგოს.
- მოშვებულნი არა ვარ?!
- კარგი ერთი. მითხარი მაინც, გიყვარს ძალიან?
- არა, — უპასუხა ნოდარმა.
- მაშ რაღას დასდევ ამდენს? — შეეკითხა თემო.
- მე დავდევ?
- რა ვიცი, მთვრალი სულ მაგის სიყვარულზე ლაპარაკობ.
- მთვრალ კაცს რამე დაეჯერება?
- რა ვიცი, ხან ფხიზელზე მეტი, ხან არა.
- ჰო, შენც მართალი ხარ.

ნოდარმა თემოს ხელი გაუყარა და წიგნების ფარდულისკენ წაიყვანა.

— ნახე, ბიჭო, „იეთიმ გურჯის“ ლექსები გამოუშვეს!..

— იეთიმ გურჯი ვინ არის?

— პოეტი, აშული, მღეროდა — წერდა, რასაც გრძნობდა, იმაზე.

— არ გამიგია...

თემომ გვერდზე გაიხედა. მერე თვალები ეშმაკურად აათამაშა.

— ახლა კი მივხვდი, რა იეთიმ გურჯი აგიტყდა.

ნოდარი ყურებამდე გაწითლდა, შემდეგ გამყიდველს წიგნი გამოართვა და მარტოკამ განავრძო გზა. ცოტა ხნის შემდეგ თემო წამოეწია.

— ბიჭო, მართლა ღმერთივით გოგოა, მაგისი მარტო უიმედო სიყვარულიც ღირს, არა?

— რა ვიცი.

ნოდარი თავის ფიქრებში გაერთო. „ნეტავი იმან იცის, რომ მე მიყვარს? საიდან უნდა იცოდეს? თუმცა არა, ალბათ იცის, ვინმე ეტყოდა“.

— ნოდარ, გამარჯობა, — დაუძახა ვიღაცამ. ნოდარმა მოიხედა, მერე ქული მოუხადა, ზრდილობიანად მიესალმა. გამარჯობის თქმამ ფიქრი შეაწყვეტინა, შემდეგ ისევ ჩაფიქრდა. „ალბათ დღეს მოვა თამაშზე, ათი-თორმეტი ბურთი მაინც უნდა ჩავაგდო, მერე ედი გამაცნობს, იქიდან ერთად წამოვალთ. ნეტავი რა უყვარს? რაზე ველაპარაკო? კალათბურთის თამაში? არა. ამას თავის თვალითაც ხედავს; ჯობია ისტორიაზე ვესაუბრო ან ლიტერატურაზე. ჰო, მართლა, ჰემინგუეის რაიმე ნოველას მოეუყვებო“. ნოდარი ბალში შევიდა და მექანიკურად

დაჯდა სკამზე. ფიქრებს მიეცა. რა არ მოიგონა!.. „მაგას მოპასანდო ვარება... ჰო, მეც მოპასანის რომელიმე მოთხრობას ვუამბობ, თუნდაც „ნაცსა-ყუღარში“ ან „სამკაულს“. მან თავი ნერვიულად გაიქნია: „რა სისულელეა მაგების მოყოლა, ვითომ თვითონ არ წაუკითხავს, ალბათ ჩემზე ათჯერ მეტი იცის! თუმცა რაც გიყვარს, იმაზე უნდა ესაუბრო. არა, არა, მაგას სჯობია, მო-ლას რომელიმე ანეგდოტს მოვუყვები. აი უარესი სისულელე! ჰო, მართლა, რო-გორმე სიტყვას ზღაპრებზე ჩამოვუგდებ, მოვუყვები არაბულ ზღაპარს „ღმერ-თისა და ღერვიის“ შესახებ. მაშ ასე, როცა გამაცნობენ, ალბათ გავწითლდები, თუმცა ნათამაშები მაინც გაწითლებული ვარ ხოლმე და ისე არ შემეტყობა... ასე — ჯერ ჩამოვართმევ ხელს, ვეტყვი სახელს... არა, არ ვარგა. ვეტყვი გვარს... არც ეს მომწონს, არაფერს არ ვეტყვი, თვითონ ეცოდინება. მერე, პირდაპირ ხომ არ მოვუყვები არაბულ ზღაპარს. არა, ჯერ შევეკითხები, გადიან თუ არა არაბეთის ისტორიას, ჰო, ჰო, კარგია. ვითომ რაიმე წიგნი მჭირდება, შემდეგ ვეტყვი, ეგ ისტორია მეც ძალიან მიყვარს-მეთქი, განსაკუთრებით მათი ზღაპ-რები, სადაც მთელი ფილოსოფიური საკითხები არაჩვეულებრივი სისადავით არის-მეთქი წამოჭრილი. ის მიპასუხებს... ნეტა რას?“

ნოდარი კვლავ მიუბრუნდა ფიქრებს, ახლა ეს გეგმა აღარ მოწონდა, ჩქარა ახლას შედგენა დაიწყო. მერე ადგა და ჩაფიქრებული ქუჩაში გამოვიდა.

— ხაბარდა, ხაბარდა! — იძახდა მეეზოვე, თან ქუჩას რწყავდა. — მოეცა-მეთქი, ბიჭო, ვერა ხედავ, ამოგწუწუე!

ნოდარი შუა ქუჩაზე გადავიდა.

— ბრმა ხომ არა ხარ, ვერ გაიხედ-გამოიხედავ?! — მოესმა მანქანიდან შოფერის ხმა.

შემოტრიალდა. ქვევიდან ტრამვაი მოჰქროდა. ტანში სიმსუბუქე იგრძნო, თვალები გაუბრწყინდა. სწრაფად გაქანდა რონოდისაკენ და ნაჩვევი მოძრაობით შეხტა კიბეზე, მაგრამ ხელი ვერაფერს მოკიდა — სახელური გამოძვრალი ყო-ფილიყო. წონასწორობა დაკარგა, ფეხებს ტანი ვერ ააყოლა და უკან გადმო-ვარდა. თაებრედ დაეხვ. ლიანდაგზე დადებულ მარცხენა ფეხს ტრამვანს გორ-გოლაკმა ჰრიალით გადაუარა. გაისმა კვილი. ქვაფენილზე მიმავალ ჰელიარა-თმიან ქალს ჩანთა ხელიდან გაუეარდა. რონოდის მგზავრებს სახე გვერდზე მოექცათ. წინა სკამზე მჯდარმა მოხტემა ცოლ-ქმარმა ფეხები ძირიდან ასწიეს უნებლიეთ, თითქოს ტრამვას სიმძიმის შესამსუბუქებლად, და აკანკალდნენ. ტუჩებზეღებლიმა, მოკლეკაბიანმა რუსის გოგონამ ხმამაღლა შეჰკიცლა, დაქ-ვეტილ თვალეზზე ხელი აიფარა და ისე განაგრძო ყურება. ათიოდე მეტრის გავლის შემდეგ ტრამვაი მუხრუჭების ჰრიალით გაჩერდა. გაფითრებული მძღო-ლი ავტომატური ტელეფონისკენ გავარდა.

პირველი შეგრძნება ნოდარისა იყო ხალხი, რომელიც შემოხვეოდა. მას ვარსშემოხვეულებისა შერცხვა და თვალეზზე აიფარა ორივე ხელი. მერე ტკი-ვილი იგრძნო ფეხში და კვლავ დაკარგა გრძნობა. ცოტა ხნის შემდეგ თვალეზი გაახილა, უაზროდ მიამტერდა ვილაცას. „ნეტაეი ის ხომ არ მიყურებს?! რა სირ-ცხვილია“, — გაუელვა თავში. ტკივილის ახალმა შემოტევამ ფიქრი გააწყვე-ტინა. „ოჰ“, ამოიგინა ყრუდ, „მაგათი ყოფაც ავატირე, ყველასი“, გაიფიქრა, შემდეგ სცადა ფეხზე აწევა და ადგილზე გაიანაბა — მხოლოდ ახალა მიხვდა ბუნდოვნად, რომ ფეხი მოჭრილი ჰქონდა. ამ აღმოჩენამ თითქოს დაამშვიდა, აღარა რცხვენოდა, ტკივილიც გაუქრა. ახლა მას თვალეზიდან ცრემლები მოს-დიოდა. ნოდარი ბუნდოვნად გრძნობდა: ვილაც თეთრებში ჩაცმულებმა ხელში აიყვანეს. ხალხი გაიყო. მერე საწოლზე დააწვინეს, საწოლი ოთახში შესდგეს.



შემდეგ რაღაცა შეშის ნაჭერივით გვერდზე დაუდეს. „ნეტავ რა არის? ფიქრა უნებურად. ჩქარა დაიღალა, გული ისევ შეუწუხდა და გრძობა დაკარგა.

დროდღარო უბრუნდებოდა შეგრძნება. ჩურჩული, ტირილი, სიჩუმე. ისევ კარგავდა გონებას. ახლა იგი უკვე კალათბურთის მოედანზე იყო. გოგონები მის ლამაზ ტანს მალულად ჰვებოდნენ. მას სიამოვნებდა ქალთა ჰვებობა, უნდოდა, რომ „იმასაც“ ეცქირნა მისთვის... გაწითლდა — მეორე რიგში დაინახა, თავის ამხანაგებთან ერთად მჯდარი. თამაში დაიწყო. აი, გავარდა ნოდარი, გვიმ მიაწოდა ბურთი — ისროლა — არ ჩავარდა. ათი ბურთი ააცილა, ოფლმა დაასხა ტანზე, სახეზე. ათი ბურთი — ახლა თამაში წაგებულა.

„ვიამე!“ — ამოიყენესა ნოდარმა. საწოლზე ჩამომჯდარმა დედამ ნახად დაადო ხელი მაჯაზე.

„ნოდარ ჯანდიერი“, — ძლივს წაილულულა მან და სახე გაუბრწყინდა.

„ლეილა“, — მოესმა გოგონას სასიამოვნო ხმა. ნოდარს გული მოეცა.

ნოდარი: უკაცრავად, თქვენ კალათბურთის თამაში გიყვართ, არა?

ლეილა: მე? დიას.

ნოდარი: ჰო, ვიცი, თქვენ თვითონ არ გითამაშნიათ არასოდეს.

ლეილა: არა, მაგრამ მაინტერესებს.

ნოდარმა სული განაბა, უნდოდა დიდხანს ესმინა საყვარელი ქალის ხმა, მერე წამოწითლდა და პირდაპირ დაიწყო: „მე ერთ არაბულ ზღაპარს მოგიყვებით, გინდათ?“

„დიას, დიდი სიამოვნებით მოვისმენ, მე ზღაპრები ძალიან მიყვარს“.

ნოდარი გაათამაშა ასეთმა თანაგრძობამ. შემდეგ თვალეში შეხედა მას. მაგრამ ფერი ვერ გაარჩია და დინჯად დაიწყო: „იყო არაბეთს ერთი მეფე, მეფე ბრძენი და მჭევრმეტყველი“. ნოდარმა სიამოვნებით გაიღიმა, ხმა თავისულად ემორჩილებოდა. „ერთხელ მეფემ იხმო თავისი მრჩეველი და ჰკითხა:

— ბრძენო! მითხარ, ჭეშმარიტება სად არის, ან თუ არის, რასა ჰგავს?

— დიღო მეფეო, — მიუგო ბრძენმა, — ჭეშმარიტება სად არის, არავინ იცის, ხოლო მსგავსებით იგი კეთვასა ჰგავს, რომელიც ვიცით სად არის, მაგრამ ვერასოდეს დავინახავთ“.

ნოდარმა დინჯად დაამთავრა თხრობა. იგი ამ წუთში ხის კენწეროს უყურებდა. როცა მზერა ქვევით გადმოიტანა, ის უკვე წასულყო.

„ლეილა, ლეილა!“ — დაიყვირა მან, მერე თვალი მოჰკრა ბაღის კარებში სწრაფი ნაბიჯით გამავალს და მის გამოსაკიდებლად გაიწია.

— ცივი ტილო თუ შეიძლება, — ცრემლნარევი ხმით სთხოვა დედამ ექთანს. ექთანმა ტილო მოუტანა და ჩუმად ჰკითხა:

— აბოდებს?..

— ჰო, — დედას ცრემლები წამოუვიდა.

ნ ე ლ ი ტ ა ნ ბ ო

(საუბარი ცეკვის დროს)

სოხუმის საცურაოზე ცალთვალა კაცი გიტარას აკვნესებდა. ჩარდახის ქვეშ გახურებული ქაღალდის თამაში იყო. სილაზე, შუა მზის გულზე, უღმერთოდ იხრუქებოდნენ მოაგარაკენი. გიტარა კი უკრავდა.



თორმეტი წლის იგორი წყალში შევარდა და სუფთა, დამუშავებული მკლავით გასცურა. მისი ფეხები შეუწყვეტილ, თანაბარი სიჩქარით მუშაობდნენ. მარცხენა მკლავის მოსმისას სახის ნახევარს წყლიდან იღებდა და ღრმად ისუნთქავდა ჰაერს, მერე ისევ წყალში ჰყოფდა ამოსასუნთქად, მარჯვენას უსვამდა. ხელები გამართული და მოდუნებული ეშვებოდნენ.

— აი, მაგისგან ნამდვილად გამოვა კარგი მოცურავე, — თქვა იგორის მამამ და თავის მეუღლეს დამწვარ მხარზე ხელი დაადო.

— ჰო, გამოვა, — დაუმოწმა მეუღლემ, — ივანე, აილე ხელი, ხომ იცი, ბექები მეწვის.

— აკი გითხარი, წაისვი-მეთქი ოდეკალონი. — ივანემ ხელი ჩამოიღო.

— კარგი, დღეს წავისვამ. — ღიმილით უპასუხა მეუღლემ. ორივემ ზღვისკენ გაიხედა.

ბავშვი გამაფრთხილებელ დროშას გასცდა და იმავე სისწრაფით მიდიოდა. დაღლა მაინც არ ეტყობოდა. ორმოცამდე მეტრი კიდევ იცურა მკლავით, შემდეგ ბაყაყურზე გადავიდა. იგი ფეხებს ბოლომდე ღუნავდა და ლამაზი, მოქნილი მოძრაობით აძლევდა ბიძგს წყალზე ჰორიზონტალურად გაწოლილ სხეულს. ერთდროულად გამართულ ხელებს ოდნავ მოუსვამდა, თავს ამოჰყოფდა მაღლა, შეისუნთქავდა და ისევ იმეორებდა იმავე მოძრაობებს.

ცოლ-ქმარი ახლა ქვიშაზე წამომაჯდარიყო.

— კარგად ცურავს, — თქვა ქმარმა.

— ძალიან! ნახე რა მოქნილი მოძრაობები აქვს! — სახე გაუბრწყინდა ცოლს.

— მომავალში პირველი მოცურავე იქნება, — დაბეჯითებით დაიქნია თავი ივანემ, — ლიდა, გახსოვს, ვალერიც რა კარგად ცურავდა?

— აბა, აბა, რა ვაქვაცი იყო! — ახლა ქალმა დაადო მხარზე ხელი.

— გახსოვს? მთელი ექვსი საათი თავისუფლად სძლებდა წყალში. — ივანემ მეუღლეს წელზე ხელი მოხვია და მკერდზე მიიყრდნო. ერთხანს ასე ისხდნენ. სიჩუმე ისევ ქალმა დაარღვია.

— სწორედ მაგ ცურაობამაც დაღუპა, რიგასთან იპოვეს დამხრჩვალ, ვინ იცის, რა მოუვიდა.

— ივანე, ხედავ იგორს? — ქალი მსუბუქად დაეყრდნო მის მხარს და წამოდგა.

ივანემ თითი გაიწვირა. შორს ძლივს მოჩანდა ბავშვის თავი. ლიდამ უხალისოდ გაიცინა: იგი წელამდე შევიდა წყალში, შემდეგ ბრასით გასცურა. ნაპირზე დარჩენილი ივანე ახლა ისევ გულდაღმა დაწვა. კარგა ხანს იყო ასე; მზე უწვავდა ბეჭებს. მერე გაიფიქრა: „დიდი მოუსვენარი ქალია ლიდა. სულ დედას დაემსგავსა იგორიც, თუმცა რაღა შორს მივდივარ, მეც ეგეთი გული მაქვს. კარგია შორს, ტალღებში ცურაობა“. სუსტმა ნიავმა ქვიშა წამოხვეტა. ივანეს ცალ თვალში მტვერი შეუტვივდა. წამოჯდა და წვალეზა დაუწყო ქუთუთოს. ზღვაზე პატარა ხუტუტა ტალღები აიშალა.

გიტარა კი უკრავდა შეუსვენებლივ.

დამკვრელს შავი ვახუნებული ხალათი ეცვა და თავზე ძველი ჭილობის ქუდი ეხურა.

ივანე წამოდგა. ქარმა კვლავ მიაყარა ქვიშა. შორს ტალღებში ხან იკარგებოდა, ხან გამოჩნდებოდა ვიღაცას თავი, კარგა მოშორებით იმ მიმართულე-ბით მეორე მიცურავდა. მან ქუდის ფერზე იცნო ცოლი. წინა მისი ბიჭი უნდა ყოფილიყო. კარგად დაუკვირდა. „ნეტავ რატომ არა ბრუნდება უკან, მთე-



ლი საათია, რაც შესულია. კაცი ორი დღით ჩამოსულხარ და ეგ მადგმულია. გაცლის დასვენებას, — გაიფიქრა ივანემ და ზღვაში შევიდა, მერე თავისი ზორბა მკლავებით გასცურა. რამდენიმე მოსმით დროშებს გაცდა, შემდეგ ბაყაყურზე გადავიდა. ფართო მკერდით აბობდა ორმოცი წლის ვაჟკაცი ტალღებს და არაფერზე აღარ ფიქრობდა, მხოლოდ ცდილობდა სწორი გეზი არ დაეკარგა. კარგა ხანს იცურა ასე, მერე ზურგზე გადმობრუნდა და ნაპირს გამოხედა, — ხუთასიოდე მეტრი ჰქონდა გავლილი. ცოლი და შვილი კი არა ჩანდნენ. იგი ახლა ისევე გულზე გადმობრუნდა, მერე გაიხსენა წყალბურთის ილეუები და მოქნილი შოძრაობით წყლიდან წელამდე ამოვიდა. წამნახევარი შეიმავრა თავი. სამასიოდე ნაბიჯზე შეამჩნია ისინი. სწრაფად გასცურა მათკენ. როცა მიუახლოვდა, მეუღლის გაფითრებული სახის დანახვაზე უსიამოვნო გრძობამ შეიპყრო. მას ქუდი დაჰკარგოდა და თმა თვალებზე ჰქონდა ჩამოშლილი. ქალმა უხმოდ მიაბრუნა თავი შვილისაკენ. ივანემ ვაჟიშვილს შეხედა. მას სახე დამანკოდა ტყვილობაგან. მამამ დაყვინთა, ხელით მოუსინჯა ფეხები და განასკულ ადგილას უკბინა. იგორმა შეება იგრძნო. ნელა გასცურა ნაპირისაკენ. ახლა ლიდა გახდა ცუდად. მთელი სამასი მეტრის მანძილზე ზურგით ეთრია ვაჟი და ახლა, ძალაწართმეული, ძლივს იდგა ტალღებზე.

ღელვა კი სულ მატულობდა.

ივანემ მეუღლის ხელი მხარზე გადაიდო და შვილის მიმართულებით გასცურა. ძლივს მიიწვედა წინ. იქ იგორი იწვა წყალზე, მას უფრო მეტად გატანჯული სახე ჰქონდა.

— მა... — ძლივს ამოიხრა და მთელი ყლაბი მარალიანი წყალი ჩაუშვა პირში. — მა... ახლა წვივი-ი, ბარ-ძა-ყიცი გა-მენასკ-ვა...

იგორი ფსკერისკენ წავიდა. ივანემ ძლივს მოასწრო თმებში ეტაცა ხელი, დედამ უქანასკნელი ძალა მოიკრიბა და ბავშვს მხრებში ამოუჯდა. მამა მხნეობდა. მან ცოლს მარჯვენა ხელი ჩააკიდებინა ბავშვის მარცხენისათვის და თვითონ შუაში ამოჰყო თავი. დედა-შვილი აქეთ-იქიდან ჩამოეკიდნენ ბეჭებზე. აგორს გული უწუხდა.

„ასე არ ივარგებს, ბევრ წყალს ყლაპავს“, გაიფიქრა ივანემ და ერთი ხელით თავი აუწია ბავშვს. ახლა იგი ფეხებითა და ცალი ხელით მიცურავდა. ლიდას თვალები ჩაუსისხლიანდა. იგი გამტკრებული უყურებდა პატარას. მისი მარჯვენა საბედისწეროდ ჩასკიდებოდა შვილის მაჯას.

ივანემ შორს დროშა დაინახა. ცოტა გულს მოეცა. თავისუფალ ხელში თითქმის გამოელია ძალა. მომატებული ტალღები თავზე უვლიდა მათ. ტანს ჰორიზონტალურად ველარ აჩერებდა, ახლა წყლის სიღრმიდან აძლევდა ბიძგებს ბეჭებზე დაკიდებულ თითქმის უგონო ცოლ-შვილს. ორივენი ბევრ წყალსა ყლაპავდნენ, რაც უფრო და უფრო უმძიმებდა ტვინს. სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ აი სულ ახლოს მოჰკრა თვალი წითელ დროშას და გამხნედა — ნაპირამდე ორმოცდაათამდე მეტრიღა რჩებოდა.

შუადღის სიცხესა და მხურვალე ქარს მოცურავეები ჩარდახის ქვეშ შეერეკა. ვიღაცა ფეხზე წამოდგა და ხელი ზღვისაკენ გააშვირა:

— შეხედეთ, კაცი, მთელი დღე რომ წყალში იყვნენ, არ მოწყინდებათ.

— აბა, მერე მთელი ოჯახი როგორა ცურავს, — დაემოწმა მეთრე, თავი წამოსწია, შემდეგ წყალს მხერა მოაშორა და მის წინ დაგდებულ აგურის ცხრიანს აგურისავე ვაჟი დაარტყა.



— ვინ არიან? — თავუღებლივ იკითხა ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მელოტმა და თვალი მეზობლის ქალაღლისკენ გააპარა.

— განა არ იცი? ხარკოველები, ჩვენს ქვევით ცხორობენ, — უპასუხა იქვე მჯდარმა ქალმა, რომელიც საუბარს და ქალღლის თამაშს გაფაციცებით აღევნებდა თვალყურს.

— ჰო, ჰო, რა მოხვედი? ყვავის ცხრიანი? კარგია, აჰა, მაგას კოზირის ქალი! — მელოტმა კმაყოფილებით გადაიხარხარა. — გაჭრიღია. წავიდა? ახლა, კოლია, შენ გამაგრდი!

გიტარა ახლა მოთამაშეთა დაკვეთით უკრავდა.

ღროშას გამოცილებულ ივანეს თვალთ დაუბნელდა. დედა-შვილმაც გრძნობა დაჰკარგა. მხოლოდ ჩაქიდებული ხელი დარჩა ლიდას ისევ. ივანე ველარაფერს ხედავდა. მან შვილის თავს შეუშვა ხელი და ორივე ხელით მოუსვა. იგი ველარც დროს, ველარც შიშს ვერა გრძნობდა.

მსხნელებმა თავთხელი წყლიდან სამივენი ნაპირზე გამოიყვანეს და ფიცრებზე გააწვინეს. საცურაოს ექიმმა ხელოვნური სუნთქვით სცადა მათი მობრუნება. ჩქარა იგორი და ლიდა გრძნობაზე მოვიდნენ. ძლივს გააშვებინეს დედას შვილის მაჯას ჩაქიდებული ხელი. გონზე მოსულმა ქალმა გულზე მიიკრა პატარა, რომელიც ფიცარზე უმოძრაოდ იწვა. მთელმა საცურაომ აქ მოიყარა თავი.

გიტარის დამკვრელი თითის წვერებზე აწეული იყურებოდა ცალი თვალით.

საღამოს, კაფეში, ჯაზი „ისტამბულს“ უკრავდა. წყვილები გამალებული ცეკვავდნენ. წაბლისფერთმიანმა ვაჟმა გოგონა გამოიწვია საცეკვაოდ. ნელა შეცურდნენ მოედანზე.

„ისტამბული კონსტანტინეპოლიდან“ გაისმოდა მოედანზე; ბიქს სახე აღმეტყველდა, მერე თითქმის ჩურჩულით დაიწყო:

ბიქი: იყავით დღეს საცურაოზე?

გოგო: რა თქმა უნდა, დღეს საუცხოოდ გავშავდი.

ბიქი: მართლაც კარგად ხაროთ გაშავებული; ჰო, დაესწართ იმ ამბავს?

გოგო: ჰო, ჰო, იშვიათი შემთხვევაა, დედა-შვილს აუარებელი წყალი უყლაპიათ, მაგრამ გადარჩნენ.

ბიქი: აბა, საწყალი მამა, იმან გამოათრია. ნეტა იმასაც წყალი ეყლაპა.

გოგო: მაშინ ისიც გადარჩებოდა. ექიმმა თქვა, ზედ ნაპირთან აქვსო გული გახეთქილი უბედურს...

ბიქი: საცოდავი, კარგი ვაჟკაცი კი ყოფილა.

გოგო: რა თქმა უნდა, ახლა ცოტანი არიან ასეთები.

ჯაზი ახლა მელოდიურ ტანგოში გადავიდა, ბიქმა ახლოს მიიკრა ქალი.

ბიქი: მაგრამ, მენდეთ, მაინც არიან.

ქალი აიღეწა, მერე ვაჟკაცს ახედა, მოეწონა მისი ლამაზი, მზისგან გარუჯული სახე და მთლიანად მინებდა ნელ ტანგოს.



თვირთვილა

- ჰაი, ჰო, სადათვევ!
- აბა, ჰე, მერანავ!
- ჰაი დედასა, თვირთვილავ!

აქაფებულ არაგვში ხევსურებმა დაოთხებული ცხენები შეაგდეს... მუხლმა-გარმა თვირთვილამ ფონი ზევით აჭრა, მერე რიყეზე გავარდა და ფაფარაშლილი გაქანდა მთის ძირისაკენ. უკან მოწითალო ცხენი სადათვე მიჰყვა.

- აბა, ლამაზოვ!
- აბა, შე სამგლევე!
- ცოტაც, და...
- ჰაი დედასა...

ესმოდათ ცხენებს მხედრების ძახილი. ოცამდე ულავი მიფრინავდა საცალ-ფეხო ბილიკზე. ჭევეით ჩამორჩენილი ოთხი მხედარი გამოჩნდა. მათაც გასჭრეს წყალი და აღმართს შეუდგნენ. გახურებული თვირთვილა ანგარიშმიუცემლად გადაახტა ფშანს და სხვები ისხლიტა. უკან მომავალი სადათვე შორს მოიტოვა.

მეთხე ტაბლა ხევსურებს ჭალის სოფელში დაედგათ. მოხუც ხევისბერს სასმელ-საჭმელი გაეწყო მხედრებისათვის. ცხენების მოლოდინში ხალხი შფოთავდა. ღობესთან მიბმულმა ფაშატმა თავი ასწია, მერე კბილები გამოაჩინა და დაიჭიხვინა. მოხუცმა ხევისბერმა ნელა მოაბრუნა თავი ლიქოკის ხევისაკენ.

- კომეის თავზე ასულმა ახალგაზრდა მოგზაურებმა ყიფინი დასცეს.
- ხალხი განზე გადაა.

ტაბლასთან ხევისბერი დარჩა დასტურებთან ერთად.

- ყველაზე წინ რომ მოდის, ის აილებს პირველ ადგილს.
- უჰ, რა ყოჩაღია!
- რა ფერია?
- მოყვითალო.
- არა, მორუხო.

— ეგა? — ჩაერია მოგზაურების ლაპარაკში ხევსური. — თვირთვილაა.

— თვირთვილა რა არის?

— თვირთვილა ფერია, — უხეშად გაიღიმა ხევსურმა, — მაგ ცხენსაც თავისი ფერის სახელს უძახიან.

— თვირთვილაი მოდის, თვირთვილა!

— ყოჩაღ, მინდიავე!

— მინდიავე, აბა!

ანმაურდნენ ხევსურები.

თვირთვილა პირველი მივარდა ტაბლასთან. ცხენი არც გაჩერებულებო, ისე გადმოხტა ბერი მინდია. ხევისბერმა არაყი დაუსხა რქაში, პირთან მიუტანა და თავისი ხელით დააღვეინა. მხედარმა ხევსურულ კოტორს გვერდი მოსტეხა.

ცხენები ზედიზედ მოდიოდნენ ტაბლასთან.

იყო შეხლა-შემოხლა;

იყო ზვიხვინი;

იყო ფრუტუნნი.

ხევისბერი ყველას ასმევდა ალაღაის.

მოგზაური: რას უცდის თვირთვილა?

ხევსური ბიჭი: წეს არს, სანამ ყველა არ მოვა ტაბლასთან, ვერ წავლენ ისე.

მოგზაური: ეგ რა წესია!

ხევსური ბიჭი: ვაჟაკურ წეს არს, ხუთი ტაბლაა მთელ გზაზე.

მოგზაური: ყველგან უცდიან?

ხევსური ბიჭი: რად არ!

მოგზაური: ეგ რა წესია?!

ხევსური ბიჭი: ვაჟაკურ წეს. ბოლო ტაბლიდან იწყების ნამდვილი დოდ, მანამდე გამძლეობაზე არს.

მოგზაური: ბოლო სად არის?

ხევსური ბიჭი: ბოლო ხახმატში, გუდანს თავდების დოდი.

— აბა, ჰე!

— ჰეი, ჰე!

— ჰო, ჰო, თვირთვილავ!

თვირთვილამ ზურგზე მხედარი იგრძნო და კლდეზე გადაეშვა. ჯიხვივით მიხტოდა პიტლოზე. უჟანას წინას ნაფეხურს არ აცოლებდა. უშშირად შევარდა ლიქოკის წყალში და უღელტეხილს შეუდგა. ახლა წინ მხედარი ფეხით მირბოდა. აღმართზე ისვენებდა ცხენი.

ისმოდა გაბმული ქოშინი.

მთიდან ხევში ნაშალი ჩადიოდა.

პატარა, ფეხმარდი ცხენები უღელტეხილზე გავიდნენ. თვირთვილამ ისევ იგრძნო ზურგზე მხედარი და თავმიუცემლად გადაეშვა ბილიკიდან. დაკლაკნილ გზას პირდაპირ ჰქრიდა. პატარა ქვაც კი ყოფნიდა ფეხის მოსაკიდებლად. ხშირი ფაფარი გაშლოდა და ისე მიჰქროდა უფსკრულისაკენ. გამონასკული კუდი მალე აებზიკა. დიდი თვალებიდან ცეცხლებს ისროდა და ბრტყელი, ძლიერი კბილებითა ჭამდა ლაგამს. ლაგამი კი სულ უჰქერდა და უჰქერდა. უნდოდა უფრო ჩქარა ერბინა, მაგრამ რკინა არ უშვებდა. მაგრად ეჭირა ცხენის თავი მხედარს. ახლეჩილი ლაშებიდან სისხლმა დაუწყო დენა. ორთქლი და დუქი უფარავდა სისხლს. ახლა სწორ ბილიკზე გავარდა ულაყი. სადავე ცოტა მიუშვეს.

შორს, ხახმატის ჯვართან, ყიჟინა დასცეს.

თვირთვილა ორივე ფეხით დაესო ტაბლის წინ.

მინდია დალოცა ხევისბერმა და ორი ყანწი, ალალაი შეასვა ძალით. გახელდა ულაყი, ტაბლას მიაწყდა და კინალამ წააქცია, მერე ადგილზე ტრიალი დაიწყო. მხედარი კი იდგა. ადვირი მაგრად ეჭირა ხელში. ახლეჩილ ლაშებში უჰქერდა სადავეს.

ოთხი წელი ღრღნიდა ლაგამს შვიდი წლის ულაყი და ვერაფერი მოეხერხებინა. ახლა ისევ დაუწყო წვალება.

— აბა, ჰე, ჰე!

— ჰეე, ჰე, ჰე!

— ჰო, ჰო, ჰოი, თვირთვილავ!

თვირთვილა უცებ გაიმართა წელში, ადგილზე დატრიალდა და სწორ ბილიკზე გავარდა. ზურგზე მიჰქროდა მთვრალი მხედარი.

უჟან ისმოდა:

ყვირილი,

ღრიალი,

ფლოქვების ცემა.

თვირთვილამ იგრძნო: ლაგამს მიუშვეს. ულაყმა სირბილს უმატა. უჟვე ვეღარა გრძნობდა რკინას. გუდანის ჯვართან შეჯიბრი მთავრდებოდა.

გავარდა თვირთვილა.

მიჰყენენ სხეებიც.

გავარდა თვირთვილა.

თვალეზი მუგუზლებს ისროდნენ.

ველარა გრძნობდა შვიდი წლის ულაცი ლაგამს და მიბრბოდა.

ველარა გრძნობდა მხედარსაც,

ველარა გრძნობდა ვერაფერს,

თავისი ცხოვრების მეშვიდე წელს ბედისწერამ აიტანა.

— აბა, ჰე!

— ჰაი, ჰე!

— აუ, აუ, აუ, თვირთვილა!

მეორე დილა თვირთვილას იალაღზე გაუთენდა. გადმოვარდნილ მხედარს აღვირისთვის ხელი არ გაეშვა და ცხენს იგი თავიდანა ჰქონდა წამძვრალი. მხოლოდ გავაზე ება საძუე. დაკაწრულ-დაკუწულ ბეჭებზე იარებს უკვე მოესწრო შეხორცება. ახლა ულაცი მადიანად სჭამდა ცვრიან ბალახს. საღამოს წყლისაკენ დაეშვა.

მესამე დილა ისევ იალაღზე გაუთენდა.

მადა დაჰკარგა ულაცი: აქა-იქ კიკინდა ბალახს.

საღამოს ისევ დალია წყალი და ლაშები აჰქავდა. მოუწინა რაიმეს გახახუნებოდა ტუჩებით. ლაგამს მიჩვეულმა კბილებით დაიწყო ტუჩების ღეჭვა.

მერე ზურგზეც იგრძნო სიცარიელე.

დიდხანს იგორა მწვანე ბალახზე.

მეოთხე დღეს ნაცნობი გზით დაეშვა სოფლისაკენ. მის საჯინბოსთან ხალხს მოეყარა თავი; ეზოს შუაში მისი პატრონი იწვა და არ ინძრეოდა. თვირთვილამ თავი ასწია, კბილები გამოაჩინა და საზარლად დაიჭიხინა: პატრონი არ ინძრეოდა; მის თავთან იდო საყვარელი ცხენის აღვირი. შვიდი წლის ულაცი დასწვდა ლაგამს და ღეჭვა დაუწყო.

— ჰეი, ჰე, თვირთვილა!

— ჰაი ღედასა, მინდია!

— ვერ გასძლო.

— ვერა, ვერ, გუდანის ჯვრის მადლმა!

— სასწაულ არს.

ხევსურებმა ყორისკენ დაიხიეს.

თვირთვილა კი იდგა ცხედართან და ლაგამსა ღეჭავდა.

ლაშები დაიამა.

ახლა ზურგი აჰქავდა.

ტორტმანით მივიდა საჯინბოს დაბალ კედელთან და ზედ გაეხახუნა.

— ჰაი, ჰე, თვირთვილა!

— ვაი ღედასა, მინდია!

ხევსურებმა გლოვა განაგრძეს.



შემოდგომა ბაბუა კოტისი

პირველკლასელმა ლეილამ ტოლებში უფროსობა ჩაიგდო და დაჭერობანას სათამაშოდ გათვლა დაიწყო: — „წითელი ვაშლი გაგორდა, შენ თუ მე, შენ და-ი-ჭი-რე, რე-რე-რე“, დააყოლებდა ხოლმე კისკისით და გათვლილი გვერდზე დგებოდა. ბოლოს ყველაზე პატარა დარჩა. „იჭერ, იჭერ!“ შესძახეს აქეთიქიდან და ეზოში გაიშალნენ. დამჭერი, სახელად პეტო, სულ ხუთი წლისა იყო, მაგრამ ყველაზე მარჯვე. ორი-სამი წლით უფროსებს სისწრაფით ვერაფერი დააკლო, სამაგიეროდ მოტყუებით დაიჭირა შვიდი წლის კატო. სირბილით დაიღალნენ. ახლა ლეილამ სახლის კუთხისაკენ წაიყვანა ყველანი. დაიწყო გვირაბების, ლიანდაგების, შარაგზების გამალებული მშენებლობა, გოგონამ პატარა პეტო ნიჩბისა და ვედროს მოსატანად გაგზავნა.

— ბაბუა, ბაბუ, ბაბუ, — გაბმული, წვრილი ხმით ყვიროდა ბავშვი, სანამ მეხუთე სართულიდან მოხუცმა არ გადმოიხედა.

— ბაბუა, ჩემი ვედრო და ნიჩაბი ჩამოუშვი, რა, — შეეხვეწა ქვევიდან.

ბაბუამ წვრილი კანაფი მოაბა ვედროს, შიგ ნიჩაბი ჩადო და ნელა დაუშვა. პეტომ უცებ მოხსნა ორივე სათამაშო, შემდეგ უკან მოუხედავად გავარდა ქვიშის ყუთისაკენ.

მოხუცმა ერთხანს უყურა პატარების გართობას, მერე ნელა დაიწყო თოკის ამოხვევა. დიდხანს ახვია გორგალი, ბოლოს კუთხეში მიაგდო და სკამზე მძიმედ დაეშვა.

— არ უნდა გამეყიდა ის სახლი, — ამოიოხრა და გახედა მაგიდის მეორე თავში უაზროდ მომზირალ მეუღლეს, რომელიც თავისი სამოცდათხუთმეტი წლის მიუხედავად კოხტად მორთული იჯდა.

— ეჰ, — ოხვრით დაუდასტურა თეკლემ.

— შევცდი, შევცდი, — განაგრძო მოხუცმა.

— დავბერდით, მარტო ვეღარ შევძელით, და... — ბებია თეკლეს ძილი მოუვიდა.

— ეჰ, კარგი ერთი, — ბაბუამ კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, შემდეგ ღრმად შეისუნთქა ბოლი და გრძელ, სწორ ხაზად ამოუშვა ფილტვებიდან. გულზე დარდი შემოაწვა. როგორ უყვარდა შემოდგომა, ბარაქიანი ქართული შემოდგომა! ახლა მის ბაღში მანდარინი მწიფდებოდა. უზომოდ მოუნდა შეყვითლებული ნაყოფისათვის ხელი მოეკიდა ან ნიჩბით ხელში დაეცლო ხის ძირებისათვის. აგონდებოდა: ბაღის ბოლოში, სახლის გაყიდვაზე სამი წლით ადრე, ბერძნული ლედვები ჩაყარა — ბოლო წელს ნაყოფიც კი გამოიღეს. გუშინდელივით ახსოვდა, დილით კრეფდა ცვრაან ხილს და მძინარე მეუღლის საწოლთან აწყობდა. ამ დროისთვის მისი გაზრდილი, ობოლი თამარი ძროხას მოწველიდა, საუზმეს მოამზადებდა.

მეხუთე სართულზე ჩამოცხა.

— გუშინ ჩვენებური ჩამოსულა, — დაარღვია სიჩუმე თეკლემ.

— ვინ? ვალერიანი? — თვალეები გაუბრწყინდა ბაბუას.

— ჰო, თურმე ჩვენი ლედვები დამწიფებულა. თითო მუშტის ხელააო.

კოტემ მოწვეული პაპიროსი ღრმა საფერფლეში ჩააგდო.

ამ დროს წინათ შეხფს იღებდა ხოლმე, ცივ შეხფს, და არასოდეს გამზდა-ა ავად, შემდეგ საუზმობდნენ. პირველ საათზე სამსახური ეწყებოდა.

ისევ ფიქრებში გაერთო: ახლა ოცნებაში ძველებურად სიამოვნებით მოართო, ხელში დაიჭირა თავისი განუყრელი ჯოხი, რომელსაც ეშხისთვის ატა-



რება, და ქუჩაში გავიდა. ყველასათვის ჰქონდა რაიმე დამზადებული ჯერ მარტო გამარჯობა, ის მისალმება უღირდა ერთ რამედ. მის მიხედვებას პატარები ჯოხის ხმაზე ცნობდნენ. ბაბუა ზოგს ტკბილეულს აძლევდა, ზოგს ხილს, გაჭირვებულთ ფულსაც, თანაც ოჯახისათვის რაიმე რჩევას აბარებდა. დარბაისელთ და მანდილოსნებს ღიმილითა და მოკითხვით ეგებებოდა.

ახლაც ძლიერ მოუხდა ვინმესთვის ეთქვა გამარჯობა. კოტემ ხელი ჩაიქნია, მერე ისევ მოგონებებში წავიდა:

სამსახურიდან ნათესაეებს შეუვლიდა, მოიკითხავდა, ან ბაზარში რაიმეს იყიდა. ახალგაზრდები სიამოვნებით ეხმარებოდნენ დატვირთული კალათის წამოღებაში. უკან დაბრუნებისას იწყებოდა მისი დარბაისლური „სალამო მშვიდობისა“.

კოტეს გული სიამაყით აევსო. ყველა ცდილობდა მისთვის სალაში დაესწრო.

კიდევ უფრო ძლიერ მოუხდა ვინმესთვის ეთქვა „სალამო მშვიდობისა“. სიჩუმე ისევ ბებია თეკლემ დაარღვია:

— კოტე, ვალერიანმა თქვა, თქვენი ლეღვები მტრის თვალს არ დაენახებოდა.

— გაზრდილან, ჰო? — მოხუცს თვალეზე ცრემლი მოადგა — ისე მიიღო, თითქოს ჯერ არ გაეგონა ეს ამბავი.

ბებია მთლად გამოფხიზლდა ბურანისაგან:

— კოტე, ახლა ჩვენი მანდარინები ვითომ შეყვითლებული იქნებიან?

— რაღა დროს, შე ქალო, ოც დღეში მოსაკრეფი გახდება.

— რას მეუბნები, არ გახსოვს? ოცი დღე რას ეყოფა, ახლა ენკენისთვის თხუთმეტია, ჩვენი კი გიორგობის ნახევრამდე არა ვკრეფდით!

— შე ქალო, მე მასწავლი! — ყასიდად გაცხარდა ბაბუა და ძალიან მოუხდა თავისი თვალით დაენახა მანდარინები; უცებ მოაგონდა, რომ შესაძლოა, მისი ხეები მოუთონხანა-მოურწყველეები იყო და დაღონდა.

— თეკლე, არ უნდა გამეყიდა ის სახლი, — ისევ დაიწყო მან.

— აბა, ნამეტანი გამოვიკეტეთ, — თქვა თეკლემ და ისევ მოეშვა. მისი ჩამქრალი თვალეები ფანჯრებს უყურებდნენ.

წინათ, სალამო ხანს, ბაბუა ისევ თავის მიწას უტრიალებდა, უვლიდა მცენარეებს, მერე ისევ ცივ შხეფს იღებდა. დაღამებისას დაფნების ქვეშ საუზმობდა მოხუცი ცოლ-ქმარი.

— ეჰ, არ უნდა გავგეყიდა ის სახლი, — კიდევ ამოიხორა კოტემ.

— აღარ შეგვეძლო და... — მოშვებულად თქვა ბებია თეკლემ და ჩათვლიდა.

ბაბუა კოტე წამოადგა, კუთხეში მიყუდებულ თავის ერთგულ ჯოხს დაავლო ხელი, ჩალის ქუდი დაიხურა, მთვლემარე მეუღლეს გადახედა, მერე გარეთ გამოვიდა და კარები გამოიკეტა. კიბეზე მოდუნებული ნაბიჯებით დაიწყო ჩასვლა. გულში ბრანობდა, რომ ლიფტს ხალხი მარტო ქვევიდან ამოჰყავს. საფეხურებზე ხტომით მომავალმა მეზობლის ბიჭმა გაუსწრო, გამარჯობის თქმა ვერც კი მოასწრო მოხუცმა.

ისევ მოაგონდა თავისი კოხტა სახლკარი, უზომოდ მოუხდა ვინმეს მისალმებოდა და შემდეგ მიწა მოეჩინქნა, თუნდაც სულ ცოტა.

მესამე სართულზე ლიფტიდან მისი ნაცნობი მოხუცი ქალი გადმოვიდა ნაკურთხ ხელში. კოტემ კალათი ჩამოართვა, ხელზე ეამბორა დიდი ხნის ონახავს და კარამდე მიაცილა. ერთხანს ისაუბრეს. მერე ბაბუამ გზა განაგრძო. ნაბიჯი



ახლა უფრო ემორჩილებოდა, თითქოს გულიც მოეცა. ძლიერ მოუნდა მიწიწი ჩიჩქნა; გაახსენდა, რომ ქვაფენილის გასწვრივ მდგარი ხეების ძირში მიწა ეყარა და გახარებული გამოვიდა გარეთ. გამარჯობის სათქმელად მოემზადა, მაგრამ არავის ეცალა მისთვის, ყველა თავისი გზით მიიჩქაროდა.

ბაბუა კოტე ხესთან მივიდა და ჯოხის წვერი მოუთათუნა მის ძირს, უსიამოვნო გრძობამ შეიპყრო — მიწა არ ემორჩილებოდა. ნელა დაიხედა ქვევით, — ქვაფენილს და ხეს შორის ოთხკუთხი დამცველი ბუდე იყო ჩადგმული; ალბათ ძაღლების საწინააღმდეგოდ.

ცივად შემობრუნდა. თვალეზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა. მერე მათხოვართან მივიდა და ხუთმანეთიანი ჩაუღო ხელში. მან დიდი მადლობა გადაუხადა და წავიდა. შესაძლოა ასეთი სიუხვე მოხუცის შეცდომად ჩათვალა და შეეშინდა უკან არ გამოერთმიათ.

ბაბუამ ზევით აიხედა. მათი ბინიდან რძალი იხედებოდა.

— ეჰ, არ უნდა გამეყიდა ის სახლი, — გაიმეორა გულში და ეზოში მოთამაშე შვილიშვილისაკენ გასწია.

ს ა თ ა ბ უ რ ი

(ოჯახური იდილია)

დ დ ი უ რ ი:

ორი თვის წინ ახალი ბინა მივიღეთ. დედის სიხარულს საზღვარი არა აქვს. გუშინ მოიღრუბლა. აღარ გადაიღო წვიმამ. ჩამობნელდა. მთელი დღე ვკითხულობდი. საღამოს მოვიდა დაღლილი მამა და დაიძინა. ისევ დარეკეს. მეგონა დედა მოვიდა, სიხარულით გავაღე კარები. შემოსასვლელში უცნობი ქალი იდგა ჩანთით.

— ვინ გნებავთ? — შევეკითხე მე.

— მე თავგების შესახებ ვარ, საწამლავი უნდა დაუყარო. ხომ არა გყავთ?

— არა, ქალბატონო, — გამეღიმა მე.

ქალმა ბოდიში მოიხადა, მერე მეზობლის ზარი დარეკა. შემობრუნებული ისევ წიგნს მივუბრუნდი.

მეთავე ქალის მოსვლის ამბავი მხოლოდ ვახშამზე მომაგონდა.

— შენ რა გითხრა, ბიჭო, ვერ უთხარი გვყავს-თქო? — თქვა დედამ.

— რა ვიცოდი, დედა? — მხრები ავიჩიჩე.

დედამ ჩაის დასხმა განაგრძო, მერე საწოლი ოთახისაკენ მიიხედა და ჩემს დას უთხრა:

— მიდი, მარინე, მამა გააღვიძე. უკვე დროა.

მარინე საწოლზე ჩამოუჯდა მამას და მელოტ თავზე კოცნით გააღვიძა.

ლევანმა სახელდახლოდ ისაუბრა, თავისი დიდი ჩანთა ხელში აიღო და სწრაფი ნაბიჯით დაეშვა ქუჩაზე, სამსახურისაკენ.

ნათელა აუჩქარებლად შეუდგა ქუჩის ალაგებს; მოგავა, მერე ნაგავი



ეზოში ჩაიტანა. შუადღისთვის თვითონაც გამოეწყო ბაზარში წასისვლელად. სახლი დაცარიელდა.

დიასახლისის სურნელოვანმა მურაბებმა ყნოსვა გაუღიზიანეს ვირთაგვას, რომელიც უკვე სამი წელია იატაკის ქვეშ ცხოვრობდა. მან შეშინებულმა გამოჰყო თავი. რაღაც მოეჩვენა: ისევ დიმილა. მეორედ უფრო ხანგრძლივად იყურებოდა. მესამე ცდაზე სულ გამოვიდა სოროდან. ცოტა ხანს გაჩერდა: სიჩუმემ სულ გაათამამა; ნელი ცუნცულით წავიდა საჭმლის კარადისაკენ. ნაჩვევი გზით შემოუარა და წინა ღამეს გამოხრული ადგილიდან შიგ შევიდა. მურაბების სუნმა თავბრუ დაახვია. ბევრი უტრიალა ქილებს, ყველა თეფში დასუნა; საიდუმლო ასასვლელით მეორე სართულსაც კი მიაღწია. უშედეგოდ: თადარიგის დიასახლისის ყველაფერი დაემალა. ერთხანს მოიწყინა, შემდეგ ტუჩები აცმაცუნა. უხმოდ დაეშვა ქვევით, აქ პატარა ქილაზე აძვრა, რომელსაც ქიმიური ფანქრით, გაკრული ხელით ეწერა: „კაკალი“ და ზედ გადაკრულ სქელ ქალაღს დაუწყო ღრღნა. სიჩუმემ სულ გაათამამა. მთელი საათის მუშაობის შემდეგ დაეწაფა სასურველ ტკბილეულს. ისე გაერთო მურაბის ქამაში, რომ დიასახლისის მოსვლა ვერც კი გაიგო.

სახლში შემოსული დაღლილი ნათელა მძიმედ დაეშვა სკამზე. ერთხანს ასე იჯდა, მერე წყალი დალია და ნაყიდი ხლის ჩასაწყობად ვაზას დაუწყო ძებნა: ჭრილით გამოაღო კარადის კარები.

შეშინებულმა ვირთაგვამ სწრაფად მიატოვა ქილა და სანამ დიასახლისი შეეყვირებას მოასწრებდა, მიიმალა. ნათელამ ნახევრად შექმული კაკლის მურაბის ქილა მაგიდაზე დადგა. „რა არის, რა? აკი ვუთხარი ლევანს, ეს ერთი ვირთაგვალა დარჩა-მეთქი, მაგრამ არ ენაღვლება“. კაკალი ალუმინის ქვაბში გადაცალა, მერე ნავთქურაზე დადგა მოსადუღებლად. „თუ დღესაც არ მოიტანა, არ ვიცი, პირდაპირ, რა იქნება. არ ვიცი, ღმერთმანი, ამას ხომ არ შევექმევინებით?“ — ნერვიულობდა დიასახლისი, თან წამოდუღებულ მურაბას ურევდა.

ლევანი ექვსისათვის დაბრუნდა სამსახურიდან, ხელები დაიბანა, გაბუტულ ცოლს გაფანტული მზერით შეხედა და მაგიდას მიუჯდა.

— სადილი იგვიანებს, — ლოყების ბერვით თქვა დიასახლისმა.

— რატომ? — გამოაჯავრა ლევანმა ლოყების ბერვით.

— იმიტომ, რომ იმიტომ, — ნათელამ მურაბის ქილაზე გადასაფარებელი ამოხრული ქალაღი დაანახვა. — აი რა ჰქნა ვირთაგვამ. ხომ გითხარი გუშინ, რალა გუშინ, მთელი თვეა მაგაზე მაქვს ლაპარაკი, შენ კი დღესაც არ მოიტანე ხაფანგი.

ლევანი დიმილით უსმენდა თავის ახალშერთულ მეუღლეს, მერე მუხლზე დაისვა და აეოცა.

— შენ ახლა სადილი მომიტანე, გენაცვალე, დღეს მთელი დამე უნდა გავათენო, სასწრაფო სამუშაო მაქვს ჩასაბარებელი.

— რომელი? ისა? — იკითხა ნათელამ, თან სადილის მოსატანად გავიდა.

— ჰო, ისა. ხომ გინდა ახალა ავეჯი? ჰოდა, ოცი ათასის საქმეა.

ნათელამ წვენი დაუსხა. მერე თვითონაც მიუჯდა მაგიდას. ვნებით შეათვალიერა მეუღლის ხუჭუჭა თმები. ახლა მეორე გადაუღო სიყვარულით. ლევანი იჯდა, ერთ წერტილს მისჩერებოდა ქამის დროს. როცა სადილი დაამთავრა, ისევ აეოცა მეუღლის. ბოლოს წამოდგა და საწოლი ოთახისაკენ წავიდა.

— ლევან, — ისევ გაბუტვით დაუწყო ნათელამ.

— რა, ჩემო კარგო? — გაუღიმა ქმარმა.

— ვირთაგვას რა ვუყოთ?



— ხოო, ჰო, ხო, — გადაიხარხარა კაცმა, — ეგ მე მომანდე, ჩემს გულში ბანდე კი კაკლის მთლიანი გული მომუშე. მართლა: ზუსტად თერთმეტზე გამადვიძე, მთელი ღამის სამუშაო მაქვს.

ცოლმა ღამის თორმეტის ნახევარზე გააღვიძა; მერე ხელში მომუშეული კაკლის გული მისცა და მის ნაწოლ ლოგინში ჩაწვა თვალმძლეული.

ლევანმა მისთვის გაშლილი ვახშამი სწრაფად მოასუფთავა, მერე მომუშეული კაკლის გული თავისი სამუშაო ოთახის შუაში დადო და მაგიდას მიუჯდა. გვერდზე ძველი ფეხსაცმელები დაიწყო. მალე მთლად ჩაეფლო სამუშაოში.

სოროს კედელთან მჯდარი ვირთაგვა დიდხანს ინარჩუნებდა სიფრთხილეს; ბოლოს მომუშეულმა ნიგოზმა ყნოსვა გაუღიზიანა. წონასწორობა დაკარგა. ნელა გამოვიდა, მაგრამ ანთებულ სინათლეზე ლევანის დანახვამ ცოტა არ იყოს შეაშფოთა. ერთხანს, სოროდან გამოსული, წიგნების თაროს ქვეშ იძალებოდა. მოშივდა. ოთახის შუაგულში დადებული მომუშეული ნიგოზი კი სულ ახლოს იყო მასთან. თათები მოისკვა ცმაცუნა ულვაშებზე; არაფერმა უშველა. ცდუნებას ვედარ გაუძლო. ფრთხილად გამოცუნცულდა სინათლეზე, მაგრამ კაცის აწეული თავი რომ შენიშნა, ისევ მიიმალა. ლევანმაც შეამჩნია ვირთაგვა: ძველი ფეხსაცმელი ხელში აიღო. გაირინდა.

ისევ გამოყო ვირთაგვამ თავი. კაცი არ ინძრეოდა; ამან გაათამამა: სწრაფად გადასერა ოთახი, ჩასკიდა კაკლის გულს კბილები და მობრუნდა. სწორედ ამ დროს მოუქნია ლევანმა ფეხსაცმელი; ვირთაგვას უხმოდ აღმოხდა სული. კაკლის გული თაროს ქვეშ შეკორდა.

— რა იყო, ლევან? — იკითხა ხმაურისაგან გამოღვიძებულმა ცოლმა.

— არაფერი, რაც შენ გინდოდა. — ლევანმა ვირთაგვა ნაგვის ვედროში ჩააგდო, ხელები დაიბანა. საათს დახედა. თენდებოდა. დაძინებულ მიუღლის საწოლთან მივიდა, შუბლზე აკოცა, მერე ტანზე გაიხადა და საბანში შეუწევა.

პირველმა ნათელამ გაიღვიძა. ქმარს თმებში შეუყო ხელი: დიდხანს აჯანჯლარა. კაცმა გაიღვიძა, პირდაპირ საათს შეხედა და წამოხტა.

სანამ ლევანი პირს იბანდა, ნათელამ საუზმე გაშალა. ოჯახის უფროსი სწრაფად შეუდგა ჭამას.

— რა ქენი, ლევან? — იკითხა ცოლმა.

— დავამთავრე, ჩემო კარგო, დღეს გადავცემ...

— ჰოო, კარგია; არა, ვირთაგვისა რა ჰქენი?

კაცმა გადაიხარხარა, მერე ნაგვის ვედროსაკენ გაიხედა. ნათელამ შიგ ჩაიხედა, მეუღლისაკენ გაქანდა და აკოცა. ლევანმა პიჯაკი ჩაიცვა; მთელი ღამის ნამუშევარი ჩანთაში ჩააწყო. გასასვლელში ყელსახვევი გაისწორა; ამ დროს სამზარეულოდან ნათელაც გამოვიდა, ხელში სანაგვე ვედრო ეჭირა. ლევანმა ღიმილით დახედა ღამით მოკლულ ვირთაგვას, მერე ორივენი დაეშვნენ კბეზე. ლევანმა სწრაფი ნაბიჯით სამსახურისაკენ გასწია, ნათელამ კი ეზოში მდგარ სანაგვე ყუთს მიაშურა.

— დილა მშვიდობისა, ქალო, — ნათელამ ხელი დაუქნია, მერე ვედრო დაქანა.

— რა არის?

— ვირთაგვა.

— ?..

— ლევანმა მოკლა გუშინ.

— შენ რომ ქმარი გყავს, ტყუილია, ჩემს ვანოს კი არა ჰგავს.

— აბა, აბა, — გადაიკისკისა ნათელამ.

ენზორ სარუქვაძე

ლენინის ქვლთან

გაზაფხულია...
დაეწაფა მზე მიწის ნექტარს.
მე ვილიმები, ილიმება ჩემს ირგვლივ ყველა.
ვხვდები ნაცნობებს — ქადრების ქვეშ მივდივარ ნელა,
მერე ვჩერდები ლენინის ძეგლთან.

ვჩერდები;
ვფიქრობ; მჯერა: მუდამ მლიმარი ვივლი —
და მიპყრობს დიდი მადლობის განცდა,
რადგან ამ კაცმა მოიტანა ქვეყნად ღიმილი,
აი ამ დიდად კეთილმა კაცმა...

ავტოპორტრეტი

მოვდივარ, გული მაქვს სიმღერით ავსილი
(რტოები ფოთლებით ივსება).
ხავერდის ხალათი, საყელო გახსნილი,
ჯიბეში პრიმა და ლექსები.

მოვდივარ... (ჰაერი ტკბილია თაფლივით).
მოვდივარ... სიცოცხლეს ვაღმერთებ,
მოვდივარ... მხარდამხარ მომყვება აბრილი,
აღმართიც მგონია დაღმართი.

*
* *

როცა მზე არი,
როცა ჩვენ ვართ სამთავე ერთად
და ღია ცისქვეშ მივდივართ როცა —

მე ვგრძნობ, რომ უნდათ ილაღადონ ბაგეთა ჩვენთა
მზისა, სიცოცხლის და ყოფნის ლოცვა.

მე შენ მიყვარხარ...

ჩვენთან არი ჩვენი პატარა, პატარა ბიჭი...
იგი ხან პუბლებს, ხან ყვავილებს, ხან ლანდებს მისდევს,
დაიჭერს, უშვებს, გაიცინებს, ისევ დაიჭერს
და ისევ ისევ.

მე შენ მიყვარხარ...

ამიტომაც უფრო ვგრძნობ ეხლა —
ამ ხალხს, ამ ქუჩებს, ამ ყვავილებს, ამ ცას, ამ მიწას...
და მიხარია, რომ სამივე ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყნად,
ქვეყნად, რომელიც სიცოცხლეს და მშვიდობას იცავს.

მ თ ა შ ი

ბილიკები...

მთები თითქოს მათრახებით უცემიათ...
რას ერჩოდნენ ამ უწყინარ დევს.
მწვერვალებზე მაინც თოვლი დევს.

ბილიკები...

მთები თითქოს მათრახებით უცემიათ...
ცხვარი უყვარს, ერეკება ფარას.
მთებს ნისლები ფარავს.

ბილიკები...

თან კლდეები აღმართულა,
თან ღრუბლებში გახლართულა მზე.
მწვერვალებზე მაინც თოვლი ძევს.

ს ბ ო

ქას აქვს ჩრდილი,
ნალიას — ჩრდილი,
კობიტსაც ჩრდილი — საოცრად
გრძელი...

მაისის დილით,
ანკარა დილით,
მე ისევ ვიგრძენ სინაზე ძველი.

მზე დილის სხივებს ყვავილებს ახლის,
ყვავილს მოჰყვება შეგრძნება ახლის,
და ეს შეგრძნება გვეძახის ყოფნად...

ხელთათმანები ისე, თითქოს არაფრის მოქმელი,
გარეთ კი თოვლია, თოვლი რაღაც უსაზღვროდ ბევრი.

არ სჩანან, მაგრამ მაინც დგანან თოვლში ნაძვები.
შენ რაღას იტყვი, მაინც დგანან თოვლში ნაძვები?

რა ბნელი ბინა,
გარეთ თოვლი საოცრად ბევრი...
ნაძვებს ეძებენ თოვლში თვალები...
როცა წახველი, შენ აქ დაგრჩა ხელთათმანები
და... არაფერი.

*
* *

(ჩემს ნაცნობ მხატვარ ქალიშვილს)

თოვდა, თოვლზე თეთრი გებურა საბური
და იდექ მინასთან...
და იგრძენ, სუსტი და ბელურასებური
დღე როგორ მინაზდა.

რა ტყუილად ელოდი,
რა ტყუილად გეგონა უთუოდ ნახავდი...
მერე კი... რატომღაც თოვლი და
მაღალი ნაძვები დახატე.

*
* *

გაზაფხულია, ზღვის ნაპირზე მიდის მედეა,
მზემ გადმორეკა ოქროს ვერძები
(იქნებ ვიბოვე, რაც დავკარგე, რასაც ვეძებდი...)
გული წრფელი და მოიმედეა.
გაზაფხულია, ლურჯ ნაპირზე მიდის მედეა.

გაზაფხულია, ლურჯ ნაპირზე მიდის მედეა.
მშობლიურია ღვთაებრივი მისი ნაკვთები.
გული წრფელი და მოიმედეა,
რომ აღარ მოვლენ არასოდეს არგონავტები.

გაზაფხულია, ლურჯ ნაპირზე მიდის მედეა...

ვაჟას სიკვდილი

ქიქით წყალი და ქილით მაწონი,
ერთიც ლავაში გუშინწინდელი,
და მაწონივით თეთრი საწოლი,
და ქილასავით ჭრელი წინდები.

რაა სიცოცხლე — ერთი მტკაველა —
და გინდა კედელს თავი ახალე...
კლექი, წამალი... ვაჟა-ფშაველა —
მთანი მაღალი...

ექიმს უპირავს ვაჟას მარჯვენა,
სველი ბამბებით სავსე ურნები;
— ჩემი სამშობლოს მთები მაჩვენეთ
და უსათუოდ განვიკურნები.



გუგა გუგუშიძე

სანამ ერთად ვართ

საჩრდილობლის ქვეშ პირდაპირ სილაზე დაწვენ ერმანეთის გვერდით. თბილი სილა ესიაშოვნათ, რადგან ეხლა ამოვიდნენ წყლიდან და სულ სველები იყვნენ. ზღვა გუშინდელს მერე ღელავდა. პორიზონტამდე მთელი სივრცე დასერილი იყო ტალღების თეთრი ზოლით. ნაპირთან წყალი იყო მღვრიე, მოყავისფრო მოშავო. მზე მკრთალად ანათებდა ღრუბლებიდან, მაგრამ პლიაჟზე მაინც ბევრი იყო ხალხი. ღელვის გამო შორს არავინ მიცურავდა.

- არ მიყვარს, როცა ზღვა ღელავს, — თქვა გურამმა.
- მე პირიქით, უფრო მიყვარს, — თქვა გიგმი.
- მე არა... რალაც უშნოა.

საჩრდილობლის პირდაპირ ახალგაზრდები თამაშობდნენ ფრენბურთს. სილაში ფეხები ეფლობოდათ და ხშირად კარგავდნენ ხოლმე ბურთს. ამაზე იცი-ნოდნენ და მერე ხელახლა იწყებდნენ თამაშს.

- აგერ, ნანა და ლამარა სად სხედან, — ხელი გაიშვირა გურამმა.
- ვიცი.
- წამო, მივიდეთ.
- რა გვინდა?!
- ისე მივიდეთ, იმათთან დავსხდეთ.
- შენ წადი თუ გინდა, მე აქ ვიქნები.
- შენ რა, კიდევ ხომ არ გიჩხუბია ნანასთან? — ჰკითხა გურამმა და სა-

ხეში შეხედა.

- გიგი უყურებდა სილას, რომელშიაც ხელები ჰქონდა ჩაფლული.
- არა. — თქვა მან.
- მართალი მითხარი.
- ჰო.

ორივენი გაჩუმდნენ. ცოტა ხნის შემდეგ გურამმა თქვა:

- ერთი რამ უნდა გკითხო.
- რა?
- ოღონდ არ დამიმალო, იცოდე.
- რა გინდა?
- შენ სერიოზულად გიყვარს ნანა თუ...
- წამო, კიდევ ვიბანაოთ...
- არა, ჯერ მითხარი...

- რატომ მეკითხები?
- რა ვიცი, სულ ჩხუბობთ. თუ გიყვარს, სხვა საქმეა...
- ეხლა საბოლოოდ ვიჩხუბეთ, აღარ შევეურიგდები.
- რატომ იჩხუბეთ?
- მაგას არა აქვს მნიშვნელობა, ათასი მიზეზია...
- ესე იგი, არ გყვარებია... და ტყუილად დადიოდით...
- წამო, გინდა ვიბანაოთ?
- მე არ მინდა.
- მაშ მე წავალ.

გიგი წამოდგა და მზეში გავიდა. ცისფერი, თეთრქამრიანი საბანაო ტრუსები ეცვა. მზეში რომ გავიდა, ცხელ სილაში ფეხები აეწვა. გიგი ზღვისაკენ გაიქცა და წყალში ჩადგა. ვეებერთელა ტალღები ნაპირიდან ცოტა მოშორებით კედელივით იმართებოდნენ, მერე აწყდებოდნენ მიწას და აქაფებული თეთრი წყალი ხმაურით მოდიოდა წინ. მობანაეები ეგებებოდნენ ტალღებს და თან მოყვებოდნენ ნაპირისაკენ. ზოგიერთები ყირამალა გადაჰყავდა წყლის ძლიერ ნაკადს. გიგი გაიქცა პირდაპირ და როცა ტალღა კედელივით აღიმართა, თავით შეხტა შუაში. ტალღა მიწას დაასკდა და ნაპირისაკენ წამოვიდა. გიგიმ თავი ამოჰყო და მეორე ტალღას აჰყვა ზემოთ. მერე ისევ დაბლა წავიდა და საქანელასავით აჰყვა ზემოთ მომდევნო ტალღას...

გურამი ცოტა ხანს იჯდა საჩრდილობლის ქვეშ და უყურებდა გიგის. მერე წამოდგა და ლამარასთან და ნანასთან მივიდა.

- გამარჯობათ, გოგოებო, — თქვა მან.
- გაგიმარჯოს, — უთხრა ნანამ და წიგნის კითხვა განაგრძო.
- წიგნს კითხულობ? — ჰკითხა გურამმა.
- ვერ ხედავ?!
- რა წიგნია?

ნანამ ყდა აჩვენა:

- „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.

გოგოები იწუნენ ტახტებზე, პირქვე, საბანაო კოსტუმებში გამოწყობილები. გურამი დაჯდა ნანას თავთან სილაში და თქვა:

- ეს წიგნი წაკითხული მაქვს.

— მეც წაკითხული მაქვს, მაგრამ კიდევ ვკითხულობ. მგონი მეთაფვერ ვკითხულობ...

- ძალიან კარგი წიგნია, — თქვა ლამარამ.

— აგარაკზე რომ მივდივარ, წიგნებს ველარ ვკითხულობ ხოლმე, — თქვა გურამმა.

- რატომ?

- არ ვიცი რატომ, მაგრამ მაინც ველარ ვკითხულობ...

- გურამ, გიგი სად არის? — ჰკითხა ლამარამ.

- აგე ცურაობს.

- აბა, სად?

- აგე, ვერა ხედავ? — ხელი გაიშვირა გურამმა.

- ჰო, ვხედავ, რამსიშორეს წასულა.

ნანა თავაუღებელივით კითხულობდა.

- თქვენ რატომ არ ბანაობთ, გოგოებო?

- ჩვენ უკვე ვიბანავით.

- აღარ ჩახვალთ წყალში?

— ჯერ არა, — თქვა ნანამ.

— გურამ! — დაუძახეს გვერდიდან გურამს ნაცნობებმა. — მოდი ერთ წუთს.

— ბოდიში, გოგოებო. — თქვა გურამმა.

— წადი, წადი.

გურამი წავიდა. ნანამ წიგნის კითხვა განაგრძო.

— ნახე რამისმორეს წასულა გიგი, — თქვა ლამარამ.

— მოიცა, ხელს ნუ მიწლი, — უთხრა ნანამ.

გიგი მიდიოდა ცურვით წინ და სიამოვნებდა, რომ ტალღებს აჰყავდა ზემოთ, მერე ქვემოთ აქანებდა, მერე კი ისევ აჰყავდა ზემოთ. თითქოს საქანელა იყო. გიგის უხაროდა წყალში ყოფნა. პირიზონტამდე ზღვა დასერალი იყო ტალღების თეთრი ზოლით. ეს ზოლები იცვლებოდა. მოდიოდა წინ, მაგრამ მათ ადგილას სულ ახალ-ახალი გრძელი ზოლები ჩნდებოდა. ნაპირის სიახლოვეს წყალი ამღვრეული იყო ღელვისაგან და მოშავო, მოყავისფრო ფერი ჰქონდა. შორს კი ზღვა იყო ცისფერი და კიდეც უფრო შორს ძალიან ლურჯი. გიგი გასცდა დროშებს, გადაწვიტა იქამდე მისულიყო, სადაც ზღვას ლურჯი ფერი ჰქონდა. რატომღაც ეგონა, რომ იქიდან პირიზონტს უფრო ახლოს დაინახავდა. გიგი არაფერს არ ფიქრობდა, ისე მიცურავდა...

— დედას ვფიცავარ, გიყია ეს ბიჭი, — თქვა ლამარამ, — ნახე სად წასულა!

— ეხლა გაიგე რომ გიყია? სადაც უნდა, იქ წავიდეს.

— ნანა, რატომ ლაპარაკობ ასე, არ გრცხვენია?

— რატომ უნდა მრცხვენოდეს, — გაბრაზდა ნანა, — სულ არ მაინტერესებს შენი გიგი.

— ჯერ ერთი, გიგი ჩემი არ არის, უფრო შენაა.

— ნუ იცი ასეთი ლაპარაკი, ძალიან მწყინს.

— რატომ გწყინს, ხომ გიყვარს?

— საიდან მოიტან ხოლმე ასეთ უცნაურობას?

— როგორ უცნაურობას, ხომ დადიოდით ერთად?!

— მერე რა, რომ დავდიოდით?!

— მერე ის, რომ გიყვარს.

— არც მიყვარს და არც მიყვარდა. რა სისულელეა.

— ეხ, როდემდის უნდა იყოთ ასე ბავშვებივით. რა ამბავია ამდენი გაბუტვა, — ლამარამ ზღვას გახედა. — დედა, სად წასულა გიგი, დაბრუნდეს მაინც. — მერე გაჩუმდა.

ნანამ განაგრძო კითხვა. „ნეტავ სად წავიდა გიგი, მართლა ასე შორს წავიდა?!“ — გაიფიქრა გულში. მერე გაიხედა ზღვისკენ, მაგრამ გიგი ვერ დაინახა. ნაპირთან დროშებამდის ცურავდნენ ვილაყები, მაგრამ მათ შორის რომ ყოფილიყო გიგი, ლამარა ასე არ შეწუხდებოდა. დროშების იქით კი არავინ ჩანდა. უცბათ ნანას მოუნდა ლამარასთვის ეთხოვა — დაენახებინა გიგი, მაგრამ შერცხვა და აღარ თხოვა. ისევ წიგნს ჩახედა. კითხვა განაგრძო. „ნუთუ მართლა ისე შორს წავიდა, რომ ნაპირიდან აღარ ჩანს? რა უნდა ასე შორს. ასეთ დღელვაში? თუმცა რა ჩემი საქმეა, სადაც უნდა, იქ წავიდეს. ჯანდაბამდის გზა ჰქონია. მაინც აღარ მიყვარს. რა სულელი ვიყავი, როცა მიყვარდა. რომ დაიხრჩოს, ღმერთმა დაიფაროს... მე ხომ აღარ მიყვარს. ჩემთვის სულ ერთია. არა, რატომ, ვილაც სავსებით უცნობიც რომ დაიხრჩოს, ისიც მეწყინება. გიგი, რაც უნდა იყოს, ძალიან ახლობელი იყო ჩემთვის. ოჰ, რა იდიოტია ეს ბიჭი,



რატომ არ ჩანს?“ ნანას რაღაც თბილი შემოაწვა გულზე. უცბათ მოუნდა და თავი აიღო. მერე შეამჩნია, რომ არაფერი არ ახსოვდა, რაც წაიკითხა. ზღვას გაჰხედა. წყალი ლაპლაპებდა, ბრწყვიალებდა მზის ქვეშ. ტალღები თეთრ ზოლებად მოდიოდა ზღვის სიღრმიდან. ნაპირთან ტალღები დიდი იყო და საშინელი, შორს კი ისე დიდი არ ჩანდა. მერე მზე ღრუბლებს მიეფარა და ზღვას ისევ მუქი ფერი მიეცა.

— ხედავ გიგის? — ჰკითხა ლამარამ.

— აბა სად არი?

— აგე, შორს! — ხელი გაიშვირა ლამარამ.

შორს, სადაც ზღვა ლურჯი იყო, ნანამ დაინახა პატარა შავი წერტილი, რომელიც ხან ჩანდა, ხან ისევ იმალებოდა ტალღებს შორის.

— ვხედავ, — თქვა ნანამ, — სად წასულა!

— ძალიან შორს წასულა...

— დაუძახე გურამს...

— რატომ?

— გამოიყვანოს...

ლამარამ გაიცინა.

— რა გაციენებს?

— ლელავ?

— რა სისულელეა, თუ გინდა, ნუ დაუძახებ, — ნანამ წიგნი გაშალა.

ლამარამ დაუძახა გურამს და გურამიც მაშინვე მოვიდა.

— გურამ, ხედავ, სად არის გიგი? — შეეკითხა ლამარამ.

— ვხედავ.

— მერე საშიში არ არის? დაბრუნდეს უკან!

— აქედან ხომ ვერ დავუძახებ, მაინც ვერ გაიგონებს.

— აბა რა უნდა ქნა?

— ნუ გეშინიათ, გიგი კარგად ცურავს, — გაიცინა გურამმა.

გიგი უკვე მივიდა იქ. სადაც ზღვა ლურჯი იყო, მაგრამ ჰორიზონტი ისევ ისე შორს სჩანდა. „ასე იქნება სულ, — გაიფიქრა გიგი, — რაც არ უნდა წინ წავიდე, მაინც ასე იქნება“. მერე უკან მოიხედა და დაინახა, რომ ირგვლივ წრიულად სულ ზღვა იყო. ნაპირი არ ჩანდა. მხოლოდ მთები ჩანდა ნაპირთან. მთები უფრო სხვანაირი და უცნაური ეჩვენა. მთები იყო მწვანე, ზედ ფართო ყვითელი ხაზებით. გიგი სულ მარტო იყო ზღვაში, საცხებით მარტო. მხოლოდ თოლიები დაფრინავდნენ ზემოთ. ტალღების თეთრი ზოლი იცვლებოდა, მთელ სიგრძეზე მოდიოდა წინ და მათ ადგილზე ახალ-ახალი თეთრი ზოლები ჩნდებოდა. „რამისმორეს წამოცსულვარ“, — გაიფიქრა გიგი და უკან მობრუნდა. სწრაფად მოცურავდა, თან ფიქრობდა: „დინებას რომ გავყევი, ნავსადგურთან გამიყვანს. მერე ტიტველამ უნდა ვიარო პლიაქამდე მთელ კილომეტრზე“. გადაწყვიტა პირდაპირ წასულიყო ნაპირისაკენ. სწრაფად ცურავდა. თავი ჩარგო წყალში და ხელებს და ფეხებს რიტმულად ამოძრავებდა. მერე ტალღამ გადაუარა ზემოდან და მარილიანი წყალი გადაყლაპა. გაჩერდა და ნაპირისაკენ გაიხედა. ნაპირი არ ჩანდა. ზღვა ლურჯი იყო ირგვლივ. ფურთხება დაიწყო. მარილიანი წყალი არასასიამოვნოდ მოხვდა გულზე. ისევ სწრაფად განაგრძო ცურვა. აღარაფერს არ ფიქრობდა. უნდოდა მალე გასულიყო ნაპირზე. იქნევდა ხელებს და ფეხებს და მიდიოდა. ეგონა, უკვე სულ ახლოს იყო ნაპირთან, ისე ახლოს, რომ უკვე გაარჩევდა ნაცნობ სახეებს. გადაწყვიტა, არ გაეხედა წინ, სანამ საბოლოოდ არ დაიღლებოდა. გრძნობდა, რომ თანდათან ერღვეოდა სუნ-

თქვა, რაღაც სიმძიმე თანდათან აწებოდა ხელებს და ფეხებს. ბოლოს დადგა. გაჩერდა და ნაპირს გახედა. დროშები არ ჩანდა. ნაპირი ჯერ კიდევ შორს იყო. უცბათ ძალიან მობეზრდა წყალში ყოფნა. ძალიან მოუნდა მიწაზე დადგომა. მერე გაიფიქრა, რომ სადღაც ქვემოთ არის მიწა. მაგრამ ნეტავ რა სიღრმეზე? უცბათ შეეშინდა ზღვის სიღრმის. არ ესაიამოვნა წყლის ფერიც. რაღაც მოცისფრო, უშნო. „სანამ საბოლოოდ დავკარგავდე ძალღონეს, გავცურავ“, გაივლო გულში და ისევ გაწვა წყალზე...

ნანა კითხულობდა და გრძნობდა, რომ ვერ იგებდა წანაკითხს. ნანა წიგნზე არ ფიქრობდა. მალულად ეხედებოდა ზღვისაკენ. პატარა შავი წერტილი ისევ ჩანდა ტალღებს შორის, მაგრამ ძნელი იყო გარჩევა, წინ მოდიოდა თუ უკან. „რა სულელია გიგი, — ფიქრობდა ნანა, — რა დაკარგა იქ, იმ სიშორეს. ალბათ ვაჟკაცობა ჰგონია. როდის გამოვა უკან? თუმცა მე რატომ ვწუხვარ. გურამი და ლამარა ასე დამშვიდებულები არიან. მე რატომ უნდა ვიჯავრო. რას წარმოადგენს ჩემთვის გიგი. გუშინდელი ჩხუბის მერე მაინც აღარ შევუბრუნებდი“.

— გიგი უკან მოდის, — თქვა გურამმა.

— როგორ ამჩნევ? — ჰკითხა ლამარამ.

— ვამჩნევ, ნუ გეშინიათ, გოგონებო, გიგი არ დაიხრჩობა.

— ნუ გეშინია, ნანა, — უთხრა ლამარამ.

— რისი გეშინია, მეტი საქმე არა მაქვს.

გურამი წაფიდა. ნანამ გადაწყვიტა გიგიზე აღარ ეფიქრა. წიგნი დაკეცა და წამოჯდა ტახტზე, რადგან კითხვას გულს ვეღარ უღებდა. ლამარაც ტახტზე იჯდა და იხედებოდა ზღვისკენ. ლამარა ძალიან გაშავებული იყო მზისაგან. ნანამ მკლავზე დაიხედა და შეამჩნია, რომ ლამარა უფრო შავი იყო. „ლამარა საერთოდ ძალიან შავდება ხოლმე, — გაიფიქრა ნანამ, — აი, გიგი არ შავდება. გიგი შოკოლადის ფერს იღებს. ასეთ სიღამწერეს ყველა ნატრობს ზღვაზე“. გიგი რომ მოაგონდა, ზღვისკენ გაიხედა. პატარა შავი წერტილი ჯერ კიდევ შორს იყო დროშებისაგან, მაგრამ თანდათან ახლოვდებოდა.

— სულელია გიგი, — თქვა ნანამ.

— რა თქვი? — ჰკითხა ლამარამ.

— სულელია-მეთქი გიგი.

ლამარამ გაიღიმა. ნანამ გადაწყვიტა აღარ ეფიქრა გიგიზე.

— წამო, გინდა მზეზე დავწვეთ? — თქვა მან.

— წამო.

ტახტები გაიტანეს მზეზე და დაწვენენ. მზე ხშირად იმალებოდა ღრუბლებში. მერე ანათებდა, მერე ისევ იმალებოდა. პლიაჟის გადაღმა ჩანდა რკინიგზა. რკინიგზის იქით იყო წიწვნიანი ტყე, რომელშიც მოასფალტებული გზატკეცილი გადიოდა. პლიაჟის შემოსასვლელთან იდგა წყლების გასაყიდი ფარდული. პლიაჟზე ხალხი ირეოდა. ბრეზენტის ჩარდახებს ქვეშ ადგილი აღარ იყო დასაჯდომად.

კარგა ხანს იწვნენ ორივენი ჩუმად.

— ნანა, აღარ წავიდეთ? — თქვა ლამარამ.

გიგი უკვე ახლოს იყო დროშებთან. ძალიან ნელა ცურავდა. ჩანდა, დადლილი იყო. პატარა წითელი დროშები ხან ზემოთ აჰქონდა ტალღებს, ხან ქვემოთ. „ნეტავ როგორ არის დამაგრებული?!“ — გაიფიქრა ნანამ.

— აღარ წავიდეთ, ნანა? — გაიმეორა ლამარამ.

— მოიცა ცოტა ხანს ვიყოთ.

გიგი უკვე მივიდა დროშებთან და გაჩერდა. აღარ შეეძლო. ხელებზე და



ფეხებზე თითქოს ქვები ეკიდა, ვეღარ ამოძარცვებდა, ძალიან უმძიმდა წყალში. ნაპირი სულ ახლოს იყო. გიგი გარკვევით ხედავდა პლიაქზე მყოფ ხალხს. „ნაპირიდან რა ახლოს ჩანს დროშები, აქედან კი რა შორს ყოფილა“. დომელა ცურავდა, ადვილზე. „როდის გავალ ნაპირზე“ — ფიქრობდა. უკვე ვეღარ იტანდა წყალში ყოფნას. „ნეტავ რა სიღრმისაა აქ ზღვა?!“ ზურგზე გაწვა. მაგრამ იმდენად დაღლილი იყო, რომ წონასწორობის დაცვა ვეღარ შეძლო. „არ უნდა წამოვსულიყავი ასე შორს, მით უმეტეს ახალი გამოსული ვიყავი ზღვიდან. ასეთ სისულელეს აღარ გავიმეორებ. ეხლა როგორმე მივალ ნაპირთან“. დაიწყო ცურვა. თვალებზე ბნელი ნისლი გადაეკრა. დაიწყო ცურვა თავგანწირვით. „ალბათ სულ ახლოს ვარ, აი, უფრო ახლოს ვარ, ეხლა უფრო ახლოს ვარ, ცოტაც და...“ გიგის აღარ ეყო ჰაერი და თავი ამოყო. სულ ახლოს იყო ნაპირი. გიგიმ დაინახა ნაცნობები, სულ ახლოს, ნაპირთან. გიგის ირგვლივაც ვიღაცეები ცურავდნენ. „აღარ დავიხრჩობი, — გაიფიქრა გიგიმ, — ეხლა რომ ვიყვირო, აღარ დავიხრჩობი, მომეშველებიან. მაგრამ მართლა ხომ არ ვიყვირებ. სულ ცოტაც და მივალ, სულ ცოტა დარჩა“. საშინლად მძიმე იყო წყალი. გიგის ვერ ამოქონდა წყლიდან ხელები, თითქო ქვები ეკიდა ზედ. ქვემოთ მიდიოდა სიღრმისაკენ. გიგიმ უკანასკნელად აცადა ცურვა, უცბათ ტალღამ დაარტყა და ძირს, ფსკერისაკენ წავიდა. წყალში ამოტრიალდა და სანამ ზედაპირზე ამოვიდოდა, ჰაერი აღარ ეყო. პირი გააღო და მლაშე წყალი გადაყლაბა. ზემოთ რომ ამოვიდა, ხარბად ჩაისუნთქა და ისევ დაარტყა ტალღამ. „მგონი ვიხრჩობი, — გაუელვა თავში. — აი როგორი ყოფილა დახრჩობა“. ისევ ქვემოთ წავიდა და გადმოტრიალდა წყალში. ჰაერი აღარ ეყო. თვალები ღია ჰქონდა. ირგვლივ ბნელოდა. „ნუთუ მართლა ვიხრჩობი?!“ — არ სჯეროდა გიგის. ირგვლივ ბნელოდა. მერე სულ დაბნელოდა...

ძალიან დიდი ხნის მერე გიგიმ იგრძნო, რომ მიწაზე იწვა. გიგიმ იგრძნო, რომ მიწაზე იწვა და ვიღაცეები დაცქეროდნენ ზემოდან. თავი ვიღაცის შიშველ მუხლებზე ედო. ვიღაცა ხელს უსვამდა მკერდზე. გიგის შერცხვა და თვალები არ გაახილა. ყველაფერი წარმოიდგინა. უფრო შერცხვა, გაიფიქრა, იქნებ ეს ყველაფერი ასე არ არის და მეჩვენება ან მძინავსო. ვიღაც ისევ ხელს უსვამდა მკერდზე და გიგი მიხვდა, რომ არ ეძინა. „ალბათ გურამის მუხლებზე მიდევს თავი და გურამი მისვამს ხელს მკერდზე“. გაიფიქრა გიგიმ, ცალი ხელი ასწია და ფეხზე მოჰკიდა თავთან მჯდომს. კანი იყო სრიალა და რბილი. გიგიმ ხელი მალა ააყოლა ფეხს და მუხლში მოკიდა. მიხვდა, რომ ეს არ იყო გურამის ფეხი. ეს იყო ქალის ფეხი.

- გონზე მოვიდა, — მოესმა უცნობი ქალის ხმა.
- აბა, წადით ეხლა აქედან, ჰაერია საჭირო, რას შემოკრებილხართ, — გიგიმ გურამის ხმა იცნო.
- კიდევ კარგი, რომ გადარჩა...
- აწი ისწავლის ჭკუას, შორს არ წავა...

უცნობები იყვნენ. მერე შიშველი ფეხების ქვეშ ამრიალდა კენჭები და გიგი მიხვდა, რომ მიდიოდნენ. ეწვინა, რომ ნანას ხმა არ ისმოდა. „ნეტა ვის მუხლებზე მიდევს თავი. ალბათ ექიმია. თუმცა ექიმი შიშველი რათ იქნება. ალბათ ვინმე ნაცნობია...“ მერე უფრო ნათლად წარმოიდგინა თავისი მდგომარეობა და ძალიან შერცხვა. თვალები გააღო. პირველად თეთრხალათიანი, ხანში შესული ქალი დაინახა, მერე გურამი, რომელიც მუხლებზე იდგა. მალა მოღრუბლული ცა ჩანდა.

— როგორა ხარ, გიგი? — ჰკითხა გურამმა.

— კარვად, — თქვა გიგიმ და თვითონვე ვერ იცნო თავისი ხმა, ისე სუსტი იყო.

მერე მაღლა აიხედა, უნდოდა გაეგო, ვის კალთაში ედო თავი. პირველად ვერ იცნო. მერე იცნო ნანა. გიგის თავთან დაეხარა თავი და მკერდზე ხელს უსვამდა. გიგიმ ხელი დაადო ნანას ხელს, რომელიც მკერდზე ედო.

— აღგები, გიგი? — ჰკითხა გურამმა.

გიგიმ თავი დააქნია და სწრაფად წამოჯდა. მხოლოდ ეხლა შეამჩნია ლამარა.

— ჰმ, გიგი, — გაიღიმა ლამარამ.

გიგიმ გაიღიმა და ამავე დროს ძალიან შერცხვა. ფეხზე წამოდგა. ნანაც წამოდგა, მხრის ქვეშ შეუღდა და ხელი მოხვია წელზე.

— ახალგაზრდავ, მედბუნქტში უნდა წამოხვიდეთ, — უთხრა ექიმმა.

გიგიმ თავი დაუქნია.

— წავალ, ტანსაცმელს წამოვიღებ, — თქვა გურამმა და გაიქცა.

— ჩემი ტანსაცმელიც წამოიღე, — უთხრა ნანამ ლამარას. ნანას საბანაო კოსტიუმი ეცვა.

გიგიმ მხარზე მოხვია ნანას ხელი და ექიმს წაყვა.

— როგორა ხართ?

— აი, აი, აი...

— როგორ გადარჩილ?! — ეუბნებოდნენ გზაში და უყურებდნენ.

გიგის რცხვენოდა და თავჩაღუნული მიდიოდა. პლიაქის გადაღმა, რკინიგზაზე, ხმაურით გაირბინა მატარებელმა. ვაგონის ფანჯრებიდან იყურებოდნენ მგზავრები. გიგიმ გაიფიქრა, რა იქნებოდა, რომ დამხრჩვალყო. არაფერი არ იქნებოდა, იქნებოდა ასეთივე მოღრუბლული ამინდი, ასევე უწესრიგოდ მიმობნეული ტანტები პლიაქზე, სილა იქნებოდა ცხელი, როგორც ეხლა, მატარებელი გაივლიდა ლიანდაგზე ჩვეულებრივად და ცნობისმოყვარე მგზავრები გამოჰყოფდნენ თავს ფანჯრებში. მხოლოდ ყოველივე ამას ვერ ნახავდა და ვერ იგრძნობდა გიგი...

— აღარ მინდა ზღვაზე, მომბეზრდა, — თქვა გიგიმ.

— მეც, — თქვა ნანამ.

— გინდა, ბორჯომში წავიდეთ ხვალ, ჩვენებთან?

— წავიდეთ.

— გინდა, დღეს წავიდეთ?

— დღეს ვერ მოვასწრებთ, ხვალ წავიდეთ.

— კარგი, ხვალ წავიდეთ.

პალიმეა თორეა

ცხოვრების ერთი უზრცელი

(ნ ა რ კ ვ ე ვ ი)

ყანაში ორნი ღვანან — ერთი დიდი, მეორე — თითქოს მისი ჩრდილი იყოს შუადღის მზეში — პატარა.

— ნება-ნება, ბაბას ჭირიმე. კი არ მიეღალო, თვითონ მაგი უნდა მოქანტო. ასე, ბაბა, აა. თოხს თავისი სიმძიმეც ეყოფა მოქნევის შემდეგ. ფეხებში კი არ გაულახო სიმინდს... ახ, დედამკვლარი, ამტკივდა, ხელა?

— ჩამოჯექი თოხის ტარზე.

— ა იმ თუთამდე გავიტანოთ როგორმე, ბაბას ჭირიმე.

— შორია... რომ გტკივა?

გიტანეს კვალი შებინდებამდე. ჩამოსდნენ თუთის ქვეშ.

— გველები, მიშო, ბაბაია!

— გტკივა?

— გველები-მეთქი.

— წაიდეთ. დედა მოწველიდა თხას. დალევ თბილ რძეს, გაგივლის.

არ შეისმინა ბუნებამ შვილის სურვილი — არ გაუარა გრიგოლს. იწეა ერთი წელიწადი ისლის ქოხში. ზუზუნებდა ქარი ისლში, გმინავდა მამა — „მიშველე, ნუცას“, მუხლისთავს მუცელზე იპერდა. მიშოს თოხი და სევდა მიჰქონდა ყანაში მარტოს, თან თვალებს აცეცებდა აქეთ-იქით — ოჩოკოჩი საიდანმე არ შემეფეთოსო, განსაკუთრებით ზურგიდან ეშინოდა... თოხნიდნენ ორნი — თვითონ და თავისი ჩრდილი. ვერ იქნა, ვერ გაუსწრო ამ ჩრდილს ვერასოდეს. ხანდისხან თავად მოშორდებოდა, როცა მზეს ღრუბელი წაფარებოდა.

კუჭის მწვავე კატარით მოკვდაო, გრიგოლზე ამბობდნენ მამინ.

„აჰ, არა, პატრონო, კიბო იყო ნამდვილ ასე უხსნელი, მამინ რა ვიციოდი მისი სახელი. როგორ იწვალე, ვაი შენს ნუცას! რა მოგსდევდა. ჯოტია ოცდახუთი წლითაა შენზე უფროსი. ახ-

ლა გეგონება საცოლო...“ — მოთქვამს ახლა დროგამოშვებით მიშას დედა.

... დაბრუნდნენ სასაფლაოდან, ქოხი ვერ იცნეს. სახურავი აღარაა — ჭვარტლისაგან დითუთული ლარტყები ჩატეხილა თურმე და ისლიც ჩაწოლილა. ხელახლა შეიქმნა წვილ-კვილი.

— მოსდევს. ჭირი ჭირს მოსდევს... აჰ, აქეთ, გოგო შენ, არ დაგეცეს ლარტყა. არა, ამითი გაჩერება აქ აღარ შეიძლება. მობიკე, ქალო, შენი ბავშვები, ხარახურა და მოწყვეთ აქეთ, — მიმართა მათ მეზობელმა.

ხოთო, მომდევნო გოგო, პატარა, ფუნჯულა ხელებით ჩააფრინდა დედას კალოში. ვაჟა ცერებზე ღებობდა და ზევით იწეოდა, დედას ასუტებას სთხოვდა, ძეძუ მოუნდა. შოთა პაწია მუშტს უღერებდა უმცროს ძმას:

— გაჩერდი, ბიჭო, შენ!

დინჯად იღვა შორიასლო, განმარტოებით, დაქცეული ქოხის წინ ოჯახის უფროსი მამაკაცი... რვა წლის მიშა — შემოუტეხავი, შავი სატინის ხალათით, შავი სატინისავე ხილაბანდით თავაწყარული.

— ჰე, ჰე, მალე, დამდება. ცოდვაა ბავშვები, დაიქანტენ.

— მადლობელი ვარ, პავლე. რავე შეგაწუხო ოთხი ბავშვით, თქვენ ისედაც ბევრნი ხართ სახლში.

შეგბიზნენ კეთილი მეზობლის პავლე სიუინავას ოჯახს. კარგა ხანს ცხოვრობდნენ მასთან.

ცოტას ახალგვადამული კოლმეურნეობა დაეხმარა, ცოტ-ცოტათი კარის მეზობლებმა მოუმართეს ხელი, მეგრ ნუცას ძმამ ელიზბარ კვძარაამ ცხენი გაყიდა ზუგდიდის დიდ ბაზრობაზე და ფული დას მიაშველა. შეაკეთეს ქოხი. გაჩაღდა ცეცხლი. ამოვიდა ფთილა-ფთილად კვამლი სახურავიდან. განახლდა ქოხში სიცოცხლე.



წიგნების ჩანთა და მიძემ სულიერი ტვირთი მიჰქონდა მამით ობოლ მიშოს სახლიდან სკოლაში.

— სიწინავე მიხეილ! — ეს იყო პირველი ოფიციალური მიმართვა მისდამი. მასწავლებლები იხანებდა. მისი სახელი საკლასო ეურნალში ეწერა — გასცილდა ქობის ფარგლებს.

ასე იყო სკოლის დამთავრებამდე. ახლა იგი ნამდვილ უფროსი მამაკაცად გრძობდა თავს. ორი რამ იყო მისი იარაღი — წიგნი და თობა. არც ერთს ღალატობდა, არც მეორეს. ხელები უკვე დაკორძებული ჰქონდა და თობს ღონივრად იმორჩილებდა. მხრებში იშლებოდა, მკერდი უვანერდებოდა. მკლავზე ამობურთულ მაგარ კუნთებს უმეტროსი დაძმები სიხარულით უცაცუნებდნენ ხელებს. დედა შეჰყურებდა დანამული თვალებით, შეილი სიხარულს ჰგვრიდა, ჰქმრის მოგონება — ცრემლს. „მიშველე, ნუცა!“ — ჩაესმოდა მას ყურში ახლაც.

ერთ დღეს კომსარაში შემოესმა მიშოს:

— სიწინავე მიხეილ!

ეს არ ჰგავდა საკლასო ეურნალთან ამოძახებას.

— აქეთ იხანოდი? რომელი ხარ?

— გამოიწიე ერთი აქეთ. მე ვარ, ბარდლუ.

„ოო, ბარდლუ თუ ხარ, საქმე სერიოზულია, ჩანს!“

თობი მიაყუდა, ხილბანდით ოფლი შეიწმინდა. ჰიშკრისაკენ გაემართა.

— გამარჯობა. უწყებაა, მიშო, კომისარიატში გეძახიან.

ჯერ კიდევ ვიზიტირებდა ომის ცეცხლი. ორმოცდაათის ზაფხული იყო.

ბევრისათვის ნაცნობი უწყება სამხედრო კომისარიატისა...

მიხეილ სიწინავეს უკვე სახელმწიფო ეძახდა.

„... გიბრძანებ გამოცხადდე. თან იქონიე ორი დღის საგზალი, ორი წყვილი საცავილი...“ — და შემდეგ ბევრისათვის ნაცნობი ბრძანების სიტყვები. „მაშ შორ გზაზე ვარ. მშვიდობით, სკოლავ და ეზო-კარო, ყანავ და ჭაღებო, ოჯახო და ტოლებო...“ მერე უტეხ გაუღელვა ერთმა სახემ, წინათ საყოთარ გულსაც რომ არ უშეგლდა, იმ სახემ, და წინით ყველა დანარჩენის მოგონება ბურუსში გაუფრია. — მშვიდობით... — მიმართა ამ ნათელ სახეს, მაგრამ საყოთარი გულისაც შერცხვა და სახელი მისი გულის სიღრმეშიც არ გამიერთა. უნდოდა იმ სახისათვის თავი დაედგია, მაგრამ ვერ შეძლო. თითქოს მის წინ იდგა — ოქროსფერნაწვევიანი, მთავარესვით გაბადრული, ეუქუნა, ცისფერთვალბიანი... უღიმოდა ცრემლანრევი ღიმილით და ეჩურჩულებოდა: „მაშ, მიღიხარ? ა, მიშო მიღიხარ?...“ ყოველ შემთხვევაში, მიშოს ასე სურდა წარმოედგინა დამშვიდობების წუთებში მწუხარება და ვანცდები იმისა, ვინც მისი სიცოცხლის აზრს შეადგენდა... მერე წარ-

მოედგინა თავისი თავი ბრძოლის ველზე, როგორც პავა კორჩაგინი, წარმოედგინა კლდეებით უყურებს მას მოგონების თვალით ლესიწინდან „ის“...

ვერც კი გაიგო როგორ შედგა ფეხი სახლის ზღურბლზე. დაძმები შემოხვეოდნენ. დედა ბოსტნიდან გამოქანებულყო.

— ფერი არ გადევს. ნანა. გლახა ხომ არაფერია, შენი სულის ჰირიმე!

— გამიმზაღე რამე. სამხედროში მეძახიან.

— სუ, ნანა! ჯერ ხომ შენი დრო არ არის?

— ჰე, ჰე, დამაბანინეთ და დატრიალით. ალიონზე ჩხორაწყუში უნდა ვიყო.

— არ არის ჯერ შენი დრო, მოგიკვდ... — ამოგიკვდი, მოგიკვდი!.. — გააწყვეტინა მიშამ, — ესა მაკლავა ახლა, შენც მომიკვდე. იქ უკეთ იციან, ჩემი დრო არის თუ არ არის.

— ჩემი საქმეა გშვა და ვაგზარდო, დანარჩენი იქ იციან... რა ვუყო, მიშა, ამ სამს, მეც ვარგად არა ვარ... გვეჯე შენზე უფროსია და არ მოუქითხავთ.

„გვეჯე!“ — თითქოს ეღემა გაუარა მთელ ტანში მიშოს, — რამ მოგაგონა, კი ვიყავი ცოტა ხნით დამშვიდებული... მას ჩემ „იმაზე“ უქირავს თვალი!“

— გვეჯე ავაღმყოფია. თიქარი აქვს.

...გაიცილეს ალიონზე. გასცდა ჰიშკარს. დაადგა თემშარას. ეს არ ჰგავდა იმ გზას, რომელსაც სკოლაში უტარებდა მთელი ათი წელიწადი. ეს იყო პირველი მარშრუტი უკვე სრულყოფილი მოქალაქისათვის თავისი დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე.

ჩიტები ჰელურტულით მიაცილებდნენ. შაშვეები ნაცნობ ჰანგზე გალობდნენ. დედის მზერა გზას უშუქებდა...

„აი მისი სახლი. მას სძინავს, მისი სიზმრების ცისფერ ხალიჩაზე მივხიჯებ.“ ყოველ შემთხვევაში ასე სურდა მიშოს — სიზმარშიც მასთან ყოფილიყო...

სამხედრო კომისარიატი. ასობით უცნობი სახე მისი ტოლებისა. მატარებელი. გრძელი გზა. მატარებლის გეოგრაფია. — რამდენადაც მისი ხილმოსახლო ნასწავლი და წყითული ნაწარმოების ასოციაციით, საყვარელი მწერლებით. მდინარე ცივი თეკლათთან — ეს ბაზვა ფულავას ცივია. აბაშა. აქ არ შეიძლება იერემია წარბა არ მოგაგონდეს. სამტრედიასთან შტო იყოფა გურიისაკენ, ეგნატეს გურიისაკენ. კიდევ უფრო აქეთ — შორაპანია. ის ვიწროლიანდაგიანი გზა ჰიათურისაკენ მიდის — აკაკის სხვიტორისაკენ. აქეთ ქართლია — ნიკო ლომოურის და ანტონ ფურცელაძისა, ეკატერინე გაბაშვილის და... ქართლი ჯუღაშვილისა, სადაც ქება თიქა დილისა: „ვარდს გეფურჩქნა კოკორი, გადახვევდა იასა...“ აგერ მცხეთაც. სადაც ახლოა საგურამო. იქ დაცვა ილია.



თბილისი. ბობოქარი ქალაქი.

გული ფრონტისკენ მიუწევდა, პავლე კორჩაგინის გზისაკენ, გმირობისაკენ, რაკი სახლსა და ეჭო-კარს, სკოლასა და ტოლ-ამხანაგთ მოსცილდა...

მიშა და მისი ტოლები კი აქ შეაჩერეს. თბილისის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მიიყვანეს.

მსგავსი არაფერი ენახა ადრე. უზარმაზარი ქალაქი, ქარხანა-გაგანტი ხროლაგადა, გუგუნებდა, მოძრაობდა, სუნთქავდა ზღაპრული დევმირი-ივი. აღაშინებდა ბუზბივითი ირეოდნენ, მიდი-მოდიოდნენ, ფუსფუსებდნენ მის ვარშემო, მაგრამ არაფერ მას არ ამჩნევდა. იყო წუთები, როცა იგი მთლიანად გამოეთიშებოდა ხოლმე თავის მოგონებას, თავის სოფელს, დედას, და-ძმებს და მთელი არსებით ამ ახალ, უცნაურ სანახაობებში ინთქმებოდა.

მას აუხსნეს, რომ უნდა მოამზადონ მომავალი რუსთავის ქარხანა-გაგანტის კადრის მუშად, შეასწავლან სპეციალობა—მრანდავობა, ხარატობა, რომ იგი მეორე ეშელონის ჯარისკაცია—შრომის ფრონტის მეორე ეშელონის ჯარისკაცია.

ფრინტელებმა იციან, რას ნიშნავს მეორე ეშელონი ჯარების საბრძოლო განლაგებისას. თუ წარმოვიდგენთ, რომ რუსთავი ვაშლითაა შრომის ფრონტი იყო, მაშინ რუსთავის მშენებელი ახალგაზრდები ამ ფრონტის მოწინავე ხაზის მამაცი შემორები იყვნენ. მათს უკან იდგა მეორე ეშელონი ახალგაზრდა მეტალურგებისა, რომლებიც ელოდნენ გენერალური შეტევის დაწყებას ქართული ფოლადისათვის. ათასობით ქართველი ახალგაზრდა იწრთობოდა ჩვენი ქვეყნის დიდ მეტალურგიულ ცენტრებსა და სხვადასხვა დიდ ქარხნებში მომავალი რუსთავის მუშებად.

— სახარტა-მექანიკურ სამაქროში წაიყვანეთ, შაკის მიჰგეარეთ! — მოესმა მიშოს კადრების განყოფილების მუშაკის, შავ სპეცხალათში გამოწყობილი უახანის კაცის სიტყვები.

— წაივით! — უთხრეს მას.

ჰქუხდა, გუგუნებდა უზარმაზარი კორპუსი. რა სიწყნარე, რა მყუდროება სუფევდა ლესიჭინის ყანებში! აქ კი ათასმა ბულბულმა რომ ერთად სტენა მორთოს, ვერაფერი გაიგონებ.

— გაიყანი, ანდრეი. იმუშავებს შენთან. მრანდავობას ასწავლი. საშუალო დაუმთავრებია.

— იმუშავოს.

მერე მავთუთანი ხელედი შევი ძენით შეიწმინდა ისტატმა შაკიმ — მოხუცმა, ხმელ-ხმელმა, კირნახულმა, კეთილმა კაცმა; თავით ფეხებამდე ათვალეგრ-ჩაათვალეგრა ახალმოსული, აწონ-დაწონა თვლით. უთხრა:

— იცი, სად მოხვედი?

— ახალგაზრდამ გაიციოდა.

— აქ ერთ ხანს სტალინი გვასწავლიდა ლენინის იდეებს. ახლა მისი სახელი ჰქვია ქარხანას.

— ეს კი ვიცი, პატრიცემული ანდრეი. „ამასთან შეიძლება თამამად საუბარი გავაგრძელოთ“ კაცია. ჩემი მათემბატის მასწავლებელს კი არა ჰგავს — რა უხეში კაცი იყო...“

— ჰო, აი იქით გაიხედე, იმ დიდ სამაქროში ერთი დაზვანი, თვალისინია ქარხნისა. იქ, იმ დაზვასთან, კალნინი მუშაობდა, მიხეილ ივანესძე. გორკიც არის აქ ნამყოფი, კურნატოვსკი გაგიგონია?

— გადმოსასხებელი მარქსისტი, — დაიჭირა მიშამ გამოცდა.

— ...ყოჩად. იმას მეგობრობდა. პავლენკოც იცნობდა ჩვენს ქარხანას, წაგიციოხავს? ჰო-ღე, ეგერ ორთქლმავალს რომ არემონტებენ, ზვალ-ზვგ გავა ამ ურანდავადან და ვინ იცის, სად ამოყოფს თავს — ლაზარში, იქნებ ციმბირში, მერე იქიდან მოსკოვში, — და წაიღებს ჩვენი ქარხნის სახელს შორის... იქნებ შენს სახლთან ჩაიქროლოს. შენ საიღბ ხარ?

— ჩემს სახლთან არა, მაგრამ ახლოს ვადის რკინიგზა, ინგიროში...

— ჰო. რა გქვია?

— მიშა, პატრიცემული ანდრეი, სიჭინავა ვარ გვარად. ჩხორაოყუდან.

როგორც რა დაბინავდა, თავისი კუთხე მონახა, ახალი ტოლამხანაგები გაიჩინა, ვარემოს კოტათი თვალი მიიჩვიდა — შემოაწვა დარდი შინაურებზე, დედის მოგონება მოსვენებას არ აძლევდა... გავიდა ერთი წელი, ორი... მრანდავის პროფესიას კარგად დაუფლებულ, ორნატრისაგან დაფასებულ ახალგაზრდას არ ეგონა, მხარს თუ არ დაუჭერდნენ. ახლა მაინც ზომ აღარ იყო ომის დრო. ჩავიღოდა ერთი არი დღით. დედას, და-ძმას ნახავდა. ცოტას საქმეში წაშეგებოდა. რამეს ჩაუტანდა. ხოლო „ის“ რომ ენახა, ამის დიდ სურვილს თავის თავსაც არ უშხვლდა.

— შინაო? ეჭე, მოუღდა დედის კალთა! რა დროს შინ გავგებია, გუშინ არ ჩამოდი?

— გუშინ არა, ორი წელია... აკი მოგახსენებთ ჩემი ოჯახური მდგომარეობის შესახებ...

არ გაუშვეს. მაშინ გაიპარა. იცოდა ამას კარგი შედეგი არ მოჰყვებოდა — მაინც გაიპარა.

„ხომ დავბრუნდები, არ დავიმალე. მაშ რათ არ მიშვედი, დედა არ უნდა ენახო?“

შინ ყველანი კარგად დახვდნენ. დამშვილდა.

— დაპატრიცემული იყავი, შვილო, გვეჯეს ქორწილში, მაგრამ...

— რა მექორწილებოდა, დედა, დამაბული შრომა გვაქვს. ახლაც უნებართოდ ვარ ჩამოსული. არ ვიცი, რას მიზამენ, უთქვენობა ვერ ავიტანე...

ამას ლაპარაკობდა, მთელი არსებით კი სხვა, ბოროტით მოკულ სამაქროში იყო ჩაყარული. უძირო უფსკრულში: „გვერვს ქორწილში ცოცხლად დაპატრიცემული... ის“ შეურთავს...“

ქარხანაში დაბრუნებულისათვის თავზე ხელი არ გადაუსვით.

— ა, დაიწყე? დეზერტირობა დაიწყე?
— ანიგვარაში არ გაიარე, ბიჭო, ანიგვარაში?
მოხედა — რუსი ამხანაგი. ნაენობი სახე. გუ-
ლი მეოცა.

— ანიგვარაში რა მინდოდა, დედა ვნახე ლე-
სიკინეში.

— ა, ვიცი ლესიკინეც. დაჯექი.

კარგია ახლა ამასთან გამოსაუბრებმა — საიდან,
როგორ... რუსი კაცი, და ჩვენი კუთხის ასე კარ-
გად მცნობი... მაგრამ ახლა იგი სამსჯავროს წი-
ნაზე იდგა.

— დაჯექი-მეთქი ჩემთან. მომეციტ მე ეს ბი-
ჭი საამქროში. იმუშავეებს ჩამტეხად.

„სად არ წავალ ახლა, ოღონდ ასე მრისხანედ
ნუ მიუყურებენ...“

— ეს რუსთავიდან მოიციოთეს. რუსთავის კად-
რია, ხომ?

— არსად არ ვუშვებ. რუსთავი და „ერზე“ ერთ
საქმეს აყუბუნენ. — და რუსმა ამხანაგმა მკლავი
მხარზე გადასდო. — ხომ იმუშავეებს ჩამტეხად?
მაგრამ ეს მრანდავობა არ გვეგონოს, არც ხარატო-
ბა. საქმე ცოტა რთული და მძიმეა...

გადარჩა მიშა. წაიყვანა ორთქლმავალამწყობ
საამქროში იმ რუსმა ამხანაგმა, ქართულად კარ-
გად მოლაპარაკე, შემდეგ როგორც გამოირკვა,
თავის პატარა ბიჭობაში ანიგვარაში მომუშავემ.
ეს იყო პეტია მატუხოვი.

უკვე „შორეულ წარსულად“ ითვლება მიშა-
სათვის ის განვლილი წლები. ახლა მრავალ სიძ-
ნელგამოვლოლი, დევაკაცებული, ქარხნის კო-
ლექტივის სიყვარულით გულგამთბარი, ზის იგი
თავის სამუშაო ოთახში, „მუშურ“ მაგიდასთან
და კრებას ატარებს... პარტიულ კრებას. მაგიდის
ძირესთან ზის პეტია მატუხოვი, უკვე საამქროს
უფროსი. საპირბოროტო საწარმოო საკითხებს
სწყვეტენ საამქროს უფროსი მატუხოვი და საამ-
ქროს პარტიული ბიუროს მდივანი მიხეილ სი-
ქინავა თავიანთ კომუნისტებთან ერთად.

...სასიხარულო დღე ჰქონდა მიშას, განსაკუთ-
რებით სასიხარულო. დედას საჩუქრები გამოუ-
გზავნია მისთვის სოფლიდან, არა ძველ ქოხში,
არამედ ორსართულიან ახალ სახლში მცხოვრებს,
თითქოს გაახალგაზრდადებულს და ხელახლა და-
ბადებულს. სიხუმრიდან ენტიმოლოგი ძმა — შოთა
სამაისი მოლოცვის წერილს უგზავნიდა. გათხო-
ვილ დას — ხოთოს თავისი მეხუთე შვილის ფუნ-
ჩულა ხელები შემოუხზავს ძმისადმი მოკითხვის
წერილში და ქვევით მიუწერია: „გამარჯობა, მი-
შა ბიძია!“

თითქოს წინასწარ შეთანხმებულიყვნენ, ავერ
ჯარისკაცი ძმის — ვაჟას წერილიც შორეული
ქალაქიდან. შიგ გაზეთი დეეს — არბიული გაზე-
თი. ერთი პატარა წერილია შემოხაზული, მასში
ვაჟას პატივად წერია. საინტერესოა არბიული გაზე-
თი. ეს რა არის? ეს ვინ მუხუმობს ფრონტულ
მეგობარს? მოდი წავიკითხო:

„ფრონტულ მეგობარს პარქანუში
გისწავლიყვან“

„სმოლენსკის მიმართულებით, ვარშავის გზა-
ტყვეილის მისადგომებთან დაცვის ხაზი გვეჭირა.
გვაწვიმდა ციდან. მაგრამ იყო კიდევ სხვაგვარი
წვიმა — რკინისა და ლითონის წვიმა, რკინისა და
ლითონის წვიმა, რკინისა და ლითონის ნიაღვარი.
ასე იცის საბრძოლო ვითარებამ, ახალი შევსების
მოლოდინში დაკავებულმა პოზიციამ.“

„ისედაც მომხდარა იმ მძიმე დღეებში, მოგე-
ბული ბრძოლების შემდეგ, ახალი შეტყვისათვის
შზადების დღეებში, რომ ერთი ჯარისკაცი ორი
საცეტლე წერტილად უშენდა მტერს — რიგრიგო-
ბით ხან ერთი ტყვიამტყვიევიან, ხან მეორედან,
რომ მტრისათვის იმაზე მეტი ძალა გვეჩვენებინა
ვიდრე წარმოვადგენდით. სანგრებში ძილიც რიგ-
რიგობით გვექონდა — შუალამედ ერთი იძინებ-
და, შუალამის შემდეგ — მეორე. მაგრამ ძილი
იყო კი იმისა, ვისაც „ეძინა“?“

„ასეთი ძილგეძილობის დროს მე მუდამ მახ-
ლდა შვილი — ჩემი პატარა შვილი. სიფხიზლე-
შიც ჩემთან იყო იგი, მაგრამ თვალს როგორც
მოგხუტავდი, ბურანში როგორც წავიდილი, ის
გამომეტყავდი და ისეთი, როგორც შინ დაე-
კრებ. მესმოდა მისი ტრტინი, მესმოდა მისი ხმა,
ვხედავდი ცხადად, და იცით როგორ? — იგი თით-
ქოს მშვევლია — ვახუნებს მამწვილია, ტყვიამტრ-
ქვევის დისკობებს მივსებდა... ვეხეწებოდი, ვე-
მუღარებოდი გახიხულებული თვესეხავარში, წა-
სულიყო შორს, ვარწმუნებდი, რომ აქ არ არის
მისი ადგილი, მაგრამ შვილი მაინც არ მცილდებ-
ოდა და მესმოდა მისი ტრტინი: „მამა, დისკია
შეგვისო?“ „მამილო, მასრები ავეკრიფო?““

„ჩემი პაპია შვილი ჩემთან იყო, შვილი ომში
მონაწილეობდა, დიას, მონაწილეობდა, რადგან
იგი ჩემი სულის ნაწილი, ჩემი სისხლი და
ხორცი იყო. იგი წინ მეძახოდა, მისი მოგონება,
მისი წარმოდგენა ძალას მამატებდა — იგი ხომ
ჩემიანდ განუყოფელი იყო.“

„მე ვფიქრობ, ასე იყო ყველა მამა დიდი სა-
მამულო ომის ფრონტებზე, ასე განიცდიდა, ასე
გრძნობდა, ასე მიისწრაფოდა წინ.“

„ჩემი თაბის ძმობილო, მამა რომ გქვია, ჩე-
მო ფრონტული მეგობარო და თანამოარაღეც!
იქნებ შენი შვილიც — მამინ ჩემსავითი რკინისა
და ლითონის ნიაღვრების ქვეშ თუ სანგრებში,
შეტევაზე თუ დახვეწვაში რომ გელანდებოდა და
თან გახლდა განუყოფელი, აი ის შვილიც, ისევე
როგორც ჩემი შვილი, დღეს ჯარისკაცია! ჩვენ
შეგვევალეს მათ.“

„დგანან შვილები საშობლოს სადარაჯოზე და
მათ ვაგონდებთ ახლა ჩვენ — მამები, და
გრძნობენ, რომ სულიერად მათთან ვართ, —
განუყოფელი, განუყოფელი. უპყრიათ წმი-
დათაყვანილად დროშა — მრავალ ბრძოლაგამოიღლი-
ლი, ცეცხლში გამოტარებული დროშა და... იცა-“



ვენ მის ღირსებას, სწავლობენ საბრძოლო ტექნიკის მატერიალურ ნაწილს, დგანან საგუშაგოზე და ასრულებენ განაწესს თუ ტაქტიკურ მეცადინეობაზე წინ მიისწრაფიან იარაღით ხელში, — მათ ჩვენ თან ვახლავართ, მათს ფიქრსა და გონებაში ვართ ისევე, როგორც ისინი იყვნენ ჩვენი სულის ნაწილინი იმ მკაცრ დღეებში.

„ხომ ამაყობ, ფრონტელო მეგობარო, რომ შენი შვილი იმასვე ემსახურება იარაღით ხელში, რასაც შენ და მე ვემსახურებოდით იმ ქარცეცხლიან და რკინისნიაღვრიან წლებში?“

„ვინ იცის, იქნებ ისინი ერთად არიან ახლა ამ შაისის დღეებში და გვიგონებენ ჩვენ — მამებს, ფიქრობენ ჩვენზე, ცალცალკე თვითთული, შენზე — შენი შვილი, ჩემზე — ჩემი. ჩვენც ხომ ვფიქრობთ ერთმანეთზე, ხომ ვიგონებთ იმ მკაცრი ომის მაისებს, ბრძოლაში შემოთენებულ მაისის დღეებს? და რა იციან მათ, ჩვენმა შვილებმა, რომ ჩვენც — მე და შენ — ისეთივე განუყრელი მეგობრები ვიყავით, როგორც ისინი არიან.“

„მე ვთხოვე ჩემს შვილს — მომწეროს მისი ამხანაგის გვარი, მომწეროს — რა ჰქვია მისი თანამოიარაღის მამას. იქნებ გიბოვო ასე, ფრონტელო მეგობარო, იქნებ შენ ხარ ის — მისი მამა, ჩემი შვილის ამხანაგის მამა, ჩემს გვერდით რომ იბრძოდი მაშინ ტყვიების წვიმის ქვეშ, სმოლენსკისა თუ რიგის მისადგომებთან, როცა მე ჩემი შვილის სახე არ მცილდებოდა, როცა ჩემი შვილი ასე ცხადად მელანდებოდა და მეტიტიინებოდა.“

„მე ვთხოვე ჩემს შვილს — ჰკითხოვს ამხანაგებს — სად უბრძოლიათ მათს მამებს, სად არიან ისინი ახლა.“

გაბოვნი შენ თუ ვერა, მაინც მონახული მყავ-

ხარ, ჩემო ფრონტელო მეგობარო! — ჩემი მანეთი გვაბოვნივს ჩვენმა შვილებმა, რისკაცმა შვილებმა, ჩვენ გვაბოვნივს ერთმანეთი ხარაჩოებმა, გამარული შრომისა და შენების ხარაჩოებმა, ჩვენ გვაბოვნივს ერთმანეთი დაზგებმა და მაღაროებმა, მარტენის ლუმელებმა და საკოლმუერნო მინდღერებმა, სამეცნიერო ლაბორატორიებმა და შემოქმედებითა ფიქრებმა.

„მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის მეთორმეტე ცხრა მისს — გამარჯვების დღეს გილოცავ, ფრონტელო მეგობარო! მისწერე შენს შვილს, რომ მე ვარ მისი თანამოიარაღის, მეგობრის მამა, და რომ მას ჩემს შვილთან ერთად ვულოცავ გამარჯვების მეთორმეტე ცხრა მისს...“

გაზეთისათვის ხელი არ გაუშვია. ღრმა ფიქრებმა გაიტაცეს.

„შრომა, ბრძოლა, სიხარული... ასეთია საბჭოთა ადამიანის გზა!“

ტელეფონის ზარმა გამოიყენა ბურუსიდან. მას პარტიის რაიკომში იხმობდნენ თათბირზე. თათბირი ეძღვნებოდა დიდი ოქტომბრისათვის მზადებას, ოქტომბრისათვის, რომელმაც მილიონობით მიშას მსგავსი უბრალო ადამიანი დააყენა ცხოვრების ნათელ გზაზე.

მილიოდა რაიკომში და მიჰქონდა თავისი სამაჰქროს კოლექტივის საამაყო მანქანებელი — სამაჰქრომ ხომ გეგმის გადამეტებით სამი ორთქლოვანი შეაკეთა ოთხ თვეში და ნიხიდან სამშობლოს სარკინიგზო არტერიის დიდ გზაზე გამოიყენა!

...მაგრამ ეს მაინც ცოტაა — ცხოვრების დიდი წიგნის გვერდები კიდევ წინ არის გალასფურცლად...

საფესტივალო სამზადისი

ჩვენს რესპუბლიკაში

ოდესღაც დაუდგარი მტკვრის დადინჯება გაფიქრებინებს, როგორ შეუ-რიგდლო იგი სულისშემხუთველ ბეტონის ჯებირებს, რკინის რაბს ორთაქალა-ში, ქვის არტახებს, ხალხს რომ ხიდებად გაუდვია მასზე. ხვალ თუ ზეგ ზანტა მდინარების აღმა მოსრიალე გლისერები წყლის ლივლივა ზედაპირს დასერა-ვენ. და დღეს რომ ვინმემ მტკვარზე, სტალინის სახელობის ხიდქვეშ, მამაპაპური ტივი დაინახოს — გაეცინება.

...საზეიმო განწყობილებისა და აღტაცების გრძნობას მაგრად შეუქრავს მრგვალი მორების კვადრატი. ამ გრძნობასვე დაუტევია მასზე ამდენი ჭაბუკი და ქალიშვილი. მეტივის სევდიან სიმღერას მხიარული „საფესტივალო“ ცელის და ამას—ვაჟაკური „მუმილი მუხასა“. აქ არა მარტო ფეხზე მდგარი მესტირე, მეფანდურე და ფეხმორთხმული მედოლე გრძნობს თავს კარგად — თუ კაც-მოისურვებ, ტივზეც შესაძლო ყოფილა ცეკვა...

მაგრამ ეს სანახაობა არ გააკვირვებს თბილისელებს, რადგან იგი ახალ-გაზრდობის პირველი რესპუბლიკური ფესტივალის მიმდინარეობის დღეებში გაიმართება.

„ჩირაღდნების ზეიმი“ 400 მეჩირაღდნის მონაწილეობით, ტრადიციული „ყეენობა“, უზარმაზარი ხელოვნური ჩირაღდანი სატელევიზიო კომკის გვერ-დით — ამ და მრავალი სხვა საინტერესო სანახაობის მოწმენი იქნებიან დედა-ქალაქის მკვიდრნი და საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები ახალგაზრდობის ზეიმის დროს.

ამჟამად რესპუბლიკაში გაცხოველებული საფესტივალო სამზადისია.

ჩვენს სურათზე წარმოდგენილია „ოიდიპოს მეფის“ დეკორაციის ესკიზი, შესრულებული ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის ფ. ლაპიაშვილის მიერ. რუსთაველის თეატრის სადადგმო ნაწილის გამგის ნ. კრავეიშვილის აზრით, ამ ესკიზის განხორციელებას დასჭირდება 25 კაცის 20 სამუშაო დღე, 60 კუბური მეტრი ხე-ტყე, 30 ცალი დიდი ზომის დიქტი, 250 კგ თაბაშირი, 1200 მეტრი ტილო და 150 კგ ლურსმანი.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამგვარი მოცულობის დეკორაცია მხოლოდ ღია ცის ქვეშ თუ აღიმართება. ასეცაა ჩაფიქრებული. იენისში „დინამოს“ სტა-დიონზე, ღია ცის ქვეშ, გაიმართება „ოიდიპოსის“ სამი სპექტაკლი. დეკორაცია დაიდგმება ფართობზე სამხრეთ გოლიდან სამხრეთ ტრიბუნის თალამდე.



უკვე გამოიცა საფესტივალო სიმღერების კრებული, რომელიც შემდგომში კომპოზიტორების ა. ბალანჩივაძის, ო. თაქთაშვილის, ს. ცინცაძის, ი. ტუსკიას, რ. ლალიძის, რ. გაბიჩვაძის, ბ. კვერნაძის და სხვათა ნაწარმოებებისაგან.

ფესტივალისათვის მზადების პერიოდში ჩამოყალიბებულ მხატვრულ კოლექტივებს შორის რეპერტუარის მრავალფეროვნებითა და შესრულების ოსტატობით გამოირჩევა მომღერალთა გუნდი „შვიდკაცა“ ახალგაზრდა ლოტბარჯ. კახიძის ხელმძღვანელობით.

არა მარტო რესპუბლიკური, არამედ მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის ნიშნებისა და პრიზების მიღებას იმედოვნებს კულტურის რესპუბლიკურ სახლ-



თან არსებული ქართული ცეკვის ანსამბლი, რომელიც უკვე ერთი წელია ემზადება ფესტივალისათვის. მხატვრული ხელმძღვანელია გ. დარახველიძე, ასისტენტები — V მსოფლიო ფესტივალის ლაურეატები გ. ბერაძე და ი. ზედაშიძე.

*

როგორც ცნობილია, საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ გამოცხადებული იყო კონკურსი საუკეთესო ლექსებზე. ამ კონკურსში, რომელიც მიეძღვნა ახალგაზრდობის ფესტივალს, გამარჯვებულები გამოვიდნენ ახალგაზრდა პოეტები ნაზი კილასონია, მუხრან მაკავარიანი, არჩილ სულაკაური და შოთა ნიშნიანიძე. გამარჯვებულთა მოწონებული ლექსები გაიგზავნა მოსკოვში საუკეთესო ლექსის საკავშირო კონკურსზე.

საზღვარგარეთ


ავსტრია. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის აღსანიშნავად აქ ჩატარდა ახალგაზრდობის ნაციონალური ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 500 სპორტსმენმა. ამ ჩემპიონატში გამარჯვებულმა 5 მონაწილემ მოსკოვში გამგზავრების უფლება მოიპოვა.

გფრ. მოსკოვის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მოცურავეთა გუნდს ამზადებს ბრემენის უძველესი სპორტული კლუბი, რომელიც დაარსებულია 1885 წელს. გუნდის შემადგენლობაშია 12 კაცი. აღსანიშნავია, რომ ამ კლუბმა ბევრი ცნობილი მოცურავე აღზარდა.

საფრანგეთი. პარიზის უნივერსიტეტის კლუბი, რომელიც სტუდენტებისა და მოსწავლეების სპორტულ ასოციაციაში შედის, ფესტივალის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ამზადებს კალათბურთელთა გუნდს. ეს გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია საფრანგეთში.

ნაციონალური და საერთაშორისო პრემიების არაერთგზის მფლობელი პოპულარული არტისტული დასი „ვიში სე სუარ“ VI მსოფლიო ფესტივალზე წარდგება რამდენიმე სპექტაკლითა და კონცერტით. ჯგუფი შედგება 40 ახალგაზრდა შემსრულებლისაგან.

იაპონია. გავლენიანმა საექსპორტო-საიმპორტო კინოფირმამ „დოკუ-რიცა ეიგამ“ გადაწყვიტა მოსკოვში გამოგზავნოს 1956 წლის საერთაშორისო კინოფესტივალზე პრემიით აღნიშნული ფილმი „მახირუ ნო ანკოკუ“ (კომპანია „გენდაი“). ეს ფილმი, რომელიც მაყურებელს იაპონელი ახალგაზრდების ბედზე მოუთხრობს, გასულ წელს იაპონიაში ყველაზე უკეთეს ფილმად იქნა აღიარებული.



„მისი ყვირილი“

ნახატი აღი. ბანკელოძისა

მინიცი ჯაპახიშვილი

მინიცი ჯაპახიშვილი

ექიმმა გამსინჯა და მითხრა:

— ძალიან დაღლილხარო. უნდა დაისვენოთ, გადით პარიზიდან — ან ზღვისკენ გაისეირნეთ, ან პალმებს შეეხიზნეთ. თითოც აღარ გაანძვრიოთ: სქამეთ, სვით, იხეტიალეთ, იბანავეთ და იგორავეთ. თქვენი წამალი მარტო ეს არის. ორეველარ!

პარიზს ვერ მოვწყდებოდი. ვილაცამ მირჩია ნოქანი.

საკვირველია: სადაც ზღვა სისხლი დაიღვრება, იმ ალაგს რაღაც იღუმალი ძალა მიეცემა: მისი სახელი მთელ ქვეყანას მოედება და ისტორიაშიც დარჩება. ყველას იზიდავს და იპყრობს იგი, თუნდაც უღაბური, მიუსაფარი და მიუყვანილი იყოს.

ალბათ ამიტომ ავირჩიე მდინარე მარნა და მის ნაპირზე გაშლილი ნოქანი.

პატარა ქალაქია. პარიზის გარეუბნიდან ერთი საათის სავალი ძლივს იქნება. თუნდ შარანტონის ქალებს აპყევით, გინდ ვერსენის ტყე გადასჭერით — უმალ ამ ქალაქს წააწყდებით.

აღარ დავაყოვნე: ერთი ოთახი — „პტი შამბრ“ დავიჭირავე და ექიმის დარიგებას გავყევი: დილით-სადამომდე თითსაც აღარ ვანძვრე. ვჰამ, ვბორიანლებ, მწვანეზე ვგორაობ და ნახევარ დროს მარნასა და მის ნაპირებზე ვატარებ.

არსად მინახავს ასეთი მდინარე — რონა თუ შეედრება.

ღრმა და განიერ არხს მომაგონებს: დინჯი, მშვიდი, ზანტი და ანკარა. მუდამ სთვლემს, იზმორება, ილოღნება. ზედაპირზე ჩაღის ერთ ღერსაც იშვიათად მოსძებნით, ხოლო ფსკერი — მუქი და დახავსილი — ნათლად და მკაფიოდ მოსჩანს, როგორც კენჭი ჭიქის ძირში.

პატარა ქალაქს ბაღიც პატარა აქვს, სამაგიეროდ ჩრდილოვანი, სუფთა და მყუდრო.

ერთხელ, ნასაღილევს, სანამ საბანაოდ ჩავიდოდი, ამ ბაღში შევიხედე. ვება წაბლის ქვეშ გრილი ბინდი ჩაწოლილა. ხის ჩრდილში გრძელი სკამი მოსჩანს. მივედი და დავჯექი.

ქვიშნარ გზაზე ღრმა მოხუცი მოდის — ჩანჩალია და ცანცარიო.

უფრო მოეთრევა, ვიდრე მოდის, და ერთ ფეხსაც კონკილასავით მოათრევს.



ხელში კოვრიანი ჯოხი უჭირავს. ძნელი სათქმელია: ჯოხი ჰშველოს მთელ მავალს, თუ მოხუცი ჯოხს. ორივენი ძლივს მოფარფატებენ.

პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა. ჩრდილში რომ შემოვიდა, უცბათ შესდგა — გამწყვრალი თუ გაოცებული. მითროლვარე ხელით თვალები დაიჩრდილა და მომამტერდა. მე ვზვიავარ და ვუზმერ.

დიდხანს სდგას და ცახცახებს, თანაც მიბღვერს და ხრინწით ახველებს.

მერე გაბრუნდა და წავიდა, თან განიერ და მოხრილ ბეჭებზე წყრომა მომაჩვენა.

„ალბათ შეჩვეული ალაგი წავართვი. — გავიფიქრე და თავი ვიმართლე: — სკამი გრძელია. მოვიდეს და დაბრძანდეს“.

მეორე დღეს იმავ დროს იმავ სკამზე ვზვიავარ და წიგნს ვკითხულობ. ქვიშის ხრამუნი მომესმა. ისევ ის მოფარფატებს ჩრდილში შემოდის და გუშინდელივით მამტერდება.

— ასსიეე ვუ, მესიე — დაბრძანდით, ბატონო. — მივიპატიე და ნაპირისკენ გავიწიე.

მოლასლასდა, კრუსუნით დაეშვა და გაშეშდა.

ჩვენი ყუჩილი ბინდსა და სიგრილეს ეზავება. ღრმა დუმილს იშვიათად არღვევს ჩემი წიგნის ფურცვლა და მოხუცის სუნთქვა. შემდეგ წიგნი გვერდით მოვიდე, პაპიროსი გავაბოლუე და რინდში გავეხვიე. ცხელა. მოთენთილი ვარ. ძნელი გასარჩევია, ვზვიავარ თუ ვდევარ.

სივრცეს გავცქერი და მოჟუტუთი თვალით ვხედავ: მოხუცის ცანცარა თავი გაშლილი წიგნისაკენ იღუნება. მერე უცბათ დააფრინდა, თითქო მშვიერი მოხრაკულს დააწვდაო: წიგნი გაწყალბულ თვალეზე მიიღო და ჩააცვდა. გადაშალა, გადმოფურცლა, სათაურს დაამტერდა და მომიბრუნდა:

— პარღონ, მესიე — ზოღიშს ვიხდი, რა ენაზეა დაბეჭდილი ეს წიგნი?

— ჟორჟიენ, — ვუპასუხე, — ქართულია. გაგიგონიათ ქართული, საქართველო?

„შიშით შემომხედა, შეკრთა, თითქოს ცეცხლს წააწყდაო. წიგნი სწრაფად დაჰკეცა, თითქმის მომიგდო, წამოდგა და ჯაჯჯავით წავიდა, თითქმის გაიქცა. უცბათ მოტრიალდა, თვალები ხელით დაიჩრდილა, შემომხედა და, თითქო უარესად დაშინდაო, ნაბიჯს მოუხშირა, თან ქვიშნარზე კოქრიანი ჯოხით გრძელი და ტალღოვანი ლარი გაიყოლა.“

გამეცინა.

„აზრი რამ თუ აქვს აკვიატებული“, — გავიფიქრე და მარნასაკენ გავიწიე.

მეორე დღეს ერთ პატარა სახლთან, ხლართიან რკინის კარებთან, ისევ იმ მოხუცს მოვკარი თვალი. მოდრეკილ ბოძივით იდგა და საკუთარ ფეხს დასცქეროდა. დამინახა, მოსხლტა, ეზოში შევარდა, მაღალ ბუჩქებს მიეფარა.

ისევ გამეცინა. ოციოდე წამის შემდეგ ანკარა მდინარეში ვცყუმპალაობდი. ის მოხუცი და მისი ნაკვიპიტი კი, რა თქმა უნდა, თავიდან ამოვიგდე და გრილ მდინარეს გავატანე.

* * *

ერთი კვირა გავიდა. უცნაური მოხუცი ბაღში აღარ მოსჩანს. სამაგიეროდ ორჯერ წავაწყდი ქუჩაში. ერთხელ — თავის სახლის წინ იჯდა და სთვლემდა. რომ დამინახა, წამოდგა და ცალი ხელით რკინის კარებს მოეჭიდა, თითქო გასაქცევად მოემზადაო, თან მოჟუტუთ თვალს მადვენებდა და თეთრი ნიჩბის წვერებში შიშნარეგ ღიმილს მალავდა.

შორიდანვე გავუღიმიე და სალაში მივეცი — უღრმესი და თავაზიანი აპენტილი წვერა-ულვაშიდან, თითქო მოთოვლილი ფანჯრიდან, ოქროს კბილებმა გამოიხედეს. დაშინებულმა ბებერმა პასუხი არ მომცა. სამაგიეროდ შეჭირხლული სარკმელი უფრო განივრად გააღო და ოქროს ბზინვა მზის სხივებით გამოამაყოლა.

რომ დავშორდი, შევდექი და მოვიხედე. მოხუცის სხივთა კონა ისევ მე მქონდა მობჯენილი. ეხლა იმ სარკმლიდან და ორი მოხუტული სანათურიდან, ფანჯრის ზემოდან რომ იჭყიტებოდნენ, თბილი ტალღებით მელამუნებოდნენ უცნობის ნდობა, სიხარული, ალერსი და ბედნიერება — ბედნიერება იმის გამო, რომ... არა, ჯერ არ ვიცი — რის გამო, რატომ და ვისთვის. კუთხეს მივეფარე და გავიფიქრე: „კვიატი რამ აედევნა. ბაღლობას თუ დაუბრუნდა. ალბათ აგრე იქნება... — და გადავწყვიტე: — რა თქმა უნდა, ასე იქნება: ბაღლობა თუ დაუბრუნდა“.

და მისი სახე, დამდნარი და სხივოსანი, ისევ მარნას ტალღებს გავაყოლე. ორი დღის შემდეგ ბაღის კუთხეში წავაწყდი. ჯერ შეკრთა, კედელს მიაწყდა. შემდეგ, ჩემი მშვიდი ღიმი და დაბალი სალაში რომ დაინახა, ორივე ხელით ქული მოიშვლია, კისერი მოიდრიკა და გუშინწინდელივით საამურ ტალღებში გამხვია. „კვიატი აქვს ადევნებული“, — ერთხელ კიდევ გავიფიქრე და უბრუნებლივ წავედი.

სამშაბათს, ნასადილევს — ის დღე გულში მაქვს ჩარჩენილი — ისევ წაბლის ქვეშ ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი.

ქვიშის ხრამულმა და ძალნატანმა ხველამ თვალები ამაწვეინეს. ჩემი მოხუცი ისევ ჩემსკენ მოჩანჩალებს — დაბინდული თვალებით, უნდობარი მოწიწებით და მერყევა სიხარულით. ქული შორიდანვე მოუხდია. შესდგა და ოქროვარაყი ააბზინა, ღია სარკმელი ააფარფატა.

— მობრძანდით, მესიე — დავასწარი: — პრენე ვოტრ პლას — აი თქვენი ალაგი.

წამოვდექი, მკლავში მკლავი გავუყარე და დავსვი.

— თუ ხელს გიშლით, წავალ, — და წასასვლელად გავიწიე.

— რესტე — დარჩით, ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემო.

გვერდით მომისვა და აპრაჟუნდა.

— გეტყობათ, ჩემი აღარ გეშინიათ. — გავუღიმიე.

— არა, აღარ გეშინია.

— პირველად რაღად გეშინოდათ?

— იმიტომ, რომ თქვენ რუსეთიდან ბრძანდებით.

— მერე რაო?

— ხე-ხე! მერე ისა, რომ... ჯერ თავი დავანებოთ ამას. მერე იყოს. თქვენ სტუდენტი ხართ, არა?

— დიალ.

— ქართველი — ჟორჟიენ?

— ჟორჟიენ.

— პარიზიდან ამოხვედით დასასვენებლად?

— აგრეა — ეუ ზავე რეზონ.

— მე უკვე გიცნობთ. ჩემმა შვილიშვილმა ცნობები მომიგროვა. — და ჩემი სახელი და გვარი დამისახელა, მერე თავისიც დაუმატა: — ანდრე კაშორ გახლავართ... დიალ, კაშორია ჩემი გვარი.

გაჩუმდა. შემომხედა. მუხლებზე წიგნი მეღო. ისევ მაშინდელივით, მშვი-



რით დასწვდა. ნერვიულად ჰფურცლავს, თვლებს აცეცებს, თან ჩიფჩიფებს.

— სეტ ეტონან, სელა — საკვირველია, საოცარია!

— რა არის საკვირველი, ბატონო კაშორ?

— ისე ვთქვი... არაფერი.

წიგნი დამიბრუნა და მიყუჩდა. სდუმს და გაცრეცილ ტუჩებს აცმატუნებს, განიერ წვერებს აცანცარებს, თითქო სათქმელი აქვს და შუბ გაცხირაო. მერე ცახცახა ხელი ხელზე დამადო, წვერ-ულვაში უარესად ააფრიალა და ხრინწიანი ჩურჩულთი ჩამინიავა:

— ახლა თქვენი აღარ მეშინიან... ქართული რაინდობის იმედი მაქვს... იმედი მაქვს, არ გამცემთ.

— რა თქმა უნდა, ეგ რა სათქმელია! — დავამშვიდე.

— კარგა ხანია ამბობენ, რუსეთში მეფე აღარ არისო.. თვალთ დამაყლდა, გაზეთს ველარ ვკითხულობ. ამიტომაც გეკითხებით, მართალია ეს ამბავი?

— მართალია. — დავუდასტურე. — ძველისა აღარაფერი დარჩა: არც მეფე, არც ქანდარმი, არც გენერალი.

— უჟჟ! — შევბით ამოიოხრა. — მრავალჯერ მითხრეს, მაგრამ... მაინც ისე გკითხეთ. სიფრთხილეს თავი არა სტკივიაო.

— რისა გეშინოდათ, რომ მეუბნებოდით, არ გამცემთ? — მოვაგონე.

— ჰო, მართლა. — გაიხსენა და კვლავ ჩემსკენ გადმოიხარა. — ახლა უფრო თამამად გეტყვი: მე, ანდრე კაშორ, რუსეთის „ცარის“ მოსისხლე მტერად გახლავართ. — და წელში გასწორდა, თანაც რიხით დააყოლა:

— ვუალა, ეე დი დეჟა! — აი, უკვე გითხარით.

და ღიმილით, თავმოწონედ გადმოიხედა.

ალმაცერად გადავხედე, თან ღიმილიც დავუბრუნე:

— ტიენ! მაგას როგორ ვიფიქრებდი!

— მაშა! — გამხნევდა მოხუცი. — აგრეა! „ზემლია ი ვოლია“ გაგიგონიათ?

სე მუა — ეს მე ვარ — ვუალა!

— როდის იყო ეგ ამბავი? — უკვე დინჯად ვკითხე.

ანდრე კაშორს აღარ ახსოვს.

— ძალიან დავბერდი, ძალიან.

ის კი იცის, რომ პოლონეთის აჯანყება მაშინ მოხდა — სწორედ მაშინ მოხდა, როცა...

თვალეზი გამიგანიერდა:

— აჯანყება? მას შემდეგ სამოცი წელიწადი გავიდა!

— შეიძლება... აღარ მახსოვს, არ ვიცი.

ის კი იცის, რომ მაშინ ოცდახუთი წლისა იყო. ახლა კი, ამბობენ — სხვებუ ამბობენ, თორემ თვითონ კაშორმა აბა რა იცის — თთხმოცდარვა წლისა იქნებო, მაშასადამე —

— თქვენვე დასთვალეთ, იანგარიშეთ.

დავთვალე და დავუდასტურე:

— სწორედ გამოდის. ახლა მიბრძანეთ, თქვენ რა საქმე გქონდათ იმ ორგანიზაციასთან?

როგორ თუ რა საქმე ჰქონდა! მისი წვერი იყო, ნამდვილი წვერი! კაშორი მაშინ ერთ ქალაქში ცხოვრობდა. სტუდენტად უნდოდა შესვლა, მაგრამ... აღარ ახსოვს —

— მგონი არ მიმიღეს. ის ქალაქი დიდ მდინარეზე იყო გაშენებული. — ჩაფიქრდა და — მისი სახელიც დამავიწყდა.

— პეტერბურგი?.. მოსკოვი?.. ყაზანი?..

— ვულა, ვულა! ეგ არის, ეგ! კაზან... კაზან... ვუი, სესა!

საღღაც ქარხანაში მუშაობდა — რა თქმა უნდა, განგებ. მუშებში შეიპარა. ერთი ამხანაგი ჰყავდა — ვინმე ჩერნიაკი.

— ჩერნიაკი?!.. იცნობდით ჩერნიაკს?

როგორ არა, ძალიან კარგად იცნობდა. სხვები დაავიწყდა, ის კი დაახსოვდა. პროკლამაცია დაბეჭდეს — ესეც ახსოვს. — დოღო დავილი ნას, ბრატცი — ასე იწყებოდა.

და თხი რუსული სიტყვა ძლივს მოიგლიჯა ენიდან, ისიც ფრანგული კილოთი. პირღია შევცქეროდი.

„ალბათ ეს ამბავი აეკვიატა“ — გავიფიქრე და ხმამაღლა შევეკითხე:

— მიამბეთ, იქნება გახსოვთ, როგორ მოხდა ის ამბავი, ჩერნიაკის ამბავი? ვეკითხები, თანაც არა მჯერა, რომ ეს ბებერი იმ საქმეში რეულიყოს.

* * *

ყლაპაყლუპით, ძაგძაგით და ფორხილით მიამბობს — თითქო წყალში იხრჩობაო. უმთავრესი ავიწყდება, უუმცირესი აგონდება.

— ჩერნიაკს შავი უღვაშები ჰქონდა. — და დაჰიმული ჩაფიქრების შემდეგ: — ყალბი მანრდესტი დაგებუდეთ მეფის სახელით, ხე-ხე!

ყაზანში აჯანყება უნდა მოეხდინათ. პოლონელებთან იყვნენ შეთქმულნი. ვერ მოხერხდა. დაპატიმრება დაიწყო. ჩერნიაკი და კაშორი გაიქცნენ და აჯანყებულ პოლონელებს მიემხრნენ.

— ჩერნიაკი დამეკარგა. მე კიევში ჩავედი, იქიდან გავიპარე და... — და აბორძიკდა: — და ჩავეწერე რუ... რაე... რუჟიცკის რაზმში... დიახ, რუჟიცკის ლეგიონში ჩავეწერე. დობრე პანე იყო პან რუჟიცკი. — და წამოიძახა: — რეონდ ნაროდოვი!

— ეგ რაღა არის?

— მთავრობა, პოლონეთის მთავრობის სახელია — გუვერნემან პოლონე. რეონდ ნაროდოვი!

პოლონელები დამარცხდნენ, ძალიან დამარცხდნენ. კაშორი ისევ კიევში შემოიპარა.

— ჩერნიაკი? ჩერნიაკს რაღა დაემართა?

შუბლი მოისრისა, ხსოვნის ძაფი დაიჭიმა და ხელი ყელზე წაიჭირა.

— ჩამოახჩვეს?

— სესა. დიაღ, ჩამოახჩვეს.

— პან რუჟიცკი?

ალარ ახსოვს. იცოდა, მაგრამ დაავიწყდა.

— მერე? მერე რა მოხდა?

— მერე კატორღაში ჩამსვეს.

— კიევში დაგაპატიმრეს? — ვეკითხები.

არა, სხვაგან დააპატიმრეს.

ალარ ახსოვს კაშორს, როგორ გაიქცა კიევიდან, ან სად იმალებაოდა, ან საით მიდიოდა. ერთი რამე მაინც გაიხსენა: დიდი მდინარე იყო, ძალიან დიდი — გრანდ რივიერ, ბიენ გრანდ.

— ვოლგა ხომ არ ერქვა? — გავახსენე.

— სესა, სესა! — ეგ არის, ეგ!



იმ მდინარით მიდიოდა იმ ქალაქისკენ... კაზანისკენ. ნაპირს მიაღწა, თორს სასყიდლად გადმოვიდა. რომ სინჯავდა, სწორედ ამ დროს დასწვდნენ და —

— მარტე — დამაბატიმრეს.

ბევრი რამ დაუვარდა დაჩლუნგებულ მესხიერებას: გასამართლება, შორი გზა და კატორღაც. ზოგი რამე მანაც ასსოვს:

— ერთხელ ტუსალები სოფელში გაგვატარეს. ვილაც დედაკაცმა კომბოსტოს გათლილი ღერი მომაწოდა.

— ოჰ, რა გემრიელი იყო! — და ცანცარა წვერებში სიამით ჩითხითებს. კიდევ აგონდება: ერთმა ტუსაღმა მეორეს კბილი ჩაუმტვრია:

— სეტე ტერიბლ! — საშინელი იყო, საშინელი!

შავი სახლი — ლა მეზონ ნუარ — ასე დაარქვა კაშორმა კატორღას — მუდამ დაკეტილი იყო. ტუსალები მალაროში მუშაობდნენ, ვერცხლის მადანს თხრიდნენ.

— მეც ვმუშაობდი. აი ეს ხელები მუდამ დაქლეტილი მქონდა. დამავიწყდა იმ საზარელი სახლის სახელი.

— ნერჩინსკი? — ვცდილობ გავახსენო. — აკატუი?

— სესა, სესა! — უხარიან ნაკატორღალს. — აკატუი, დაწყევლილი აკატუი!

— მერე? მერე?

— მერე... მერე აღარ მახსოვს.

— მაშ როგორ განთავისუფლდით?

— ჰო, მართლა! — წასწვდა გაწყვეტილ ძაფს.

მერე ვილაცამ რაღაც მოახერხა. სამი ტუსალი გაიქცა. კაშორიც თან გაიყოლეს, რადგან ღონიერი, მარდი და გაბედული ვაშკაცი იყო. მხოლოდ სამი სახელი აგონდება — ქედის, ქალაქისა და მდინარის:

— ბორზა... აღუნ ჩაღონ და... ხაილარ.

— ხაილარ ქალაქია ჩინეთში, — მოვავგონე.

— მართალია, მართალი.. — ვუ ზავე რეზონ, მონ შერ ამი. — და სინარულით აქმუტდა. მერე ხსოვნა დაიჭიმა და წამოიძახა:

— მაკაქ! მაკაქები! გაგიგიათ?

— იაპონია? — მივახვედრე.

— დიად, დიად, უაპან — იაპონია. კუნძულები... მბოლავი მთა... ჩაღის ტანსაცმელი... პატარა ქალები — გეიშები, და ცხენ-ადამიანი — რიკშები. ხე-ხე, რა სასაცილოა!

ის ქვეყანა კარგად ახსოვს კაშორს.

— მგონი იქ დიდხანს ვიცხოვრე. მაგონდება ფორმოზა... სოლომონის კუნძულებიც... გვინეა და...

და მეტი არაფერი. ახსოვს ბრინჯის, ყავისა და შაქრის პლანტაციები:

— სე ტერიბლ! საშინელი! საზარელი!

მერე ევროპაში გადმოვიდა. აღარ ახსოვს, როგორ ან რისთვის.

— ჰო, მართლა, კინდამ დამავიწყდა: ერთი მაიმუნი და ერთი თუთიყუში მყავდა. ახი-ხი! რა სასაცილონი იყვნენ!

— სად? როდის?

როდის? აბა, რა იცის! სად? არც ეს აგონდება. იქნება იაპონიაში, შეიძლება ლიონშიც. შემდეგ ცოლი შეირთო, რადგან —

— მეც ადამიანი ვარ, ნე სე პა? ხომ აგრეა?

— რა თქმა უნდა! — გავამართლე.

აიშენა ოჯახი. წამოვიდნენ შვილები. მოჰყენენ შვილიშვილებიც.

— რამდენნი ხართ?

სთვალა და ვერ დასთვალა:

— თორმეტი ან თვრამეტი.

ერთი შვილიშვილიდა ჰყავს ამ ქალაქში. სხვები დაიფანტნენ. და დაასრულა:

— აჰა, ყველაფერი გიამბეთ. — და ხმელი მკლავი მომხვია: — დღევანდელი დღიდან ჩვენ მეგობრები ვართ, არა — ნე სე ჰა?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მაგრამ... თქვენი ნამდვილი გვარი და სახელი?

მოხუცი შეკრთა. თითქოს ნემსი უჩხვლიტესო. დაბნეული თვალები შიშით გააცეცა — ყურს ხომ არავინ მიგდებსო. მერე ყურში ჩამახველა:

— ანტრ ნუ — ჩვენში დარჩება?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

— მაშ იცოდეთ: ანდრო კაიშაური ვარ.

შეეკრთი.

— დიად, ეს არის ჩემი ძველი სახელი და გვარი: ანდრო კაიშაური.

— რაო?! როგორ?! — და გახეხვიდა. ტანში ჭიანჭველებმა ჩამირბინეს. — კაიშაური?

— დიად, ანდრო კაიშაური. — განიმეორა. — გაგიკვირდათ, მეგობარო?

ენა ველარ ვიპოვნე. აჰ, ამ პაწაწა ქალაქში, სადაც ალბათ ქართველის ფეხიც არ შემოდგმულა, ეს მოხუცი, ტერორისტი, ფრანგი!

— მაშ თქვენც ქართველი ყოფილხართ? — შევეკითხე.

კაიშაური უკვე სწორად იჯდა და თითქო ნამდვილი გვარის გამქდავენბას ნანობდა. მხრები შეიშმუშნა და ცივად გადმომიგდო:

— ონ დი — აგრე ამბობენ, თორემ მე... მე აღარ მახსოვს.

— აღარაფერი არ გახსოვთ? სულ აღარაფერი?

— რიენ, რიენ — არაფერი, აღარაფერი.

— გაიხსენეთ... მოვიგონეთ. — ვუჩხვრევე მკლავსა და გახეხვებულ ხსოვნას. მაგრამ ველარაფერი გავახსენე. კაშორ-კაიშაური თვითონაც გახეხდა. კუნძივით იღო და ჯაფარასავით აჩხაკუნებდა:

— რიენ... აბსოლიუმან რიენ...

— არც სოფელი, არც დედა, არც სხვა ვინმე?

ისევ „რიენ, აბსოლიუმან რიენ“, და მეტი აღარაფერი.

— ალბათ საქართველოში დაიბადებოდით. — ვაცივდები ცოცხალ მორს და კითხვების მუჯღუჯუნით ვლამობ მავიწყობის განგრევას.

— ონ დი — ამბობენ. — და წამოდგა: — ორევეუარ, მონ შერ. თუ გამახსენდა რაჰე, გიამბობთ.

— მართლა? პირობას მაძლევთ?

— უეჰველად, უეჰველად, მონ შერ. ნახვამდის, მშვიდობით.

და ისე წაფარტატდა, თითქო ფეხები მობმული ჰქონოდა და შიშობდა არ დამიცვივდესო.

კაშორ-კაიშაურს ნაწყენი თვალი და აშლილი ფიქრები გავაყოლე: მეორედ და მესამეჯერ რომ შევხვდი, საყვარელი შვილივით მიმზერდა. დღეს კი, როცა უცხოეთში, არმოცი თუ სამოცი წლის შემდეგ, სისხლის ძმას შეხვდა და თვისი ქართველობაც გაამქდავანა, დღეს უცნაურად ზარდიქმანა, გაიყინა, თითქო ეწყინა კიდევაც. ვფიქრობდი და ვერ გამეგო.

ან ვინ იცის? ვინ გაიგებს? ვინ გახსნის გაბალღებული მოხუცის ბეჭდებს?

* * *

ალარ ვიცოდი, კაშორი დამერქმია თუ კაიშაური. ისევ კაშორი ვამჯობინე.
— ბონ ჟურ, შერ მესიე კაშორ. — მივესალმე თავაზით და მოწიწებით.
— გაგიმარჯოთ, მეგობარო. — გაუხარდა მოხუცსაც. — დაბრძანდით... ახლოს მოიწიეთ. ისევ ის წიგნი დაგაქვთ, არა? რა წიგნია, რა ჰქვია?

— ვეფხის ტყაოსანი.

და მოკლედ ვუამბობ პოემის შინაარსსა და რუსთაველის ვინაობას.

— ტიენ... ტიენ! ძალიან საინტერესოა, ძალიან. — და დააყოლა: — აბა, წამიკითხეთ ორიოდე ალაგი.

ხმამალა ვკითხულობ, თან ვუთარგმნი. განაბული მიგდებს ყურს. ზოგჯერ ჩამიქსოვს:

— სე დი ტრე ბიენ — კარგად არის ნათქვამი... მშვენიერია!.. საუცხოვო! ნამდვილი მუსიკაა, ნამდვილი.

კაშორი ნაკითხია: უყვარს ლამარტინი, ჰიუგო — დანარჩენი დაავიწყდა. ის კი ახსოვს, რომ ბევრს კითხულობდა, ძალიან ბევრს, მაგრამ —

— სულ დამავიწყდა, ბევრი რამ დამავიწყდა. რა ვქნა, ასე სცოდნია სიბერეს. აბა, კიდევ წამიკითხეთ რამე.

წიგნი გადავშალე, წავაწყდი და წავუკითხე:

ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გქირსა!
ყოვლიმც შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა,
სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა!

და სიტყვა-სიტყვით გადავუთარგმნე.

მოხვდა, შეერთა, მომიბრუნდა. ჯერ პირი ააცმაცუნა, შემდეგ წვერებში ჩაიკენესა:

— ჰელა, ილ ა რეზონ — ვაი რომ მართალია! დიდი სიმართლე უოქვამს. დიდი... სადაურსა სად წაიყვანს... — და ათრთოლებული ხმით დაუმატა: — მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, ღმერთო!

— შერ კაშორ — ვკითხე — დავიჯერო, ამდენ ხანს ერთი ქართველიც ალარ შეგხვედრიათ სადმე?

შუბლი შეიკეცა. დიდხანს სდუმდა. მერე მოიგონა:

— ამოდენა ვიქნებოდი, — და თავის მუცლის ღონეზე გაფშოკა მკლავი, — ამოდენა ვიქნებოდი, რომ ჩემი ღედ-მამა მთებიდან აიყარა და ველნარში გადასახლდა. ურამით მივდიოდით... შორს, ძალიან შორს წავედით... რუსებში ჩავსახლდით... მას აქეთ ჩვენებური აღარავინ მინახავს. თუმცა, მაგონდება, კატორღაში შემხვდნენ, მაგრამ მე იმათი თითქმის აღარაფერი მესმოდა... მერე ისიც დამავიწყდა, რაც ვიცოდი.



— ახლა? ახლა სადა სთვლით თქვენს თავს — ქართველებში, რუსებში თუ ფრანგებში?

— ახლაა? — გააგრძელა. — ახლა თავდაპირველად აღამიანი, ვარ, ინტერნაციონალი... რა თქმა უნდა, ასეა: მთელი კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისთვის ვიბრძოდი. მაშ ასე: ჯერ აღამიანი ვარ, შემდეგ ფრანგი... დიად, ფრანგი გახლავართ.

— მერე რუსი იქნებით. — შევაპარე ფრთხილად.

— სესა — აგრეა. იქაც ვიბრძოდი, ამხანაგები მყავდა... იქ დავიტანჯე. იქ დავტოვე ჩემი ახლგაზრდობა... ცოლი, შვილები.

— ცოლი და შვილებიც?

— დიად, ცოლი და შვილებიც... ყაზანის მახლობლად ერთ სოფელში... სახელი დამავიწყდა.

— იმ სოფლის სახელი აღარ გახსოვთ, სადაც დაიბადეთ?

კაშორი ნიკაპით ჯოხის თავს დაებჯინა და ჩაფიქრდა.

— ნონ! — სთქვა დუმლილის შემდეგ და თეთრი თავი გააქნია. — არა, არ მახსოვს. აღარ მახსოვს.

— თქვენი მამის სახელი?

თეთრი თავი თითქო კისერს მოსწყდა, მკლავებში ჩაუვარდა და იქ წაიკრუსუნა:

— დამავიწყდა... გეგეც კი დამავიწყდა... ალბათ იმიტომ დამავიწყდა, რომ ფრანგები მამის სახელს არ ატარებენ.

— დავიჯერო, დედის სახელიც აღარ გახსოვთ? — უხეშად ვძიძგნი ბებრის წყლულს.

ჯოხი ძაგძაგებს, შემდეგ იდრიკება.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — ახრიალდა კაშორი. — ეს ერთი ხანია დედის სახელიც დამავიწყდა... ზოგჯერ შვილი გამახსენებს ხოლმე, ან შვილიშვილი... ოჰ, მიზერაბლ — შე უბედურო ჩემო თავო!.. დაწყევლო სიბერე!.. მამან... შერ მამან — დედა ჩემი... ჩემი ძვირფასი დედა...

— შერ კაშორ, — ვამშვიდებ — შინ დაბრუნდებით, იქ გაგახსენებენ. არა ღირს მაგის გამო შეწუხება. დაწყნარდით... დამშვიდდით...

თეთრი თავი დიდხანს ცაცხაბებს. განიერი ბეჭები ხტუნაობენ. წვერა ცანცარებს, ხოლო ჯოხი ისევ თრთის და ილუნება.

— მამან... შერ... მამან... — სლუკუნებს თეთრ წვერებში და უარესად ილუნება.

ძლივს დამშვიდდა. თავი ცალ მკლავზე დაიდო, გვერდულად შემომხედა და ბავშვივით მომეაჯა:

— მიაბზეთ რამე, მონ შერ, გამახსენეთ. ჩემი ქვეყნისა არაფერი ვიცი... არც უწინ მცოდნია.

ყინული გალხვა: „ჩემი ქვეყანა“ ახსენა. და მეც გავახსენე, რაც მომაგონდა: ჩენი მთები, ველ-მინდვრები, მდინარენი, ქალაქები, ზნე-ჩვეულება, ტანისამოსი. კაშორი ხან იღიმება, ზოგჯერ იჭმუნება: იკონებს და ვერაფერი გაუხსენებია — არც ერთი მთა, არც მდინარე, არც კუთხე, არაფერი! აღარადღერი!

— კახეთი... ქართლი, — რიგრიგად ვთვლი პროვინციებს, — იმერეთი, გურია, სამეგრელო...

— არ მახსოვს... არ მაგონდება.

და მწუხარებით იქნევს თოვლიან თავს.



— იქნება ხევსური ხართ... ან რაჰველი... ან კიდეც თუმი, ფშავი, ვაჭანული რელი?

— ნონ, მონ შერ, ნონ. აღარ მაგონდება, არა... ვაი მე, უბედურს, ვაი მე, საბრალოს!

ყოველივე ცხრაკლიტურია მისთვის, ყველანი და ყველაფერი დაეკეტა, დანიალა, დაეკარგა. რკინის ყუთი გაუტეხელია, გაუბზარავი. ტყუილად ვუვლი და ვუჩხიკინებ.

კაშორი კი ისევ ციხის ტყვესავით იმუდარება:

— რაკონტე ანკორ — კიდეც მიაშბეთ რამე, კიდეც.

და მეც უიმედოდ ვუვლი ირგვლივ მიუვალ ციხეს: ვუამბობ მოკლედ ჩვენს ისტორიას, ვინაობას, ახალსა და ძველს, ავსა და კარგს.

ხოლო მოხუცისა ყოველივე მისმენს: დაღებული პირი, ბანჯგელიანი ყურები, გღვივებული თვალები, ცანცარა წვერიც, მითროლვარე თავიც და უჩინარი გულიც, თან დროგამოშვებით ბუტბუტებს, ან იძახის:

— ტიენ!.. საოცარია!.. საშინელია!.. დიდებულია!..

შემდეგ უცებ წამწვდა ხელში და მკითხა — თითქო ამის დავიწყებისაც ეშინოდო:

— დიტ მუა — მითხარით, როგორ ითქმის ქართულად პაპა ე მამან — მამა და დედა?

და ისევ ყველაფრით ჩამაშტერდა: თვალებით, კბილებით, ყურებით და გულით.

— ფრანგულად „პაპა“ მამას ნიშნავს, ქართულად კი — პაპას, მამის ან დედის მამას.

— ტიენ! — შეკრთა მოხუცი.

— თქვენებური „მამან“ — დედა — ჩვენებურად მამას უდრის. ქართულად კი ასე გამოითქმის: დედა... დე-და!

— საოცარია, საკვირველია! დედა... დე-და! — და ამ სიტყვას ფრჩხილებით, სულით და კბილებით დაეჭიდა: — დე-და... — იმეორებდა. — დე-და... დედა... დე-და! — მერე მოტყდა და დაიკენესა: — მაინც არ მაგონდება, ეს სიტყვაც აღარ მაგონდება. ოოჰ, უბედურო ჩემო თავო! საბრალო სიბერე! ორევეარ, მონ შერ, ნახვამდის! დავიგვიანე... ალბათ მეძებენ.

და ოხვრით, ბურტყუნით და ბარბაცით წაფორხილდა — თითქო ბრაზით, დარდით და ურვით დატვირთულ ტომარას მიათრევდა.



მეორე თუ მესამე დღეს კაშორი თუ კაიშაური აღარ გამოსულა ბაღში. რამდენჯერმე ჩავუარე სახლის წინ, მაგრამ ვერავინ დავინახე პატარა ბავშვის გარდა, რომელიც ბურთს დასდევდა.

მეოთხე დღეს კარი დამიკაკუნეს.

— მე კაშორი გახლავართ, — მითხრა შემოსულმა დედაკაცმა, ახალგაზრდამ და უბრალომ, — ანდრე კაშორის რძალი.

— დაბრძანდით. როგორ ბრძანდება მესიე კაშორ?

— კარგად ვერ არის. ჩაწვა. ძალიან გთხოვთ, მნახოსო.

— სიამოვნებით. — და ქუდი დავიხსურე. — რა დავმართა?

საიმისო არაფერი. მოხუცდა, ძალიან მოხუცდა. მესხიერება დაუჩლუნგდა. ხშირად უბრუნდება ბავშვობას.



— ამ ცოტა ხანებში ისე გამოიცვალა, რომ ძლივსა ვცნობთ. დღეს ოცჯერ გვეკითხება თავისი დედ-მამის სახელს და ამდენჯერვე ავიწყდება. გარდა ამისა... — და გაყუჩდა.

— გარდა ამისა? — მოვაგონე.

— გარდა ამისა, რაღაც უცნაური ემართება.

— რა ემართება, მადამ?

— სასაცილოა. თორმეტი წელიწადი ამ ოჯახში ვარ და ათჯერაც ძლივს გამიგონია მოხუცისაგან — მე კავკასიელი ვარო. აქამდე მეტი არაფერი უთქვამს. ახლა კი...

— ახლა კი?

— ახლა კი აიჩემა: ყორყიენ და ყორყიენ — მე ქართველი ვარო. ვეღარ ისვენებს. დასაჯლომი ან დასაწოლი ვეღარ უბოვნია. დღედაღამ კრუსუნებს, ჰბორგავს, დადის და რაღაცას იგონებს.

— მერე, მადამ, მოიგონა რამე?

— ვერაფერი, ვერც ერთი სიტყვა, ვერც ბუჩქი, ვერც სოფლის ან ქალაქის სახელი. მუდამ თქვენზე ლაპარაკობს — ჩემი შვილიაო, ხა-ხა! სასაცილო არ არის, მესიე?

— რა თქმა უნდა, მადამ, სასაცილოა.

— დაგტანჯა: გამახსენეთ, რა ჰქვია ქართულად „მამან“-სო?

— დედა. — ჩავუბრუნე მე.

— სესა, ეგ არის! გახარებული ბავშვივით დაბრუნდა და გვიამბო, ეგ სიტყვა გვითხრა. მერე ყველას დაგვავიწყდა. სასაცილო არ არის, შერ მესიე?

— რა თქმა უნდა, მადამ, სასაცილოა.

— აი, მოვედით კიდევაც. ანტრე მესიე. აი მისი ოთახი. შებრძანდით. ორეველარ!

კარები შევალე და შევედი. კუთხეში თეთრი ნიჩაბი აცანცარდა. ორი მკლავი ცახცახით გამოიშვირა და ახრიალდა:

— მონ შერ ფის!.. ჩემი შვილი. ოოპ, ჩემო შვილო!

და ჩამიხუტა, თანაც მისაყვედურა:

— აგრე უნდა, განა! რატომ არ მომიგონე? რატომ არ მოხვედი? ავად გავხდი. ოთახიდან ვეღარ გამოვდივარ.

— არ ვიცოდი, შერ კაშორ...

— კაშორ, კაშორ! — წყენით წამოიძახა. — თქვენთვის კაშორი კი არა ვარ, არამედ კა...კაი... კა...

— კაიშაური. — გავახსენე.

— აი, იქამდე მივედი, რომ საკუთარი გვარიც კი დამავიწყდა. ოოპ, შე უბედურო, შენა!

— ნუ სწუხლებით მაგის გამო, მესიე კაიშაური.

— არა უშავს-რა, — გამახსენდა. — ჯერ ეს მითხარი, გამახსენე, შვილო. რა ჰქვია ქართულად „მამან“-ს? დამავიწყდა.

— დედა.

— დედა! დე-და! — გაუხარდა. — აბა, ადექი და ეგ სიტყვა ფრანგულად დამიწერე აგერ იქ, იმ კედელზე... მარჯვნივ... შემოთ... სწორედ მანდ.

ფანქრით დავწერე თეთრ კედელზე. დავწერე და იქვე ამოვიკითხე — ისევ დანქრით მინაწერი: „სოლომონ“ და „ელენ“.

— ეს ვისი სახელებია, მესიე კაშორ... კაიშაური? აქ სწერია: სოლომონ და ელენ.



— ჩემი მამან ე პაპა! — წამოიძახა და სახე გაუბრწყინდა. მერე გარკვევით და აღფრთოვანებით მოაყოლა: — მონ დედა, დე-და! შერ დედა, მა შერ დე-და! — და ერთი წამის შემდეგ, ასო ჩინს რომ ვერ დასძლია, ბავშვივით ატი-ტინდა: — შემე დედა... ტშემე დე-და... დედა!

შემდეგ ცოცხალ წიგნივით ამაღაპარაჟა: ვინა ვართ? რამდენნი? რა იყო? როგორ მოხდა? ბოლოს, დღევანდელიც რომ ვუამბე, ძლივს დაიჯერა.

— მაშ მე რომ მოვიინდომო დაბრუნება, შემეშვებენ საქართველოში?

— უეშველად.

— სახიფათო არაფერია?

— რა თქმა უნდა; არაფერია. პირიქით, ოკონტრერ, თქვენს წარსულს რომ გაიგებენ, დიდის პატივითაც დაგიხვდებიან.

დიღხანს იფიქრა, დიღხანს აცმაცუნა წვერებში ჩაფლული მიკეტილი სარკმელი. მერე თავი მომიბრუნა და —

— მაშ, შვილო, ახლო მოიწიე... არაფერს გავევიგოს. — და ყურში ჩამიხრია-ალა: — უნდა წავიდე... უნდა დავბრუნდე.

— თქვენ? თქვენ უნდა დაბრუნდეთ?

— ჰო, მე, ანდრო კაიშაური. რას იტყვი?

ანდრო კაიშაური უნდა დაბრუნდეს. ოთხმოცდარვა წლის მოხუცმა, თითქმის დამბლად დაცემულმა, ასეთი შორი გზა უნდა გადაიტანოს. მერე რისთვის? ვისთვის? ვისთან მივა, ვინ დაუხვდება? არც ენა იცის, არც ნათესავს იცნობს. ან შერჩა კი ნათესავი? ან იქამდე ვინ ჩაიყვანს?

— გაოცდი, განა, მონ შერ!

— დიად... არ მესმის, რა გინდათ საქართველოში?

— დედა! — წამოიძახა ქართულად.

— თქვენი ოჯახი ხომ რუსეთში გადასახლდა. მაშ თქვენი დედაც იქ იქნება დასაფლავებულა.

— მართლა, რუსეთში მოკვდა. — და კისერი მოედრია.

— კარგად ყოფილხართ მოწყობილი. — ვცადე მისი საკმუნავის წაშლა. — ყველაფერი გქონიათ: სახლი, ბაღი, ოჯახი...

— კან მეშ — შემაწყვეტინა — მაინც წავალ. უნდა ვნახო იქაურობა, ხალხი, ნათესავები. გარდა ამისა, ჩემი სამშობლო ხელახლად დაბადებულა... ხომ მართალია?

— მართალია...

— მაშ მარტო ამისთვისაც რომ წავიდე, ესეც საკმარისია. ახალი ქვეყანა... ახალი ხალხი. ჩემი ქვეყანა, ჩემი ხალხი. ყველანი ჩემი შვილები და ნათესავები არიან.

— ნათესავები აქაც ბლომად გყოლიათ.

— არა, შვილო, არა. ესენი აქაურები არიან — ფრანგები, ფრანგი ქალის შვილები.

ანდრო კაიშაურს კი მხოლოდ იქა ჰყავს ნამდვილი ნათესავები — იქ, „ან ყორეი“. ისინი ალბათ სხვანაირები არიან — ბუნებაც, ხალხიც, ცხოვრებაც. კამორს თუ კაიშაურს არაფერი ახსოვს, მაგრამ გრძნობს და იცის, რომ...

— ნონ, ნონ! — ისე წამოიწია, თითქო მაშინვე აპირებდა ქუდის აღებას და საქართველოში წამოსვლას. — არა, არა! უნდა წავიდე... უეშველად უნდა წავიდე. ედღე მუა, მიშველე, მონ შერ, მასწავლე და მიშველე.

წამოიწია, მაგრამ ფეხი ვერ გაისწორა და ტანიც ვედარ აიტანა. მერე მუდარით მომანათა გაცვეთილი თვალები და წყალწაღებულვით შემეხვეწა:



— აგრე როგორ გაგიძნელდა, შვილო, გზის ჩვენება და დარიგება? მიშველე-მეთქი, მითხარი...

— დამწვიდლით, მესიე. ახლავე გასწავლათ ყოველივეს.

და ვასწავლე: დავჯექი და მთელი თაბანი დავწერე: კაიშაურის ვინაობა, თავგადასავალი და თხოვნა, რომ სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მისცენ მას, „საწყალო მოხუცს, გზადაკარგულს, უპატრონოს“.

— დიად, დიად. — მიკარნახებს კაიშაური ხელეში ჩაფლული პირით. — ასე დასწერე: საბრალო მოხუცს, რომელსაც ამ ქვეყანად გზა დავკარგა... თავის მიწას მოსწყდა... უპატრონოდ დაბერდა. დიად, დიად. უპატრონოდ დალია თვისი ღღენი-თქო. ესეც ჩასწერე: მე კიდევე შემიძლიან... ცოტაოდენი მაინც გავაკეთო. ვინმე მაინც გავამხნეო, ნუგეში მაეცე... წავახალისო. ესეც ბევრია, ძალიან ბევრია. ვიცი რა ფასიც აქვს ზოგჯერ თუნდაც ერთ სიტყვას, ერთადერთს. დასწერე, მონ შერ ამი?

— დავწერე, შერ პაპა.

— ახლა ასე დაასრულე: მე დარიბ-ლატაკი კაცი ვარ. ეს სახლ-კარი ჩემს რძალს ეკუთვნის. რაც რამ მქონდა — სიცოცხლე, ძალღონე, ახალგაზრდობა და ერთი მუჭა ნაშრომი — ყოველივე იმას შევწირე: ინტერნაციონალს, სოციალიზმს, პროლეტარიატს, ბრძოლას. დასწერე, შვილო?

— დავწერე, შერ პაპა.

— განაგრძე, შვილო: ნადირი სანადიროდ გავა, ფრინველი — საკვებისათვის, ადამიანი — საბრძოლველად და სამუშაოდ. მერე ყველანი დაბრუნდებიან: მხეცი ისევ ბუნაგში შევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი — თავის ქოხს. მე კი წამოვედი და ველარ დავბრუნდი. ხომ დასწერე, შვილო?

— დავწერე, მამა.

— მიუმატე: მე კი ველარ დავბრუნდი. ვიბრძოლე, ვიმუშავე. აღარაფერი შემრჩა, გარდა ოთხმოცდარვა წლის ტვირთისა. მიძიეა, მეტად მიძიე ტვირთთა. ღღეს თუ ხვალ უნდა გამსრისოს. მაშ ასე: ველარ დავბრუნდი-თქო. იმდენი ვიხეტიალე, რომ დედ-მამის სახელიც კი დამავიწყდა... საკუთარი გვარიც... ისიც აღარ ვიცი, სად არის ჩემი ბუდე თუ ბუნაგი... ან რა ჰქვიან იმ კუთხეს. სწერ, შვილო, რასაც გეუბნები?

— ვწერ, მამილო.

— ისიც არ ვიცი, რა ჰქვიან ჩემს ნაქოხარს. რომ დავბრუნდე, ვერც კი ვიპოვნი. მაინც რაც უნდა მოხდეს, მსურს დავბრუნდე. და ჩემი უკანასკნელი მუდარაც, ერთადერთი ჯილდოც და ანდერძიც ეს არის: დამაბრუნეთ... წამიყვანეთ... მაჩვენეთ... დასწერე, შვილო?

— დავწერე — ჩავილაპარაკე ჩემთვის ხანგრძლივი ღუმილის შემდეგ — დავწერე, მამილო. — და მოვბრუნდი: — გავათავე, შერ პაპა.

* * *

ანდრო კაიშაური საქანელა სკამზე გამოტილა და ჭერს უღიმის — უცნაურის, წმინდანის, საიმქვეყნო ღიმილით, თანაც მორთოლვარე ხელს აფათურებს სიკრცეში.

და უცებ მკაფიოდ აჩურჩულდა — სუფთა ქართულით, ჩვენებური გამოთქმით:

— ჩემი დედა ელენე... მამა ჩემი სოლომონი... ვილაყ ანანური.

წამოვიჭერი — თითქო ცეცხლზე ვიჯექიო — თავთ დავადექი და, სულვანახულმა ყური მივუგდე.



კაიშაური ბუბუბუბებს, თითქოს უჩინარს ეუბნებაო — ზოგს ქართულად ზოგსაც ფრანგულად:

— ვილაჟ ანანური... მაგონდება, მაგონდება: ღრმა ხეობა... შიგ ვილაჟ... სოფელი ანანური — და გარკვეული ქართულით დააყოლა: — არაგვის წყალს. გარინდული ვდგევარ. გული მძლავრად მიფეთქავს. მეშინია — ვილაც თუ რაღაც არ დავაფრთხო.

— გრანდ ეგლიზ ე ფორტერეზ — და უმალვე ქართულად გადათარგმნა: — დიდი ეკლესია და ციხე... ძველი ციხე... ტყე... მთები... მწვანე მთები. ხე-ხე-... სიხარულისაგან ჩაიხითხითა, ხელები მოიფშვნიტა, აცმუტუნდა.

ადგილი ზოგინაცვლე, წინ ავეტუშე და ქართულად კვითხე:

— ანდრო, მიცანით?

ჯერ გაოცდა, შემდეგ გაუხარდა:

— ჩემი შვილი... ჩემი ვაჟი. ხომ ხედავ, ხომ გესმის, რა დამემართა?

— მესმის, ვხედავ... გავახსენდათ, ქართული გავახსენდათ.

— დმერთო, მიშველე! გამახსენდა... ყველაფერი მომაგონდა. ვხედავ... ვიცი... — და აკანკალებული თითები თვალების წინ ააცმაცუნა. — აი, აქვე სდგანან ყველანი. ვხედავ დედა ჩემს.. მალალი, ლამაზი, შეგვეგრემინი... შავი მანდილი აქვს წამოსხმული... აი, აქვე ზის ჩემს თვალწინ... მუხლებზე მე ვკვარ — ცხრა თუ ათი წლის ბაღლი ვარ... ჩემს თავსაც ვხედავ. ვიციანი და ვეხვევი... დედას ვეხვევი... მკოცნის და მიღუტუნებს. ოჰ, დედი... დედილო!

ხელები თვალებზე აიფარა. მერე ისევ განაგრძო:

— მამა ჩემი ბალში მიდის. მეც მივლევ ცუნცულით... მიწაზე ხილი ჰყრიან. ვკრფავ... კალთა სავსე მაქვს. შაქროსაც ვაძლევ, სოფოსაც, ტიტესაც... მერე ჩილიკას ვთამაშობთ.

— მერე?... მერე? — ჩავჩურჩულე.

— კიდევ მაგონდება, ყველაფერი მაგონდება. რაღაც მოხდა... მამა ყველაფერს ჰყიდის... ურემზე ვსხედვართ და მივდივართ... დარიალა. ძაღვი. მოზდოკი. იქ ვიზრდები... ქართული თანდათან მავიწყდება. მერე რუსეთის ქალაქები... შეთქმულება... ბრძოლა... აკატუს კატორღა. ოჰ, დმერთო ჩემო, რა ლამაზი და დიდი ქვეყანა გამიცოცხლდა!

დიდხანს სდუმს და იმ ქვეყანას უღიმის. შემდეგ შემომხედა, დამაშტერდა. გაიხსენა:

— მართლა, შვილო: ჩემი თხოვნის პასუხი ჯერ არ მოსულა?

ცხადია, დრო აერია.

— არა, მამა, ჯერ არ მოსულა.

ოთახს თვალი მოავლო და მკითხა:

— ეხლა სადა ვართ, შვილო?

ცხადია, სივრცის თვალის შეეშალა.

— თქვენს ბინაზე, ქალაქ ნოქანში.

შუბლი შეიკრა — თითქო გაოცდაო, თანაც ეწყინა. თვალებში მუქი ნალექი ჩაესხა, ტუჩებზე ვარამი დააწვა. თავი ჩააქნია, თითქო ვილაცას რაღაც უსაყვედურო, და გახედა.

მისმა რძალმა ერთი ჭიქა რძე შემოიტანა, პატარა მაგიდაზე დასდგა და ის მაგიდა წინ მიუდგა.

კაიშაური თვალს ადევნებს, თითქოს იმ დედაკაცს პირველად ხედავს.

— აი, თქვენი რძე. პრენე, გრან პერ — მიირთვიეთ, პაპა. — ეუბნება რძალი.



მოხუცმა ამომხედა, გოცებულ თვალები ამომისროლა და ქართულს
 მკითხა:

- რა სთქვა? გადამითარგმნე, შვილო, რა უნდა, რას მეუბნება?
- გადავითარგმნოთ? — და გავხედე.
- ტიენ! — ჩემზე მეტად გაუქვირდა დედაკაცს. — რა ენას ლაპარაკობ?
- რა უნდა-მეთქი, შვილო? გადამითარგმნე.

ახლა ტუჩები შეკეცილი ჰქონდა, შუბლი — ნაოჭებით დაღარული. ხმაშიც
 სიკვრპე ჩაიდვარა. მთელ სახეზე რაღაც მტკიცე უნის გადაიკრა.

— განა ვერ გაიგეთ? რძე მიირთვითო.

პირისახეზე ღიმილი გველის წიწილასავით ჩაუტყურდა და თეთრ ბუჩქნარ-
 ში ჩაიმალა.

— როგორ ვერ გავიგე! ქართული რომ გამახსენდა, განა ფრანგული დამა-
 ვიწყდა!

— მაშ... არ მესმის...

გველის წიწილა ერთხელ კიდევ აიკლაკნა ტუჩებთან.

— გასაგები ბევრი არაფერია. უთხარი ამ დედაკაცს: ანდრე კაშორი დღე-
 დღიდან ანდრო კაიშაურია-თქო. უთხარი, უთხარი-მეთქი!

— მესიე კაშორ დი, კე... — და ნათქვამი გადაევუთარგმნე.

დედაკაცმა პირი დაალო. მერე მოხუცს ჰკითხა:

— ეს რაღას ნიშნავს? თქვენ თვითონ ველარ მეტყოდით?

— რა სთქვა, შვილო? გამაგებინე. — ისევ მე შემეკითხა კაიშაური.

ისევ გადაევუთარგმნე და პასუხად ასეთი ვანცხადება მივიღე — მტკიცედ
 და უდრეკად ნათქვამი:

— გადაეცი ამ დედაკაცს, რომ მე ერთხელ და სამუდამოდ უარს ვამბობ
 ფრანგულზე. მეყო... დროა გავათავოთ... ესეც დაუმატე: ამ დღეებში სამშობ-
 ლოში ვბრუნდები და კისრიდან სამუდამოდ მოვწყდებით-თქო.

ესეც სიტყვა-სიტყვით გადაევუთარგმნე. დედაკაცმა გაიღიმა:

— მაშ თქვენს წასვლამდე სათქმელი როგორღა გავაგებინოთ ერთმა-
 ნეთს? — იკითხა. — სასაცილო არ არის, მესიე?

— სასაცილოა, ქალბატონო.

და პასუხი რომ ვერ მიიღო, ერთხელ კიდევ გაიღიმა, მხრები შეიშმუშნა და
 გავიდა.

და იმ დღიდან თავის ოთახში ჩამისახლა კაიშაურმა — ლალად და თარჯი-
 მანად.

* * *

— შვილო, პასუხი არ მოვიდა? — დღეში სამჯერ მეკითხება კაიშაური.

— არა, მამა, ჯერ არ მოვიდა.

დრო მიდის. მოხუცი ანჩხლობს. ნათქვამს ერთხელაც არ ღალატობს.

— შვილო, — დღეში რამდენჯერმე მეუბნება, — შვილო, უთხარი ამ დე-
 დაკაცს... გადაეცი ამ ვაჟს... გამაგებინე, რა უნდათ?.. გადამითარგმნე, რას ამ-
 ბობენ?

„ეს დედაკაცი“ — მისი რძალი. ოხუნჯობს და დღეში ხუთჯერ მეკითხება:

— მესიე, სასაცილო არ არის?

— სასაცილოა, მადამ, სასაცილო.

ხოლო „ეს ვაჟი“ — პიერ კაშორი. ანდროს შვილიშვილი, ბრაზობს და
 იმუქრება:

— რაკი ჩემმა პაპამ ფრანგობაზე ხელა აიღო, მეც უარს ვიტყვი შვილ-
ბაზე. ახლავე წავიდეს თავის „ჟორჯია“-ში, რაკი აგრე უნდა ქართველობა.

მაგრამ მუქარას ვერ ასრულებს და მომართულ მანქანას ერთგულად ემსახუ-
რება: მაღაზიის გამგეა პარიზში. დილით ადრე მიდის და საღამოს ცხრაზე
ბრუნდება.

ზოგჯერ მეც მივდივარ პარიზში და კაშორ-კაიშაურის თხოვნას დავდე-
საქმე დეპეშით კეთდება.

რომ ებრუნდები, კაიშაურს ქალაქის ნაპირას ვაწყდები. ზის სადმე მოლზე.
ან სდგას ატუზული და პარიზის გზას გასცქერის, თანაც ვაფშეკილი ხელი ხან-
რდილობლად უჭირავს კვინისზე.

რომ დამინახავს, აიშლება და ჩანჩალით მოდის ჩემსკენ. მეგრე შესდგება,
პასუხს ჩემს სახეზე წაიკითხავს და მოიღუშება.

— ჯერ არაფერია. — თვითონვე ამბობს ჩემს მაგიერ.

— არაფერი. მაგრამ მალე იქნება. — ვამხნევებ და მკლავში მკლავს
ვუყრი.

მოვდივართ და ვბაასობთ.

— ავი ხალხია. — სჩივის მამა თუ პაპა ჩემი. — ძალიან ავი ბალები არიან.
აქამდე თვეში ერთიც ძლივს დამელაპარაკებოდა, ახლა კი, რაკი ფრანგულს
აღარ ვლაპარაკობ, ლეკვებივით ამედევენენ. დამცინიან.

მაგრამ არა უშავს-რა: ანდრო მომთმენია. ოღონდ მალე შეუხრულდეს გუ-
ლის ნატვრა, თორემ ამაზე უარესს თუნდაც ასს მოითმენს.

ახლავა გაახსენდა: ანანურის დიაკვნამა ანდროს წერა-კითხვა ასწავლა.
მოზღოკში ერთ ქართველს, ვინმე იაგორაშვილს, ქართული წიგნები ჰქონდა.
ანდროც კითხულობდა.

ეხლაც ცდილობს დაკარგული იპოვნოს: ჩემს წიგნებს ჩასცქერის, მაგრამ
ასოებს ველარ არჩივს და ოხრავს:

— წამიკითხე, შვილო. — დღეში ორჯერ მომაგონებს.

მეც ვუკითხავ, რაც რამ ხელში მომხვდება.

ანდროს ცალი ყური თითქმის წიგნზე უდევს, თან ხშირად მაწყევტინებს:

— დიდებულია!.. მშვენიერია!.. საოცარია!

ერთხელ გამახსენა:

— ჩვენებური სიმღერა მითხარი.

პირი დავადე და ბალნიან ყურში ათიოდე ჰანგი ჩავმღერე. მეტი არც
ვიციოდი.

— დიდებულია!.. საოცარია!.. მაგრამ...

მაგრამ არც ერთი არ ემცნაურა. ბოლოს ერთიც გამახსენდა:

ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ,

ნუ მომკლა-ა-ავ...

და ათჯერ მაინც მამღერა, სანამ დაიხსომებდა. მერე იფიქრა და მოიფუქრა:

ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ,

ჯერ ანანური მაჩვენე-ე-ე-ე...

და იმ დღიდან მისი ლექსი და ხრიალი ჩემი ყურიდან ველარ ამოდის. გა-
მულმბით მღერის, თითქო ქილაში კენჭებს ჰყრიანო.

ბაღობა უბრუნდება. შვილიშვილს აჰყვება და თამაშობს — ჩიტივასუმი ბურთს, კეკელალობას. უფრო ხშირად კი მე დამდეგს, თანაც ხრინვით ჰკენეს:

— ვაი, ჩემო თავო!.. ვაი, მე, უბედურო!
შოთას ტაეპიც გაახსენდა, ბაღში რომ ვუთარგმნე:

სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა!

და ამ ლექსს დღეში ათჯერ ბუტბუტებს.

— შვილო, ცუდად გავხდი. ფეხზე ძლივსა ვდგევარ. — შემომჩივლა ერთხელ. — დაჩქარეთ.

და იმ დღიდან გარეთ ვეღარ გამოვიდა.

თავი დავლუნე და ერთხელ კიდე გავწიე პარიზისკენ. ნაშუადღევს თავ-აწეული ვბრუნდები, თითქმის მოვრბივარ.

კარი შევადე და ქაღალდი ავაფრიალე:

— მოგილოცავთ, მამილო, მოგილოცავთ! — მივაძახე. — მივდივართ, მივდივართ!

მამა თუ პაპა ჩემი საწოლზე იჯდა. სახე გაუნათლდა, თევზივით დაურგვალდა. ხელებზე დაეხვინა, წამოიწია.

— მართლა?.. ღმერთო დიდებულო, ეს რა ამბავია!.. ეს რა ამბავია! დავიჯერო? მართლა? დავიჯერო?

წამოიწია, აბუტბუტდა. მაგრამ წელი ვეღარ აიტანა და მოჭრილივით უკან-ვე გადავარდა.

* * *

კაიშაური კვდება.

განწირულია.

ფეხები გუშინვე მოსწყდა.

სიღამბლე ქვევიდან ეპარება.

დღეს თუ ხვალ გულშიც წასწვდება.

გაშოტილი წიგნს, თვალებს ჰპლიტავს, ტუჩებს აცმაცუნებს და სამკვდრო სევდით შემომტყუარის.

— ვაი, დედასა! — შემომკენესის. — ვაი, დედასა! სადა ვკვდები... როგორ ვკვდები!

— ნუ შეშინდით, — ვამხნევებ, — ისე არ მოკვდებით, რომ ანანური ვეღარ ნახოთ.

მაგრამ ჩემი მე თვითონაც აღარ მჯერა.

— მე ჩემი შეეასრულე. — თითქო ვინმე სხვას ეჭურჩულება ანდრო. — ყველაფერი მივეცი ამ ქვეყანას... დანარჩენი თქვენ იცით... ვალი დამიბრუნეთ.

— რა ვალი, მამილო? — ფრთხილად ვეკითხები.

— მიწას დაუბრუნეთ ვალი... ჩემი ვალი — ან ცოცხალი, ან მკვდარი.

ან ცოცხალი, ან მკვდარი — ესაა მისი ერთადერთი ნატვრაც და ანდერძიც.

— დამშვიდდით, მამა. ჩემ ვალად მიმიღია. შეგისრულებთ.

მისი შვილიშვილი პიერი შემოდის, გაზის ლამფას ანთებს.

და მომაკვდავსაც იმ ლამფის ფერი ადევს.

— ხომ არაფერი გინდა, გრან პერ? — ეკითხება პაპას.

ანდრო სდუმს. პასუხს მე ვაძლევ: კუთხეში გავიყვანე და მოხუცის სურვილი გადავეცი.

— ადვილია. — მიღიმის პიერი. — კრემატორიუმი აქვია. დაწვით და ფერფლს გაგატანთ, ნე სტ პა?

— კეთილი. აგრე ვქნათ, თუ...

— ჯერ აღრეა. პაპა ჩემი კიდეც დიდხანს იცოცხლებს. — და გადის. ავადმყოფის თავთან ვზივარ და ყურს ვუვლებ.

შუა ღამე მოდის.

ყველას სძინავს. გარეთ ნაწვიმარია.

ღია სარკმელში სიგრილე და ნესტი შემოდის.

კავახანიდან შანსონეტის გაბზარული ხმა ისმის.

კაიშაური კი ბორბავს და ლულელულებს:

— დედას ვხედავ. აი, აქვე სდგას. — და მოხუცი ჩემს ხელს ეძებს. პოულობს და უნდოლად უჭერს, თან ჩიფჩიფებს: — ნეტა რა გინდა, დედი? რად დამცქერი სევდიანის ღიმილით?.. თავსაც მიქნევ... თითქოს მეძახი.

არ მინდა ლანდი დავუფრთხო. ან რა საპიროა? მგონი არც ძალმიძს. ცნობის კარი უკვე დახშული აქვს — გაღმეულში გადასახლდა.

ხელები ზევით უწყვია. მოკრუნჩხულ თითებს ბრმასავით აფათურებს. საბნის პირს პოულობს და ზევით ეწევა — თითქოს უნდა პირისახეზე აიფაროსო. დედის მოლანდება და საბნის წეწვა დასასრულის ნიშანია. ეს მეც ვიცი და ამის ცოდნა მეც იმ თითებივით მიწეწავს გულს.

„ველარ დავბრუნდი. — მაგონდება ამ დაკარგულის ნაკარნახევი, როცა თხოვნას მაწერინებდა. — იმდენი ვიხეტიალე, რომ დედ-მამის სახელიც დამავიწყდა“.

— ველარ დავბრუნდა. — აბოლდა უცბათ გონწასულიც. — ველარ დავბრუნდები, ვერა.

„ყველანი დაბრუნდებიან: — ისევ ვიგონებ ამავე ოთახში ნათქვამს. — მხეცი ისევ ბუნაგში შევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი ისევ თავის ქოხს მოსძებნის. მე კი...“

— მე კი წამოვედი და ველარ დავბრუნდი. — იმეორებს თავისავე ნაჩივარს სულთმობრძავი, და უმატებს: — ველარც დავბრუნდები.

„ვიბრძოლე, ვიმუშავე. აღარაფერი შემრჩა. — ვილაღ იმეორებს ჩემს გულში. — აღარაფერი შემრჩა, გარდა ოთხმოცდარვა წლის ტვირთისა“.

— ვერა, ველარ დავბრუნდები. — ძლივსღა მესმის წამსვლელის ჩიფჩიფი.

„მძიმეა, მეტად მძიმე ტვირთია. საცაა გავისრისებ“.

მოხუცი ჩიტის ბლარტივით აცმაცუნებს ზეწრისფერ ტუჩებს.

„სად წაიყვან სადაურსა...“ — ვფიქრობ ჩემთვის.

და პასუხად მისი ბუტბუტი მესმის:

— ვაპ მე, სადა ვკვდები!..

„განწირულია, განწირული“, — გამომაქვს განჩინება.

და განწირულიც პირუკულმა მიბრუნებს შოთას ნათქვამს:

— ვხედავ, ღმერთიც კი გასწირავს კაცსა, შენგან განწირისა.

წამოვდექი, გავიარე, დავბრუნდი, კვლავ დავჯექი, ხელით მაჯა ჩამიბლუჯა და თვალები გაახილა.

— აქა ხარ, შეილო?

— აქა ვარ, მამილო. ნუ შეშინდები.

მრუდედ გაიღიმა.

— დედა სხვაგან დავკარგე... მეც აქ ვიკარგები.

— ნუ, მამილო, ნუ შეშინდები. არ დავკარგავ.

დიდხანს მიმზერს უკვე მინის თვალებით. შიგ აზრი აღარ სწერია. მაგივრად პირთამდე სავსეა პირუტყვეული შიშით, უიმედო ძრწოლით, სასოწარკვეთილი „შევილობით“.

— ვერა, ველარ დავბრუნდები. — მგონი ეს სამი სიტყვა წაიჩურჩულა უკანასკნელად.

მინა ყინულად გადაიქცა. ჩემს მაჯაზე მისი ხელი მოდუნდა. მაინც ვიჯექი და დავცქეროდი. ვგრძნობდი, რომ ის ხელიც იმ თვალბივით იყინებოდა.

ფრთხილად წამოვდექი. ორივე ხელი მკერდზე გადავუჯვარედი. თვალის ქუთუთობებიც ჩამოვუწიე და გავბრუნდი.

სარკმელთან ვდგევარ.

გარეთ ნაწვიმარია.

ოთახში ნესტი და სიგრილე შემოდის.

ყველას სძინავს.

ბალშიც დუმილია, როგორც უკან, თეთრ საწოლზე, თეთრ წვერებში, სადაც თითქო სწერია:

— ვერა, ვერ დავბრუნდები.

გავალვიძო კაშორები?

რა საჭიროა? გათენდება, გაიგებენ.

და ბალის დუმილსა და სიგრილეში შევერიე.

* * *

მაინც დავაბრუნე. ანდერძი შევუსრულე.

პარიზში კარგი კრემატორიუმია.

დიდი კაცის ფერფლი ჯიბის კოლოფში ეტევა.

ანანური ღრმა ხევშია ჩაწოლილი...


მწვანე მთები... სწრაფი არაგვი... ძველი საყდარი და შერუჯული გალავანი.

ავტო შევაჩერე.

ზევით ავედი.

ანდრო გავიხსენე და ის ნაკლი ხევის ნიავს გავატანე.






სურათზე: მიხეილ ჯავახიშვილი
თავის ქალიშვილთან ერთად სამუშაო კა-
ბინეტში.

ქვემოთ მოთავსებული „ჩვენნი დროის
ათი მცნება“ სახელთვანმა მწერალმა
დაუწერა თავის ქალიშვილს — ქეთევანს.

ჩვენნი დროის ათი მცნება.

1. შენ ნახ შეხარულ, გაუყვანი და და-
შარი სჯი და შეხარე შენი შინა
სურათითა.
2. შენი სიძნობა შეგი შენი სიხარა
შეი, ხარა შინა შენი მხარა
სიხარა შენი მხარა.
3. ყველაფერი, ხე შეგი და შეგი,
შენი სურათითა და, შენი მხარა
სურათითა შენ ნახ შინა შენი
მხარა და შენი მხარა.
4. შეგი და შენი მხარა და შენი
ყველაფერი და შენი მხარა
ყველაფერი.
5. შენი შენი მხარა შენი
აღას შენი მხარა. ან შე-
ნი მხარა, შენი მხარა შენი
მხარა და შენი მხარა.
6. შენი ან შენი შენი და შენი
მხარა შენი მხარა შენი მხარა
შინა შენი და შენი მხარა
მხარა.

7. შენი შენი და შენი მხარა შენი
მხარა შენი მხარა შენი მხარა
შინა შენი და შენი მხარა
მხარა და შენი მხარა.
 8. შენი შენი და შენი მხარა შენი
მხარა შენი მხარა შენი მხარა
შინა შენი და შენი მხარა
მხარა და შენი მხარა.
 9. შენი შენი და შენი მხარა შენი
მხარა შენი მხარა შენი მხარა
შინა შენი და შენი მხარა
მხარა და შენი მხარა.
 10. შენი შენი და შენი მხარა შენი
მხარა შენი მხარა შენი მხარა
შინა შენი და შენი მხარა
მხარა და შენი მხარა.
- შენი მხარა შენი მხარა
შენი მხარა შენი მხარა
19/II 1924.



გუკამ ასათიანი

შენიშვნები თანამედროვე ქართული
კომედიის შესახებ¹

ხელოვნების არც ერთ სხვა დარგში არ გამოქვლინებულა ისე მკაფიოდ და ისეთი სისრულით ჩვენი ხალხის ეროვნული გენია, როგორც ეს პოეზიაში მოხდა.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ საქართველო არის უძველესი კულტურის ქვეყანა. დღესაც ყველა მნახველს განაცვიფრებს თრიალეთისა და არმაზის სანახებში აღმოჩენილი ნივთების, ჯგერისა და გელათის ტაძრების, ყინწვისის ანგელოზისა და ახლადამეტყველებული შუასაუკუნოვანი ქართული ჰორალების შემოქმედთა მაღალი ოსტატობა.

მაგრამ მაინც ცხადია, რომ ჩვენი სულიერი ყოფის არც ერთ სფეროს არ მიუღწევია ისეთი მწვერვალისათვის, როგორც იგი აიყვანეს „ვეფხისტყაოსნისა“ და „მერანის“ ავტორებმა.

მართალია, ქართული პოეზიის გზა, ისევე როგორც საზოგადოდ ჩვენი კულტურული განვითარების ისტორია, არ ყოფილა სწორხაზოვანი, მას ახსოვს დროებითი დაქვეითებაც, მაგრამ დღევანდელ დრომდე მან ისეთი მაღალი ტრადიციებით მოაღწია, როგორც იშვიათად გააჩნია რომელიმე სხვა კულტურისან ერს. თანამედროვე ქართული პოეზია აღმოცენდა და ვითარდება სწორედ ყველა ამ ისტორიული ტრადიციების ნაყოფიერ ნაიადგზზე; ხოლო როგორც უშუალო მეგვიდრე, იგი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია XIX საუკუნესთან, რომელიც დღემდე რჩება მისთვის პოეტური შემოქმედების მოქალაქეობრივ ასპექტში აყვანის მგალითად. XIX საუკუნის პოეზიამ ჩვენ დავეიტოვა ფილოსოფიური, სოციალური და პოლიტიკური აზროვნების უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედრობა.

ამიტომ არის, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში და, კერძოდ, პოეზიაში მისი აღმოცენების პირველი დღიდან აქამდე დიდი სიმწვავეით დგას შემოქმედრობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ სამართლიანი აღტაცება XIX საუკუნის პოეტური შედეგებით ჩვენს მკითხველ საზოგადოებაში ზშირად იწვევდა ერთგვარ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას თანამედროვე ქართული პოეზიისადმი.

იმ უკმაყოფილებას, რომელმაც ასეთი შეხედულება წარმოშვა, ჰქონდა და აქვს კიდევაც თავისი საფუძველი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, ჩვენი აზრით, ნიჰილიზმი გამოწვეული იყო და არის ამ დიდი და რთული პრობლემის ცალმხრივი გაგებით.

XX საუკუნის ქართულ პოეზიას გააჩნია ბევრი ისეთი რამ, რაც ჩვენ უფლებას არ გვაძლევს ასე უბრალოდ გადავწყვიტოთ საკითხი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავხსოვდეს, რომ თანამედროვე ქართული პოეტური ხელოვნება უკვე აღარ არის და არც შეიძლება იყოს ის, რასაც იგი გასული საუკუნის დამლევსათვის წარმოადგენდა.

დრო ერთხელ და სამუდამოდ იქნას აღიარებული ის უბრალო ფაქტი, რომ XX საუკუნის დასაწყისში ქართულ პოეზიაში მოხდა ნამდვილი გადატრიალება, რომლის შედეგადაც იგი აყვანილი იქნა განვითარების ახალ საფეხურზე. ჩვენ თითქმის არ გვევლეხება უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცოტათი მაინც გარკვეული აღამიანი, რომელიც არ გრძნობდეს ამ დიდ ცვლილებას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში ეს გარემოება არ არის ბოლომდე გათვალისწინებული და, მით უმეტეს, დაზუსტებული. ამით არის გამოწვეული, არაერთი გაუგებრობა (მაგალითად, როდესაც

¹ აბეჭდება განხილვის წესით.



ჩვენს პოეტებს, და პირველ რიგში — ახალგაზრდებს, მოუწოდებენ წერონ ისე, როგორც წერდნენ მათი პაპის პაპები, თითქმის ქართული ლექსის პოეტკავში არაფერია არ შეცვლილიყო).

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიზიარებთ ქართველი სიმბოლისტების და სხვა პირველნობის სკოლების წარმომადგენელთა აზრს იმის შესახებ, რომ ქართულმა პოეზიამ, კერძოდ, მისმა მხატვრულმა ფორმამ, დაქვეითება განიცადა XIX საუკუნეში. ასეთი მოსახრება მისი აბსოლუტური გავებით და იმ კატეგორიულ ფორმაში, როგორც მას გამოხატავდნენ, მაგალითად, „ციხეფრანკონების“, წარმომადგენელ უთუოდ არაისტორიულ, მცდარ შეხედულებას.

ილიას და აკაკის პოეზია იყო ქვეყნობრივი პირში იმ დროსა და იმ სოციალური ვითარებისა, რომელშიაც ისინი მოღვაწეობდნენ და მათ, როგორც პოეტური სიტყვის ნამდვილმა შემოქმედებმა, შეძლეს მოეძებნათ მაქსიმალურად შესაბამისი მხატვრული ფორმა იმ შინაარსისათვის, რომლის გამოხატეაც მათ სურდათ. მთელი რიგი მათი ლექსებისა დღესაც ინარჩუნებს თავის ცოცხალ პოეტურ ძალას. ამის მაჩვენებელია უპირველეს ყოვლისა ის, რომ ილიას და აკაკის შემოქმედება განაგრძობს სიცოცხლეს ხალხში.

მაგრამ, ცხადია, რომ მათს პოეტურ ხელოვნებას არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონიდა გარდაუვალი კანონის მნიშვნელობა.

ამიტომ მოხდა, რომ უკვე XIX საუკუნის დამლევისათვის ძველმა, ილიას და აკაკისეულმა პოეტებმა და, კერძოდ, პოეტურმა ტექნიკამ ნაწილობრივ უკვე ამოწურა თავისი თავი და ეპიგონობაში იწყო გადაზრდა.

ლიტერატურული ინერციის ძალით ეს ეპიგონური სული გადმოჰყვა XX საუკუნესაც, და, რუსული ნეორომანტიზმის გვიანდელი გავლენით ოდნავ შეფერილი, კარგა ხანს განაგრძობდა არსებობას პოეტურ სტილში დაშტამპული „ეთერებისა“ და „ზეფირების“, „არეებისა“ და „მთვარებისა“, „პანგებისა“ და „ჩანგებისა“ სახით.

რასაკვირველია, ჩვენ მხედველობიდან არა გვრჩება, რომ ამ დროს არსებობდა ვაჟას საოცრად ორიგინალური პოეზია, რომელიც, ერთი ქართველი მწერლის თქმისა არ იყოს, ისეთი ცოცხალი იყო გამოუმტყვარი, რომლის პურს არც ერთ ქვეყანაში არ ჰქონდნენ.

ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს საერთო პოეტური ატმოსფერა, უფრო სწორად, ის ინერცია, რომელიც ამ პოეტური მასის მამოძრავებელი იყო მასში.

ვაჟა-ფშაველას მოსვლა ქართულ პოეზიაში უდრიადა მთელი სამყაროს აღმოჩენას, მაგრამ ისტორიული სიმართლისათვის უნდა ითქვას, რომ ახალი ქართული პოეზია არ წასულა მისი გზით (თუმცა შემდეგში მან იქონია საკმაოდ ძლიერი შემოქმედება ზოგიერთი ქართველი პოეტის შემოქმედებაზე).

ქართული ლექსის რეფორმაცია დაიწყო ქართული იმ დროს, როდესაც ავადმყოფი ვახტანგის ველა სიკვიდის ებრძოდა თბილისის ერთ-ერთ ლაზარეთში.

თანამედროვე ქართულ კრიტიკაში ალბათ იმიტომაც არ არის მიღებული ამ გარდატეხის შესახებ ლაზარეი, რომ იგი მოახდინეს უმთავრესად იმ ქართველმა პოეტებმა, რომლებიც მაშინ დეკადენტურ მიმდინარეობასთან იყვნენ დაკავშირებულნი.

რასაკვირველია, ეს გარდატეხა არ მომხდარა ერთ დღეს, იგი გრძელდებოდა ათეული წლის განმავლობაში და, შეიძლება ითქვას, როგორც პროცესი, იგი განაგრძობს თავის განვითარებას დღესაც.

გვქვს გარეშეა ისიც, რომ ეს არ ყოფილა თვესობრივი შეცვლა პოეზიისა. პოეზია დარჩა პოეზიად. გარკვეული სახეცვლილებანი განიცადეს მხოლოდ მისმა ხასიათმა და ფორმებმა.

არ არის არაფერი ცუდი და შესაშინებელი იმაში, რომ ეს ცვლილებები თავის დასაწყისში ტალღადაც დაკავშირებულია სხვადასხვა, ჩვენთვის მიუღებელ „იზმებთან“. ხომ ცნობილია, რომ რუსული პოეზიის რეფორმაცეაც მოახდინეს ისეთმა პოეტებმა, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით გარკვეულ დროს ახლოს იდგნენ სხვადასხვა მოდერნისტულ სკოლებთან: ბლოკი—სიმბოლიზმთან, მაიაკოვსკი — ფუტურნიზმთან, ესენინი — იმპიზნიზმთან.

არ იქნებოდა სწორა გვეფიქრა, რომ მაიაკოვსკის-ფუტურისტს არაფერი საერთო არ ჰქონდა საბჭოთა პოეტ მაიაკოვსკისთან. რასაკვირველია, მისმა პოეზიამ განიცადა ღრმა ევოლუცია საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მაგრამ მისი შემოქმედების ძირითადი პოეტური არსენალის, ფორმისა და ტექნიკის ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მას თავისი თავი სამაგალითო ფუტურისტად მიაჩნდა.

ახალი ქართული პოეტის ფორმირებაც დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე შეიქმნებოდა ქართული საბჭოთა პოეზია. ეს მოხდა ასე და ამის აღიარება საჭიროა ისტორიული სიმართლისათვის, რაც უნდა უხერხული იყოს ამ სიმართლესთან შერიგება ზოგიერთ ზედმეტად სწორხაზოვანად მოაზროვნე ლიტერატორისათვის.

რასაკვირველია, ჩვენ არ გვინდა საქმე ისე წარმოვადგინოთ, თითქმის ქართველმა დეკადენტებმა შექმნეს ახალი პოეტური ყალიბები, რომლებშიაც შემდეგ ჩამოსხმული იქნა თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზია. ეს იქნებოდა კიდევ უფრო უხეში შედეგი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის გარემოება, რომ ახალი ქართული პოეტის შექმნის პროცესი, ცალკეული ძვრების, ძიებებისა და მიგნებების სახით, დაიწყო უკვე მაშინ, როდესაც XX საუკუნის საუკეთესო ქართველი პოეტთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ახლოს იდგა მოდერნიზმთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გარემოებამ თავისი უარყოფითი დიდი დაანინა ახალ ქართულ პოეტებს. ამის გამო ეს პროცესი მიმდინარეობდა ძალზე რთულ ფორმებში, ღრმა შინაგანი წინააღმდეგობით.

შემდეგში, როდესაც გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად თითქმის ყველა „ციცფერყანწელი“, ისევე როგორც ყოფილი ფუტურისტების მეთაური სიმონ ჩიქოვანი, გადმოვიდა რეალისტური ლიტერატურის პოზიციაზეზე, როდესაც ქართულ საბჭოთა პოეზიაში ძველ ნაედ ოსტატებთან ერთად მოვიდა ახალი ძალები, ბევრი რამ იმ პოეტური სახეებიდან და ფორმებიდან, რომლებიც მოდერნისტებმა დაწერეს ლექსში, უცხო და მიწდებული აღმოჩნდა თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიისათვის.

„ციცფერყანწელებმა“ ეს იგრძნეს უკვე ოციან წლებში, ხოლო უფრო გვიან მათ შეძლეს მთლიანად განთავისუფლებულიყვნენ სიმბოლიზმის გავლენისაგან. ეს იყო, რა თქმა უნდა, რთული და ხშირად მტკივნეული პროცესი, ცალკეული ჩაგარდნებით, შეცდომებით და უკანსვლებით. მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, იგი მანც მნიშვნელოვანდ გააადვილა ერთმა ფრიალ საგულისხმო გარემოებამ: საქმე ისაა, რომ არც პოლო იაშვილისათვის, არც თვით გაფრინდაშვილისათვის და, მით უმეტეს, ტიციან ტაბიძისათვის სიმბოლიზმი არასოდეს არ ყოფილა ბოლომდე ირგანული სტიქია. ხოლო რაც შეეხება გიორგი ლონიძეს, იგი, ჩვენი აზრით, საერთოდ არასოდეს არ ყოფილა სიმბოლისტი ამ სიტყვის რეალური გაგებით.

საზოგადოდ, დეკადანსის გავლენა არც თუ ისე ღრმა ყოფილა ქართულ პოეზიაში. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ისეთ პოეტს, როგორიც იყო, მაგალითად, ტიციან ტაბიძე, „ციცფერი ყანწების“ არსებობის დროსაც დაწერილი აქვს არაერთი ლექსი, რომლებშიც ნამდვილად იგრძნობა როგორც რეალისტური მსოფლშეგარძნება, ისე ღრმად ნაციონალური ხალხური კოლორიტი, რაც სრულიად უცხო იყო „კლასიკური“ სიმბოლიზმისათვის.

ყოველთვის ამის გამო ჩვენ უფლება არა გვაქვს ხაზი გავუსვით ყველაფერს, რაც ქართული პოეზიის უფროსი თაობის წარმომადგენლებს შეუქმნათ მანამდე, ვიდრე ისინი გარკვევით და საშუალოდ დაადგებოდნენ რეალისტური შემოქმედების განსა.

თანამედროვე ქართული ლექსი და მისი ახალი პოეტთა იმ სახით, როგორითაც იგი ამჟამად არსებობს, არ შექმნილა ერთ დღეში, ერთი რომელიმე ლიტერატურული ჯგუფის ან მიმდინარეობის მიერ და არც რაიმე ერთი მანიფესტის ან დეკრეტის საშუალებით. მის ჩამოყალიბებაში სხვადასხვა დროს თავიანთი წვლილი შეიტანეს სრულიად სხვადასხვა ხასიათის პოეტებმა, როგორც ტაბიძემ, ს. შანშიაშვილმა, ა. აბაშელმა,

ი. გრიშაშვილმა და გ. ქუჩიშვილმა, ისევე როგორც ტაბიძემ, პოლო იაშვილმა, ვ. ვაფრინჯიანმა და გ. ლეონიძემ, ხოლო შედარებით უფრო გვიან — ს. ჩიქოვანმა, ალიო მირცხულავამ, კარლო კალაძემ, ირ. აბაშიძემ, გრ. აბაშიძემ, ლადო ასათიანმა და სხვ.

ასეთია მოკლე ის შენიშვნები, რომლებიც ჩვენ საჭიროდ მივიჩინეთ გაგვეყვებინა თანამედროვე ქართული პოეტური ხელოვნების გენეზისის საკითხთან დაკავშირებით.

მაგრამ, ვგონებ, ჩვენ აქ ცოტა არ იყოს ზედმეტად დავქანეთ მოთმინება მკითხველისა, რომელსაც ალბათ უფრო მეტად აინტერესებს, თუ რას გვეულისხმობთ ჩვენ კონკრეტულად, როდესაც ვლაპარაკობთ XX საუკუნის ქართულ პოეტიკაში მომხდარ რაღაც გარდატეხებაზე.

აქ, რასაკვირველია, იგულისხმება ის გარეგნული, ტექნიკური ცვლილებებიც, რომელთა შემჩნევა არც თუ ისე ძნელია ერთი თვალის გადავლებითაც (ამის შესახებ უკვე იყო ლაპარაკი ათიან და ოციან წლებში. სიმბოლისტები, მაგალითად, თავიანთ დამსახურებად მიიჩნევდნენ, რომ მათ მიერ პირველად ქართული პოეზიის ისტორიაში დაწერილი იქნა სწორი სონეტი, ტრიოლეტი და სხვ.). ეს მეტრული სახეცვლილებანი ნაწილობრივ გამოხატავენ იმ ძიებებს, რომლებიც დაიწყო რიტმის სფეროში. ამ მხრივ ქართულ ლექსებში მიღწეული იქნა დიდი მრავალფეროვნება.

საერთოდ რიტმისადმი შეგნებული, პროფესიული ყურადღება წარმოადგენს ახალი მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას.

რიტმის ფანატოკობად გვევლინებიან რუსულ პოეზიაში აღექსანდრე ბლოკი და მიაიკოესკი.

მართალია, ამ რუსი პოეტებისაგან განსხვავებით, ქართული ლექსის არც ერთ ოსტატს არ ჩამოუყალიბებია სისტემატურ ფორმაში თავისი თეორიული შეგნებულებები რიტმის შესახებ, მაგრამ მაინც შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ პრაქტიკულად მათ მოახდინეს ქართული რიტმიკის მნიშვნელოვანი გადახალისება. ჩვენი აზრით, ის რიტმული სახეცვლილებები, რომლებიც მოხდა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, ბევრით აღემატება უზარალო მეტრულ სახელებს. ამის გამო, თუ ჩვენს წარსულ პოეზიაში შეიძლება მოიხაზოს დღეისათვის გაბატონებული თითქმის ყველა მეტრის ისტორიული პრეცედენტი, შეუძლებელია იგვეს ოქმა თანამედროვე ქართული რიტმიკის შესახებ.

სრულიად ახალი, წარსული პოეზიისათვის უწევულა რიტმული ელემენტობა მიღწეული, მაგალითად, შემდეგ სტიქიონებში:

„რა ამოძრავებს კიბარსის ტანს,
ჩუმი შრიალი საიდან არაა
ჭარი არა სჩანს, ჭარი არა სჩანს,



მაინც მწვერვალებს ედება ქარი“.

ან:

„ამ დროს ბრუნდებოდა გრივოლ ორბელიანი ორთაჟალიდან. ცხელი ცოცხალით საესეა ნავი. ეს ხმაა ჭიჭინასი ასე გულსაკლავი, თუ კრწანისიდან მოდიან თათრები“.

ან:

„ეს თოვლია, თუ მიძინომ დააფეთა მტრედები, ვარსკვლავთა ოთახებში ჩათვლემილეს ეძინათ, ეხურათ ხვევრდები...“

ან:

„მეამება სამაია, ივერიის ღვთისმშობელის ბაია. შენი თვალი ღია სამარეა, შენი კბა — კრელი ჭიამაია“.

ან:

„ზღვა ღელავს, ზღვა ღელავს, ამხელა სივრცე ნაპირებს აწყდება, ბორავს და მწყარაია...“

აქ შეიძლება კიდევ არა ერთი და ორი მაგალითის მოტანა, მაგრამ მაინც საჭიროა შევნიშნოთ, რომ ქართული რიტმიკის სფეროში დღეისათვის ბევრად უფრო მეტია შესაქმნელი, ვიდრე შექმნილია. ამ მხრივ დარჩენილია კიდევ აუარებელი ამოუწურავი შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ ქართული პოეზიის მომავალი თაობისაგან ჩვენი მკითხველი სამართლიანად მოელოს კიდევ უფრო გაბედულ ძიებებს რიტმიკის სფეროში.

რიტმულ სიახლეებთან ორგანულად დაკავშირებულია ინტონაციური ორიგინალობის საკითხი. ამ მხრივაც, ვფიქრობთ, ჩვენი დროის ქართულ ლექსში XIX საუკუნესთან შედარებით მიღწეულია საგრძნობი მრავალფეროვნება.

თავისთავად საგულსნმათა ის ცვლილებები, რომლებიც განიცადა თანამედროვე ქართული პოეზიის ენამ და სტილმა. არ უნდა დაგვაფიქვდეს აგრეთვე, რომ XX საუკუნეში საგრძნობლად დაიხვეწა ლექსის ბგერითი კულტურა.

თუ, მაგალითად, ისეთი პოეტების შემოქმედებაში, როგორც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ, ალიტერაციული ბგერწერა წარმოადგენდა შემოხვევის იმეათობას, დღეისათვის

ამ ხერხის საიდუმლოება ხელმისაწვდომი გახდოდა თითქმის ყოველი დამწვევი პოეტისათვის.

მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩვენი დროისათვის პოეტური ფრაზის კეთილზმოვანების, მისი მუსიკალური გამართულობის კრიტერიუმები. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ დღევანდელი მკითხველი სრულიად სხვადასხვა ზომით უდგება ამ მხრივ ძველსა და ახალ ლექსს.

ლექსის მუსიკალური კულტურის ამოღებასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ის დიდი ცვლილებები, რომლებიც განიცადა ქართულმა რითმამ. სწორედ XX საუკუნის ლექსის ოსტატების დამსახურებაა, რომ ჩვენი დროისათვის საგრძნობლად შეიცვალა და გაფართოვდა თვით რითმის ცნება.

ყოველივე ეს და მრავალი სხვა, რასაკვირველია, არ წარმოადგენს რაღაც წერილმანს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართული პოეტიკის რეფორმაცია არამც და არამც არ ამოიწურება ამ გარეგნული სიახლეებით.

ამ ცვლილებებზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ძებრები, ჩვენი აზრით, მოხდა ქართული ლექსის მხატვრულ შინაარსში ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, მის „შინაგან ფორმაში“.

ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ის ევოლუცია, რომელიც განიცადა ქართულმა პოეტურმა აზროვნებამ, სახეთა სისტემამ, მეტაფორისტიკამ. ჯერ ერთი, მოხდა მხატვრულ, გამომსახველობით საშუალებათა მნიშვნელოვანი გამოდრეგება. ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, რომ დიდი წილი იმ პოეტური ხერხებისა, რომლებსაც ასე ჩვეულებრივ მიმართავს დღეს რომელიმე საშუალო რანგის პოეტი, თითქმის სრულიად უცხო იყო XIX საუკუნის პოეტებისათვის ალ. ჭავჭავაძიდან დაწყებული ი. ევლიშვილამდე.

საორთად, შეიძლება ითქვას, თვისობრივად გაართულა მეტაფორული აზროვნება: პოეზიაში თითქოს თავიდან იქნა აღმოჩენილი ახალი შესაძლებლობები, პოეტური ფერწერის ახალი საშუალებები, პოეტურ-სტილური საღებავები, ფერთა ნიუანსები. პოეზია თითქოს კიდევ უფრო მიუახლოვდა თავის იდეალს — იგი ნამდვილად იქცა „სახეებით აზროვნებად“.

XX საუკუნის ქართულ ლექსში პოეტურმა სიახემ მიიღო უფრო მკვეთრი მატერიალური ელფერი, იგი გახდა ნაკლებად „რაციონალისტური“ და უფრო მეტად „ხორციელი“, ემოციურად უფრო ხელშესახები, ვიდრე ეს იყო წინათ.

აქ საჭიროა დაზუსტება. ეს „ემოციური მატერიალიზაცია“ მოხდა ახალი ქართული პოეზიის განვითარების საბოლოო ეტაპში, როდესაც, მაგალითად, დაძლეული იქნა სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტულობა და სხვ. (სწორედ აქ არის აღსანიშნავი ის დიდი გვიანდელი გავლენა, რომელიც ვაკა-ფშაველას პოეზიაში მოახდინა ქართული ლექსის თანამედროვე ოსტატებზე).



შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის ლექსში ვადართავდა პოეტური სახის ემოციური ზემოქმედების არე. მთელ რიგ შემთხვევებში მან მიიღო „სინთეტური“ ხასიათი (ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი სახეები, რომლებიც ერთდროულად მოქმედებენ აღმანიანი არა ერთ, არამედ რამდენიმე გრძობაზე ან შეგრძობაზე). მაგალითად, სიმონ ჩიქოვანის „წეროს დარად წიგნი მდგარი“ — შეესატყვისება ჩვენს წარმოდგენას დავით გურამიშვილის პოეტურ ფიგურაზე არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ემთხვევა იმ ხელების შთაბეჭდილებას, რომელსაც ჩვენზე ახდენს „დავითიანიში“ მოთავსებული გურამიშვილის ავტოპორტრეტი, არამედ იმიტომაც, რომ ეს სახე ჩვენში აღძრავს სხვა ასოციაციებსაც. იგი უნებლიეთ გვიქმნის ავღრის, სხვა ქვეყანაში გადაკარგვის, სიმარტოვისა და მიუსაფრობის რთულ განწყობილებას, რაც პოეტურად ორგანიზებულია გურამიშვილის აღმანიური პიროვნების გასაგებად.

თანამედროვე მეტაფორისტიკის განვითარებისათვის სიმბოლურია კიდევ ერთი ნიშანი. ეს არის პოეტურ სახეში „სიმბრტყეთა შენაცვლების“ ან, სხვათადაც, „მოულოდნელ შესატყვისობათა აღმოჩენის“ ტენდენცია, ე. ი. სრულიად სხვადასხვა სიმბრტყეზე მდებარე, სხვადასხვა კატეგორიის მოვლენათა შორის ნათესაური კავშირის დაღვანა.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მთელი რიგი მაგალითების მოტანა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებიდან. აი მათ შორის ყველაზე უბრალო:

„ჭარი და წვიმის წვეთები ზმირი
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული“.

(აქ წვეთის მოწყვეტა მოულოდნელად არის დაკავშირებული გულის დაწყდომასთან).

დაახლოებით ასეთსავე პრინციპზეა აგებული:

„მე მილატეს ძველმა რითმებმა
(ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე დალატს)“.

სხვა, კიდევ უფრო მოულოდნელი შესატყვისობა არის აღმოჩენილი გალაკტიონ ტაბიძის მიერ ასეთ პოეტურ სახეში:

„...და საღამო მდინარის
გახელილი ცისფერად“.

„სიმბრტყეთა შენაცვლების“ პრინციპზეა აგებული აგრეთვე გ. ტაბიძის მოულოდნელი ეპითეტები: „შეშლილი ფერი“, „ბებერი ჭარი“ და სხვა. ასეთი ხასიათის პოეტური სახეები გვხვდება გიორგი ლეონიძესთანაც. მაგალითად:

„მთარე შრიალბს ფიკვათ“.

განსაკუთრებით მდიდარია ამ მხრივ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედება:

„ურმულივით ახლოვდება შეღამებ...“
„და ვით ფიჭვები, წვებიან ძნები...“
„სიმწიფეში შევედი თუ ხეობაში...“
„როგორც ყვილი, როგორც სამრეკლო,
მთებზე გადმოდგა ჩემი მყინვარი...“
„პაერს ზარვით ჰკლდა ჰანგი...“ და სხვ.

შეიძლება აქ შემოგვეკამათონ, რომ სხვადასხვა მოვლენის ან საგნის ურთიერთ დაპირისპირება ან დაკავშირება ოდითგანვე წარმოადგენდა ყოველგვარი პოეტური შედარების საფუძველს და აქ არაფერი არ არის ახალი. მართლაც, უნდა ვაღიაროთ, რომ პოეზიის ეს ერთ-ერთი მთავარი ხერხი დღემდე უცვლელი დარჩა თავის პრინციპში. ჩვენ აქ ვგულისხმობთ მხოლოდ იმ შეგნებულ კონტრასტულობას, მოულოდნელობის იმ ფენქსს, რომელიც მისი გამოყენებისას იქნა მიღწეული.

„სიმბრტყეთა შენაცვლებისადმი“ მიდრეკილება არ არის თანაბრად დამახასიათებელი ჩვენი დროის ყველა პოეტისათვის. თუ საილუსტრაციოდ ავიღებთ რუსულ საბჭოთა მწერლობას, ადვილად დაერწმუნდებით, რომ, მაგალითად, პასტერნაკისათვის იგი წარმოადგენს პოეტური სახის აგების თითქმის ძირითად „სამუშაო“ ხერხს, ხოლო ტვარდოვსკის შემოქმედებისათვის ძალზე იშვიათი „ფუნქციონირება“, მაგრამ როგორც ახალი ტენდენცია, იგი, ჩვენი აზრით, მაინც ინარჩუნებს თავის ნიშანდობლივ ხასიათს მთელი XX საუკუნის პოეზიისათვის.

სხვათა შორის, ევროპულ ლიტერატურაში ამ პოეტურ მეთოდს გაანინა თავისი ისტორიული ძირები, რომელთაც XIX საუკუნეში გადაკვავართ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს შარლ ბოდლერის ცნობილი ლექსი „შესატყვისობანი“, რომელშიც მოცემულია აღმანიის შეგრძენების სხვადასხვა ორგანოთა მიერ აღქმულ სრულიად სხვადასხვა რიგის მოვლენათა შორის იდენტური კავშირის დამყარების ცდა.

აქ პირველად, და ამის გამო ჯერ კიდევ ბუნდოვან და მიახლოვებები, არის მოხაზული ის თავისებური მსოფლმეგრძენება, რომელიც ახლამა პოეზიამ შეითვისა შედეგში და რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა, მაგალითად, ამა თუ იმ სურნელში შესატყვისი მელოდური ძველადობის განკერძა ან, ვთქვათ, ამა თუ იმ ფერის აღქმასთან სხვა ხასიათის ფიზიკური განცდის (ტკივილის, წყურვილის და სხვ.) დაკავშირება.

უნდა შევინშნოთ, რომ ბოდლერის ლექსში ეს კონცეფცია მოცემულია ოდნავ მისტიკური ელფერი, რომელიც განსაკუთრებით გვიანდელმა დეკადენტებმა გააზვიადეს და სიმბოლიზმის თვისებურ რელოგიად აქციეს. მაგრამ თუ ჩვენ მას ნათესაობით ამ მისტიკურ „ნაპუქს“, ასეთ შემთხვევაში ძნელი არ იქნება მასში, როგორც მხატვრულ კონცეფციაში, იმ „რაციონალური მარცლის“ აღმოჩენა, რომელიც საზოგადოდ



მთელ ახალ ევროპულ პოეტებს უდევს საფუძვლად.

თავის წარმოშობით ეს ტენდენცია დაკავშირებული უნდა იყოს იმ ცვლილებებთან, რომლებიც მოხდა თანამედროვე „პოეტური ლოგიკის“ სფეროში. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, ერთსა და იმავე დროს გახდა უფრო ბუნებრივი და უფრო პარადოქსალური. შევეცდებით ამ, ალბათ უცნაური, დებულების გამოიფხვრას. საქმე ისაა, რომ თანამედროვე პოეტური ლოგიკა (ტერმინები „პოეტური აზროვნება“ და „პოეტური ლოგიკა“ ჩვენ მიერ ამ წერილში იხმარება მათი გიწრო, სპეციფიკური გაგებით) უფრო უშუალოდ დაყვრდნო წარმოდგენათა იმ ბუნებრივ, ასოციაციურ დინებას, რომელიც საზოგადოდ დაზახსათაებელია ადამიანის თავისუფალი, ძალდაუტანებელი აზროვნებისათვის. ხოლო, როგორც ცნობილია, თავისუფალი ასოციაცია იშვიათად ემორჩილება რაიმე მკაცრ რაციონალურ პრინციპს და უფრო ხშირად შეიცავს კონტრასტულობისა და, აქედან გამომდინარე, ერთგვარი პარადოქსალობის ელემენტს.

პოეტური ლოგიკის „დერაციონალიზირებამ“ გამოიწვია მთელი რიგი სხვადასხვა ხასიათის ცვლილებისა ახალ ქართულ ლექსში. მათ შორის ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, კერძოდ, ის სახსლე, რომელიც შეტანილი იქნა ე. წ. „პოეტურ არგუმენტაციაში“.

საკმარისია რამდენიმე ცნობილი მაგალითის მიტანა და მათი ურთიერთ დაბრისიპირება, რომ ცხადი გახდეს ამ მხრივ ქართულ პოეტურ ხელოვნებაში მომხდარი ევოლუციის სიღრმე.

ჩვენ აქ მოვიტანთ მხოლოდ ერთ პარალელს XIX და XX საუკუნის ორი ცნობილი ლექსიდან. ავიღოთ მაგალითისათვის ი. ჭავჭავაძის:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა
ტამი?
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ
ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშინარად მოვფინოთ
ხალხში
ბოროტთა საკლავად, — მათ სულთ-ხდომის
სიერს ვუყუროთ.
თუ კაცმა ვერ ცნო ჩვენი გული, ზომ იცის
ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი
ჩვენი“...

და გიორგი ლეონიძის:

„... საჭიროა ლექსისთვის ტამი,
კველა ხეხსური, ვიცი, დანტა,
ვიცი, ბედურას პატარა ფრთაში
დაკვესებული ციტლუ ანთა“.

ჩვენ აქ არ გვინტერესებს ამ ორ ლექსს შორის არსებული კონტრასტული სხვაობა. ჩვენთვის მთავარია ის განსხვავება, რომელიც მათს მხატ-

ვრულ ფორმაში არის გამოქვეყნებული. უკვე პირველად ავტორისთვის იდეა დაკვესებული დამტკიცებულია სრულიად ნათელი და ლოგიკურად სწორხაზოვანი მსჯელობით (რასაც თან ერთვის, რა თქმა უნდა, ილიასათვის ჩვეული „სიტყვაჯახმულობის“ ელემენტი), მეორეში იგი დასაბუთებულია უკვე სპეციფიკური „მხატვრული არგუმენტაციით“, ე. ი. ცოცხალი სახეების მოშველიებით.

თუ ჩვენ დაკვირვებით შევადარებთ ძველსა და ახალ პოეზიას, ძნელი არ იქნება იმის შემჩნევა, რომ თანამედროვე პოეტურ ლოგიკაში შესულია მთელი რიგი სრულიად ახალი ცნებებისა. ასეთია, მაგალითად, ემოციური ქვეტექსტის ცნება-სხვათა შორის ჩვენმა მკითხველმა უკანასკნელად 40 წლის განმავლობაში უკვე ისწავლა ამ პოეტური ხერხის ზოგიერთი საიდუმლოება და ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ იგი უკვე ახლებურად კითხულობს ქართულ ლექსს. სამწუხაროდ, ძნელია იგივეს თქმა ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსის შესახებ. დღემდე იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ლექსის ანალიზისას პოეტური ტექსტი განიხილება ისე, თითქოს ეს იყოს რაიმე მეცნიერული ტრაქტატი ან პუბლიცისტური ნაწარმოები; რომელშიც ყოველ სიტყვას ან ფრაზას მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობა აქვს.

აქ უნდა ითქვას, რომ ჩვენი დროის ქართულ პოეზიაში ემოციური ქვეტექსტი უკვე აღარ წარმოადგენს რომელიმე ერთი ან ორი პოეტის მონოპოლიას. სტრიქონთა შორის მოქცეული შინაარსის ამოკითხვა დღეს აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მარტო იმ რთულ ლირიკულ განწყობილებათა „გასაფიქრავად“, რომელსაც შეიცავს, მაგალითისათვის, გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, ამგვარი მიდგომა დღეს საჭირო და აუცილებელია ისეთი რეალისტური ნიჭისა და პუბლიცისტური შემართების პოეტთა მიმართაც, როგორადაც გვევლინებიან, ვთქვათ, კარლო კალაძე და ალიო მირცხულავა. იგივე უნდა ითქვას, მაგალითად, ირაკლი აბაშიძისა და ლადო ასათიანის ზოგიერთ ლექსზე, მიუხედავად იმ სიხალისისა და უშუალოებისა, რომელიც მათი პოეტური სიტყვისათვის არის დამახასიათებელი.

ახალ ქართულ პოეზიაში ქვეტექსტური შინაარსის, ემოციური „მინიშნების“ და სხვა ახალი მხატვრული საშუალებების აღმოცენება არ წარმოადგენს უბრალო შემთხვევითობას და არც რომელიმე ერთი პოეტის სუბიექტური კაპრიზის ნაყოფს. ეს არის კანონზომიერა შედეგი იმ დიდი ისტორიულა გამოცდილებისა, რომელიც ქართულ პოეზიას გააჩნია.

თუ დღეს ქართულ ლექსში პოეტურ ენას შესწევს ძალა, იყოს ბევრად უფრო ლაკონიური, უფრო „ეკონომიური“ ამა თუ იმ აზრობრივ ან ემოციური ნიუანსის გადმოცემისას, თუ იგი ამ მხრივ მკითხველსაგან მოითხოვს გამჭოლიაზრო-



სა და გემოვნების გარკვეულ დონეს, ეს იმიტომ, რომ ამისათვის მომზადებული შესაფერი ნიადაგი მთელი ჩვენი წარსული მწერლობის მიერ. ქართველ მკითხველს, რომელმაც შეძლო შეფუთვისებინა ვედხისტიკოსისა“ რთული და მაღალი ხელოვნება, არ გაუჭირდება იმ კანონზომიერ სირთულესთან შეგუებაზე, რომელიც ახალი პოეზიისათვის არის ნიშანდობლივი, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ უკანასკნელი გამართლებული იქნება პოეტური ჩინაფიქრის არამოკიდებითი სიღრმით და გარწმობათა ქვეშაობითი სიმდგრდით.

ჩვენი აზრით, ის მიდრეკილება პოეტური აზროვნებისა და ენის გართულებისადმი, რომელიც დაამკვიდრეს XX საუკუნის ქართული ლექსის საუკეთესო ოსტატებმა, წარადადგენს ისტორიულად აქტიურად გზასა და საშუალებას იმ ახალი სისადავის მისაღწევად, რომელიც მომავალში არა მხოლოდ უნდა გაუთანაბრდეს, არამედ კიდევაც უნდა აღემატებოდეს თავისი სიღრმით წარსული პოეზიის კლასიკურ უბრალოებას. ისევე როგორც მეტყველებაში ყოველი ახალი, თავისთავად მარტივი, კანონის დადგენა მოითხოვს ათას პიპოთეტურ დაშვებას და გაბეჭულ ექსპერიმენტს, პოეზიაშიც დიდი და საბოლოო განზოგადებას შესაძლებელია მხოლოდ რთული ემპირიული ძიებების ნიადაგზე.

მაგრამ ჩვენ აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას ამ საკითხის შესახებ, რადგანაც ვმოწმობთ, რომ იგი საუკუნო წინასწარმეტყველებათა სფეროში გადადგეყვება. ხოლო ჩვენი მიზანს კი შეადგენს მხოლოდ დღესდღეობით რეალურად არსებული ზოგიერთი მოვლენისა და ტენდენციის დადგენა და კონსტატაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულს კი ჩვენ მივყევართ ერთ მთავარ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ქართულ ლექსში პოეტური აზროვნება წარმოადგენს უპირატესად „ემოციურ აზროვნებას“ და რომ იგი არის ახალი ქართული პოეტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანთვისება, რომლის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია მისი პრაქტიკული განხილვა ყოველ კერძო შემთხვევაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძალიან იდეალი შესაძლებელია, ამა თუ იმ მოვლენის განსაზღვრისას ჩვენ მიერ ამ წერილში პირობითად ნახშირი ზოგიერთი ტერმინი არ აღმოჩნდეს ამ მოვლენათა ზუსტად შესატყვისის. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში ჯერ კიდევ არ არის გამოუმუშავებული და საბოლოოდ დადგენილი ის ახალი თეორიული ტერმინოლოგია, რომელიც თანამედროვე პოეტური ხელოვნების რეალურ დონეს უნდა შეფარდებოდეს.

საბოლოოდ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ საკითხს, რომელიც სერიოზული შესწავლის ღირსია. თანამედროვე ქართულ ლექსში, როგორც არასოდეს, ამაღლია და განვითარდა დეტალის ფუნქცია, და ეს მიუხედავად იმისა, რომ

ჩვენს პოეზიას უკავად პოეტური დეტალიზაცია ვირტუოზები, როგორც რუსთაველი ლხიწყაძეები იყვნენ. ეს პროცესი საზოგადოდ დამახასიათებელია XX საუკუნის პოეზიის განვითარებისათვის როგორც ევროპაში, ისე რუსეთშიც.

სხვათა შორის, ყველა ამ ცვლილებამ და სიხალემ გარკვეული ზემოქმედება მოახდინა არა მარტო თანამედროვე ქართული ლექსის „შინაგან ფორმაზე“, არამედ მის გარეგნულ კომპოზიციურ არქიტექტონიკაზეც.

თუ XIX საუკუნისათვის ტიპიური იყო ე. წ. „სიუჟეტობა“, უფრო სწორად „ერთშინაარსიანი“ ლექსი, რომელიც იწერებოდა ერთი რაიმე ამბის, ერთი იდეის, ან ერთი შთაბეჭდილების გადმოსაცემად, და ეს კეთდებოდა უმთავრეს შემთხვევაში სწორხაზოვნად, თანამედროვე ქართული ლექსის კომპოზიციის გართულებად, გახდა უფრო კომპაქტური, უფრო მეტად დიატივითა მრავალფეროვანი ემოციური შინაარსით, უფრო მრავალმხრივად გადმოცემული განწყობილებით. წარმოიშვა ახალი ტიპის ლექსი, უფრო ტრევიდი და ელასტიური პოეტური განცდის უშუალო ფიქსირებისათვის. რასაკვირველია, ეს არ გამოირჩევა ჩვენს დროში სიუჟეტობიანი ლექსის არსებობის კანონზომიერებას. ასეთი ლექსი იწერება დღესაც და ჩვენ შორის ვართ იმ არსისაგან, რომ ის ანაქრონიზმად გამოვაჩნდებოდა.

სწორი არ იქნებოდა გეგმიქრა, რომ ყველა ეს ცვლილება ქართულ პოეტიკაში მოხდა უცხოური ან რუსული ლიტერატურის გავლენით. ცხადია, ამ გავლენამ შესარულა თავისი როლი. სრულიადაც არ არის საჭირო თანამედროვე ქართული პოეზია წარმოვადგინოთ იზოლირებულად და ხელოვნურად მოწყვეტით ახალი მსრფლოლი ლიტერატურის განვითარების გზებს. კერძოდ, უნდა აღიარებულ იქნას, რომ ქართულ პოეზიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონია იმ სიახლემ, რაც საერთოდ XIX საუკუნეში დაამკვიდრდა მსოფლიო რეალისტური ხელოვნების თითქმის ყველა ქანრში ფერწერისა და მუსიკის პოეზიაზე. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყველა ეს ცვლილება ქართულ პოეტიკაში მოხდა, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ გამოიკვლია, გართულდა და გაიდირდა თვით თანამედროვე ქართველი ადამიანის შინაგანი სამყარო. ხოლო, მეორე მხრივ, არა ნაკლებ საკულისხმოა ის, რომ თვით ქართული ლექსის ბუნებაში, მის მრავალსაუკუნოვან მაღალ კულტურაში იყო ყველა მონაცემი, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ამ ახალი საფეხურის მიღწევა.

ყოველივე ამზე საუბარი მოგვიხდა იმის გამო, რომ სწორედ დღეს, ჩვენი აზრით, ძალიან მწვავედ დგას ქართული პოეზიის, მისი მხატვრული შინაარსისა და ფორმის, მისი განვითარებისა და მომავალი პერსპექტივების საკითხი. არის დიდი შინაგანი ძვრები, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ბრძოლა და წინააღმდეგობები და, სამ-



წუხაროდ, ეს სრულიადაც არ აისახება ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში. ძალზე იშვიათად, ძუნწად იწერება წერილები პოეტური ოსტატობის შესახებ. მივიწყებულია მთელი რიგი მტკივნეული საკითხებისა, რომლებიც გამოძვეურებასა და სერიოზულ განხილვას მოითხოვენ.

დღევანდელ ქართულ კრიტიკაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თანამედროვე პოეზიის ნაწარმოები განიხილება უკვე საკმაოდ მოძველებული და ამის გამო ფაქტიურად უვარგისი კრიტიკიუმებით. ბუნებრივია, ეს დროგადასული, ტრაფარეტული საზომები შეუძლებელს ხდიან ჩვენი დროის ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პოეტური მოვლენის ამომწურავსა და ღრმა შეფასებას.

გარდა ამისა, ეს იწვევს კრიტიკული მომთხოვნელობის შესუსტებას. ის სტანდარტული განსაზღვრები, რომლებიც დღემდე შემორჩა ქართულ კრიტიკას (ყველა ეს „გულწრფელი“, „ომახიანი“, „ერთი ამოსუნთქვით ნათქვამი“ და ა. შ.), სინამ-

დვილში ხშირად წარმოადგენენ ამა თუ იმ პოეტური ნაწარმოების მხატვრული უნიკალობის პრიმიტიულობის ხელოვნურ საფარველს.

ჩვენი აზრით, დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა ოსტატობისა და ფორმის საკითხთა პირველ პლანზე წამოწევა და მათ შესახებ პრინციპული ლაპარაკი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მთელი იმ მხატვრული გამოცდილების განზოგადება და ობიექტური შეფასება, რომელიც დაგროვილია ქართული საბჭოთა პოეზიის მიერ თუნდაც უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში.

ასეთი თეორიული გამოკვლევა წარმოადგენს ჩვენი ახალი ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკის გადაუდებელ ამოცანას, რადგან დადგა დრო, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში მოხდეს ფასეულობათა სერიოზული გადასინჯვა პოეტური ხელოვნებისადმი მაღალი, პროფესიული მომთხოვნელობის პოზიციებიდან.



ნიკო ჭავჭავაძე

ესთეტიკური აღზრდის გოგონათი საკითხის გამო

ოდესღაც შილერი ზეცნებობდა — ესთეტიკური აღზრდა ადამიანს პოლიტიკურ თავისუფლებას მოუტანსო. მისი ვარაუდი, მარტივად, ასეთი იყო: სილამაზე, მშვენიერება გრძნობადისა და ზეგრძნობადის პარამონიული ერთიანობა; სილამაზეს ნაზიარები ადამიანი აღადგენს ცივილიზაციით დაკარგულ ერთიანობას თავისი ბუნების გრძნობად, ზორციელ და ზეგრძნობად, სულიერ მზარეებს შორის; სილამაზესთან ურთიერთობაში პოულობს ადამიანი თავის ქვეშეობას, თავის ადამიანობას და ამით თავისუფლებისათვის საცვებით მომზადებულ ზღვრებს.

ჩვენმა ებოქამ თავისუფლების მოპოვების ბევრად უფრო ეფექტური საშუალებანი მოძებნა და გამოიყენა კიდევაც, ამ მხრივ შილერის ოცნება მხოლოდ გულბერყვილო, ღმილისმოძვერელი უტოპიაა. მეტიც, დღეს ასეთი რამის ქადაგება უზარალო რეაქციული საქმიანობა იქნებოდა. მაგრამ არც უტოპიური და არც რეაქციული ის აზრი, რომ სილამაზის „ზიარება“ აუცილებელია ყოველი ადამიანისათვის, რათა უფლება ჰქონდეს ეს საამყო სახელი ატაროს, და რომ საამისოდ აუცილებელია ესთეტიკური აღზრდა.

სილამაზის სიყვარული, მისი წვდომისა და შექმნის უნარი იმდენად ორგანული ადამიანისათვის, რომ ბნელ წარსულშიც კი ყოველი ერი, მოიპოვებდა თუ არა შედარებით თავისუფალსა და ადამიანურ პირობებს, სილამაზის უკვდავ ძეგლებსა ქმნიდა. შემთხვევითი არ არის, რომ კაცობრიობის ისტორიის ყველაზე ნათელი სტრიქონები — ეპოქები, რომელთა გახსენება ჩვენ დღესაც მადლიერების გრძნობით გვაძვებს ჩვენი წინაპრების მიმართ — უპირველეს ყოვლისა სილამაზის შიარავანდდით არიან მოსილი. ისტორიას ჩაბარდა ანტიკური საბერძ-

ნეთის მონათმფლობელური წყობილება, მისი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები, თანამედროვე მეცნიერებაში ისე გაითქიფა და გარდაიქმნა ანტიკურ ბრძენთა გენიალური მიხედვრები, რომ, ალბათ, მათი ავტორებიც კი ვეღარ იპოვნიდნენ მათ, მაგრამ ცოცლობენ და, მარქსის თქმით, დღემდე ნორმისა და მიუღწეველი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ ძველ ბერძენ პოეტთა და ხელოვნთა ქმნილებანი. რენესანსის ხანა კაცობრიობის მეხსიერებაში უწინარეს ყოვლისა პეტრარკასი და ბოკაჩიოს, ლონარდოსი და მიქელანჯელოს და სილამაზის მრავალი სხვა ქურუმისა და შემოქმედის სახელით ცოცლობს, ისევე როგორც ძველი საქართველის უბრწყინვალესი ებოქა — რუსთაველის სახელით.

ქემპირიტად ადამიანური ცხოვრება რომ სილამაზის ვარშე წარმოუდგენელია, ამ აზრის სასარგებლოდ მარტო და იმდენად წარსული კი არ მეტყველებს, არამედ მომავალიც. ჩვენი იდეალი — კომუნისმი, მიაიკოსკის თქმით, არის აქვეყანა, რომელშიაც ბევრი ლექსი და სიმღერაა“. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს განყენებული, მხოლოდ პეტრისათვის დამახასიათებელი ოცნებაა. ადამიანები, რომლებმაც ყველაზე უკეთ გამოხატეს ხალხის მისწრაფებანი და ყველაზე მეტი ვაკეთეს თავიანთი ხალხისა თუ კაცობრიობის თავისუფლებისათვის, იმავე დროს, როგორც წესი, სილამაზისათვის მეტროლონიც იყვნენ. ჩვენ ზმირად და მართებულად ვამბობთ ხოლმე, რომ, მავალითად, რუსი რევოლუციონერი დემოკრატები, ან ჩვენი სამოციანელები, ხელოვნებასა და ესთეტიკას სოციალ-პოლიტიკური მიზნებით იყენებდნენ, პრაქტიკული ბრძოლის იარაღად ზმარობდნენ, მაგრამ გვაიწყვდება, რომ მათი თეორიული თუ პრაქტიკული ბრძოლა იმავე დროს სილამაზი-



სათვის, მისი ცხოვრებაში დანერგვისათვის ბრძოლაც იყო.

მარქსი — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი — ცხოველსაგან ადამიანს იმითაც განასხვავებდა, რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის, რასაც ქმნის, სილამაზის კანონების თანახმადაც ქმნის. ეს კიდევ წინააღმდეგ, რომ კაცობრიობის თავისუფლების სამეფო, რომლის აშენების მიყენიერული გზა დასახა მარქსმა, სილამაზის სამეფოც უნდა იყოს. ლენინს არაერთხელ გაუსვამს ხაზი იმისათვის, რომ ხელოვნება ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, რათა ხალხში აღვიძებდეს მხატვრებს, ხელოვანებს, და რომ ახალი ცხოვრებისა და კულტურის აშენება შეუძლებელია ძველი კულტურისა და, კერძოდ, ესთეტიკური კულტურის ათვისების გარეშე. დიდი რევოლუციონერები ესთეტიკური კულტურის დიდი მოამბეები იყვნენ ხოლმე.

ჩვენი ქვეყანაში ესთეტიკური კულტურის განვითარებისათვის იმდენი სულიერი და მატერიალური სახსრები ინარჩუნდა, რამდენიც არც ერთ დიდ, ხანგრძლივ ეპოქას არ დაუხარჯავს. მიღწევებიც უსათუოდ დიდი გვაქვს. მხატვრული ლიტერატურის მილიონიანი ტირაჟები, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, კლუბებისა და მუზეუმების, კინო- და დრამატული თეატრების უღატოვსი ქსელი, პრესა, რადიო და ტელეხედვა — ყველაფერ ამან ხელი შეუწყო ხელოვნების გადაქცევის მისების კუთვნილებად, ხალხის ესთეტიკური კულტურის ამაღლებას — კულტურული რევოლუციის ამ ორგანოდ ნაწილს. იმ ადამიანთა წილები, რომელთაგან წინათ ზოგი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, დღეს კითხულობენ არა მარტო ილიასა და პუშკინს, არამედ, და ხშირად ორიგინალშიც, რონსარსა და რაბლეს, შექსპირსა და ბიონოსს, გოეთესა და შილერს, ფირდოუსსა და საადის, კალიდასას და თავარს, კამოთბენ ფრანგულ ფერწერასა და იაპონურ გრაფიურაზე, იტალიურ ფილმებსა და მექსიკურ გრაფიკაზე, უსმენენ ბეთოვენსა და ვაგნერს. და არა მარტო აღიქვამენ ხელოვნებას, არამედ ქმნიან კიდევაც მას. საქართველო პოეტების ნაკლებობას არასოდეს არ განიცდიდა, მაგრამ იმდენი პროფესიონალი პოეტი და, განსაკუთრებით, მხატვარი და კომპოზიტორი, რამდენიც დღესაა გერთიანებული შემოქმედებითი კავშირებში, მას არასოდეს არა ჰყოლია. ყველაფერი ეს უდავოდ ჩვენი საბჭოთა წყობილების ნაყოფია. კულტურული რევოლუციის შედეგია. მაგრამ ყველაზე ნათლად ეს შედეგები ჩანს ხალხის საერთო კულტურული დონის ამაღლებაში და, კერძოდ, მის ესთეტიკურ მოთხოვნილებათა ზრდაში. და თუ ამ გაზრდილ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით შეგხედავთ ჩვენში ესთეტიკური კულტურის

დანერგვას, ხალხს, და, უპირატესად, ქვეყნის ახალგაზრდობის, ესთეტიკური აღზრდის საქმეს, დავინახათ, რომ ჩვენი ცხოვრების ეს უბანი, როგორც იტყვიან, ვერ დგას მის წინაშე დასახული ამოცანების სიმძლავრე ან, პირდაპირ რომ ვთქვათ, ხშირად შეუწყნარებლად სცილდება ამ ამოცანებს.

არა მგონია დღესდღეობით ჩვენში მოიძებნებოდეს სილამაზისადმი აშკარად აგრესიულად განწყობილი ადამიანი, მაგრამ ერთგვარი ნიპოლოზში, გულცივი დამოკიდებულება მისადმი, როგორც რაღაც მესამე თუ არა, მეორეხარისხოვნისადმი, არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა. ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროდან — დაწყებული მაღაზიებში „ჩაწეული“ ჩაეამებული, სიტოცხლის შემადგენელი ფერის ქსოვილებით („არაგვი“, „სამგორი“ და სხვა ასეთები რომ დაურქმევიათ) ან ბარბაროსულად აჭრელებული აბრეშუმით — იმ მილიონებამდე, რომელთა დახარჯვა მოგახრჩობთ რუსთაველის პროსპექტისა და მოედნის დასამხინჯებლად ყოვლად უქმი კოშკით, როცა რუსთაველის ძეგლის დასამთავრებლად არც ფული გვეოდნის და არც დრო; დაწყებული მახინჯი, ტლანქი ფესსაკმლით, რომელთა შემხედვარე მიყიდვით ნაღვლიანად კითხულობს — „უკეთესს ხომ არ ელით“ — ლათინურ-ამერიკული სიმღერების სუროგატებამდე, რომლებაც ქართულ მელოდიებად საღდება და სულ უფრო დევნის თუ ჩვენი ახალგაზრდობის საყოველღეო რეპერტუარიდან (ეს უკანასკნელი გარემოება იმდენად შემამშფოთებელია, რომ ჩვენი მუსიკალური კულტურის მესვეურთა საგანგებო ყურადღებას მოითხოვს. ქართულ სიმღერას ათასი წლების ისტორია აქვს და შთამომავლობა არ გვაძაბავს, თუ იგი ჯახის რიტმებს ვანაცხავთ. ცხადია, სიმღერაც, ისევე როგორც ყველაფერი ამ ქვეყანაზე, იცვლება და ვითარდება. დროის კანონს ემორჩილება. არც ისაა დასაძრახისი, რომ ზოგი რამ სხვა ხალხების მუსიკალური კულტურიდან გაღმონერგოთ ჩვენში, მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ, როგორც ილა ამბობდა, „სიმღერა გულის-თქმაა. როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს. ამის გამო გულის-თქმაც, გულის ვაიმოქტყვევლებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველ ერს თავისი კლო, თავისი პანე აქვს ამ სხვადასხვაობისათვის“; სხვა ერების მუსიკიდან ნასესხები დადებითი შედეგებს მხოლოდ მაშინ მოგვეცემს, ჩვენს კულტურას მხოლოდ მაშინ გაამდიდრებს, თუ ხალხურ-ეროვნულ ნერვზე ქიქება დამყნობილი, თუ ამ ხალხურ-ეროვნულს უკეთ გაშლას და გაფურჩქნას შეუწყობს ხელს). ამგვარი მაგალითის



მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ მინდა ყურადღება გავამახვილო ყველაზე უფრო შემამოფთებელ გარემოებაზე, რომელიც ერთდროულად ავლენს ჩვენი ესთეტიკური კულტურის განვითარების ნაყოფანებებს და, მე გგონია, მათს მთავარ მიზეზსაც.

რა უნდა გყოს ამ მხრივ იმაზე შემამოფთებელი, რომ ეს თავისებური, თუ შეიძლება ასე თქვათ, ესთეტიკური ნიჰილიზმი ყველაზე ამოკრად იჩენს თავს მათ შორის, ვინც თავისი პირდაპირი საზოგადოებრივი მოვალეობით ესთეტიკური კულტურის დამცველი, სილამაზის რაინდი უნდა იყოს! დიან, ჩვენი ლიტერატურული და მხატვრული კრიტიკა მაქვს მხედველობაში. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენი კრიტიკის მდგომარეობა სახარბიელო არაა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ესთეტიკურის, სილამაზის მიჩნევა რაღაც არააუცილებელ კომფორტად, მისი აშკარა შეუფასებლობა ყველაზე ძლიერად ამ ბოლო დრომდე ჩვენს ესთეტიკურსა და კრიტიკულ ლიტერატურაში იჩენდა თავს. მავალითებით ილუსტრირება არაა საჭირო იმისა, რომ ძალიან ზნირად მხატვრული ნაწარმოების კრიტიკული ანალიზი ამოწურებოდა ზოლმე მისი „მოკლე შინაარსის“, ფაქტურად მისი ფაბულის, უღიმღამო გადმოცემით, მისი იდეის ვულგარულ-სოციალოგიური „ინტერპრეტაციით“ და სადღაც ბოლოს, მოზოდიშებით, იმის აღნიშვნით, რომ ამ მხატვრულ ნაწარმოებს „მხატვრული მხარეც“ აქვს — ავტორი მხატვრულ ხერხებსაც ხმარობს.

არც ისაა საიდუმლო, რომ ჩვენ კარგა ხნის განმავლობაში ვაკისრებდით ხელოვნებას ისეთ ფუნქციებს, რომლებიც მისთვის, სულ ცოტა, საუციფიკური არ იყო (მაგალითად, ე. წ. „საწარმოო რომანებში“ — ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას) მაშინ, როცა ხელოვნების ესთეტიკური ბუნება მის სხვა ფუნქციებთან შედარებით „ღარიბი ნათესავის“ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული და სამარცხვინო ლაქად თუ არა, ოღონაც საინთორო გარემოებად ითვლებოდა. ზოგი ამას ფორმალზმისა და ესთეტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით აცეთებდა, ზოგიც — ამ ცოდვის დაბრალების შიშით, თითქოს მშვენიერების მხოლოდ ფორმალისტური გაგება იყოს შესაძლებელი და სილამაზე მარლატ ესთეტიკა კეთვნილებას წარმოადგენდეს. ნამდვილად, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ მშვენიერების ფორმალისტური გაგება ყალბი გავებაა (ზომ ვიცით, რომ ფორმალზმის „განვითარებამ“ — თანამედროვე აბსტრაქციონიზმმა სილამაზის ნატამალი აღარ დატოვა ხელოვნებაში), რომ ესთეტიკის საერთო არაფერი აქვს ჭეშმარიტი სილამაზის სიყვარულთან, მაგრამ,

სამწუხაროდ, ეს ცოდნა ერთობ აბსტრაქტული თეორიული ხასიათისაა, იგი ცალკეა, საქმე — ცალკე. საქმეში მას მხოლოდ ფორმალისტებთან ბრძოლისას ვხვდებით ზოლმე. პოზიტიურ კრიტიკულსა და თეორიულ-ესთეტიკურ საქმიანობაში კი სილამაზის თავისებური „შიში“ გერ კიდეც არ დავვიძლევა.

ვიცი-თ-მეთოც, რომ მშვენიერების ფორმალისტური გაგება ყალბია. ნამდვილად ვიცი-თ? მგონი არა. ყოველ შემთხვევაში ძალიან ზნირად ვივიწყებთ ამას. მეტიც, წარსულის თავისებური მანე გადმოწამითა ჩვენი კრიტიკულსა და ესთეტიკურ ლიტერატურაში არსებული წარმოდგენა, თითქოს ფორმა რაღაც მეორეხარისხოვანია ხელოვნებაში და ესთეტიკურება ამ ფორმის სასხვათაშორისო თვისებაა. აი ამის ვგვეთრი თეორიული საბუთი: ხელოვნების მორალურ-აღმზრდელობითი როლის შესახებ ძალიან ბევრი თქმულა თეორეტიკოსების მიერ წინათაც და ასლაც. მართლაც, არივად დაეკვლება იმაში, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება ზნეობის მასწავლებელი იყო მუდამ. მაგრამ განა ეს მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებში გატარებული მორალური იდეებით აიხსნება? არა, პირიქით, ყველამ ვიცით, რომ დიდაქტიურ-დამრიგებლობით ხელოვნებას არასოდეს არავისთვის არ ჩუენერგავს დიდი მორალური პრინციპები. საქმე, ალბათ, მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ზნეობრივ-აღმზრდელობითს ფუნქციას ხელოვნება მორალის ქადაგებით კი არ ასრულებს, არამედ სწორედ თავისი ესთეტიკური ღირებულებით — ხელოვნების თვითონ სილამაზეა, ეთიკურად რომ მოქმედებს ადამიანზე. ძველებმა ეს ძალიან კარგად იცოდნენ — არისტოტელეს კათარზისის ცნება სწორედ ამას გამოხატავდა — ხელოვნების განმწმენდელ-ამაღლებელ ზეგავლენას ადამიანის სულზე. და არა მირტო ძველებმა. ვაიხსენოთ უსპენსკის შესანიშნავი მოთხრობა „Выпрямила“, ანდა გორკის მოხდენილი და გონებაშახვილური გამოთქმა — „ესთეტიკა — მომავლის ეთიკა“.

ცხადია, ყველაფერი ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხატვრულ ნაწარმოებს არ სჭირდებოდეს საკუთრივ მორალური შინაარსი. უსათოდ სჭირდება. მაგრამ მორალის „ქადაგება“ ხელოვნებაში თავის მიზანს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როცა მისი ესთეტიკური ღირებულება, მისი სილამაზე იქნება გაზნული.

ღრთა თავი დავანებოთ ხელოვნების შინაარსიანობის დაპირისპირებას ფორმის სილამაზისადმი. ეს თეორიულადაც მცდარია (სილამაზეს, ესთეტიკურობას მოკლებული შინაარსი ვერც იქცევა ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოების შინაარსად და ცალკე ამაღლებული ფორმის სილამაზეზე ლაპარაკიც მხოლოდ ფორმალისტებს



შეუძლიათ) და პრაქტიკულადაც საზიანო. ჩვენი ხელოვნების ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ბარტიამ დაჰგმო, ფოტოგრაფიზმი იქნება ეს სახვითს ხელოვნებაში თუ პრიმიტივიზმში მუსიკაში, ილუსტრატორობა თუ სქემატიზმი ლიტერატურაში, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ მდღარი თვალსაზრისით. უნდა გავიხსენოთ, რომ მხატვრული ნაწარმოების ყოველი „ატომი“, ხელოვანის საქმიანობის ყოველი ნაბიჯი — მასალის შერჩევიდან მის საბოლოოდ „გაფორმებამდე“ — ესთეტიკური ბუნებებსა. სინცა ვივიწყებთ, რომ მხატვრული ნაწარმოები რინამდღვისის ესთეტიკური ხედვის, ან, თანამედროვე რუსი ავტორების ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ესთეტიკური შემეცნების“ ნაყოფია, მაშინ ვერ ავიცდნენ შეცდომებს ვერც მხატვრულ შემოქმედებაში, ვერც კრიტიკაში. ხელოვნების შინაარსის ესთეტიკურობის უგულვებელყოფისას შეუძლებელია ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოების შექმნა.

უნდა გავიგოთ, რომ, ვისაც ხელოვნების „მხატვრული მხარე“ უკანა პლანზე გადააქვს, ის, ნებისთი თუ შენებლით, იმ ჩვენი მტრების წისქვილზე ასხამს წყალს, რომლებიც სოციალისტური რეალობის მეთოდით „ხსნიან“ ჩვენი ხელოვნების არსებულ და არარსებულ ნაკლოვანებებს და თავიანთი თავდასხმების დროს ჩვენი ესთეტიკური და კრიტიკული ლიტერატურის ნაკლოვანებებსაც იყენებენ. სხვა რომ არა იყოს რა, არმელ ხელოვნებას აქვს მსოფლიოში თავისი ასახვის საგნის ესთეტიკური გახსნის იმაზე მეტი შესაძლებლობა, ვიდრე ჩვენს ხელოვნებას?

მე სრულებითაც არ მინდა იმის თქმა, თითქოს ყველა ჩვენი კრიტიკოსი, გამოუკვლევლავ, სილამაზის მტერი იყოს. არც იმას ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელოვნების მესვეურებს სილამაზე არ უყვარდეთ. მაგრამ ყოველ სიყვარულს არ უნდა მალვა, „ვითა ცხენსა ნაპარავსა“. მით უმეტეს არ ეპატიებათ ეს იმათ, ვინც ex professo სილამაზის პროპაგანდისტები უნდა იყვნენ.

ამ ბოლო დროს ჩვენი, განსაკუთრებით რუსულ მწერლობაში, გარკვეული ნაბიჯები ვადაიდა ზემოაღნიშნულ და მსგავს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სახელოვნო პრესა დიდ ადგილს უთმობს ხელოვნების საეციციკის, ესთეტიკური კულტურის დანერგვის, გემოვნების აღზრდის საკითხებს. გამოქვეყნდა რამდენიმე მთხრობილი წიგნი ესთეტიკის საკითხებზე (როგორც კრებულების, ისე ცალკე მონოგრაფიების სახით), რომლებშიც, წინააღმდეგ ზოგიერთი წინანი გამოსვლ შრომისა, საკუთრივ ესთეტიკურის ბუნების, ესთეტიკური კატეგორიების საკითხი უგულვებელყოფილი კი არ არის, არამედ

სწორედ ყურადღების ცენტრშია მოქცეული ამ მხრივ დამახასიათებელია თვით ამ წიგნებისა თაურებიც კი (მაგალითად „Эстетическая сущность искусства“ ბუროვისა, „Проблема прекрасного“ ვანსლოვისა და სხვ.) ყველაფერი ეს მისასალმებელია და ჩვენთვის მისაბაძი. მაგრამ მართო თიორიული გამოკვლევებითა და საეურნალო სტატიებით ესთეტიკურ კულტურას ვერ ავამაღლებთ. აქ სხვა ზომებიცაა საჭირო.

გემოვნებას, ისევე როგორც ყოველგვარ ადამიანურ უნარს, აღზრდა სჭირდება. ესთეტიკური კულტურის ამოღების ყველაზე ძლიერი, ყველაზე ეფექტური საშუალება ესთეტიკური აღზრდაა. ამ დარგში კი ჩვენ მეტად სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს და ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენი კულტურა, უბრალოდ ვისაც ნამდვილად სურს, რომ მისი შვილები მასზე უკეთესნი იყვნენ და უკეთესადაც ცხოვრობდნენ, მთავალა ამ ჩამორჩენის წინააღმდეგ იბრძოდეს.

ენობილია, რომ ბავშვის აღზრდა მისი დამადების დღიდან უნდა იწყებოდეს. ასეა ეს ესთეტიკური აღზრდის მიმართაც. მთელი გარემო, რომელიც ბავშვი იზრდება, ყველაფერი რასთანაც ის ურთიერთობას ამყარებს, ამა თუ იმ მიმართულებით განსაზღვრავს მისი გემოვნების განვითარებას. ჩვენ ყოველთვის არ ვთვალისწინებთ ამას. ისეთი ნივთებიც კი, რომლებიც სპეციალურად ბავშვთათვის არის განკუთვნილი, ზშირად მათი ესთეტიკური ზემოქმედების გაუთვალისწინებლად კეთდება.

აი, მაგალითად, სათამაშოები. ისინი ბავშვის არა მარტო გონებრივ აღზრდას ემსახურებიან, არამედ მისი ფანტაზიის განვითარებასაც, მისი გემოვნების ჩამოყალიბებასაც. რომელ მშობელს არ სტყენია გულს, როცა იძულებული გამხდარა ბავშვისათვის ჭუჭყიანი მორუხო-მომწვანო ფერის სათამაშო მიეტანა. კიდევ მეტი, ჩვენ „მოვახერხეთ“ სათამაშოებშიც კი თავისებური ნატურალიზმისა და პროზაიზმის შეტანა—აცა, ჩივლი ბავშვები ფორმალიზმში არ გადაიჩნებონ. ვისაც, მაგალითად, ჩეხური ან ჩინური მსუბუქი ილუმირით შესრულებული სათამაშო ცხოველები და თოჯინები უნახავს, დამეთანხმება, რომ ისინი ბავშვებს უფრო გააბარებენ და ფანტაზიასა და გემოვნებას უფრო განუვითარებენ, ვიდრე თბილისის არტელეში დამზადებული ცელულიდის „რეალისტური“ აქლემები და სახედრები. ვანა არ შეგვიძლია კარგი ქართული, საუკეთესო ხალხურ ტრადიციებზე დამყარებული სათამაშოების გაკეთება? შეგვიძლია; ვაკეთებთ კიდევაც, მაგრამ მათ მხოლოდ სათამაშოთა მუზეუმში თუ ნახავთ.

ავილით საბავშვო წიგნები. მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რასაც ამ უკანასკნელ

წლებში მივაღწიეთ ქართული საბავშვო წიგნების გამოცემის საქმეში, გასაკეთებელი ჯერ კიდევ საქმით გვაქვს, რომ ჩვენი ხალხის გაზრდილი მოთხოვნებია დაგაცაყოფილოთ. ჩემს შვილს, მაგალითად, დაახლოებით სამასამდე წიგნი აქვს, მათ შორის ქართული თითებზე ჩამოთვლებია. სხვა მშობლებიც, დარწმუნებული ვარ, ჩვენს დღეში არიან. ქართული საბავშვო წიგნი ცოტაა — მორიდებით ვამბობთ ხოლმე. არაა მართალი. ცოტა იმას ჰქვია, კვირაში ერთი-ორზე მეტს რომ ვერ იშვინი. ვადორმების ხარისხზე აღარაფერს ვიტყვი. ეს მართა პოლიგრაფიული მრეწველობის ბრალი არაა. არც ტრადიციები გვაკლია: „ნაკადულზე“ და „ჯეჯილეზე“ თაობები აღიზაბი. მიზნი აღბათ უყურადღებობაში, უსურულაობაში უნდა ვეძებოთ — რუსეთში დიდი მწერლები და მხატვრები არ თაკილობენ ბავშვებისათვის მუშაობას, ჩვენში კი ბევრი, როგორც ჩანს, უვადრილობს. ხოლო იმათ, ვინც არ უვადრილობს, ზოგჯერ (როგორც ამას პროდუქცია მეტყველებს) ავიწყლებათ, რომ „ბავშვებისათვის უნდა გწეროთ (და ეხატოთ) ისევე, როგორც მოზრდილთათვის, ოღონდ უკეთესად“.

რუსეთში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში შესანიშნავი საბავშვო წიგნები გამოდის. იქმნება გარკვეული სტილი საბავშვო ლიტერატურისა — შინაარსით სოციალისტური, ფორმით ნაციონალური, ისევე როგორც კულტურის ყველა დარგში. ჩვენთანაც უნდა ვიზრუნოთ ამისათვის — კულტურისა და ტექნიკის მიღწევათა, მთელი ჩვენი ცხოვრების თანამედროვე ბასიათის გათვალისწინებით და საუკეთესო ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებით შექმნათ ჩვენი საბავშვო ლიტერატურის საკუთარი სტილი.

კიდევ უფრო უარესადაა ჩვენი სკოლამდელი ბავშვების მუსიკალური აღზრდისათვის საჭირო „ტექნიკური აღჭურვილობის“ საქმე. თანამედროვე ტექნიკის წყალობით მუსიკა, როგორც იტყვიან, ჩვენს ყოფაცხოვრებაში შეიჭრა. რატომ სრულად არ ვიყენებთ ამ ტექნიკას ჩვენი ბავშვების მუსიკალური აღზრდისათვის? აი, მაგალითად, არსებობს მცირეფორმებიანი საბავშვო ფორმები სკოლამდელთათვის მისაწვდომი ტექსტითა და მელოდიით. ქართული ასეთი ფორმებია არ შემხვედრია. განა არ წერენ ჩვენი კომპოზიტორები საბავშვო მუსიკას? რატომ არ ვეწევით მათს პოპულარიზაციას ყველა საშუალებით? არ სჭირდებათ ეს ჩვენს ბავშვებს?

ბავშვთა აღზრდის ძირითადი კერა სკოლაა. აქ, კერძოდ, მათი ესთეტიკური აღზრდისათვის სპეციალური საათებია გამოყოფილი, სპეციალური მასწავლებლები ასწავლიან მათ მხატვრულ ლიტერატურას, ხატვას, სიმღერას. მაგრამ... მაგ-

რამ ყველამ ვიცით, რომ ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით ყოველთვის არაა განსხვავებული ლიტერატურისა და, ვთქვათ, ქიმიის, ან ხატვისა და ხაზვის გაკვეთილებს შორის. ამას მართა ზოგიერთი პედაგოგის უუნარობით ვერ ეგხნით.

ამ ბოლო დროს პრესაში ბევრი სამართლიანი საყვედური გამოითქვა ჩვენს სკოლაში არსებულ ვითარების, კერძოდ, სასწავლო პროგრამების გამო. პირტამ დააყენა ცხოვრებასთან სკოლის დაკავშირების, სწავლების პოლიტიკური ნიშნის ამოცანა. ცხადია, პოლიტიკური ნიშნის „ტექნიკური“ არ უნდა ვავიყოთ. ჰუმანიტარული საგნების როლი კი არ უნდა შესუსტდეს, პირიქით, უნდა გაიზარდოს. ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით იდეალურ სკოლაში ყველა საგნის სწავლება, ყველა აღმზრდელითი დონისძიება, თავისი ძირითადი ამოცანის გარდა, მოზარდის ესთეტიკური გემოვნების გაფაქრებასაც უნდა ემსახურებოდეს. ჩვენ ჯერჯერობით შორს ვართ ასეთი იდეალისაგან, როგორც ვთქვი, ისეთი საგნების სწავლების დროსაც კი, რომელთა პირდაპირი ფუნქციაა ბავშვის ესთეტიკური კულტურის ამაღლება.

მაგრამ როგორ უნდა შესარულოს, ვთქვათ, ლიტერატურის სწავლებამ ესთეტიკურ-აღმზრდელითი ფუნქცია, როცა ჩვენი კრიტიკული და ესთეტიკური ლიტერატურის ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი სასწავლო პროგრამებში პირდაპირ მეთოდურ მოთხოვნადად იქცა. აი, მაგალითად, რას მოითხოვს ქართული ლიტერატურის მასწავლებლებისაგან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და მეთოდის განყოფილების მიერ შედგენილი პროგრამა:

„მოსწავლეები ჯერ ითვისებენ ცნობებს ლიტერატურის იდეური და პოლიტიკური მნიშვნელობის, მისში საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვის, მწერლის საზოგადოებრივი როლის და ნაწარმოების ხალხობრივ შესახებ. ამ მიმართულებით უნდა იქნეს შესწავლილი როგორც ძველი ლიტერატურის ძეგლები, ისე მთელი კურსი.“

შემდეგ აიწერა თეორიული საკითხებისა დაკავშირებულია მხატვრული ნაწარმოების ავტორებზე დაკვირვებასთან, ამასთან საკითხები განხილული უნდა იქნეს ფორმისა და შინაარსის მთლიანობის საფუძველზე. ნაწარმოების იდეა და თემატიკა, მხატვრულ სახეთა სისტემა, ნაწარმოების იდეურ-თემატიკური საფუძველი, ენა, როგორც ხასიათთა კონკრეტიზაციის საშუალება, ნაწარმოების იდეური შინაარსი, სიუჟეტი, როგორც გამოხატულება ცხოვრების წინააღმდეგობებისა და კონფლიქტებისა — ყოველივე ეს განხილულ უნდა იქნას კონკრეტულ მაგალითებზე“ (საშუალო სკოლის პროგრამები, 119



ქართული ლიტერატურა, VIII — XI კლასები. 1956 წ., გვ. 11. ხაზი ჩემია).

როცა ბავშვს ჯერ ევლგარულ-სოციალო-ვისტურ თეალსაზრისს შეუქმნი ლიტერატურა-ზე; მერე უკვე გვიანია ნაწარმოების განხილვა „ფორმისა და შინაარსის მილიანობის საფუძველზე“. ხელოვნების ძეგლის წმინდა სოციალოვისტური ინტერპრეტაციის შედეგად, მისი ესთეტიკური თავისებურება, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მეორეხარისხოვან „მხატვრულ მხარედ“ რჩება. ეს ასეცაა დაკანონებული პროგრამაში. აი, მაგალითად, როგორი გვეგვით ისწავლებოდა ქეიშვილის „ლელო“:

„...რომანი „ლელოს“ იდეური შინაარსი. საკლემენტურნო წყობის განმტკიცება და ახალი ურთიერთობის დამყარება სოფლად. კოლექტიური შრომის სურათები, ბრძოლა სუბტროპიკულ კულტურის მოსავლის გადიდებისა და შეძლებული ცხოვრებისათვის. საკლემენტურნო ახალგაზრდობისა და მოწინავე საბჭოთა ადამიანების სახეები რომანში. ძველი ყოფის გადნაშთები და მათი დაძლევა. რომანის მხატვრული მხარე“ (ფიგვე პროგრამა, 1955 წ., გვ. 70).

ნუთუ არ შეიძლება ისე ავაგოთ პროგრამა, რომ მხატვრული ნაწარმოების იდეური შინაარსი და „მხატვრული მხარე“ ხელოვნურად არ გავთიშოთ ერთმანეთისაგან? განა მხატვრულ ნაწარმოებში ისინი ერთმანეთის გვერდით არ არიან მოთავსებული? ასეთ გათიშვას ზომ მხოლოდ ეს მოსდევს შედეგად, რომ მოსწავლე ვეღარ გაიგებს რა არის, ვთქვათ, იმავ „ლელოს“ მთავარი ღერძი — ბრძოლა სუბტროპიკულ კულტურის მოსავლის გადიდებისათვის თუ ახალი ადამიანისათვის, „ადამიანთკოლდნობა“ ლიტერატურა, როგორც ამას საბჭოთა მწერლობის ფუძემდებელი გარკი თქვობდა, თუ აგრობიოლოგიის დარგი.

ეს „მხატვრული მხარე“, სადაც კი იგი გათვალისწინებულია პროგრამის მიერ (ზოგიერთ შემთხვევაში იგი სულ არაა გათვალისწინებული, მაგალითად, კ. ლორთქიფანიძის შემოქმედების განხილვისას), ყოველთვის ბოლოსთვის არის ხოლმე მოტოვებული. ხოლო „მხატვრული მხარის“ უგულვებელყოფა, მისგან დაცლა ხელოვნების შინაარსისა მართლაც დააჯერებდა მოსწავლეს, რომ, მაგალითად, ვალაკტონ ტაბიძეს იქვს „სამხედრო-თავდაცვით თემებზე დაწერილი ლექსები“ (იქვე, გვ. 67).

სამხედრო-თავდაცვით თემებზე შეიძლება (და უნდა) ტარდებოდეს მეცადინეობები, ვთქვათ, „დოსაფის“ წრეებში, ხოლო პოეტები წერენ ლექსებს ადამიანთა გულბზე, რომელთაც ომი არ უნდათ, მაგრამ თუ საჭირო შეიქნა, მკერდით შეგრავენ სამშობლის საზღვრებს. პროგრამაში, ცხადია, უბრალოდ უხერხული გამოთქმა ნახა-

რი, მაგრამ იგი პოეზიისადმი მხოლოდ უფრო მეტი იძლება ასე ითქვას, არაპოეტური დამოკიდებულების შემთხვევაში შესაძლებელი.

ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით თუ უარესად არა, არც უკეთესადაა ხატვისა და სიმღერის სწავლების საქმე. ჯერ ერთი, რატომ მართა ხატვის, მართა სიმღერისა და არა სახეით ხელოვნებისა და მუსიკის? რატომ უნდა ისწავლებოდეს ეს სახეები მხოლოდ დაწყებით სკოლაში? უფროსი ასაკის ბავშვების გადატვირთვისა გვეშინია? არ უნდა გვეშინოდეს. წესიერად დაყენებული სწავლება სახეით ხელოვნებისა და მუსიკისა არა თუ ხელს შეუშლის სხვა სახეების სწავლებას, არამედ, პირიქით, ხელსაც შეუწყობს; თუნდაც იმტომ, რომ, რაც უფრო მრავალმხრივ განავითარებთ მოსწავლე ახალგაზრდობას, მით უფრო ენერგიული იქნება იგი. გადალას სწავლებისა და აღზრდის ერთფეროვნება იწვევს ზოლმე. ამასთან ხელოვნება ზომ სი-ციცხლის ტრუნუსს ამწვევია, სიხალისისა და ენერჯის წყარო!

უკვე დროა დავეთქვოდეთ იმაზე, რომ გავა-ხანგრძლივოთ სახეით ხელოვნებისა და მუსიკის სწავლება საშუალო სკოლაში. თანაც ისე, რომ ხელოვნების ამ დარგთა პრაქტიკული გაცნობა თანდათანობით, კლასიდან კლასში გადასვლის კვალობაზე, სულ უფრო და უფრო მდიდრდებოდეს ცნობებით ხელოვნების ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების, ხელოვნების თეორიის ელემენტების შესახებ, ისე რომ საშუალო განათლების ქონე ადამიანს ჰქონდეს ფერწერული ნაწარმოების „კითხვის“, მუსიკალურ ნაწარმოებში ჩაწვდომის უნარი. ცხადია, ასეთი უნარი მას მართა ხელოვნების გაგებაში კი არ გამოადგება, არამედ თავისი ცხოვრების უკვე მოწყობის საქმეშიც და, სხობოლო ანგარიშით, ჩვენი კომუნისტური მშენებლობის საქმეს შეუწყობს ხელს.

სახეით ხელოვნებისა და მუსიკის სწავლების გაუმჯობესებისა და გახანგრძლივების სიკითხვები უკვე დაისვა ცენტრალურ პრესაში. ჩვენც უნდა გამოვიხევაოთ ამას. გაუმჯობესება კი, უპირველეს ყოვლისა, იმ ნაკლოვანებათა დაძლევის გულისხმობს, რომლებიც საქმის დღევანდელ ვითარებას ვაჩინია. ეს ნაკლოვანებანი საგვებით იმის ანალოგიურია, რუნდაც ზემოთ იყო ლაპარაკი. აი ამის დამადატურებელი საბუთებია.

ხატვის პროგრამა ითვალისწინებს 4 საათი საუბრებისათვის ხელოვნებაზე (ორ-ორი საათი მესამე და მეოთხე კლასებში). აი ამ საუბრების თემები: მესამე კლასში — „სოციალისტური მშენებლობა“, „სამშობლოს დაცველი ჩვენი არ-მია“ (დაწყებითი სკოლის პროგრამები. 1956 წ., გვ. 143 — 144). მეოთხეში — „ბავშვთა ცხოვრება რეკოლუციამდე და საბჭოთა პერიოდში“, „ჩვე-



ნი სამშობლოს წარსული“ (იქვე, გვ. 145). არა მკონია, თვითონ პროგრამის ავტორები ფიქრობდნენ, რომ ეს ოთხი საუბარი საკმარის წარმოადგენს შეუქმნის მოსწავლეს სახვითი ხელოვნებაზე. თქმა არ უნდა, სახვითი ხელოვნების გაცნობა მიზნად უნდა ისახავდეს ჩვენი ბავშვების იდეურ აღზრდას, მაგრამ გინა ამის გამო ხელოვნებაზე საუბარი მხოლოდ ამ თემებით უნდა ამოიწერებოდეს? რატომ არ უნდა ვესაუბროთ ბავშვებს იმაზე, თუ როგორ გააღამაზა და დაამშენა ჩვენი სამშობლო სოციალისტურმა მშენებლობამ და როგორ აისახება ეს სიღამაზე ხელოვნებაში? რა როლს თამაშობს სახვითი ხელოვნება ჩვენს ცხოვრებაში, უბრალოდ აღესხაეს იმას, რაც ხდება (როგორც ეს ამ პროგრამის მიხედვით გამოდის), თუ აქტიურადაა ჩამოშლი ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ახალი დამაინის სულიერი სამყაროს ფორმირებაში? არც ისაა მცდარი, რომ „საუკეთესო რუსი რევოლუციონერი და საბჭოთა მხატვრების სურათების რეპროდუქციების განხილვა და ანალიზი უვითარებს მოსწავლეებს ინტერესს და სიყვარულს ჩვენი სამშობლოს ხელოვნებისადმი, ამდიდრებს მათ ახალი ცოდნით“ (იქვე, გვ. 135 — 136). ჩვენს ბავშვებს უსათუოდ უნდა გავაცნოთ და შევავაროთ მოწინავე რუსული ხელოვნება და პროგრამაც ამის ფართო შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ ნუთუ ქართულ სახვითი ხელოვნებაში არ მოიძებნება არც ერთი სურათი, რომლის ჩვენთვის ღირდეს ქართული სკოლის მოსწავლეთათვის? არც სხვა ხალხების ხელოვნების ნიმუშთა გაცნობა აწყენს ჩვენს ბავშვებს.

ძალიან კარგი იქნებოდა (და საბჭოთა სკოლას ამისათვის ყველა შესაძლებლობა აქვს), რომ ხელოვნების გაცნობა მხოლოდ საამისო გავებით არ იფარგლებოდა. უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ყოველ სკოლას ჰქონდეს არამარტო მაღალმატერულ ტილოთა კარგი რეპროდუქციები და საქვეყნოდ განთქმულ ქანდაკებათა თუნდც თაბაშირის ასლები, არამედ რამდენიმე ორიგინალური მხატვრული ტილოც. ჩვენი მხატვრები საქმიოდ ნაყოფიერად მუშაობენ, რომ ეს უტოზიად არ მოგვეჩვენოს.

ხელოვნების სწავლების საქმე კარგად რომ იყოს დაყენებული სკოლაში, მაშინ აღარ შეგვადებოდით ისეთ ფაქტებს, როცა, მაგალითად, სამხატვრო გამოფენებზე მასურებელთა უმრავლესობა ერთიმეორეს უყურებს — ეძებს აღამიანს, რომელიც გააგებინებს, რომელია აქ გამოფენილი სურათებიდან ქეშმარიტი ხელოვნება და რომელი — ხელოსნობა; როცა ბევრმა ახალგაზრდამ არ იცის, თუ რას უნდა უყუროს სურათში, არ იცის მისი კითხვა, ვერ ამჩნევს ზომისა და რიცხვის გარდა რაიმე არსებობის განსხვავებას რეპროდუქციისა და ორი-

გინალს შორის; მაინც და მაინც არაა მსადასმელი ბული ფერწერის უპირატესობაში შენად ფერწერა ტოგრაფიისთან შედარებით. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენში ფოტოგრაფიზმი ვერც მოიკიდებდა ფეხს. ბაზრულ და რესტორნულ „ფერწერაზე“ აღარაფერს ვიტყვი...

რა თქმა უნდა, ესთეტიკური აღზრდა სკოლაში ხელოვნების სწავლებით არ ამოიწერება. აქ ყველაფერი უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლის გემოვნების განვითარებას — ყელდებისა და ავეჯის შეფერილობა იქნება ეს თუ მოსწავლეთა ტანსაცმელი. იმავე რუსულ პრესაში, რომელსაც მაგალითისთვის ბევრჯერ მიგზარავ, სპეციალური დისკუსია გაიმართა იმის თაობაზე, რომ დროა ჩვენს მოსწავლეებს გავხადოთ ყაზარმული ფორმები და უფრო მოხდენილი და შნითანი ტანსაცმისი ჩავაცეთ.

მართლაც, ნეტა რა ვამართლებ აქვს ჩვენი პიონერების „მორთვას“ კოქებად ჩაირეული შარვლებით და ყელში წაპერილი „მუნდირებით“, რომლებზეც პიონერული ყელსახვევი ასე უცხოდ გამოიყურება? სიღამაზეს მათ ვერ მიაწერ, მოხერხებულობით ისინი არ გამოირჩევიან, პიკინური თვალსაზრისითაც მიუღებელია. ეს საკითხი რომ მოგვეგვარებინა, ალბათ თავისთავად მოისპობოდა ჩვენი ახალგაზრდობის „სტალიური“ აჭრელების საფრთხე, რაც იქნებ თავისებური რეაქციაც იყოს ჩვენს სასკოლო ფორმებზე.

ჩვენი სკოლა უკეთ რომ უნერგავდეს ახალგაზრდობას ქეშმარიტ სიღამაზეში გარკვევის უნარს, მაშინ, ალბათ, არც ასეთ უცნაურ ფაქტთან გვექნებოდა საქმე: საქართველო ყოველთვის იმდენად იყო განთქმული თავისი ლამაზი ქალებით, რომ მათი ქებამ კენიგსბერგში ჩაქეტლი ფილოსოფოსის ყურამდეც მიადწია. ლამაზი ქალიშვილების ნაყლებობას ვერც დღეს დავიჩვილებთ, მაგრამ საოცარი ამბავი ხდება. ამ ბოლო დროს ჩვენი ქალიშვილების სიღამაზეს სულ უფრო აკლდება ქართული ხასიათი და რუსთაველის პროსპექტზე სულ უფრო და უფრო ხშირად იტალიური ფილმების გზარ ქალთა აზრდლები გვეფეთებინან. ცხადია, ვერც მიხვრა-მოხვრისა და ტანსაცმლის მხრივ გაექცევი თანადართულობას და სხვადასხვა ერების გემოვნებათა დაახლოებას; ამის წინააღმდეგ ბრძოლა უბრალოდ რეტროგრადობა და ეროვნული კარჩაკეტილობა იქნებოდა; ჩიხტიკოსი დღეს ვერ მოვიხიზოთ. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ, მაგალითად, ფრანგი ქალის სახისათვის ზედგამოჭრილი თვსამკაული სრულიად არაა აუცილებელია ქართველსაც მოუხდეს.

ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს არც უმაღლესი სკოლა უნდა ედგას განზე. აქ ამის ძირითად ფორმას ესთეტიკის, როგორც მეცნი-



ერების, სწავლება წარმოადგენს. მაგრამ ესთეტიკურის, მშენებლების შეუფასებლობა აქაც იჩენს თავს. ესთეტიკა რატომღაც მხოლოდ სპეციალურ სახელოვნო უმაღლეს სასწავლებლებში და უნივერსიტეტების ფილოსოფიურ ფაკულტეტებზე ისწავლება, სხვაგან — არსად. ვთქვათ, მშენებელ არქიტექტორთათვის ან ინჟინერ-მშენებელთათვის ესთეტიკა ზედმეტია — ფილოლოგებმა რაღა დაშავეს? არა მგონია, მათ ესთეტიკა ნაკლებად სჭირდებოდეთ, ვიდრე ფილოსოფიის ისტორია.

ესთეტიკური აღზრდის სფერო უამრავ ამო-

ცანას აყენებს ჩვენს წინაშე და დიდ ყურადღებას მოითხოვს. ისე, როგორც ყველგან სხვაგან, მთელი საზოგადოებრიობის ერთობლივი, კოლექტიური მუშაობაა საჭირო, რათა ესთეტიკური კულტურის დანერგვის საქმე ჩვენი ქვეყნის გიგანტურ საქმეთა სიმაღლეზე დადგეს. უნდა დაეძლიოთ ნიჰილიზმი, სასხვათაშორისო დამოკიდებულება მშენებლების, სილამაზის მიმართ. ჩვენი თაობის წინაშე დგას მეტად დიდი და საპატიო ამოცანა — ჩვენი ცხოვრებისა და კულტურის ესთეტიკური სტილის შექმნა.



თ. კოკლაგაძე, ზ. ჭაბუკიძე

რუსულ-ქართულ ფრაგმენტოლოგიურ შესატყვისობათა
დადგენისათვის

მყარი ფრაგმენტოლოგიური ერთეულები ანუ შე-
სიტყვებანი, როგორცაა ხატოვანი თქმები, ან-
დაზა-გამოცანები და სხვანი, მრავალმხრივია სა-
ყურადღებო. ცნობილია, რომ ასეთ ერთეულთა
მეტე წილი ზუსტად არ ითარგმნება, ნაირ-ნაირ
ნიუანსებს შეიცავს და მათი შესატყვისების და-
ძებნა მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებუ-
ლი. ამიტომ ისინი განსაკუთრებულ სირთულეს
ქმნიან როგორც ენის შესწავლისას, ისე თარგმ-
ნის დროს.

ვრცელი თარგმნითი ლექსიკონების გვერდით
ფრიად საჭიროა გვექონდეს აგრეთვე ფრაგმენტო-
ლოგიის სპეციალური კრებულებიც, რომლებშიც
პირადად უნდა წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა
ენის იდიომატური შესატყვისობანი. დიდი ხა-
ნი არ არის, რაც ჩვენში ამ მხრივ პირველი
ნაბიჯები გადაიდგა და რამდენიმე ასეთი კრე-
ბული გამოიცა. ცხადია ეს კრებულები დიდ
დახმარებას გაუწევს ჩვენს მოსწავლე ახალგაზ-
რობას. მაგრამ სწორი არ იქნებოდა იდიომა-
ტურის ლექსიკონთა მნიშვნელობა მხოლოდ სას-
წავლო მიზნებით შემოგვეფარავს. კარგად
შედგენილსა და მაგალითებით სათანადოდ
ილუსტრირებულ იდიომა ლექსიკონს შეუძ-
ლია დიდი დახმარება გაუწიოს აგრეთვე მთარ-
გმნელებს, რომელთაც ყოველთვის როდი აქვთ
საშუალება ვაითვალისწინონ წინამორბედ მთარ-
გმნელთა გამოცდილება.

ამიტომაც საკვებით ბუნებრივია ის ცხოველი
ინტერესი, რომელსაც იჩენს მკითხველი საზოგა-
დოება შემოსხენებული სახის კრებულებისადმი.
კერძოდ, ასეთი ინტერესი დამისახურა ნ. გამრე-
კელისა და ე. მაგალობლიშვილის მიერ შედგე-
ნილი „რუსულ-ქართულმა იდიომატიკამ“, რო-
მელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოიცა. ჩვენ
სწორედ ამ კრებულზე გვინდა შევაჩეროთ ყუ-
რადღება.

„რუსულ-ქართული იდიომატიკის“ შემდგენ-
ლებს უფოდ საფუძვლიანი შრომა აქვთ ჩატა-
რებული. მათ ამოუწერიათ მასალა რუსული
კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურიდან.
შეუმოწმებიათ მათი ქართული თარგმანები, და-
უძებნიათ შესატყვისები. კრებულში მოხვედრი-
ლია 1220 რუსული იდიომა. მათი ხმარების
ფარგლების ზუსტად განსაზღვრის მიზნით
ფრჩხილებში მოცემულია იდიომის სტილისტუ-
რი იერის დახასიათება, რომელიც მიუთითებს
ზეპირი მეტყველებისა და სამწერლობო ენის
ნაირსახეობაზე, გამომხატველობითს ელფერზე
და ადგენს იდიომათა ისტორიულ ხასიათს. ამას
მოსდევს იდიომის ახსნა და საილუსტრაციო
მასალა. საილუსტრაციოდ მოტანილი ფრაზა-
მოლიანად თარგმნილია ქართულად და სწო-
რედ აქ, თარგმნის ტექსტში, მოცემულია იდიო-
მის ქართული შესატყვისები, ზოგჯერ რამდენ-
იმე. კრებულს ახლავს როგორც რუსული, ისე
ქართული იდიომების ანბანური სამიძებელი,
რომელიც აადვილებს იდიომათა დაძებნას.

კრებულის შემდგენლებს კარგად აქვთ გათ-
ვალისწინებული, რომ მათი ეს პირველი ცდა
უნაკლო ვერ იქნებოდა — ყველა სასარგებლო
კრიტიკული შენიშვნა ავტორების მიერ მაღლო-
ბით იქნება მიღებული. ჩვენ გვსურს ზოგი-
ერთი შენიშვნა გავაკეთოთ სწორედ იმ მიზნით
რომ ერთგვარი სარგებლობა მოვუტანოთ ავ-
ტორებს მათს შემდგომ მუშაობაში.

ვიდრე კონკრეტულ საკითხებს შევხებოდეთ,
ერთი ზოგადი შენიშვნა: 1220 იდიომა რუსული
ენისთვის ძალიან ცოტაა (მით უმეტეს, თუ გავ-
ითვალისწინებთ, რომ ამათგან ყველას ვერ მი-
ვიჩნევთ იდიომად).

რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ლექსიკონის
შემდგენლებს, როგორც ჩანს, მეტად ძუნწად
განუსაზღვრავთ ის წყაროები, საიდანაც იდიო-



მატური მასალა უნდა ყოფილიყო ამოკრებილი. ერთი მხარე გათვალისწინებული არაა რუსული კლასიკური ლიტერატურის ზოგიერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის ენა, ხოლო მეორე მხრივ, მწერალთა უმეტესობა მხოლოდ ორიოდ ნაწარმოებით არის წარმოდგენილი. მაგალითად, მ. გორკის ნაწარმოებთაგან მითითებულია მხოლოდ „არტამანოვების საქმე“, „ჩელკაში“ და „დედა“, ხოლო ნ. ლესკოვის ნაწერებიდან ამოკრებილ მასალას სულაც ვერ იპოვიოთ ლექსიკონში. ლესკოვი კი სწორედ ენის სიმდიდრითა და ხატოვანებით იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას. სრულეები არ არის გათვალისწინებული აგრეთვე რუსული ზეპირსიტყვიანობის ენა. ამრიგად, რუსული კლასიკური მწერლობისა და ზეპირსიტყვიერების ენის სრულად გათვალისწინება ჩვენი ლექსიკონის შემდგენელთათვის დიდსდებოლობით მომავლის საქმედ რჩება. ეს გამოიწვევს ერთი მხრივ იდიომათა რიცხვის გაზრდას, მეორე მხრივ კი იდიომებს შემატებს ისეთ ნიუანსებს, რომლებიც ამჟამად ვერ აისახა.

კიდევ უფრო არადაამკაყოფილებლადია გამოყენებული ქართულ ენაზე არსებული თარგმანები რუს მწერალთა თხზულებებისა. კრებულში გათვალისწინებულია მხოლოდ უკანასკნელი დროის თარგმანები მაშინ, როცა ფრაზეოლოგიურ ქცევათა სიმდიდრის მხრივ ვაცილებით უფრო საინტერესოა ვასული საუკუნის თარგმანები. ცნობილია, რომ ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობა მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა რუსული კულტურისადმი, კერძოდ, მწერლობისადმი. როგორც პეროვოდ პრესაში, ისე ცალკე წიგნებადაც ქვეყნდებოდა რუსული ლიტერატურის ნიმუშები. რამდენად განსხვავებულ პრინციპზეც უნდა იყოს აგებული ეს თარგმანები, ერთი რამ უდავოა: ლექსიკური მარაგისა და, კერძოდ, ფრაზეოლოგიის მხრივ ისინი უხვ მასალას იძლევიან, რასაც ვერ გიტყვიოთ „რუსულ-ქართული იდიომების“ კრებულში დამოწმებულ ზოგიერთ თარგმანზე.

კრებულში ნაკლებად იგონებია ქართული კლასიკური მწერლობის წარმომადგენელთა ენობრივი სამყარო. მითითებული ლიტერატურის რიგს არ ამშვენებენ საბა, გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გოგებაშვილი... როგორც ჩანს, კრებულის შემდგენლები ამ მხრივ თავიანთ ზოგად ცოდნას დამყარებთან და სავანგებო დაკვირვება არ უწარმოებიათ. რასაკვირველია, კლასიკოსების მიერ ნაჩაზი ბევრი ფრთიანი სიტყვა და ხატოვანი თქმა დამკვიდრებულია ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებაში, მაგრამ მხოლოდ ამაზე დაყრდნობა და ჩვენს მესხიერებაში შემონახული მარაგით დაკმაყოფილება დაუშვებელია ისეთი დიდი და საბატიო საქმის

შესრულებისას, როგორცაა რუსულ-ქართულ იდიომათიკის ლექსიკონის შემდგენა. **შემატებული ვარემოებთა შედგენა**, რომ კრებული ვერ ამოსწორავს რუსულ და ქართულ იდიომთა მთელ საუნჯეს. ამას შემდგენლებიც აღნიშნავენ წინასიტყვიანობაში — რუსული და ქართული ენების თელი სიმდიდრის გამოვლენა მითითებს შემდგომ გულმოდგინე შემოთხასო. ესა ჩვენი ზოგადი შენიშვნის არსი.

ახლა ვნახათ, როგორ არის წარმოდგენილი ის მასალა, რომელიც ლექსიკონში მოხვედრილია. აქ, უპირველეს ყოვლისა, ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას ინლსტრირების წესის გამო. რუსული იდიომის განმარტებას ლექსიკონში მოსდევს საილუსტრაციო ფრაზა რუსულსავე ენაზე, ხოლო ქართულად მხოლოდ ამ ფრაზის თარგმანია მოცემული. იდიომის ქართული შესატყვისიც ამ ფრაზაშია მოქცეული. მაგრამ რაკი ერთ იდიომს ზმირად რამდენიმე ქართული შესატყვისი მოეპოვება, შემდგენლები ამ ნიარსახეობას ერთ ფრაზაში ახვავებენ. ამას გარკვეული ზიანი მოაქვს, და არც თუ მცირე: რომელიმე კონტექსტს ერთი იდიომი უხდება და მეორე სრულეობით არა; ამა თუ იმ კონტექსტში იდიომს ერთი ნიუანსი აქვს, მეორე — არა. თუ ამ ნიუანსებს გავთქვიდათ, ილუსტრაცია სასურველ სიზუსტეს დაკარგავს. აი ამის რამდენიმე მაგალითი.

Бариню сидеть. ილუსტრაცია: „Ты что барином сидишь?—обратился бригадир к Ване, заметив, что тот не поднимается с места, хотя все остальные уже направились к своим станкам“.

ქართული თარგმანი: „შენ რა ბატონივით გამოქვიმულხარ, პატარძალივით ზიხარ? — მიმართა ბრიგადირმა ვანოს, როდესაც შეამჩნია, რომ ის აღგალიდან არ იძვრის, თუმცა ყველანი უკვე თავთავის დაზგებისაკენ გაეშურნენ“ (გვ. 13).

იდიომის მნიშვნელობის ნათელყოფას ფრაზის მეორე ნაწილი არაფერს მშატებს, მაგრამ ეს არაა დიდი ცოდვა. მითავარი ისაა, რომ ეს ორი შესატყვისი უზრუნულადაა მოთავსებული ერთი-მეორის გვერდით. ვისაც ეტყვიან — ბატონივით გამოქვიმულხარო, საუკეთესო ასეც მიმართონ: პატარძალივით ზიხარო.

День ото дня. ილუსტრაცია: „Кирилла Петрович принимал поздравления, свадьба готовилась. Маша день ото дня отлогала решительное объявление“.

ქართული თარგმანი: „კირილა პეტროვიჩი მილოცვებს იღებდა. ქორწილისათვის ემზადებოდნენ. მამა დღითი დღე, დღეიდან ამაგ აჰიანურებდა გადაწყვეტე პასუხს“. ილუსტრირების მცდარმა მეთოდმა, როგორც ეხედვით, საქმე აშკარა ენობრივ დარღვევამდე მიიყვანა:



„მაშა დღენი აღაგ აქიანურებლ ა(?) გადამწყვეტ პასუსს“.

„შეკარაა აგრეთვე, როგორც ენობრივი შესახებამბანი წარმოიქმნება რამდენიმე იდიომის ერთად ხმარების შედეგად ასეთ ფრაზეზში: „მაზაჰმის პაპა, მცხოვრებელი მას ქამსა შინა, რომელიც ადამ და ევეს დროს ცხოვრობდა, დამარხულია პოლონეთის სამეფოში“, „მაგრამ პირად საქმეებში ვალოს ყოველთვის თავისი გაყავდა და სერიოზო თეთონაც ვერ ამჩნევდა, ისე მიჰყვებოდა ხოლმე მის სადავებს, თუ როგორ ჰყავდა მას ხელში ჩაჭერილი, რომ პირში აღვირი ჰქონდა ამოდებული“, „ხოჯაჯერ საათობით კრინტს ვერ დააძვრებინებდი, მაგრამ თუ ამის მოყოლას დაიწყებდა, მუცელი არ შეგარჩებოდა, სიცილით მუცელზე კანი აღარ შეგარჩებოდა, სიცილისაგან დღეები დაგწყდებოდა“.

ასეთი რამ გამართლებული ვერ იქნება ადგილის ეთანოიზე რუსული. რასაკვირველია, ავტორებმა რუსულ იდიომს მამინვე მოყოლიდა ქართული შესატყვისები, ხოლო საილუსტრაციო ფრაზეზები თეთეთლისათვის ცალ-ცალკე ყოფილიყო წარმოდგენილი.

ზოგი რუსული იდიომის ქართული შესატყვისი ნ. გამრეკელსა და ე. მაგალბლიშვილს ზედმიწევნით კარგად შეურჩევიათ. ასეთი შეფასება უნდა მიეცეს, სახელდობრ, ისეთ მაგალითებს, რომლებშიც რუსულ ფეხარდება წინადა ქართული იდიომი, თანაც დატულია რუსული იდიომის ნიუანსი. მაგრამ, სამწუხაროდ, შემდგენლებს ეს ყველგან ვერ მოუხერხებიათ. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ორგვარი ნაკლი: ქართულად მოცემული იდიომის შინაარსი და არა შესატყვისი იდიომი, ან ქართულში დაძვრულ შესატყვისის არა აქვს რუსულის ნიუანსი.

Заячем ехать — რუსულად უბილეთოდ მგზავრობის აღსანიშნავად იზმარება და სასაუბრო ელფერი აქვს. ეს აღნიშნული კიდევ ყველა ლექსიკონში. იდიომის ეს ნიუანსი გათვალისწინებული არ არის ქართული შესატყვისის დამტანისას. გადმოცემულია მხოლოდ იდიომის ქართული შინაარსი: „უბილეთოდ“ (იგულისხმება მგზავრობა).

За слобой в карман не лезет — ამ ფრაზის შესატყვისად აქვს „სიტყვა არ შემოაკლდება, არ დაეღვევა“. არც ერთი ამ ქართულ შესატყვისისაგან იდიომი არაა; ამავე დროს, შეიძლება მოთიება. ჩვენი აზრით, იმავე შინაარსს კარგად გადმოვცემს ქართული იდიომი „ენაზე ქარგად არ მოედება“.

Головой выше-ს პირდაპირი თარგმანის მაგიერ („მოთლი თავით მაღლა“) უნდა დამტანილიყო შესატყვისი. „მოთლი თავით მაღლა“ ქართულ

იდიომად ვერ ჩაითვლება. მის მაგიერ შეეძლებოდა გამოდგარიყო ერთ ხალხურ ლექსში შემცველი გამოთქმა:

პურადი კაცი მამაცუნ
სამი გაფრენით მეტია.

Он на то и бил (бить на что-нибудь) — თარგმნილია: „ამს ისახავდა მიზნად, ამისკენ მიისწრაფოდა“. Горшков набьем (горшки набить) — „ბეერ საქმეს წაეხდინეთ“. აშკარაა, რომ ამ შემთხვევებშიც თარგმნილია იდიომის შინაარსი, ქართული შესატყვისი კი დამტანილი არ არის.

ასევეა: без году неделя — სულ რამდენიმე დღეა; в расход пустить — დახვრეტენ; дело табак — საქმე ცუდადაა; как в лесу — თითქოს ბურანშიაო (შესატყვისი იდიომი იქნებოდა „ქურთია ჯდომია“).

ხშირია შემთხვევა, როცა იდიომი იდიომითვე არის გადმოცემული, მაგრამ მათ აშორებს სტილისტური ელფერი: რუსულს სხვა ნიუანსი აქვს, ქართულს — სხვა. Ума палата — ჭკვიან კაცზე ითქმის. ეს ძალიან დიდი შექებაა. ქართული „ჭკუის კოლოფი“ კი აშკარა ირონიაა, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს თედო სახოკია „ქართულ ხატვან სიტყვა-თქმეებში“ და იქვე იმორწმუნებს, სხვათა შორის, ასეთ მავიდი მავალითს ილია ჭავჭავაძიდან: „ძირიანი წინააღმდეგობა“ ფულსა და წოდებას შუა. ვაგიგონიათ სადმე, ან ვისგანმე ასეთი თავზე ხელადებული ბოდა! ჭკუის კოლოფს რომ იტყვიან, სწორედ ეს არის“. მამ როგორ შეიძლება ума палата-ს ჭკუის კოლოფი მივესადავოთ (იხ. რუსულ-ქართული იდიომები, გვ. 275). Как белка в колесе вертится-ს ქართულ შესატყვისად მოტანილია „ჯგარასავით ვტრიალებ“. ამ საპირისპირო მდგომარეობა გვაქვს: რუსულ გამოთქმას ოდნავ ათვალწუნების იერი დაჰკრავს, ქართული კი შექებითია.

Кнопки нажатъ — ზეგავლენის მოხდენას ნიშნავს, მაგრამ ზეგავლენაცა და ზეგავლენაც ვეჭვობთ, მის შესატყვისად გამოვლენა „ცხა და ქვეყანას შესძინავს“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული მკიდრდაა დაკავშირებული ხალხის ისტორიასთან, მის ამა თუ იმ სპეციფიკურ მხარესთან. მაგვარი თქმების პარალელთა ძეხვისას ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. მაგალითად, ჩაილულის წყალი ქიზიყშია. თუ ლექები მოსწრებდნენ და ვარე კახეთში მოტაცებულ საქონელს ამ წყალზე გადაიყვანდნენ, თავი სამშვიდობოს გავლებოდათ, საქონლის პატრონი კი ყუველგვარ იმედს ჰკარგავდა. აქედან გაჩნდა გამოთქმა „ჩაილულის წყალი დალია“, ე. ი. სამუდამოდ დაიკარგა. ჩვენი აზრით, გამართლებული არ იქნება ეს შეტად ლოკალიზებული გამოთქმა რუსულ „пи-



მინაი как звали“-ს შივეუყენით. ასევე ერთმანეთს ვერ მიუღდება „никаких гвоздей“ და „ეგ არის და გორის ციხე“.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ საეკლესიო გამოთქმას ასეთივე წარმოშობის გამოთქმა უნდა შევეუფარდოთ. ძველი და ახალი აღთქმის წიგნები ქრისტიან ხალხთა ენებზე ადრევე ითარგმნა და ზოგი გამოთქმა ამ წიგნებიდან ცოცხალ მეტყველებამდე დაემკვიდრა. ამგვარ შემთხვევებს ანგარიში უნდა გავწიოთ. მაგალითად, в поте лица-ს „ოფლის ღვრით“ და „წვითა და დავეით“ კი არ მოუხდება, არამედ „ოფლითა პირისა შენისა“; „волос не упадет“ — „ცივ ნიავს არ მივაკარებ“ კი არა, არამედ „ერთი ღერი თმა არ ჩამოვარდება“.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ნაშრომის ერთი ნაკლიც: საქმე გვაქვს ხოლმე უხეროთ თარგმანთან, რაც განსაკუთრებით მიუტყეველია ასეთ წიგნში. ქართულში არ იხმარება ამგვარი გამოთქმები: „ერბოიანი ბრანწი“, „პირველი ახალგაზრდობის შეცდომები“, „ოდნავ გაბათლებული“, „ცოცხლად მოსიარულე გაზეთი“

და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რუსული გამოთქმების კალკირებასთან. „Книш с маслом“, „ошибки первой молодости“. „мало-мальски образованный“, „живая, ходячая газета“.

უხეირო ქართულითაა აგებული მთელი ფრაზები: „ლაიხსომე, შეიგნე ე მაგ ახირებული გოგრიტ“, „მე აღტაცებული ვიყავი მისით“, „სიტყვა-სიტყვით თარგმნა მოთხრობა, მაგრამ მასში არ იყო ხატოვანი ქცევები“, „ღმერთო ჩემო, ვინ იცის თქვენ თვალში რა ცუდ აღმინად გეჩვენებით“, „მწვეარგამონაკილი კურდღლის სიმალით გავიბრინე ჩვენ შორის მანძილი“, „არც ერთი სარდალი არ მოისურვებს ნაპოლეონის ქურქში ყოფნას ვატერლოოსთან“, „თვალები შენსკენ სწყდებოდა“ და სხვანი. მსგავსი მაგალითები რუსულ-ქართული იდიომატის კრებულში საკმაოდაა, ჩვენ კი ასეთი კრებულები სწორედ იმიტომ გვინდა, რომ თავი დავალწიოთ ცუდ თარგმანებს.

სასურველია მომავალში ეს ნაკლოვანებანი გამოსწორდეს და კარგად დაწყებული საქმე წარმატებით გაგრძელდეს.



საკრის ტიპი

ახალი მასალები და „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხი

ენიკ რუსთველოლოგიის განვითარებას თვალს ადევნებს, უძველესად შეამჩნევდა, რომ უკანასკნელ ხანებში ინტენსიური მუშაობა გაშლილი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის მოსაზრებლად. უკვე ხელთა გვაქვს გამოცემა, რომელიც ასახავს ამ მუშაობის პირველ ეტაპს. წიგნში, პირველად პოემის გამოცემათა შორის, თავმოყრილია ყველა სტროფი, ძირითადი თუ ჩანართი, რომლებიც კი „ვეფხისტყაოსნის“ უკვე შეირდება. ამავე გამოცემის მიხედვით რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები ამზადებენ ვარიანტულ წაკითხვებს ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერის გამოქვეყნებით. ახალი აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას მოკლე ხანში ხელთ ექნება პირველწყაროებზე დამყარებული ძვირფასი მასალა. მაგრამ არის ზოგიერთი საკითხი, რომლებიც წინასწარი განხილვისა და მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

რუსთველოლოგიაში უკვე კარგა ხანია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს პოემის ნამდვილი დასასრულის საკითხი. იგი ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი. როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერი უამრავ ჩანართს შეიცავს, ეს განსაკუთრებით პოემის ბოლო თავებზე ითქმის. „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ბეჭდურ ე. წ. ვახტანგისეულ გამოცემასთან შედარებით ხელნაწერებში პოემის სამი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ემატება: აქ მოთხრობილია ტარიელის ინდოეთში დაბრუნება და ხატაელთა დამორჩილება („ინდოხატაელთა ამბავი“), ტარიელის დასნეულება და ხვარაზმელებთან დიდი ომები („ხვარაზმელთა ამბავი“) და, დასასრულ, გმირთა გარდაცვალება, მათივე ვრცელი ანდერძებითურთ („გმირთა სიკვდილი“).

ვისაც ვახტანგისეული გამოცემა რომელიმე უძველესი დედნის გამოკრებად მიაჩნდა, მის-

თვის პოემის დასასრულის საკითხი არსებითად მოხსნილია, რადგან იგი ნდობას უტახადებს პოემის სწორედ ისეთ დასასრულს, როგორც ვახტანგისეულ მოკლე რედაქციაშია მოცემული.

უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ გაირკვა ვახტანგისეული გამოცემის რაობასთან დაკავშირებით. იგი, როგორც ჩანს, ერთგვარი კრიტიკული მუშაობის ნაყოფია და ყველა თავისი ელემენტით მე-17 საუკუნის ვრცელ ხელნაწერთაგან წარმომდინარეობს. ამ გამოცემის რედაქტორს, რომელსაც სცოდნია „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპლატორთა საქმიანობა, თავისი შეხედულები-სამებრ გაუცხრილავს მე-17 საუკუნის ხელნაწერთა ვრცელი ტექსტები და დაუდგენია პოემის ახალი, მოკლე რედაქცია. მეტიც, დღეს უკვე შეგვიძლია მივუთითოთ ხელნაწერთა იმ ჯგუფზე, რომელიც დაედო საფუძვლად ამ მოკლე რედაქციის ჩამოყალიბებას. მაგრამ ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა; ყოველივე აღნიშნულის გამო ვახტანგისეულ გამოცემას ჩვენ უფრო კრიტიკულად უნდა მოვეპყრათ და გაბედულად მივიდეთ მე-17 საუკუნის ხელნაწერთა შემკვიდრებასთან; ამჯერად სწორედ ეს შემკვიდრებაა ყველაზე სანდო პირველწყარო.

როგორც ვნახეთ, მე-17 საუკუნის ხელნაწერები ვრცელ დასასრულს იძლევიან: „ინდოხატაელთა ამბავი“, „ხვარაზმელთა ამბავი“ და „გმირთა სიკვდილი“. დღეს ყველა მკვლევარი უკვე იზიარებს იმას, რომ ე. წ. „ხვარაზმელთა ამბავი“ და „გმირთა სიკვდილი“, მათივე ვრცელი ანდერძებითურთ, აშკარა ინტერპოლაციას წარმოადგენენ და როგორც მსოფლმხედველობით, ისე მხატვრული სისტემით მკვეთრად განსხვავდებიან პოემის ძირითადი ნაწილისაგან.

მეტიც, უკანასკნელ ხანებში გამოირკვა ზოგიერთი ჩანართის ავტორთა ვინაობაც.

დასასრულის საკითხისათვის განსაკუთრებულნი მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. „ინდო-ხატაელ-



თა ამბავს“, რომელიც ყველა ხელნაწერში „ხვარაზმელთა ამბის“ წინ არის მოთავსებული. საგულისხმოა, რომ „ვახტანგისეული“ გამოცემის რედაქტორს გვერდი ვერ აუვლია ამ ეპიზოდისათვის და აქედან ამაღლებული ნაწყვეტებით შეუქმნია პოემის დასასრულის თავისებური მოკლე ვარიანტი. და ეს იმდენად, რომ ვახტანგისეული გამოცემის დაბოლოების ზოგიერთ ადგილს ვერც კი გავივებთ, თუ ამ ვრცელი ეპიზოდის შესაბამის ადგილებს არ მოვიშველებთ. აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ: ვახტანგისეულ გამოცემაში იმ ადგილს (საიუბილეო გამოცემის 1956-ე სტროფი), სადაც ლაპარაკია ფრიდონზე, მოსდევს სტროფი: „როსტენისთვის წაატანა საძღვნიღ ტურფა ჯუბაჩები“ (საიუბილეო გამოცემის 1658-ე სტროფი). გამოდის, რომ ტარიელი, ავთანდილის ნაცვლად, ფრიდონის ხელით უგზავნის არმიანს როსტევან მეფეს, მაშინ, როცა რამდენიმე სტროფის შემდეგ იმავე ვახტანგის გამოცემიდან ვიგებთ, რომ ფრიდონ და ავთანდილ არაბეთში მისვლამდე გაყრილან („გზამან გაყარან, წაივლდეს თავის-თავ ანატირენი“. საიუბილეო გამოცემის 1661-ე სტროფი). ვახტანგისეული გამოცემის ამ აშკარა შეუსაბამობას კარგად ასწროვებს ამავე ეპიზოდის ვრცელი ვარიანტი (იხ. საიუბილეო გამოცემის 1657-ე სტროფი), სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ავთანდილზეა ლაპარაკი.

მიუხედავად ამისა, ზოგი რუსთველოლოგი ამ ეპიზოდსაც, ხვარაზმელთა და გმირთა გარდაცვალებას ეპიზოდებთან ერთად, ინტერპოლაციად მიიჩნევს. ისინი უთითებენ ამ ეპიზოდის რამდენიმე აშკარად სუსტ მხატვრულ გათქმვაზე და აგრეთვე ზოგიერთ მსოფლმხედველობრივ ფაქტზე, რაც წინააღმდეგობაშია პოემის ძირითად ნაწილთან. მაგრამ ეს საკითხი ასე მარტივად ვერ გადაწყდება. არის ზოგიერთი მომენტი, რომელთა გათვალისწინება „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულის საკითხს სწორედ „ინდო-ხატაელთა“ ეპიზოდს უკავშირებს.

იყო მოსაზრება, რომლიდანაც გამოდიოდა, თითქოს რუსთაველმა პოემა ქაჯეთის ციხის აღებით დაასრულა. გეჰი არაა, ეს მოსაზრება მცდარია. „ვეფხისტყაოსანი“ არის ნიმუში მოგლეჩათა ეპიური გადმოცემისა და, რასაკვირველია, პოეტი ამ ეპიურობას მკაცრად დაარღვევდა, ქაჯეთის ციხის აღებით რომ დამთავრებინა პოემა. სხვას რომ თავი დაეანებოთ, ქაჯეთის ციხესთან შეკრული რკალის მიღმა აღმოჩნდებოდნენ პოემის ხორცშესხმული გმირები (თინათინი, ასმათი, როსტევანი, ფატმანი და სხვ.). სწორედ ნამდვილი ეპიური რკალის შეკვრას ემსახურება მომდევნო თავები — ტარიელისა და ნესტანის საქორწილო მოგზაურობა.

ზღვრათა სამეფოდან გმირები მულღაზანზე წავლენ. შემდეგ გამოვივლიან ქებას, სდევნიან აფარებდა ველად გაპრილი ტარიელი, და არაბეთს გასწევენ. აქ უნდა დასრულდეს პოემა? თავის დროზე კ. ქუთინაძემ, ჩვენი აზრით, მართებულად აღნიშნა, რომ პოემის აქ დასრულება შეუძლებელია. პოემის ძირითადი ამბავი ინდოეთს ეხება, პოემის მთავარი პერსონაჟებიც სწორედ ტარიელი და ნესტანია, რომელთა მიჯნურობაც არის მთავარი ღერძი „ვეფხისტყაოსნისა“. რასაკვირველია, არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება სიუჟეტის დასასრულის საკითხისათვის იმას, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია (პროფ. ს. კაკაბაძე), რომ პოემა არაბეთის ამბებით იწყება.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. მთელი პოემის მანძილზე მწვავედ დგას ინდოეთის საკითხი. პოეტი ყოველ შესაფერ ადგილას მიგვიჩვენებს, რომ ტარიელს გარდახვეწის შემდგომ შესაძლოა ინდოეთს მტერი შემოსდგომოდეს.

საინტერესოა, რომ თვით პროფ. კ. კეკელიძე, რომელიც „ინდო-ხატაელთა ამბავს“ ინტერპოლაციად მიიჩნევს, პირდაპირ აღნიშნავს — პოემის ავტორი არაბეთში ვერ დატოვებდა ტარიელსა და ნესტანს და თხოობას უთუოდ ინდოეთში მიიყვანდაო. მაგრამ იგი ფაქტობს, რომ გმირთა ინდოეთში მისვლას პოეტი მხოლოდ რამდენიმე სტროფით გადმოცემდა. ეს ათამდე სტროფი მას აქვს კიდევ შერჩეული ინდო-ხატაელთა ბოლო თავიდან (1560-ე, 1577-ე, 1617-ე, 1639-ე, 1640-ე, 1654-ე, 1655-ე, 1656-ე, 1661-ე, 1664-ე და 1665-ე სტროფები საიუბილეო გამოცემისა).

გამოდის, რომ პოეტი, რომელიც ასე ეპიურად, დინჯად მოგვითხრობს გმირთა საქორწილო მოგზაურობას, ვრცლად იძლევა ქორწილთა აღწერას სხვადასხვა ქვეყანაში, მხოლოდ ინდოეთის ამბავს ამოსწურავს რამდენიმე სტროფით. პირაქით, როგორც აღნიშნული გვეჩვენდა, ინდოეთის საკითხი მეტად მწვავედ დგას მთელი პოემის მანძილზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად არის მითითებული, რომ ინდო-ხატაელთა ამბავში გვხვდება სუსტი ადგილები და ზოგიერთი იდეური უწინასწორობაც. მაგრამ ამავე დროს ევრაზიის უარყოფს იმას, რომ აქ არის ძლიერი ადგილებიც და ტიპური რუსთველური გამოთქმები. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ „ინდო-ხატაელთა“ ეპიზოდის ძირითად ნაწილთან მიმართებისას მაინც მთავარია შინაარსობლივი მომენტი. პოემის ლოკალური დასასრული უცილობლად ითხოვს დაახლოებით იმგვარ დინამოს, როგორც ეს „ინდო-ხატაელთა ამბავში“ მოცემული. ამ თვალსაზრისით ეს ეპიზოდი



ძირითადი ნაწილის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, 1934 წელს კ. ჭიჭინაძემ მთლიანად შეიტანა ეს ეპიზოდი მის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“; როგორც ჩანს, იგი მიიღო აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ საუბლო გამოცემის რედაქციამაც, რადგან ამ გამოცემაშიც, მკითრ შესწორებებით, შევიდა აღნიშნული ეპიზოდი. უნდა ითქვას, რომ რუსთველოლოგთა ერთმა ნაწილმა აა გვიზიარა ამგვარი რედაქცია და, როგორც აღვნიშნეთ, მას არ იზიარებენ დღესაც. მომავალი აკადემიური ტექსტის დადგენისას, ბუნებრივია, „ინდო-ხატელთა ამბის“ საკითხი კვლავ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამიტომაც, აქ გვინდა ხაზი გავუსვათ ზოგიერთ საგულისხმო მომენტს, რასაც უდავოდ გარკვეული მნიშვნელობა აქვს პოემის დასასრულის საკითხისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქციები, რომლებიც შემონახულია მე-17 საუკუნის ხელნაწერებში, ერთ საინტერესო ჩვენებას იძლევიან; აქ პოემას სამი დამოუკიდებელი ეპილოგი გაჩაჩნდა: „ინდო-ხატელთა ამბის“ შემდეგ, „ხვარაზმელთა ამბის“ შემდეგ და „გმირთა გარდაცვალების“ შემდეგ. ამ ეპილოგთა შესწავლამ ცხადყო, რომ ბოლო, მესამე ეპილოგი მეორე ეპილოგის გავლენითაა ჩამოყალიბებული, ხოლო მეორე — პირველი ეპილოგის მიხედვით, საიდანაც მას რამდენიმე სტროფიც კი გადმოაქვს. ეს არის უტყუარი საბუთი იმისა, თუ როგორ იქმნებოდა პოემის ახალ-ახალი პლასტები, მთელი ჩანართი ეპიზოდები, რომელთა დაბოლოებას კვლავ იმავე სტროფებით ცდილობდნენ, რომლებითაც წინა ეპიზოდი იყო დამთავრებული. ამგვარად კი ჩვენთვის ის არის საინტერესო, რომ „ინდო-ხატელთა ამბის“ ეპილოგი არის პირველი ეპილოგი, რომელიც გვხვდება პოემის ვრცელი რედაქციების მთელ მანძილზე და ამდენად იგი სხვა ეპილოგების ძირითადი წყაროა. აგრეთვე შესაძლებელია დავუშვათ, რომ იქნებ სწორედ ეს ეპილოგი უახლოვდება პოემის საბოლოო ნამდვილ დაბოლოებას. ასეა თუ ისე, ეს მომენტი კიდევ ერთხელ მივივითებებს პოემის ძირითად ნაწილთან „ინდო-ხატელთა ამბის“ მჭიდროდ კავშირზე.

ვინც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შემკვიდრების კარგად იცნობს, შეამჩნევდა შემდეგ გარემოებას: „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციათაგან ყველას თან ახლავს სამივე ეპიზოდი, ხოლო რაც შეეხება მოკლე რედაქციებს, ყველა, ისინი „ვახტანგისული“ გამოცემიდან მომდინარეობენ და, როგორც მისალოდნელია, არც ერთი ზემოაღნიშნული ეპიზოდი აქ უკვე აღარ გვხვდება. კ. ჭიჭინაძემ (და

შემდეგ საიუბილეო კომისიამ) ამ ეპიზოდებს მხოლოდ „ინდო-ხატელთა ამბავი“ ეპილოგის სახელით შეუერთა. „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ნაწილში და, რადგან ამგვარ რედაქციას ხელნაწერთა მეშვეობით არ იცნობდა, მას ზოგჯერ, სრულიად საპრობლემოდ, ჭიჭინაძისეულად ასახელებენ. მაგრამ უქანასკნელ ხანებში გამოირკვა მეტად საგულისხმო ამბავი. სახელობრ ის, რომ ასეთ სახე რედაქციას, დიდი ხნით ადრე, იცნობს ხელნაწერთა ტრადიციაც. საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში ჩვენი ყურადღება მიიპყრო „ვეფხისტყაოსნის“ ერთმა ხელნაწერმა (12904/190), რომელიც ამ თვალსაზრისით ჯერ არ ყოფილა შესწავლილი. ხელნაწერი ვრცელი, ჩანართებიანი ტიპისაა, მაგრამ დასასრულის მხრივ იძლევა ზუსტად ისეთსავე რედაქციას, როგორც ეს ჭიჭინაძისეულ და საიუბილეო გამოცემებშია განხორციელებული აქ „ვეფხისტყაოსნის“ დასასრული წარმოდგენილია „ინდო-ხატელთა ამბით“, რომელსაც მოსდევს ისეთივე ეპილოგი, რომელმაც კანონიერი სახე მიიღო პოემის ყველა გამოცემაში. საყურადღებოა, რომ ხელნაწერი საკმაოდ ძველი დროისაა. იგი 1802 წელს გადაუწერია ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის მდივანს ბირთველ გიორგისაჲ თუმანიშვილს, ჯერ კიდევ დუშეთში მახრის თანამსაჯულად მუშაობის დროს. მაშასადამე, ფაქტია, რომ ამგვარი ტიპის რედაქცია უკვე არსებობდა დიდი ხნით ადრე და რომ „ინდო-ხატელთა ამბის“ პოემის რედაქციას დაბეჯითებით უჭირავს მხარს ხელნაწერთა ტრადიციაც.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ კიდევ ერთ საინტერესო ფაქტზე, რომელიც აგრეთვე „ინდო-ხატელთა ამბავს“ უკავშირდება. როგორც ცნობილია, აღორძინების ხანის ქართველმა მწერლებმა კარგად იცოდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ჰყავდა ე. წ. მიზმაძველინტერპოლატორები (ყველაზე ხაზგასმით ამის არჩილე აღნიშნავს). მაგრამ ჩვენ არა გვაქვს ზუსტი ცნობები. თუ რა ითვლებოდა იმ დროს ჩანართ ეპიზოდებად. უფრო გვიან კი ეს თვალსაზრისი ვახტანგისეული რედაქციითაა გამოხატულა აქ უარყოფილია არა მარტო „ხვარაზმელთა“ და „გმირთა გარდაცვალების“ ამბები, არამედ „ინდო-ხატელთა ამბავიც“, და პოემის დასასრული, როგორც აღვნიშნეთ, ამ უქანასკნელი ეპიზოდიდან აქაჲ ამოღებული სტროფებითაა შეყოწეობული. ირკვევა, რომ ვახტანგის გამოცემის ამ თავისებურებას აკმაყოფილებდა მისივე უახლოესი თანამშრომელი, დიდი ქართველი მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი. როგორც ცნობილია, იგი თავის შესანიშნავ ლექსიკონზე მუ-

შაობის დროს ერთ-ერთ წყაროდ „ვეფხისტყაოსანსაც“ იყენებდა. ამაზე მრავალ მითითებას შევხვდებით ამავე ლექსიკონში. ლექსიკონის ამ თვალსაზრისით შესწავლამ საინტერესო სურათი გადაგვიშალა. აქ არა გვაქვს ისეთი შემთხვევა, როცა სულხან-საბა იყენებდეს „ვეფხისტყაოსანს“ გაგრძელებებს, კერძოდ, „ხვარაზმელთა ამბავსა“ და მის მომდევნო თავებს. მაგრამ სულ სხვაგვარადაა საქმე „ინდო-ხატელთა ამბის“ მიმართ. საბა აქედან იღებს სიტყვებს თავისი ლექსიკონისათვის „ვეფხისტყაოსანზე“ უთითებს. სიტყვა „დამაჯნება“ ამ ფორმით მთელ პოემაში მხოლოდ „ინდო-ხატელთა ამბავში“ გვხვდება. ტარიელი ხატელთა მეფეს შეუთვლის: „ღია ღიდთა დამაჯნება უშმაგოანი ვით გაავო...“ საბა ზუსტად ამავე ფორმით იღებს ამ სიტყვას „ინდო-ხატელთა“ თავიდან და განმარტავს: „დამაჯნება—დამაბუნება“; განმარტებას იქვე მიწერილი აქვს წყაროც — „ვეფხისტყაოსანი“.

„ინდო-ხატელთა ამბავში“ არის კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც ძირითად ტექსტში საერთოდ არ გვხვდება. ნესტანი შეიცხადებს მამის გარდაცვალებას. აქ ნესტანის ბაგე-კბილთა მშვენიების გადმოსაცემად გამოყენებულია მე-

ტაფორული თქმა: „ჰგავს, თუ ტყუბი ლიტი ზის ბროლისა ხარხაროსა“. ხაზგასმულ სიტყვას საბა განმარტავს: „ხარხარო—სადაფს შიგნითი“. და უთითებს არა მარტო ზოგადად „ვეფხისტყაოსანს“, არამედ „ინდო-ხატელთა ამბის“ სწორედ იმავე სტროფს: „ჰგავს, თუ ტყუბი მარგალიტი ზის ბროლისა ხარხაროსა“. ჩვენი აზრით, ეს ფაქტები ნათლად მეტყველებენ სულხან-საბას დამოკიდებულებაზე „ინდო-ხატელთა ამბის“ მიმართ; იგი ამ ეპიზოდს პოემის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, არ იქნება სწორი, თუ ამ ეპიზოდს ინტერპოლაციად მივიჩნევთ და მოვაცილებთ ძირითად ნაწილს, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ვარაუდობს. პოემის ამ ბოლო ეპიზოდს, ჩანს, დროთა ვითარებაში მრავალი ცვლილება განუცდია და ჩვენამდე მოუღწევია ადგილ-ადგილ შერყენილი სახით. მომავალი აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის საპატიო მოვალეობაა ამ ეპიზოდის საბოლოო გაცხრილვა შერყენილი ადგილებისაგან, რის შემდეგ იგი უცილოდ უნდა შევიდეს პოემის ახლადდადგენილ ტექსტში.

პაპაი ბაქაძე

სცენარისტი და რეჟისორი

(ფიქრები „ჩვენი ეზოს“ ნახვის შემდეგ)

როცა რომელიმე შემოქმედის შესახებ იწყებ საუბარს, ურიგო არაა ზოგჯერ მის სახელოსნოშიც შეიხედო, რადგან შეიძლება ისეთ რამეს წააწყდე, რაიც უფრო ნათლად დაგანახებებს ხელოვანის შემოქმედებითს სახეს.

ახლა, როცა „ჩვენი ეზო“ გადაღებულია და მაყურებელსაც ნაწიხი აქვს, იოლია თვალი გადავდევნო იმ გზას, რომელიც რეჟისორმა გაიარა ფილმის შექმნის დროს. სახელოსნოში დარჩენილი დეტალები კი (რომლებიც მაყურებელს არ უნახავს) გვიჩვენებს, რაოდენ აქტიური იყო რ. ჩხეიძე სცენარის ფილმად ქცევის პროცესში, სად გაამართლა და სად არა გაცხოველებულმა შემოქმედებთმა ძიებამ.

ლიტერატურული სცენარი უპრეტენზიოდ ცდილობდა აესახა ერთი ეზოს ყოველდღიური ცხოვრება, რომელიც სრულიადაც არ ყოფილა ძლიერი ვენებათაღელვითა და კონფლიქტებით სავსე. იგი მიზნად ისახავდა ყოველდღიურობის მიღმა დაენახა უბრალო ადამიანების ლამაზი სული, რომელიც თურმე რომანტიკითაა სავსე და ღიად საინტერესოა. მაგრამ გ. მიდიანი ზოგჯერ მომეტებულად ძუნწი აღმოჩნდა და თავის გმირებს არ შეუქმნა შესაფერი სიტუაციები, რომლებშიც ისინი სრულად გამოამჟღავნებდნენ თავიანთ თავს. სცენარისტის მიერ არჩეული თხრობის ხერხი რომ კინემატოგრაფიული მოქმედების ენაზე ამეტყველებულიყო, რეჟისორის აქტიური ჩარევა გახდა აუცილებელი, რადგან დრამატურგიული ქმედობის პროცესში უნდა გამოამჟღავნებულიყო სცენარის თითოეული სახე და ხასიათი.

„ჩვენი ეზოს“ მაყურებლებს ახსოვთ, რომ ფილმის პერსონაჟების გაცნობა-გქსოზირება სადისტორიო ტექსტის საშუალებით ხდება. ფილმის დინამიურობა რომ არ შენელებულიყო, სადიქტორიო ტექსტს თავისი საფანელი სჭირდებოდა, რაიც სცენარში ყოველთვის არ ყოფილა.

გ. მიდიანი სცენარის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს ვაჟა თაბაგარს საგარძელოში მჯდომს გვაცნობდა; იგი ზანტად ათვალისწინებდა ყურნალ „დროშაში“ მოთავსებულ სურათებს. სცენარისტი ამბობდა — ვაჟა მარტოოდენ დათვალისწინებთაა გატაცებული და კითხვით კი არ კითხულობს; ვაჟა სახელგანთქმული მომღერლის ერთადერთი შვილია; საკმარისია შეხედოთ, როგორ ზის საგარძელოში სასურგვე ფეხებგადაწყობილი, და დარწმუნდებით, რომ სახლში მას ყველაფრის უფლება აქვს. შემდეგ ამბის განვითარება გვიჩვენებდა, რომ ვაჟა თავნება, თავის თავში ავადყოფურად დაჯერებული ყმაწვილი იყო. ცხადია, მისი ასეთი ბუნების ასახსნელად მარტოოდენ უღარდელი ჯდომა და სურათების თვალისწინება საკმარისი არ იქნებოდა. საჭირო იყო უფრო ღრმა ფესვების გამოძენა. ასეთ შემთხვევაში რეჟისორი მთელი ეპიზოდების შექმნას ვერ მოახერხებდა, რადგან ისინი დაარღვევდნენ სცენარის დრამატურგიულ ქსოვილს, და ამიტომაც ოსტატურად გამოძენილი დეტალებით გვიამბო ვაჟას ბიოგრაფია. გაიხსენეთ მზიანი ღღე, გოგო-ბიჭების ყიყინით აკლბული ეზო. ყველა ვარეთ გამოფენილა, მხოლოდ ვაჟა არა ჩანს. მაყურებლის თვალად ქცეული კინოკამერის ობიექტივი ვაჟას ოთახში შედის, კედლებს ათვალისწინებს; მომღერლის ვაჟის სურათები, გადაღებული სხვადასხვა ასაკში, სხვადასხვაგვარ პოზაში. ობიექტივი ნელა მოძრაობს და ლოგინში მონებივრე ვაჟაზე ჩერდება. გარეთ შეადღეა, მზე და სიცოცხლე, ის კი მთენთილი საწოლს ვერ მოსცილდება. სახის რ. ჩხეიძისეული ექსპოზიციის შემდეგ ნათელია ვაჟა თაბაგარის ვინაობა: უღარდელი, ზარმაცი, რომელსაც მშობლის გულკეთილობა და მომეტებული ზრუნვა ავად გამოუყენებია.

მოგვხსენებთა, შემდგომში ვაჟას ცხოვრება ისე წარიმართა, რომ იგი დათოს რაყიფი შექნა. როგორც უნდა დამალათ დათოს, ვაჟასა და ციცი-



ნოს გულის ზეგნადად, ვასასის „ყოველისმზილველ“ თვალს მაინც ვერას გამოაპარებდნენ. ენა-გალაქსარებულ ქალს გულმა ვერ მოუთმინა და ერთ დღეს დათოს გულჩახვეულობა დაუწუნა, ხოლო ციციოსა და ვაჟას სიყვარულთან თამაში უსაყვედურა. მეითხველი ალბათ მიხვდა, რომ სა-უბარი იმ ეპიზოდზეა, რომელიც „მანქანების დღელია“ ნაჩვენები. ეს ეპიზოდი სცენარში იმ სიმბოლოებას მოკლებულია, რომელიც მას ფილმში აქვს. სცენარის მიხედვით დათო და ვასასი ეზოში სკაპოლიონზე ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. ეზოში ვაჟა და ციციო შემოდიოდნენ მანქანით. ვასასისთან მცირე სკანდალის შემდეგ შეურაცხყოფილი ციციო შინ ვარბოდა, ხოლო ვაჟა მანქანით ეზოდან გადიოდა. ფილმში კი უზარმაზარ საბარგო მანქანასთან მოფუსფუსე დათოს ვესაუბრება ვასასი და ამ დროს შემოდიან ეზოში ციციო და ვაჟა. ვასასისთან წაყინკლავების შემდეგ ვაჟები თავიანთ ნაქვებს აკეთებენ. დათომ მანქანა გამართა და ნაქვ-ნელა დაძრა. მძიმე საბარგო ავტომობილის წინაშე უკან იხეცს მსუბუქი სამგზავრო ავტომანქანა. ისინი სიმბოლოურად განასახიერებენ ფილმის ცენტრალურ კონფლიქტს.

თუ რაოდენ ოსტატურად იყენებს რეჟისორი სავსებს, ეს შერეო სცენიდანაც კარგად ჩანს. დამტკრებულ „მოსკვირში“ ქალები სხედან, მოდის გაკაპახებული ვასასი და ჰყვება, როგორ გაჭრეს მანანამ და კოტემ კელიო. ამბის მოყოლის დროს მძღოლმა გერასიმემ რამდენჯერმე წამოაყენა ვასასი. ქალი წამოდგომას მიეჩვივა და გერასიმეს ყოველი გამოჩენისას მექანიკურად დგებოდა და ჯდებოდა. რეჟისორი ჩვეულებრივი ფიზიკური მოძრაობით თბილ იუმორს ქმნის და მასიზობს საშუალებას აძლევს ფრთა გაშლის, პერსონაჟის ხასიათი სრულად და ნათლად დაზნატოს. ვასასის ქალებთან საუბარი რომ ჩვეულებრივ სკაპოლიონზე ჯდომის დროს მომხდარიყო, დაიკარგებოდა მაყურებლის ოდნავ დამეცინავი დამოკიდებულება ვასასისადმი და ენაჯარტალა გულკეთილი ქალის ნაცვლად ხელთ შეგვრჩებოდა გაბორბებული დიაცი, რომელსაც სხვისი ბედნიერება შურდა. ეს პატარა ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სცენარში მოქმედების ადგილის განსაზღვრას უდადესი მნიშვნელობა აქვს, რადგან განწყობილების შექმნა, პერსონაჟის ხასიათის გამოვლენება, მოვლენის აღქმაც დიდადა მასზე დამოკიდებულია.

ადგილი შესაძლებელია მაყურებელმა არც კი იცოდეს, რომ დათოს წვიმამო ცეკვის სცენა სცენარში არ ყოფილა. ამ ცეკვას დათოს მთელი სულიერი სამყარო მოითხოვდა. რეჟისორმა ფილმის პერსონაჟის გულის უსათუთეს ზმპურს მიუღწეო ყურად და აცეკვა ოჯ. აცეკვა პირველი სიყვარულისაგან მოგვრილი სიხარულის მიზეზით, აცეკვა გაზაფხულის თქმეშქვეშ.

ზემოთ მოტანილი მცირეოდენი ფაქტებითაც

ნათლად ჩანს, რაოდენ აქტიური იყო ~~სცენარის~~ დამოკიდებულება სცენარისადმი. თუ უმრავლეს შემთხვევაში ჩვენ კარგი შედეგი მივიღეთ, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ მოხდა და მანანას სახე ფილმის სიერათო განწყობილებიდან გამოითიშა.

მანანას სახის თავისებური გადაწყვეტის ცდა ალბათ იქიდან მომდინარებოდა, რომ ფილმში ორი შეყვარებული წყვილი უნდა ყოფილიყო. რადგან სიყვარულს ყოველი კაცი თავისებურად განიცდის, რეჟისორი შეეცადა მანანას სიყვარულისათვის ორიგინალური ფერები მოეძებნა და ციციოს სიყვარულისაგან განესხვავებინა. ცხადია, რეჟისორს მხედველობიდან გამოიჩინა ან ყურადღება არ მიუქცევია იმ გარემოებისთვის, რომ როგორც ციციოსა და მანანას ხასიათები განსხვავდებოდა, ისევე განსხვავებული იქნებოდა მათი სიყვარული.

გ. მღვიანს მანანა სრულადაც არ ჰყავდა დახატული სიყვარულისაგან გაოგნებულ ქალიშვილად. პირქით, იგი ოცხალა, მკვირცხლი და დაუზარელი, მთელი ეზოს საყვარელი გოგონა იყო. ყველას დამხმარეს, ხელის გამმართავს კოტე გურგენიძე უყვარდა და, როგორც კი შეიცყო, რომ ვაჟიც არ იყო მისდამი გულგრილი, მთელი ეზო ტკებობდა მანანას წკრიალა ხმით, რომელიც თავის უღრუბლო სიყვარულზე მღეროდა. არავინ უწყის, რატომ იქცა ასეთი ქალიშვილი მუდამ თვალცრემლიან, გარინდებულ, მთელი სამყაროსაგან გამოთიშულ არსებად. სარეჟისორო სცენარის მიხედვით მანანას პირველად ეზოში ხედავდა მაყურებელი. იდგა იგი და ყვავილებს მწაფავდა, გამვლელ-გამომვლელი მეზობლები მზიარულად ესალმებოდნენ და ქალიშვილი ლიმილით პასუხობდა. ეზოში შემოვიდა სამასხურიდან დაბრუნებული კოტე, ისიც ესალმებოდა ყვავილების რწყვით ვართულ ქალს და, თითქოსდა აქ არაფერიყო, ისე ჩაივლიდა. კოტეს მოულოდნელი გამოჩენა დაბნეული ქალიშვილი სარწყავ მიღს ხელში უჩერებულად ატრიალებდა და გამვლელ-გამომვლელს უმოწყალოდ წუწავდა. მერე კიდრი მაყურებლისაგან მიმართული წყლის ნაკალით იხურებოდა. მანანას ასეთი ექსპოზიცია მთელი მისი სახის გასაღები იძლეოდა. რეჟისორის იმსადმი გულთბილი იუმორით შეზავებული დამოკიდებულება ჰქონდა და ეს მანანას მაყურებლისათვის მეტად საყვარელს ხდიდა.

სარეჟისორო სცენარო უკვე დაწერილი იყო, როცა რ. ჩხტიმე მომავალი ფილმის ახალი თავისებური დასაწყისი მიამბო: ალიონი იდგა, ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა და დილის მყუდროებას ბედურების ქვიცივი, კენტად ჩაველი ტროლეიბუსის შიშინი ან ტრამვაის რარხანი თუ არღვევდა. დაცარიელებულ ქუჩას მიჰყვებოდა მოხუცი, რომელსაც ხელში აფიშების გრაფილი, წებოთი საესე სათილი და ფუნჯი ეჭირა იგი კედელთან ჩერდებოდა, აფიშების გრაფილის ხსნი-



და, კედელს წებოს უსვამდა და ახალ აღმშენებელს გაეზარდა. ეკრანზე მსხვილი ხელით ჩანდა აფიშაზე გამოხატული სახლი და დიდი ასოებით წარწერილი: „ახალი მხატვრული ფილმი „ჩვენი ეზო“, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები, 1956 წ.“, მერე დახატული სახლი „ცოცხლებოდა“ და ეკრანზე ჩანდა ნამდვილი სახლი, დაცარიელებული დიდი ეზო, რადგან მსოფრთველებს ჯერ კიდევ ეძინათ. დილაუთენია ეზოში რეჟისორი და ოპერატორი შედიოდნენ, რათა ფილმის გმირებს გასცნობოდნენ. მათ ენაქრატალა ვასასი ხედებოდა და ეზოდან იხრებოდა: — რა ხალხია, ადამიანს წუთით მოსვენებასა და ძილს არ აცლიანო. დიქტორი კი ამბობდა, რადგან ჩვენს გმირებს სძინავთ, ჯერ ქალაქს გავეცნოთო, და ჩნდებოდა ის საერთო პანორამა ქალაქისა, რომლითაც ახლა ფილმი იწყება.

სხვებისა რა მოგახსენოთ, მე კი ასეთი დასაწყისი ძალიან მომწონდა, რადგან იგი კიდევ უფრო აღრმავებდა იმ ინტიმს, რომელიც სარეჟისორო სცენარში შეიტანა რეჟისორმა მაყურებელსა და ფილმის პერსონაჟებს შორის ურთიერთობის დასამყარებლად.

უფრო ნათელი რომ გახდეს, რა ინტიმზეა ლაპარაკი, ფილმის ზოგიერთი პერსონაჟის ექსპონირება გავაცნობთ იმ სახით, რა სახითაც სარეჟისორო სცენარში იყო ჩაფიქრებული და, სამწუხაროდ, ფილმში არ შევიდა.

პერსონაჟთა ექსპონირებისათვის ასეთი ხერხი გამოიხატა რეჟისორმა: სარეჟისორო სცენარში ისეთი განწყობილება შექმნა, თითქოს მაყურებელი თავად იყო მონაწილე იმ ამბებისა, რომლებიც ეკრანზე ხდებოდა. მაყურებელს ახსოვს ალბათ ასეთი სცენა: დიქტორი ჰყვება, ჩვენს ეზოში მოწიფული ქალ-ვაყებიც ცხოვრობენო, და ჩანს, როგორ ჰყოცნიან ბნელ დერეფანში ერთმანეთს ახალგაზრდა ქალი და ვაჟი. მერე აპარატი გზას განაგრძობს და სხვებს ეცნობათ. ეს სცენა ცოტა სხვათადაც იყო ჩაფიქრებული: კონკრეტული აპარატი გულგრილად კი არ უფიქრდა შეყვარებულებს გვერდს, არამედ ცნობისმოყვარედ აჩერებოდა, თითქოსდა აპარატი მაყურებლის თვალთაშორის შეტყუნებული ქალ-ვაჟის სახეები მოიხანდა დიდი ხდით და ისინი დარცხვენილნი ხრიდნენ თავებს. ასეთი გაცნობა გულთბილ კავშირს აწყობდა მაყურებელსა და ფილმის პერსონაჟებს შორის, რადგან თქვენ თავს სხვისი ნამალგვის მოზიარედ თვლიდით და საიდუმლოს გულში ინახავდით.

ასეთივე ხერხით ეცნობოდა მაყურებელი ფილმის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს ციციანს. ეს ახტაკაანა გოგონა ტოლ-მეგობრებში ბურთს თამაშობდა, მერე ბურთს გულში იკრავდა და გარბოდა, მობრბოდა მაყურებლისაკენ, თანდათან

უახლოვდებოდა და დიდი ხდით ვხვდებოდით. გონის გაწყვეტილ თმებს, აღფრთხილებულ სახეებს, კურად მოციმციმე თვალებს, რომლებიც დამინავად კითხულობდნენ: „რა გინდათ ჩემთან?“ ქალაბიჭა ციციანა პირველი კადრდანვე ახლობელი ხდებოდა.


ფილმში მარტოოდნე დეიდა მინადორას სახის ექსპონირება ხდება ამ ხერხით. მაყურებელს ალბათ ახსოვს მოხუცი, საყვარე მანქანის რომ უნის, წყნარი, წმინდა თვალებით მოგჩერებით და დიქტორის კითხვაზე: „მანანა სად არის“, პასუხობს: „ეზოშია“. ახლა ეს ადგილი ობლადა დარჩენილი. შეიძლება სხვა შემთხვევაში ეს ხერხი რეჟისორმა იმიტომ არ მოიხვედია, რომ ერთფეროვნებას მოერიდა. მაგრამ ეს ერთფეროვნება კი არა, სტილის ერთიანობაა. იგი ექსპონირების მთლიანს, ერთ ცალკეულ მოქცეულს ხდის. ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც ცხადია: ფილმის შექმნის დროს რეჟისორი განუწყვეტელ შემოქმედებით ძიებაში იყო, მაპირივით დღედა და ყოველთვის ვერ ახერხებდა საკუთარი ჩანაფიქრის მტკიცე ჩარჩოში მოქცევას, ვერ ინარჩუნებდა ჯავაიარჩის მოწამებრივ გულგრილობას, რაიც ეგზომ სჭირდება ყოველ ოსტატს.

მართალია, ოფიციალურად არსად დაწერილა, მაგრამ კულისებში დადის ჩურჩული, თითქოს „ჩვენი ეზო“ იტალიური ნეორეალისმის გავლენას განიცდიდეს.

თავად იტალიელი რეჟისორები და კინოთეორეტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ ნეორეალისმის სამი წყარო აქვს: 1. იტალიური ვერისმი, 2. ამერიკული ფსიქოლოგიური ნოველა და 3. საბჭოთა მუნჯი კინემატოგრაფია. როგორც ხედავთ, სამი მკვებავი ფესვიდან ორი უცხო ერის წიაღშია ნაშობი, მაგრამ ამას იტალიური კინემატოგრაფიისათვის ჩრდილი არ მიუყენებია.

ჯერ ერთი, თუკი იტალიელებს ჰქონდათ უფლება შემოქმედებითად აეთვისებინათ უცხოელების მიღწევა ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაში, რ. ჩხეიძეს რად ეძრავის იმავე უფლებების გამოყენება? ესეც არ იყოს, რა ძალა ადგა რ. ჩხეიძეს იტალიელებს დაღვამოდა შეგირად, როცა მათი მასწავლებლები საკუთარ კინემატოგრაფიულ ოჯახში ჰყავდათ.

ყოველი დავიერებული და ობიექტური თვალთვალ კარგად ხედავს, რომ რ. ჩხეიძე საკუთარ შემოქმედებითს გზაზე დგას. თუ ზოგიერთ ურწმუნო თომას მაინც სურს იტალიელებს გაგლეჯოს იზოგონ, მათ პასუხად რ. ჩხეიძეს შეუძლია განუცხადოს ერთი თანამედროვე ფრანგი მხატვრის სიტყვები: როცა მე ქალი მიყვარს, სულაც არ ვფიქრობ იმ ქალზე, რომელიც პაპანემს უყვარდაო.



კალკუტა. ჯაინისტების ერთ-ერთი ტაძარი.

ინკალი აბაშიძე

ინდოეთის

გზებზე

კოპენჰაგენის ქუჩები და მოედნები, სასტუმროებისა და მაღაზიების დიდი ფოიეები წუხელ საახალწლო ნაძვისხეებით გულის გამხარებლად იყო გაჩირაღდებული. დილით ეს ხეები მოწყენილნი არიან. უკვე დეკემბერია, მაგრამ სკანდინავიაში თოვლი ჯერ კიდევ არ ჩანს და ამ

ხეთა ტოტები დანიელებს ბამბის ფთილებით დაუფარავთ. ჩრდილოეთის დეკემბერი და ნაძვისხეებზე ბამბის ფთილები!

აეროდრომის სატრანზიტო დარბაზში ვეებერთელა ნაძვისხის ძირას დაბალ სუფრაზე დილის საუზმეს შემოვუსხედით ინდოეთისაკენ გაფრენის წუთის პოლოდინში. შეუჩვევლი, უღიმამო, აეროდრომის ნაუცბათევი საუზმე კონსტანტინე სიმონოვმა უცებ გაახალისა ქართული საწებლით, რასაც იგი თითქმის ყველგან ამოაძრობს ხოლმე პატარა ბოთლით თავისი სამგზავრო ტოპრაკიდან. ვისკის ჯერ კიდევ არ ვეკარებოთ, სანამ მარქაფში საკმაო რაოდენობით მოგვებობა ჩვენებური „დედაქალაქური“. პოეტმა და „ოგონიოკის“ რედაქტორმა ანატოლი სოფრონოვმა ხელისგული ფრონტულად ბრტყლად დაჰკრა თეთრ ნახევარლიტრიანს ფსკერზე და იქვე საცობი დაადგებინა: — გაუმარჯოს ჩვენს მგზავრობას შორეულ ქვეყნებში, გაუმარჯოს საყვარელ სამშობლოს, ჩვენს წასვლას და მის დარჩენას! გზის დასალოცი გადაეცა პოეტსა და ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს, აზიის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარეს მირზო ტურსუნ ზადეს, რომელსაც დღეს კბილიც სტკივა და ეს არაყი წამლადც გამოადგება. იქიდან ჭიქა თურქმენეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კარა სეიტლიეფთან გადავიდა, მან კიდევ თავის მხრივ ალავერდი „თეირანის“ ავტორს, სომეხ ბელეტრისტს გარეგინ სევუნცს გადაუწოდა; სევუნცმა — „აფშერონის“ ავტორს, აზერბაიჯანელ მეჭვი ჰუსეინს; ამ უკანასკნელმა კი სასმისი ყირგიზეთის მწერალთა მეთაურს ტუგელბაი სიდბეკოვს გადასცა. აქ მე ჩემი თავი გამომჩა — მეც გეახელით, ანუ, როგორც იტყვიან, ამ სტრიქონების ავტორიც გეახლათ გზის დასალოცს.

ამასობაში მე თქვენ, ჩემო მკითხველებო, ჩვენი დელეგაციის თითქმის მთე-



ლი შემადგენლობა გააცანით. ამათ დაეუმატებ უზბეკ მწერალს ზულფიას, რომელმაც ზახ ბელეტრისტს გაბილენ მუსტაფინს და სიაც დაიხურება. ზულფიასა და მუსტაფინსაც დასამატებლად საქმე არ გაუხდებოდათ, რომ გზის დასალოცის მიღებაზე უარი არ განეცხადებინათ: პირველს როგორც ქალს, მეორეს კი ჩვენთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო.

საბჭოთა კავშირის მწერალთა ეს დელეგაცია მიემგზავრება ინდოეთში, ქალაქ დელისაკენ, აზიის ქვეყნების მწერალთა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

დანის ოთხმოტორიანი ვეებერთელა თვითმფრინავი „სკანდინავიენ აირ-ლინეს სისტემ“ გადაუფრენს მთელს ევროპასა და აზიას და გასწევს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოსაკენ; ჩვენ მას ჩაყვებით პაკისტანამდე, იქიდან ეს მანქანა თავის გზას გაუდგება, ჩვენ კიდევ ჩვენს გზას, უკვე ინდოეთის თუ პაკისტანის საავიაციო კომპანიის თვითმფრინავით.

ყოველი მგზავრობისას, მატარებელში ვარ თუ თვითმფრინავში, პირველად თვალთ საწოლს თუ დასაჯდომს მოვსინჯავ ხოლმე: დავეტევი თუ არა — „საკითხავი აი ეს არის“. ამ თვითმფრინავშიაც, მიუხედავად მისი გარეგნული გოლიათურობისა, პირველ ყოვლისა ჩემს ადგილს დავუწყე თვალთვლება და ზომვა. წარმოიდგინეთ, ჩემგვარ დღეში ყოფილა ანატოლი სოფრონოვიც, რომელიც სიმაღლით ხომ ჩემოდენაა, სისქით კი მგონი ორჯერ მეტი იქნება. ბედმა ჩვენ მომიჯნავე სკამებზეც დავგსხა, ერთმანეთის გვერდით და, აგრე გასინჯეთ, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ადგილებზე ორივენი თავისუფლად მოვთავსდით. მანკვალს ხელი დავაჭირეთ, ჩვენი სკამები საწოლებად გადაიქცა და მასზეც, აგრეთვე საბედნიეროდ, თავისუფლად გავიშალენით. მაშ, კეთილად გვიმგზავრია. დასაჯდომებზე ტყავის ბრტყელი ქაშებით მტკიცედ მივეკარით და ზრრ... ოთხმა პროპელერმა ზრიალით შეაგდო პაერში სკანდინავიის გოლიათი.

გადავუფრინეთ თავზე დასავლეთ გერმანიის კვადრატებად დაყოფილ მიწას, აქა-იქ ცამდე ამოსულ ქარხნების კვამლს, დიდ ქალაქებს, დასახლებულ პუნქტებს, წითელსახურავიან სახლებს, წყალსაცავებს და შეეცურდით სქელ ღრუბლებში. ეს მხარე სულ ვაკე ყოფილა. როცა ღრუბლებიდან გამოვძვარით, ძირს უკვე გამოჩნდა საღამურად გაჩახჩახებული ქალაქი მაინის ფრანკფურტი.

მაინის ფრანკფურტის ვეებერთელა აეროდრომი მთლიანდაა მოპირკეთებული ცემენტის ფართო ფილებით. ზედ აუარებელი თვითმფრინავია, ათასი ქვეყნისა და მარკისა. თვითმფრინავების გარშემო პატარა ავტომანქანები დაჰქრის დილიჯანსის მსგავსი მისაბმელებით. ამ მისაბმელებში ცნობისმოყვარე მოქალაქენი სხედან და ჩამოსულ თუ მიმავალ მგზავრებს ათვალთვლებენ. სატრანზიტო დარბაზში რამდენიმე რადიოგადამცემი მუშაობს; სშირად ისინი ერთდროულად აცხადებენ ხოლმე სხვადასხვა მიმართულების თვითმფრინავთა გაფრენის თუ მოფრენის შესახებ და მაშინ დარბაზში რაღაც გაუტრკვეველი ზრიალია. სატრანზიტო დარბაზში ყურადღებას იქცევენ გერმანელი ახალგაზრდები. მათ ისევ სამხედრო ფორმა აცვიათ, თითქოს უკანასკნელი ომიდან ასი წელი გასულიყოს და ყველაფერი დავიწყებას მისცემოდეს.

რა ლამაზია დამის აეროდრომი. საზეიმო იერი აქვს. აი, მიწაზე გაწოლილ პროექტორის სინათლეზე გასრიალდა და ცაში მიმინოსავით ავარდა ვეებერთელა თვითმფრინავი. მისი ფრთები ციციანათელებივით ანათებენ, მერე თვალს მიეფარებიან. სამავიეროდ, აეროდრომზე ღრუბლებიდან ეშვება სხვა მანქანა, მისი ფრთების სინათლეებიც ციციანათელებივით ხამხამებენ.

მალე ჩვენც ავმადლდით და ხელახლა ღრუბლებში წევცურდით.
 ჟენევა.

ჟენევის აეროდრომის შენობა თითქოს სულ მინთაა ნაგები. ისეთი მსუბუქია, გეგონებთ აგერ ესეც თვითმფრინავით ჰაერში გაფრინდებაო. აქაც, როგორც მინის ფრანკფურტში, რაღაც საათნახევარი დაყავით და ორიოდ საათის ფრენის შემდეგ უკვე რომის აეროდრომზე ვისხედით. სწორედ ორი თვის წინ ვათვალიერებდი ამ უძველეს და მსოფლიოში უღამაზეს ქალაქს. ფორუმი. . კოლინეი... პანთეონი... წმიდა პეტრეს ტაძარი... ვენეციური სასახლე... სიზმრები... ზღაპრები...

ევროპის ქალაქთა აეროდრომები თითქოს კალიების საფრენ დისტანციებზე იყო განლაგებული. სამაგიეროდ, ნამდვილი ფრენა რომიდან იწყება. რომიდან აბადანამდე მთელ ღამეს ჰაერში ხართ და მხოლოდ თერთმეტი საათის ფრენის შემდეგ დაადგამთ მიწაზე ფეხს.

გადავუფრინეთ თავზე ღამის ათინას, ხმელთაშუა ზღვას, ანატოლიას, ბეირუტსა და დამასკოს და დილით, როცა მცირე ძილის შემდეგ ფანჯარაში გადავიხედეთ, ჩვენი მანქანა უკვე სირიისა და შუამდინარეთის შავ ბარხანებზე მიფრინავდა. აგერ, ჩვენს ქვემოთ, დიდებული ევფრატე, ესეც ისეთივე მღვრიე ჩანს, როგორც ჩვენი შუა აზიის დიდი მდინარეები — სირ დარია და ამუ დარია. ამ უღაბანოებში რაღაც პატარა მდინარეები იბადება და იქვე კვდება. ასევე იბადება დასახლებულ პუნქტებთან პატარა გზები და ეს გზებიც იქვე უღაბნოს ქეიშაზე ქრება. მათი სახელები არავენ იცის. ყოველ შემთხვევაში, რუკაზე არ აღინიშნება. სულ სხვა საქმეა ევფრატი. ჩვენ მივყევბით ევფრატს. მისი მწვანე ნაპირები კვადრატულადაა დაყოფილი. ეს ალბათ აქაურ მკვიდრთა საკარმიდამო მიწებია.

უეცრად დაიწყო თვითმფრინავიდანაც კი თვალუწვდენელი, გაუთავებელი ჭაობები. ამ ჭაობებზე ხან ბაწარ-ბაწარ, ხან გოდორ-გოდორ, სამკუთხედებად დაფრინავენ ვეებერთელა თეთრ ფრინველთა გუნდები, ისინი პატარა კუნძულებზე სხდებიან და ფარავენ მათ. ქვემოთ აქა-იქ ღრუბლის ქულები ისე ჩანს, თითქოს დამპალ წყალს ოშშივარი ასდიოდეს. ჩვენ ღრუბლებში შევცურდით. ეტყობა, მიწაზე წვიმა მოვიდა. მცირე ხნის შემდეგ, ეტყობა, გადაიღო და ქვემოთ, სულ ქვემოთ, გამოჩნდა ღამაზი, შვიდფეროვანი ცისარტყელა. ჩვენ ცისარტყელას თავზე გადავახტით. აბა, ქალებო, ვის გინდათ ვაჟად გადაქცევა!

ღამთავრდა „გადახრუკული ქედები“, — ასე უთქვამს ჩვენს წინაპარ პოეტს — „ევფრატის გაღმა გაზეხდე გადახრუკულსა ქედებსაო“. ღამთავრდა დაუსრულებელი ჭაობებიც და ბოლოს, მთელი ღამისა და დილის ფრენის შემდეგ, ვუწიეთ სპარსეთის ყურეს.

გამოჩნდა ქალაქი აბადანი.

აბადანის გარშემო ფინიკის პალმის პლანტაციების უდიდესი მასივებია. ეს პლანტაციები დასერილია სამელიორაციო არხებით. პალმებში დაფრინავენ რაღაც უცხო ფრინველები, რომლებიც ვერც ერთ ნაცნობ ფრინველს ვერ მივამსგავსებ, მიუხედავად იმისა, რომ აეროდრომისკენ დაშვებული თვითმფრინავი თითქმის ხეების კენწეროებს ეხებრდა.

ზამთრის რვაღლიან წვიმას მხოლოდ წინა დღეს გადაეღო და აეროდრომზე აქა-იქ გუბებები იდგა. აბადანის აეროდრომი ჩვენ მიერ უკვე გამოვლილ აეროდრომებს სრულიად არა ჰგავს. მოედანი მოპირკეთებული არ არის და აეროდრომის შენობაც ერთი რაღაც ბარაკია. ამ ბარაკის კედლებზე — დიდის ამბით თავის მეუღლესთან გაჯიმული შაპის სურათები. ჩვენებური აპრილის დილას



შვავს აბადანის დეკემბრის დილა. ახალი მწვანე ფოთლები, ახალი მწვანე ბუჩქები...
ლახი...

აბადანი ნავთობის უდიდეს საბადოთა ქალაქია. აქვეა აგრეთვე ნავთის გადამამუშავებელი დიდი ქარხნები. სპარსეთის ეს სიმიდრე 1952 წლამდე მარტონგლისელების ხელში იყო, 1952 წლიდან კი სანახევროდ ამერიკელებმა დაისაკუთრეს.

სპარსეთის ყურე აბადანთან ძალიან მღვრიეა. აქ მას ერთვის გაერთიანებული დიდი მდინარეები ტიგროსი და ეფრათი. ეტყობა, მათ ბევრი შლამი შემოაქვთ ზღვაში სირიიდან და შუამდინარეთიდან. ასე რომ აბადანში მცირე შესვენების შემდეგ სპარსეთის ყურეზე საკმაო ხანს ვიფრინეთ და ეს მღვრიე ფერი წყალს არ შორდებოდა. მერე იგი თანდათან გაბაცდა და ბოლოს უკვე საესებთ დაიწმინდა ისე, რომ ზღვის ტალღები ზემოდან თეთრი ქორებივით ჩანდა.

მიემართებიან არაბეთის ზღვისაკენ ნავთით დატვირთული გემები და მიემარებებიან არაბეთის ზღვიდან სპარსეთის ყურეში, აბადანისკენ ცარიელი კარქაპები.

ბახრეინის კუნძულები... ორმუზის სრუტე... ბელუჯისტანი... ჩვენი თვითმფრინავი უკვე არაბეთის ზღვაზე მიჰქრის პაკისტანისკენ. იგი არც ირხევა პაერში, როგორც საოკეანო გემი ზღვის ტალღებში. გამოჩნდა პაკისტანის ნაპირებიც. ყარაჩი — დიდი ქალაქი და ნავსადგური. გონებაში მეხადება ასეთი ორი სტრიქონი: „ამ საუბარში, ამ ლაპარაკში უკვე გამოჩნდა დაბლა ყარაჩი“.


პაკისტანი — წმიდანთა ქვეყანა.

ყარაჩიში აეროდრომზე შემოგვხვდნენ საბჭოთა კავშირის პაკისტანის საელჩოს მუშაკები ჩვენი ელჩის მეთაურობით. უცხოეთში თანამემამულის გაცნობა არა გკირდებათ, თქვენ უკვე პირველი შეხვედრისთანავე ძველი მეგობრები ხართ. ძმურად გადავხვიეთ ერთმანეთს და პაკისტანის განსაკუთრებულად მკაცრი საპასპორტო პროცედურის გავლის შემდეგ გავუღვიეთ გზას სასტუმროსაკენ.

თვითმფრინავი გაჰყვა თავის გზას. ჩვენ ხვალ საღამოთი გავფრინდებით დელისაკენ ინდოეთის საავიაციო კომპანიის თვითმფრინავით.

* * *

ყარაჩის სასტუმრო. ირგვლივ დიდი პალმები. მაღალ ხეებზე წითელი ყვავილები. სასტუმროში კომფორტი მაინცადამაინც არ გვაწუხებს: უბრალო ხის



კალკუტა. ცენტრალური ქუჩა.



ფართო საწოლები, ასევე უბრალო დგამი. მსახურმა მაშინვე ჩაიშემოთხარა მსახურს აკბარი ჰქვია, ცნობილი დიდი მოგოლის სახელი. ყოველ ჩვენს გულში მებაზე წელში ოთხად იკეცება საცოდავი; დიდად გაოცებული დარჩა, როცა ჩვენ ვაგრძობობინეთ, რომ ჩვენთან აგეთები საჭირო არ არის, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირიდან ვართ და შეუძლია წელში გამართულად გველაპარაკოს. სხვათა შორის, ჩვენი ასეთი მოქმედება უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მოსახლეობაზე პაკისტანსა და ინდოეთში ინგლისელების ქედმაღლური, ბატონკაცური ზვიადობის შემდეგ. მაშ, ყოფილან ევროპელები, რომლებიც მათ ადამიანებდა თვლიან, ეს ევროპელები საბჭოთა კავშირის მოქალაქენი ყოფილან. მაშ გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! მე მთელს ინდოეთში სიხარულით მივსებდა გულს საბჭოთა ქვეყნისადმი დიდი სიყვარული, პატივისცემა და მოკრძალება, რომელიც თანდათან სულ უფრო ღრმად და ფართოდ იკიდებს ფეხებს აღმოსავლეთის მშრომელ მოსახლეობაში. ქვემოთ ჩვენ ამ სისიხარულო და საამაყო მოვლენაზე კონკრეტული მაგალითებით ვილაპარაკებთ.

სასტუმროში რესტორნის მეპატრონე ოდესღაც რუსეთში ნაცხოვრები კაცი აღმოჩნდა, რუსული ენის კარგად მცოდნე. იგი მშვენივრად გაგვიმასპინძლდა ადგილობრივი კერძებით, რომლებიც ძალიან ჩამოგავდა ჩვენებურ საქმეებს. სასმელებში ჩვენ, სიცხისაგან შეწუხებულნი, გამაგრებულად წყალს „კოკა-კოლას“ დავეძაღეთ. კოკა-კოლა თბილისურ ლაღიძისეულ ლიმონადთან, რასაკვირველია, ვერ მოვა; მაგრამ უცხოეთში ყველაზე უკეთეს უაღკოპოლო სასმელად ითვლება. რამდენი მილანძღავს და მივინებია ჩემს ყმაწვილკაცობაში ეს კოკა-კოლა კრებებსა და საჯარო გამოსვლებში; კაცმა რომ თქვას, რა აქვს ახლა ამას საგინებელი; უბრალო გამაგრებელი წყალია, ყოველად უწყინარი და უპრეტენზიო. მოგწონს — დალიე, არ მოგწონს — სავალდებულო არაა. მე იგი მაშინ რაღაც დიდი ანტისაბჭოთა სასმელი მეგონა. ყველა აგინებდა, მეც ვაგინებდი.

ყარაჩი მეტყმეტად ღარიბი ქალაქი ჩანს. ქალაქის ახალ ნაწილშიაც კი დუქნები და მაღაზიების შენობები მინერაულ-მონერაულია. ახალი შენობები ყოველად უკეთესობადაა ნაგები. ყოველ ფეხის ნაბიჯზე — ფარდალალა, საწვრილმანო დუქნები, რაღაც უცნაური შემზარავი სურნელებით აქოთებულნი. აქ, ეტყობა, უცხოელთა ფირმებიც კი არ ზრუნავენ მაღაზიების მოწყობასა და გაფორმებაზე. სიბინძურე... სიბინძურე... დუქნებში რაღაც უძველეს თიხისა და სპილენძის ჭურჭლებში ამზადებენ უცნაურ შექამადს, იქვე ცხლად ჰყიდის და მყიდველებიც იქვე თქვლეფენ. აქაც და მთელ ინდოეთში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება რაღაც ნაცხებით წასმული სურს მსგავსი მცენარის ფოთლები, რომლებსაც ნაცხზე წაყრილი აქვს ბურნუთის მაგვარი ფხვნილი.

ეს არის ერთნაირი მცენარის — ბეტელის ფოთლები, რომლებსაც, როგორც ამბობენ, ჯოხით წაუტყებენ ლოკოკინას ნიჟარის ფხვნილისგან შემზადებულ ფაფას, ზედ წააყრიან რაღაც ბურნუთისებურ ხმელ ნაფრჩხვენებს, ზემოდან ბეტელისავე ფოთოლს დაადებენ, ფრთხილად დაკეცავენ, ჩაიდებენ პირში და საათობით დეჰავენ. ბეტელს, — როგორც წერს თავის წიგნში „საზღვაო გზა ინდოეთში“ ცნობილი ამერიკელი ორიენტალისტი ჰარტი, — დეჰავენ არა მარტო პაკისტანსა და ინდოეთში, არამედ მთელ სამხრეთ აზიაში. ნუნები, ტუჩები, ენა საოცრად აქვთ დაწითლებული და დასისხლიანებული. ბევრს ქისით უდევს ჯიბეში ეს ფოთლები, თავისი ნაცხითა და ფხვნილით; დაჯდება შეკრებაზე თუ სასაუბროდ თავშეყრილ ამხანაგებთან, ოთხივე თითით შეიჩრის პირში და კეკვიით დეჰავს, იქვე აფურთხებს და იღმიჭება.




ქუჩებში დაქრიან რიქმები ველოსიპედის ურიკებით. უფრო შეძლებულნი რიქმებს მოტოციკლები შეუბამთ ურიკებში, რომლებშიც ხუთიოდე მგზავრი თავსდება. ქუჩაში ერთბაშად რამდენიმე რიქმა აგედევნებათ და გთავაზობთ სამსახურს: ისინი მანამ მოგდევნენ, სანამ სადმე მალაზიაში არ შეუხვევთ.

შუაგულ ქალაქში ღამით პირდაპირ ქუჩის ასფალტზე წვანან მოქალაქენი, უმეტესად ყოველგვარი საგებ-სახურავის გარეშე და სძინავთ ქუჩის მტკვარში, მანქანების ხმაურში, გამგულთა ფეხებში. მხოლოდ ზოგ მათგანს თუ უდგას ტახტი. აქაური ყოფის ეს თავზარდამცემი სურათი შემდეგ ინდოეთის ყოველ ქალაქში გხვდებათ. ვინ არიან ეს უბედურები? — ქალაქის მშრომელნი, უბრალო ადამიანები, რომელთაც სადაც უღამდებათ, იქ უთენდებათ, როგორც მუშა-პირუტყვს.

სასტუმროში მთელი დღის მზით გახურებული ოთახის ფანჯრები ფართოდ გავლეთ. მე ლოგინზე გულად-მა წამოვწეკი, თხელი ზეწარი გადავიხურე და ვფიქრობ — აი თანამედროვე ტექნიკის საოცრება: გუშინწინ მოსკოვის ყინვით ითოშებოდი, დღეს კი აქ ამ სიცხისაგან სულს ვეღარ იბრუნებ. რა იქნება აქ ივლისსა და აგვისტოში!

მერე შუალამემდე ვიხეტიალეთ ქუჩებში. მოუშორებლად დაგვედგნენ უკან რიქმები. ქუჩებში გაძლიერებული ყარაული იდგა. ხელში იარაღის მაგიერ გრძელი ხელკეტები ეჭირათ. იმ დღეს პაკისტანში სტუმრად იმყოფებოდა ჯოუ ენ-ლაი. ნელა, ბატონკაცურად დაიზღაზნებოდნენ ამერიკული და ინგლისური ავტომანქანები. პაკისტანს, რასაკვირველია, თავისი საავტომობილო წარმოება არა აქვს და ალბათ დიდხანს არც ექნება. საავტომობილო წარმოება არც ინდოეთს აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ინდოეთში უცხოეთიდან ჩამოაქვთ მანქანის გამზადებული ნაწილები, რომლებსაც აქ ამონტაჟებენ. ეს არის ინდოეთის მარკის „ტაქსები“ — ძველი ყადის პატარა ავტომანქანები.

ღამით უძინარი დავრჩი. პირველი სინათლის შემოსვლამდე განუწყვეტლივ ყვიროდნენ ქუჩაში გამგულელები; ხოლო განთიადზე დაიწყო გადაბმული ზრიალი: ბაყაყების ყუყინი, ვირების ყროყინი, ქორების წივილი, ყვავების ჩხავილი, ათასნაირი ფრინველის რიარია. გავიხედე ფანჯარაში — სახლების სახურავებზე, ღია ფანჯრების რაფებზე, ტელეფონის ბოძებზე, ქუჩისპირის ხეებზე უამრავი ქორი ჩამომჯდარა და იქექება. სასტუმროდან ფეხი გამოვდგით თუ არა, ჩხავილით შემოგვეგებენ ყვავები. ჩვენში რომ მათ სათოფედ ვერ მიეკარები, აქ პირდაპირ ფეხებში გებლანდებიან, იქნებ საკმელი რამ გადმომიგდოსო. ქო-



ბენარესი. ინდუსთა მცურავი ტაძარი ვანგის სანაპიროზე.



რებსა და ყვავებს აქ სანიტრებს ეძახიან — ქალაქის მთელ სიბინძურეს დაკლეს ესენი ანადგურებენ. ქალაქის სისუფთავის დაცვის საქმეც, ეტყობა, აქაურ თვითმმართველობას დანდობილად მთლიანად ამ ფრინველებისათვის გადაუბარებია და, რის გაწმენდასაც ეს ფრინველები ვერ ახერხებენ, ისევ ისე ყრია ქუჩებსა და ეზოებში.

ჩვენი სასტუმროს გვერდით პრეზიდენტის რეზიდენციაა. ყვავილებში ჩაფლული მწვანე ეზო, დიდი ხეების ჩრდილებით დაფარული მწვანე მოლი. მებაღე რწყავს ქოთნებსა და გაზონებში მშვენიერ მრავალფერ ყვავილებს.

დღევანდელი ყარაჩის დიდი ნაწილი ოდესღაც ისეთივე უდაბნო ყოფილა, როგორც მის გარშემო მდებარე სანახები. ინგლისელების შემოსვლის შემდეგ ამ ქვეყნის მკვიდრთ სულ ნაჭერ-ნაჭერ შემოუტანიათ ახლომასლო ოაზისებიდან მიწა ახალი ბატონების ეზოებისათვის. ასე ხელოვნურად გამწვანებულა ქალაქი საუკუნეების მანძილზე. ასე შექმნილა ბევრი მწვანე ქალაქი ინდოეთშიც, რომლებზედაც ბევრს ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს დასაბამიდან ყვავილებში იფლოზობდო. ზოგი ქირი მარგებელია — ეს მწვანე ქალაქები ახლა დამოუცილებლობის გზაზე დამდგარი ამ ქვეყნების მკვიდრთა კუთვნილებია. პრეზიდენტის რეზიდენციის ეზოსავითაა ჩაფლული ყვავილებში აგრეთვე ფრიბოლი, ინგლისელების ყოფილი კლუბი, ინგლისის კოლონიალიზმის უკანასკნელი დასაყრდენი პაკისტანში. აქ ახლა პაკისტანის ეროვნული მუზეუმია გამართული. ამ მუზეუმის კარებზე პაკისტანის სახელმწიფოს პირველი მეთაურის — ჯინას დიდი სურათი ჰკიდია. ჯინამ დიდი როლი შეასრულა პაკისტანის ინდოეთიდან გამოყოფის საქმეში და ამ ქვეყნის ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში. სიცოცხლეში იგი უსაზღვრო ავტორიტეტით სარგებლობდა და ხალხმა მას პაკისტანის მამა უწოდა.

რამდენიმე საბჭოური „ზიმით“ საბჭოთა კავშირის ელჩმა თავის აგარაკზე, არაბეთის ზღვის სანაპიროსაკენ წაგვიყვანა.

გაცდებით თუ არა ყარაჩის ქუჩებს, იქვე იწყება გადახრუკული, მზით გადამწვარი ტრამალები. ამ ტრამალებზე ახლა პირდაპირ მიწაში თხუნელებით ცხოვრობენ ინდოეთიდან გამოქცეული მუსლიმანები. მათი რიცხვი ნახევარ მილიონს აღწევს. ინდოეთიდან გამოქცევა დაწყებულა პაკისტანის გამოყოფის დღიდან (როგორც ცნობილია, პაკისტანში მუსლიმანები ცხოვრობენ) და ეს ლტოლვა გრძელდება ახლაც. საშინელი სანახავია ეს ადგილი, აუწერელი სიმყარე და სიბინძურე. მწირ მიწაზე აქა-იქ რაღაც ჯოჯოხეთის კუპრის მსგავსი ტბორები, რაშიაც მზით დამწვარი ბავშვები ქყუმბალაობენ; დაყვითლებული, სიკვდილის პირად მისული ბავშვები. ადამიანთა ეს უღიდესი მსაგარს ეკერის ქალაქს, რათა ქალაქის ქუჩებში მათხოვრობით შეინახოს თავი. ჩვენმა მანქანამ ელვის სისწრაფით ჩაიქროლა ამ სიმყარეში, მაგრამ ჩვენ მაინც კინაღამ დავიხუთეთ.

არაბეთის ზღვის სანაპირო. დეკემბრის შუადღის სიცხეში გავიხადეთ და შევეცურეთ ანკარა ზვირთებში.

ზღვასთან ორი მუსლიმანი მოვიდა. მათ მიმუნები მოიყვანეს და ათამაშეს. მერე აქლემიანი კაცი მოგვიახლოვდა. აქლემს მუხლებზე სახრე შემოჰკრა, სილაზე დააწვინა. თავმოკრული ტობრაკი გადმოიღო, გახსნა და ორი ვეებერთელა კობრა ამოაჩხა. გველები მაშინვე ცხელ სილაზე გაწვენენ. პატრონმა სალამური დაუკრა, გველებიც ყალყზე შედგნენ. მე შიშით ზღვაში უფრო შორს შევედი. პირველი მნახველისათვის ეს სურათი საშინელია, შემდეგ კი ასეთი სანახაობა ინდოეთში იმდენად სწორია, რომ თვალიც ეჩვევა. ეს კობ-



რები უკვე უგნებელნი არიან, შხამი გამოცლილი აქვთ, და მათი კბენა-მუცხა-მეში ალარ არის.

ჩვენი ელჩის ავარაკის აივანზე გამართული დეკემბრის სუფრა თბილისურ ზაფხულის სუფრასა ჰგავს. ხახვი და სალათა, ქინძი და მუშტის სისხო პრასა, ახალი პამიდორი, რასაც ჩვენში ახალშემოსული პამიდვრის გემო აქვს; ახალი თევზი და მწვადები. ამას ზედ დაუმატეთ ბუხები... ბუხები... ბუხები... ესეც თბილისურად. სხვადასხვა ქვეყნის ღვინოები, რომელთაგანაც ვერც ერთი ჩვენს კახურ ღვინოსთან ვერ მოვა. მეღბურნის მსოფლიო სპარტაკიადიდან ახლდაბრუნებული ანატოლი სოფრონოვი მღერის იმ ქვეყნის შთაბეჭდილებებზე. კონსტანტინე სიმონოვი ამბობს თავის ცნობილ ლექსს „Пропойськ“. მე ჩვენს ქართულ სიმღერას ვლიღინებ და თან გულში ვფიქრობ: „სადაურსა სად წაიყვან“...

ოფლად გაღვრილებმა სული მაშინ მოვითქვით, როცა მზე შუბის ტარზე დავიდა.

არაბეთის ზღვის სანაპიროდან პირდაპირ აეროდრომზე მივედი; იქ გველოდებოდა ინდოეთის რომელიღაც საავიაციო კომპანიის თვითმფრინავი, საკმაოდ ნათრევი, ვილაციის გამონაცვალი ორმოტორიანი ჯაბახანა. იმ დახუთული მანქანით საღამო ხანს გავფრინდით დელისაკენ.

ქვემოთ მიწები ასეულ კილომეტრზე მწირი ჩანს. მხოლოდ აქა-იქ მდინარეებისა და ტბების ნაპირებია მწვანით შემოსილი. აქ უკვე ნაკვეთები კვადრატებადაა დაყოფილი. ამ კვადრატებში შეამჩნევთ სასახლეებსაც, მათში ალბათ მაჰარაჯები ცხოვრობენ. საერთოდ კი ამ უსაზღვრო სივრცეებში გადაჭიმული ქვეყანა მეტად ღარიბი ჩანს.

ორნახევარ საათში ნიუ-დელის აეროდრომზე ვისხედით.

* * *

აეროდრომზე მხურვალე ტაშის ცემითა და ძმური შეძახილებით შემოგვხვდნენ ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის ძველი ზეგობრები, ცნობილი ინდოელი მწერლები: დინჯი, მულამ მშვიდი კრიშან ჩანდრი; დაუღეგარი, მულამ მოუსვენარი მოხუცი გურბაჰში სინგჰი; ასევე დაუღეგარი მულკ რაჯ ანანდი; უფრო ახალგაზრდა თაობიდან — ბალვანტ გარგი და ნატეჯი; აღმოსავლეთის სახელგანთქმული პოეტები: სარდარ ჯაფრი და ფაიზ აჰმად ფაიზი; სახელოვანი ჩინელი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: მაო-დუნი, ლაო-ში და ლეგენდარული რევოლუციური მერვე არმიის მრავალათეული წლის ბრძოლათა ვეტერანი — ემი სიאו; კორეელები: სე მან-ირი და ხან სერ-ია; უიღურები, ბირმელები, ნეპალელები. გადაგვხევივნენ და მხრებზე დაგვიკიდეს ყვითელი ყვავილები.

შეხვედრა მართლაც რომ გულთბილი გამოვიდა. ბევრი ამთავანი ხომ ჩვენი ახლო მეგობარია, ჩვენს ოჯახებშიც ნამყოფი მოსკოვსა თუ თბილისში. აქვე დავძენ, რომ, თავიანთი მხრივ, კონფერენციის მსვლელობისა და ინდოეთში ჩვენი მოგზაურობის დროს მათაც გავაცანეს თავიანთი ოჯახები დელში, ფენჯაბში, ბომბეიში, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

აზიის მწერალთა კონფერენციის მოსაწვევად ინდოეთში თვეების განმავლობაში მუშაობდა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც საბჭოთა წარმომადგენელიც შედიოდა ჩვენი შუა აზიიდან; ეს იყო ტაჯიკი პოეტი მირშაქარი. სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდა, ჯანიტა და ღონით საესე ვაჟკაცს კონფერენციის გახსნის წინა დღეებში სასტუმროს ოთახში ქვის იატაკზე (ქვის იატაკები

ინდოეთში მეტად ხშირია) როგორღაც ფეხი დასცდენოდა და იატაკზე ისე დაეშვა, რომ დაერთყა თავი, რომ ჩვენი ჩასვლისას ჯერ კიდევ უგრძობლად იწვა დე-ლის საავადმყოფოში. მან, რასაკვირველია, კონფერენციაში მონაწილეობა ვერ მიიღო და იმდენ ხანს დასჭირდა წოლა და აქიმობა, რომ ჩვენთან ერთად სამ-შობლოშიც ვერ დაბრუნდა.

კონფერენციის სამზადისში დიდი იდეური ბრძოლები გაჩაღებულიყო აზიის პროგრესულ და პროამერიკულ მწერალთა შორის.

პროამერიკულ ელემენტებს, რომელთაც ამერიკის საელჩოდან უწევდნენ აშკარა ხელმძღვანელობას, განსაკუთრებული აქტივობა გამოეჩინათ კონფერენციის გახსნის დღეს, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევისას. ჩვენი ჩასვლის დროს ამ ბრძოლის სასწორი აშკარად გადახრილი იყო პროგრესულ მწერალთა მხარეზე. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეესრულებინა კონფერენციაზე ჩინეთის დელეგაციის გამოჩენას. ჩინეთის დელეგაციას თავისი ავტორიტეტული სიტყვით გადაეწყვიტა ევროპიდან და ამერიკიდან მოსაწყვევ სტუმართა შერჩევის საკითხიც; მისივე კატეგორიული მოთხოვნით საორგანიზაციო კომიტეტს უარი განეცხადებინა გამომინდინელთა წარმომადგენლების მოწვევაზეც. როცა კონფერენციის დაწყებისას პროამერიკულ მწერალს ქაბობს მოუხდომებია თვითნებურად დაეკავებინა თავმჯდომარის ადგილი, ჩინეთის დელეგაციას კატეგორიული პროტესტი განეცხადებინა — ვინ აირჩია ქაბობი თავმჯდომარედო, და იგიც იძულებული გამხდარა დაეტოვებინა თავმჯდომარის საჯარძელი. ამის შემდეგ კონფერენციას რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ აზიის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელნი, ხოლო საერთო ხელმძღვანელობას მას უწევდა პროგრესული მწერალი, საბჭოთა კავშირის მეგობარი მულკ რაჯ ანანდი. პროამერიკული მწერლები „კულტურა და თავისუფლები“ კლუბიდან შემდეგ-შიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ კონტროლი გაეწიათ კონფერენციისათვის, მაგრამ ამ ბრძოლის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა კონფერენციაზე ჩვენი დელეგაციის გამოცხადებამ.

დილის სხდომა დაწყებული იყო, როცა ჩვენ შევადეთ კონფერენციის დარბაზის კარი „იუნესკოს“ ახალ სასახლეში. სხდომის მორიგე თავმჯდომარე მ ცეილონის წარმომადგენელმა გამოაცხადა: კონფერენციაზე მოვიდა საბჭოთა კავშირის მწერალთა დელეგაციაო. დამსწრენი მხურვალე ტამისცემით შეეგებნენ საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებს, რომელთაგან ზოგიერთის სახელი მათთვის უკვე კარგად ცნობილი აღმოჩნდა. განსაკუთრებული პატივისცემით კონფერენციასა და ინდოეთში მთელი ჩვენი მოგზაურობის დროს სარგებლობდნენ „ინდოეთის ბალადების“ ავტორი მირზო ტურსუნ ზადე და პოეტი კონსტანტინე სიმონოვი.

მაშინვე მიიწვიეს პრეზიდენტში საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, აზიის ხალხების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე მირზო ტურსუნ ზადე, რომელმაც კონფერენციას გააცნო ჩვენი დელეგაციის შემადგენლობა. თავმჯდომარემ შემდეგი სიტყვა მისცა კონსტანტინე სიმონოვს, რომელმაც ორიოდვე საინფორმაციო სიტყვით მოუთხრო დამსწრეთ საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრების შესახებ.

აზიის ქვეყნების მწერალთა კონფერენციას ესწრებოდნენ ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის, ცეილონის, პაკისტანის, ნეპალის, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის, ვიეტნამის, ბირმის, ირანის, ავღანეთის, სირიის, თურქეთის, ეგვიპტის და სხვა მწერალთა დელეგაციები, სულ ჩვიდმეტი სახელმწიფოდან. სულ სხვადასხვა ფერის აზიური ტანსაცემელი. სულ სხვადასხვაგვარი, ზოგჯერ საოცარი



შეკერილობა. ათასნაირი ჩალმა და თავმორთულობა, ათასნაირი აღმოსავლური ფესხსაცემელი. კონფერენციაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ, როგორც მეთვალყურენი, სტუმრები ევროპიდან, ამერიკიდან, აფრიკიდან, ავსტრალიიდან.

საბჭოთა დელეგაციაზე მსჯელობის დროს კონფერენციის მოსამზადებელ პერიოდში საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე წამოჭრილი იყო საკითხი საბჭოთა მწერლების დელეგაციაში საქართველოს წარმომადგენლის შესახებ. კომიტეტში შესულიყო წინადადება: საქართველო აზიის ქვეყნად არ ჩაითვლება და ამიტომ საბჭოთა კავშირის დელეგაციაში საქართველოს წარმომადგენელი, ისე როგორც სხვა ევროპელი მწერალი, სტუმრად, მეთვალყურედ ჩაითვალოს. ამ საკითხის წამოჭრა ჩვენთვის საეხებით მოულოდნელი იყო, თუმცა მოსალოდნელიც რომ ყოფილიყო, საქართველოს დელეგატს ხელი რა საბუთი უნდა ჰქონოდა, რომ ამის საწინააღმდეგო რაიმე დაემტკიცებინა.

უხერხულობას ის ქმნიდა, რომ საბჭოთა დელეგაციის ორი მოხსენებიდან, როგორც მოსკოვში გადაწყდა, ერთი მოხსენება — „ამერიკაკაცასიის ხალხთა მწერლობის მდგომარეობის შესახებ“ ამ კონფერენციისათვის უნდა წარედგინა სწორედ საქართველოს დელეგატს, ამ სტრიქონების ავტორს. საბოლოოდ მოხდა ისე, რომ კონფერენციაზე თითქმის თანაბარი უფლებებით სარგებლობდა სტუმარიცა და დელეგატიც. ასე რომ საქართველოს დელეგატის მოხსენებას რაიმე სერიოზული დაბრკოლება არ შეხვედრია.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა მეტად საინტერესო საკითხები: აზიის ტრადიციები, მწერალი და თავისუფლება, საერთაშორისო კულტურული კავშირები, მწერალი და ოსტატობის პრობლემა და მდგომარეობა აზიის ხალხთა მწერლობაში. თუ ზოგიერთი ჩვენთაგანისათვის დღის წესრიგის გაცნობისას პირველად ბუნდოვან შთაბეჭდილებას სტოვებდა საკითხი „აზიის ტრადიციების“ შესახებ, კონფერენციის მსვლელობაში იგი თითქმის ყველაზე უფრო საინტერესო და პირველხარისხოვან საკითხად წარმოგვიდგა.

ასეული წლების წინ შეწყდა აზიის ქვეყნების კულტურული ტრადიციები და აი, ახლა, კოლონიზატორთა მძიმე უღლისაგან განთავისუფლების მეორე დღეს, მთავარ და პირველი რიგის საკითხად დადგა ამ ტრადიციების აღდგენის საქმე. კონფერენციაზეც ეს საკითხი დღის წესრიგის პირველ საკითხად იქნა შეტანილი.

ასეული წლების განმავლობაში იყვნენ მოწყვეტილი ერთმანეთს აზიის ქვეყნები. თავიანთ სამშობლოში ისინი ცხოვრობდნენ ჩაკეტილნი, როგორც საპარობილოში. დამპყრობლებს მტაცებლურად მიჰქონდათ დასავლეთისაკენ არა მარტო ნედლეული და მიწის ბარაქა, არამედ საქვეყნოდ ცნობილი ხელოვნების დიდებულნი ძეგლებიც. ინდოეთში თქვენ ყოველ ფეხზე ნაბიჯზე ნახავთ ზღოროთმოძღვრების, ხელოვნების სამაგალითო ნიმუშებს, სრულიად გამარჯვულსა და გავერანგებულს. ისინი დგანან ისე, როგორც თვალმდებარეობენ ადამიანები, რათა მნახველს მოუთხრონ კოლონიალიზმის საშინელებათა შესახებ.

თუ აზიის კოლონიზატორებმა ურთიერთს მოსწყვიტეს მეზობელი ქვეყნები, ეს მით უმეტეს ითქმის ამ ქვეყნების კავშირებზე ტერიტორიულად ისეთ შორეულ ქვეყნებთან, როგორცაა, მაგალითად, საქართველო. დღევანდელ ინდოეთში საქართველოს შესახებ იშვიათად, მხოლოდ აქა-იქ თუ აქვთ რაიმე წარმოდგენა და ისიც როგორც სიზმარულ ქვეყანაზე, სადაც ცხოვრობენ ლამაზი ფერები. ინგლისის გაბატონებამდე კი ეს ასე როდი უნდა ყოფილიყო. ჩვენს ქვეყანას, როგორც ცნობილია, საუკუნეების განმავლობაში დიდი კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ინდოეთთან. მკითხველს მოვაგო-



ნებთ ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის მოგზაურობას ინდოეთში. ადვილად მოსადგენია, რომ გორგასალი, მეფე და ქვეყნის ხელმძღვანელი, გაუქვალავ გზას არ დაადგებოდა. ისიც ადვილი წარმოსადგენია, რომ მეფე ტურისტული მიზნით არ გაემგზავრებოდა ამ წლობით სავალ გზაზე. ალბათ მას მასპინძლებიც კარგად იცნობდნენ სახელმწიფოებრივი ურთიერთობის საფუძველზე.

მომდევნო საუკუნეების მტკრითაა დაფარული ჩვენი და ინდოეთის ურთიერთობანი, ისე როგორც ბანგეთის სარკოფაგებში ოქრო და ძვირფასი თვალმარგალიტი. არ შეიძლება რუსთაველის ეპოქაში ეს ურთიერთობანი განსაკუთრებით არ ყოფილიყო გაშლილი.

რუსებს ძველთაგანვე აღმოსავლეთისა და, განსაკუთრებით, ინდოეთის სპეციალისტებად ქართველები მიაჩნდათ. ეს შეხედულება განმტკიცებული იყო ჯერ კიდევ ნადირშაჰის ცნობილ ლაშქრობამდე, რომელშიც, როგორც მკითხველს მოეხსენება, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ახალგაზრდა ერეკლე მეორე.

ამ სტრიქონების წერის დროს მე ხელთ მიჭირავს ცნობილი ფრანგი მეცნიერის, ფილოსოფოსისა და მოგზაურის ფრანსუა ბერნიეს წიგნი „უკანასკნელ პოლიტიკურ ვადატრიალებათა ისტორია დიდი მოგოლის სამეფოში“ (მოსკოვი-ლენინგრადი, სახელმწიფო სოციალ-ეკონომიური გამომცემლობა, 1936 წ.), რომელმაც თავის დროზე მარქსისა და ენგელსის მოწონება დაიმსახურა. ეს წიგნი სხვათა შორის მოგვითხრობს იმ სამი ქართველის შესახებ, რომელთაც მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულში ინდოეთის ერთ დიდ ნაწილში სამი სამეფო შექმნეს. ამ სამეფოებმა თითქმის ორას წელიწადს იარსებეს. ბერნიე წერს: „ქართველები მტკიცედ განაგებდნენ ამ სამეფოებს იმიტომ, რომ ერთმანეთთან მუდმივ კავშირში იყვნენ და ერთმანეთს გვერდით უდგნენ მოგოლების წინააღმდეგ დიდ სამხედრო ოპერაციებში“. ბერნიე ასახელებს ამ ქართველ მეფეთა მხოლოდ მეხუთე თუ მეექვსე თაობის წარმომადგენელს — ნეზამ შაჰს, რომელმაც თავისი სამეფოს დედაქალაქს დაარქვა დუაღეთი.

ეს ამბავი ხდება ინდოეთის ჩრდილო დასავლეთის რაიონში, სინდისა და ფენჯაბის მხარეში, საიდანაც შედიოდნენ ამ ქვეყანაში უცხოეთიდან შემოჭრილი ტომები — სპარსელები და ბერძნები (აქედან შეიჭრა ინდოეთში ალექსანდრე მაკედონელიც), ჰუნები და უნგრელები, ევროპელები და აბისინიელები. ინგლისელები თავიანთი ძლიერი ფლოტის საშუალებით ინდოეთში შეიჭრენ ამ ქვეყნისათვის სრულიად მოულოდნელი, აღმოსავლეთის მხრიდან, ზღვიდან, მაშინ, როცა ქვეყნის შიგნით მძვინვარებდა შინაგანი არეულობა.

აღმოჩნდნენ სპეციალისტები, რომლებიც ალბათ ნათელს მოჰფენენ ინდოეთთან ჩვენი ქვეყნის მეტად საინტერესო ურთიერთობის ისტორიას.

ძნელი წარმოსადგენია ორასი წლის წინათ, ინგლისის ინდოეთში შეჭრამდე და ამ ქვეყნის გარესამყაროდან მოწყვეტამდე, ინდოეთის ხალხს ასეთი ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონოდა საქართველოს კულტურაზე. ამ ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიის ხელმძღვანელებს (ამ აკადემიის საპატიო თავმჯდომარეა თვითონ ჯავაჰარლალ ნერუ) კრიპალანსა და პრაბაქარ მაშვეს მე გადავეცი „ფეხვისტყაოსნის“ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, მოსკოვის 1937 წლის გამოცემა. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს, ინდოეთის ინტელიგენციის ამ მოწინავე და დიდად განათლებულ წარმომადგენლებს, რუსთაველის ამ უკვდავ ქმნილებაზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა. მე ვთხოვე მათ: კონფერენციის მსვლელობის დღეებში როგორმე ეშოვნათ დრო და წაეკითხათ იგი. შემდეგ კი, თუ ღირსად ჩათვლიდნენ, ეზრუნათ, რათა ამ პოემის



მთავარი გმირისთვის, ინდოელ რაინდ ტარიელისთვის ეჩვენებინათ მისი სურათი შობლო რვაასი წლის შემდეგ, ე. ი. ეზრუნათ „ვეფხისტყაოსნის“ ჰინდის ან ურდუს ენაზე თარგმნისათვის. პრაბაქარ მაშვემ „ვეფხისტყაოსანი“ ჩამომართვა და მორიდებით თქვა: — ამოდენა წიგნის გამოცემა ჩვენს აკადემიას აბა როგორ შეუძლიანო.

ვინც ინდოეთის საგამომცემლო საქმეს იცნობს, მას მაშვეს ეს განცხადება სრულიადაც არ გაუკვირდება. საქმე ისაა, რომ ამ ოთხასმილიონიან ქვეყანაში წიგნები მხოლოდ რამდენიმე ათასიანი ტირაჟით იბეჭდება, უმეტესად ორი, სამათასიანი ტირაჟით. მკითხველის სიმცირის გამო გამომცემელს წიგნი ვერაფერ შემოსავალს აძლევს და კერძო გამომცემელიც (სახელმწიფო გამომცემლობა იქ არაა) უმეტესად სტამბავს რელიგიური ხასიათის წიგნებს, რომლებსაც მყიდველი საკმაოდ ჰყავს. მრავლად ნახავთ აგრეთვე პორნოგრაფიულ წიგნებსაც, რომლებსაც მკითხველი აგრეთვე საკმაოდ ჰყავს.

ამიტომაც მე სრულიადაც არ გამიკვირებია, როცა პრაბაქარ მაშვემ გვითხრა: ამ დიდი პომიდან ჩვენ მხოლოდ იმ ნაწილის თარგმნასა და გამოცემას თუ მოვახერხებთ, რომელიც ინდოეთს შეეხებაო.

გიყვარდეს, ის ღამე პრაბაქარ მაშვეს რუსთაველმა თეთრად გაათენებინა. დილით მივიღეთ მისგან უსახლგროდ აღფრთოვანებული წერილი. წერილს თან ერთვოდა „ვეფხისტყაოსნის“ ადგილების თარგმანი ურდუს ენაზე, რომელიც ამ ღამენათვე კაცს განთავისცა შეესრულებინა. მე ეს წერილიც და თარგმანიც ინდოეთიდან თან წამოვიღე...

საკმარისი იყო კოლონიალიზმის სამარცხვინო უღლისაგან განთავისუფლება, რომ აზიის ხალხებში მეორე დღესვე ამაღლებულიყო ეროვნული შეგნება და ნაციონალური სიამაყის გრძნობა. ეს ხალხები დღეს იბრძვიან, რათა მთელ მსოფლიოს დაანახონ თავიანთი ქვეყნების საუკუნეობრივი კულტურის მონაპოვარნი და თავიანთი წვლილი შეიტანონ მსოფლიო კულტურის საგანძურში. ისინი მოითხოვენ სიტყვის უფლებას და ამ უფლებას ბრძოლით იპოვებენ. აზიის მწერალთა ეს კონფერენციაც იქცა უდიდეს მოვლენად ამ სამართლიანი ბრძოლის გზაზე. შეგნება იმისა, რომ ეს დიდი ხალხები დღეს ერთიანდებიან საერთო სამართლიან ბრძოლაში, აღმოსავლეთის პროგრესულ მოღვაწეთა გულგებში ბადებს საბოლოო გამარჯვების დიდ რწმენას. თავისი სიტყვა კონფერენციაზე ინდოეთის გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ, პარლამენტის დეპუტატმა მუერალმა რაჯა გო პალაჩარამ დაიწყო სწორედ ამ რწმენის აღიარებით: „ჩემს დღეში ინდოეთს გარეთ არ გავსულვარ, მაგრამ მხოლოდ ახლა ვგრძნობ პირველად, რომ აზიაში ვარო“. პალაჩარის ამ განცხადებას ცეილონის დელეგატმა დაუმატა: „იმას, რასაც ინდოეთმა მიაღწია განდის ხელმძღვანელობით, უნდა მიაღწიოს აღმოსავლეთის ყველა ხალხმა“.

კონფერენციაზე ნიშანდობლივ მოვლენას ჰქონდა ადგილი: მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მესამე დღეს სიტყვა აიღო ინგლისის წარმომადგენელმა. მაგრამ როცა იგი ტრიბუნაზე შედგა და გაცხარებით დაიწყო ლაპარაკი, ამ დროს სხდომის დარბაზის კარები გაიღო და კონფერენციაზე შემოვიდა იმ დილით ამერიკიდან ინდოეთს დაბრუნებული პრემიერი ჯავაჰარლალ ნერუ. იგი ავიდა პრემიერიუმის მგიდასთან. სხდომის მორიგე თავმჯდომარემ იტალიელმა მწერალმა კარლო ლევიმ მას მაშინვე მისცა სიტყვა. ინგლისის წარმომადგენელი იძულებული გახდა დაეტოვებინა ტრიბუნა. ტრიბუნაზე მტკიცე ნაბიჯებით შედგა ინდოეთის პრემიერი. დარბაზმა მხურვალე ოვაიცა გაუმართა არა მარტო ნერუს, არამედ სინამდვილის ამსახველ ამ სიმბოლურ მოვლენასაც.



ნერუმ ილაპარაკა მწერლის როლისა და მოვალეობის შესახებ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ისეთ საზოგადოებაში, როგორც დამკვიდრეს ახლანაზ გამოღვიძებულმა, დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარმა აზიის ქვეყნების ხალხებმა. საქმე ისაა, რომ კონფერენციაზე დასავლეთის დეკადენტურ მიმდინარეობათა მქადაგებლნი თავგამოდებით იცავდნენ თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. არსებითად ამ თეორიის წინააღმდეგ გამოვიდა თავის რეზიდენციაში მიღების დროს ინდოეთის პრეზიდენტი პრასადი და კონფერენციაზე ჯავაპარლალ ნერუც. ნერუმ განაცხადა, რომ მწერალს არა აქვს უფლება ჩაიკეტოს თავის ნაქუჭში, გვერდზე გაუდგეს თავის მშობლიურ ხალხს, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს ხალხი სისხლითა და ოფლით, მძიმე შრომით ქმნის თავის მომავალს. ჩვენ არ მოვითხოვთ მწერლისაგან შიშველ პოლიტიკურ ტრაფარეტებს, ჩვენ მოვითხოვთ მისგან ჩვენი მებრძოლი, მშრომელი ადამიანების მხატვრულ სახეებს. თქვენ მოვალენი ხართ მიიღოთ მონაწილეობა იმ საქმეში, რომლის შესახებაც სწერთ, რის შესახებაც ესაუბრებით თქვენს მკითხველსო. ბურჟუაზიულ თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ აბოლოგეტები საკმაოდ გამოუჩნდნენ ამ კონფერენციაზე, განსაკუთრებით ევროპელ სტუმართა რიგებიდან. მაგრამ კონფერენციაზე ამ თეორიისთვის ანგარიშის გასწორება დამთავრდა გამოჩენილი ჩინელი ბელეტრისტის ლაო-შის გამოსვლით, რომელმაც საბოლოოდ მტკიცე, საფუძვლიანი არგუმენტაციით გასცა პასუხი დასავლელ სტუმრებს.

საბჭოთა დელეგაცია ჩასვლისთანავე აქტიურად ჩაება კონფერენციის საქმიანობაში და მალე კონფერენციის წამყვან ძალთა პირველ რიგებში აღმოჩნდა. პროგრესული ძალები ამ დელეგაციის გარშემო შემოიკრიბნენ და ეს ისე ბუნებრივად მოხდა, თითქოს კონფერენციაც ამას ელოდაო. საბჭოთა დელეგაციის გამოჩენამ და კონფერენციის საქმიანობაში აქტიურად შეჭრამ, მას შემდეგ, რაც ჩინეთის დელეგაციამ დაუფასებელი წინასწარი მუშაობა ჩაატარა კონფერენციის ჯანსაღ ლიანდაგზე დაყენებისათვის, საბოლოოდ გაუცრუა იმედები კონფერენციის რეაქციულ ფრთას და გადაწყვიტა საკითხი აზიის მწერალთა ერთიანი პლატფორმის შესახებ, რის წინააღმდეგაც თავგამოდებით იბრძოდნენ იდეალისტური, დეკადენტური, „კულტურა და თავისუფლების“ პროამერიკული კლუბის წარმომადგენლნი ზოგიერთ დასავლელ სტუმართან ერთად.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საბჭოთა მწერლების დელეგაციის ორი მოხსენება: მდგომარეობა შუა აზიისა და ამიერ-კავკასიის ხალხთა მწერლობისა. მომხსენებლები იძულებულნი გახდნენ ელაპარაკათ ამ ხალხთა მწერლობის არა მარტო დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, არამედ, შეძლებისამებრ, ამ ლიტერატურათა მოკლე ისტორიაზეც, რადგანაც კონფერენციის მონაწილეებს ამ საკითხზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.

კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს პირისპირ აზიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა მწერლები და აქ გამოირკვა აზიის ქვეყნების ლიტერატურათა უდიდესი ინტერესი საბჭოთა მწერლობის, ჩვენი ხალხების კლასიკური მემკვიდრეობის მიმართ. მულჯ რაჯ ანანდმა თავის ერთ-ერთ სიტყვაში განაცხადა: უცხოელთა ბატონობამ არ მოგვცა საშუალება აღმოსავლეთში თავის დროზე გაგვეცნო პუშკინი და ლერმონტოვი, ტოლსტოი და გორკი, თუმცა ინგლისური ფარდის უკან ჩვენთვის დაფარული იყო თვით შელიცა და ბაირონიცო.

საზეიმო ვითარებაში, მსურველე ოვაციით, აღფრთოვანებულ შემახილებში გადაწყდა: აზიის მწერალთა მეორე კონფერენცია მოწვეული იქნას საბჭოთა კავშირში, შუა აზიის ქალაქ ტაშკენტში.



კონფერენციაზე ბევრი საინტერესო გამოსვლიდან ზოგიერთი განსაკუთრებული ბით დამამახსოვრდა. დამამახსოვრდა მოხუცი ირანელი მწერლის ნაფისის გამოსვლა. ნაფისი მეტად საინტერესოდ გამოვიდა საბჭოთა მწერლების ყრილობაზეც. 1954 წელს ქალაქ მოსკოვში. მაგრამ ჩვენში იგი მისასალმებელ სიტყვას ამბობდა, იქ, დელში კი, კონფერენციას მოუთხორო ირანის მწერლობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ირანის დიდებულმა მწერლობამ დაკარგა თავისი გავლენის ძალა და ძველი ენერჯიაო. ჩვენი მწერლობა მოექცა ევროპული დეკადენტური ლიტერატურის გავლენის ქვეშ, განსაკუთრებით ეს პოეზიაზე ითქმის. ირანული, აღმოსავლური დიდი ტრადიციების პოეზია ახალ ევროპულ ტანსაცმელში, ცოტა არ იყოს, უხერხულად გამოიყურებაო.

თამეჯდომარემ ტრიბუნაზე მოიწვია ეგვიპტელი მწერალი; იგი სამწუხაროდ გატიებული აღმოჩნდა და ხმაჩახლეჩილმა მხოლოდ ორიოდ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. საომარი მოქმედების ცეცხლში გახვეული ეგვიპტის წარმომადგენლის ავადმყოფობაც ჩვენ სიმბოლურად მოგვეჩვენა და დარბაზმაც მას ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა.

მეტად გულთბილი მიღება მოგვიწყეს კონფერენციის დელეგატებს სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებმა ინდოეთში. მათ შორის განსაკუთრებული მასპინძლობით გამოირჩეოდა მიღება ჩინეთის საელჩოში. ჩინეთის მაგალითს წაბაძეს ნებალელებმა, ვიეტნამელებმა, პაკისტანელებმა. ბოლოს ყველა დელეგატი ჩვენს ხელგაშლილ, ჩვენებურად მზიარულ, მდიდრულ მიღებაზე მოვიწვიეთ საბჭოთა კავშირის საელჩოში.

კონფერენცია დამთავრდა. დავიწყეთ მოგზაურობა ინდოეთში.

(დასასრული იქნება)

მეგობრული შარტი


გიგლა ფირცხალავასი

ირაკლი აბაშიძე:

დამიხედე, იოსებო,
სად მოსულა ბენგალის!
ინდოური არ გეგონოს,
ჩვენებური მერცხალია.

იოსებ ნონეშვილი:

ვხედავ, მესმის, მის ჭიკჭიკში ეხლაც
საქართველოს სიმღერები ისმის,
ო, როგორ ჰგავს ჩემი ბანის მერცხალს!
ბიჭო, იქნებ პაპა იყოს მისი?!



სერგეი ესენინი საქართველოში

1924—1925 წლები სერგეი ესენინმა საქართველოში გაატარა. ის ბაქოდან ეწვია თბილისს. ამ წლებში ბევრი ლექსი აქვს დაწერილი და გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებული.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ თბილისში ჩამოსვლამდე პოეტი ბაქოში ცხოვრებისას ხშირად ბეჭდავდა ლექსებს „ბაქინსკი რაზონის“ ფურცლებზე, რომლის რედაქტორიც იმ ხანებში იყო მისი უახლოესი მეგობარი პ. ჩაგინი.

საქართველოში დაწერილი ლექსებიდან აღსანიშნავია „На Кавказе“, დაუმთავრებელი ლექსი „Батум“, პოემა „Анна Снегина“ (ბათუმი, 1924—1925 წ.) და მრავალი სხვ. „Капитан земли“ დაწერილია ბათუმში 1925 წლის იანვარში ლენინის გარდაცვალების წლისთავზე, ხოლო გამოქვეყნებულია 1926 წლის 21 თებერვალს „ზარია ვოსტოკაში“, პოეტის სიკვდილის შემდეგ. საქართველოში ყოფნისას დაწერილ ლექსთაგან გამოირჩევა „Поэтам Грузии“. როგორც ცნობილია, ამ ლექსში სერგეი ესენინი გულთბილად ლაპარაკობს საქართველოზე და ქართველ პოეტებზე, რომელთაგან რამდენიმე (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე) მისი ახლო მეგობარა იყო.

ჩვენს ხელთაა სერგეი ესენინის ბარათი ტიციან ტაბიძისადმი, დაწერილი 1925 წლის 20 მარტს. მკითხველს განსაკუთრებით მოხვდება თვალში ბარათის გულწრფელი, მეგობრული ტონი, სერგეი ესენინი კვლავ ისწრაფის საქართველოსკენ, ქართველი მეგობრებისაკენ. ატყობინებს გაზაფხულზე თბილისში მოსკოველების თავშეყარაზე გამოჩენილი მსახიობის ვ. კაჩალოვის, ცნობილი მწერლების პილნიაკის, ვს. ივანოვის, ბაბელის და პოეტის მეუღლის ს. ა. ტოლსტიას — ლევ ტოლსტოის შვილიშვილის მისალოდნელი ჩამოსვლის ამბავს.

აი ეს წერილიც:

Милый друг Тициан! Вот я и в Москве. Обрадован страшно, что вижу своих друзей и вспоминаю и рассказываю им о Тифлисе. Похождения наши здесь уже известны вплоть до того, как мы варили кепи Паоло в хаши.

Грузия меня очаровала. Как только выпью накопившийся для меня воздух в Москве и Питере — тут же качу обратно к Вам, увидеть и обнять Вас. В эту весну в Тифлисе вероятно будет целый съезд москвичей. Собирается Качалов, Пильняк, Толстая и Вс. Иванов. Бабель приедет раньше. Уложите его в доску. Парень он очень хороший и стоит гостеприимства. Спроси Паоло какое нужно мне купить ружье по каба-нам. Пусть напишет N.

Передай привет всем моим добрым друзьям — Паоло, Леонидзе и Гаприндашвили. Поцелуй руку твоей жене и дочке и, если не трудно, черкни пару слов.

Брюсовский, д. 2, корпус Правды А, кв. 27

С. Есенину.

20/III 25.

(წერილში ნახსენები კების მოხარზვის ამბავი აღწერილია ტ. ტაბიძის ლექსშიაც „სერგეი ესენინს“). წერილი ვადმოგვცა ნინო ტაბიძემ და ინახება ტიციან ტაბიძის არქივში.

ვალვა დემეტრაძე



ფართოდ ღაჳნებრმთ ტაქნიკა ლიტერატურაში

კიბერნეტიკა XX საუკუნის სასწაულმოქმედი პირმშოა. მან გადალახა ტექნიკის ყველა საზღვარი და ახლა ხელოვნებაში ამბობს თავის სიტყვას. მთელმა მსოფლიომ ააჳრელა ჟურნალ-გაზეთები სენსაციური სათაურებით:

- სენსაცია! მანქანა თამაშობს ჭადრაკს!
- ფრანგებმა მანქანას ნოველა დააწერინეს!
- ინგლისში მანქანა მუსიკალურ ეტიუდებს წერს!
- ტექნიკა იპყრობს ხელოვნებას!
- ვაი, ზიჳო, ერთი ათი ასეთი მანქანა მოგვცა მწერალთა კავშირში?! —

წამოიძახებს გაუნათლებელი კაცი და ის კი არ იცის, რომ ჩვენში უკვე დიდი ხანია არსებობენ არა მარტო ასეთი მანქანები, არამედ მანქანა-კრიტიკოსებიც, მართალია, ჯერჯერობით რამდენიმე ეგზემპლარი, მაგრამ არა უშავს.

მანქანა კრიტიკოსი ასეთი აგებულებისაა: დაახლოებით 1,70, 1,75, 1,80 სანტიმეტრის სიმაღლის მოძრავი, წელში გამოყვანილი, კიდურებიანი ყუთი, რომელსაც ზემოდან თივით ან ჭინჭით გატენილი თავის მაგვარი ბურთი ადგას. მანქანას ორი ჭრილი აქვს: ერთი ამ თავის კოტორზე, ხოლო მეორე იქ, სადაც ჩვეულებრივ ადამიანებს პირი აქვთ. პირველ ჭრილში ვაგდებთ ფულს, ჰონორარის სახით, ხოლო მეორეში — სარეცენზიო ნაწარმოებს. ვაჭერთ თითს ღილაკს, რომელიც მანქანას დაახლოებით „მაზოლის“ ადგილას აქვს, და მანქანა იწყებს კრიტიკული წერილის წერას:

მართი სინტაქსო წიგნის გარეშომო

ქართველი მკითხველი უკვე დიდი ხანია ინტერესით ადევნებს თვალყურს უდაოდ ნიჳიერი, მზარდი, საკუთარი ხმისა და მაღალი პროზაული ინტონაციის მქონე მწერლის პიუჯო ღლონტის შემოქმედებას. „მწერალმა წერა თუ არა, კითხვა მაინც უნდა იცოდესო“, უთქვამს ერთ გამოჩენილ მწერალს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მას, როდესაც აღნიშნულ რომანს ვკითხულობთ.

რა გვზიბლავს ჩვენ პიუჯო ღლონტის ნაწარმოებში? ნოჳიერი ქართული ენა, სიუჳეტის ემოციურობა, პეიზაჳის დინამიურობა და მოვლენების აბუნდაცია. ავტორი ფუნჯის ერთი მოსმით ახერხებს ოსტატურად დაგვანახოს პეიზაჳის კოლორიტული სუნთქვა.

რომანში მოქმედება გურრის სოციალისტური საკომუნურნიო სოფლის ფონზე იშლება. ნაწარმოების მთავარი პერსონაჳი, დადებითი გმირი აბიათარი, ბრუნდება რა სამამულო ომიდან, სათავეში უდგება ჩამოჩენილ კომუნურნიობას, მაგრამ ომში ნაცადი ვაჳაკი უძღური აღმონდება უბრალო სიყვარულის წინაშე.

— ისე დაგბრუნდი ფრონტიდან, ჭრილობა არ მიმიღია, დათიკანთ ნატუამ კი შიგ გულში დამკოლა — ვაჳმე! — სასოწარკვეთით წამოაძახებინებს მას ერთ ადგლას ავტორი. აბიათარი თით-



ქოს განწირულია, მაგრამ იგი შრომაში ჰპოვებს შევლას. ამხანაგები ამოუღებებიან მხარში შემოქმედებენ:

— ჰაიტ შე გლახა! — ეუბნება ბრიგადირი.

— არ იღარღო, აპიათარ, მე წაგყვები ცოლად. — ჰპირდება მას ქიტესაანთ გაუთხოვარი ვარვარა.

ბოლოს აპიათარი სოციალისტური შრომის გმირი გახდება. გამოსწორებს ასევე ჯარიდან დაბრუნებულ, გალოთებულ ჭოჭოკოს და სოფელს დაუბრუნებს გარდამავალ დროშას, რომელიც წლების მანძილზე მიტაცებული ჰქონდა მეზობელ კოლმეურნეობას.

ასევე საინტერესოადაა მოთხრობილი და ერთგვარი ჭუმორით გაქვნილი ენამოსწრებული აპიათარისა და მოწინავე შეჩაიე გოგონა მარგალიტას გაპაექრება, როდესაც აპიათარი ზამთრის საძოვრებზე მიემართება:

აპიათარი: რასა ჰკრეფამ, გოგო?..

მარგალიტა: ვერ ხედავ, ჩაის რომ ვუტყავ?

აპიათარი: მაშა?!

მარგალიტა: შენ დელიუზე საცხა, რავე უკულმართი ლაპარაკი იცი!

რომანი სავესა მსგავსი გამოპოცხლებული, ხან კიდევ გულის ამაჩუყებელი, მგრძნობიარე და შოამაგონებელი ადგილებით, მაგრამ ამ პატარა წერილში ყველაფრის თქმა არ მოხერხდება.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რომანის ნაკლოვანებებსაც.

მაგალითად, ერთ ადგოლას წერია: „თითო სიმინდს ოთხი ტარო ებაო“. აჯობებდა „შვიდი ტარო“ (ხაზგასმა ჩემია). „უპატრონოდ მიტოვებული სოფლის ეკლესია მხარ-თემოზე წამოწოლილი თვლემდა სასაფლაოზე“. — წერს ერთ ადგილას ავტორი. სახე თავისთავად ნიჭიერი მხატვრის თვალთაა დანახული, მაგრამ თანადროულობის ასპექტში ცრუმორწმუნეობისა და სიყვლილიანობის არასასიამოვნო ასოციაციებს იწვევს. ამიტომ იმავე აზრის გადმოცემა ასე აჯობებდა: „უპატრონოდ მიტოვებული სოფლის კლუბი მხარ-თემოზე წამოწოლილი ფხიზლობდა სამშობიარო სახლის ეზოში“. ეს უკვე სულ სხვა, ჯანსაღი განწყობაა და სავესებით ემთხვევა რომანის საერთო სტილს.

მეორე ადგილას ავტორი „ავთვისებიან სიმსივნეს“ ხმარობს. ვფიქრობ „კეთილთვისებიანი სიმსივნე“ აჯობებდა. ერთ ადგილას კი ავტორის სამი წერტილი დაუსვამს. საერთოდ მწერალმა არ უნდა შეიზღუდოს მხატვრული ფანტაზია. იქ გაცილებით მეტი წერტილების დასმა შეიძლებოდა.

ერთ ადგილას ასეთ ფრაზასაც ვხვდებით: „მარგალიტა იყო ფეხმძიმე, მაგრამ...“ (ხაზგასმა ისევ ჩემია), აქ „მაგრამ“-ის წინ მიიმე სრულიად ზედმეტია, რადგან ფრაზა „ფეხმძიმე“ თავისთავად დასრულებულ აზრს გამოხატავს.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა, წიგნი მკითხველის დიდ ყურადღებას იმსახურებს. იგი ძარღვიანი ქართულითაა დაწერილი, ადვილად იკითხება, კარგადაა შეკრული და კარგ ყდაშია ჩასმული. მწერლობაში, პროზის უბანზე, ჩვენ გვქონდა ერთგვარი ჩაფარდებით, მაგრამ ახლა ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობა.

ვფიქრობ, აღნიშნული ნაწარმოები არის ახალი სიტყვა არა მარტო ქართულ, არამედ მთელ ჩვენს ლიტერატურაში და იგი უდავოდ შევა მის ოქროს ფონდში.

დასასრულ, ვუსურვოთ ავტორს შემოქმედებითი ზრდა და რაც შეიძლება მეტი ასეთი რომანები ეჩუქებინოს დაინტერესებული ქართველი მკითხველისათვის.

ასეთ წერილს ვაწერთ ცნობილი კრიტიკოსის გეარს და კრიტიკული სტატია მზად არის.

მეცნიერებამ სცადა გაეუმჯობესებინა კრიტიკოსი მანქანა და მასში მეტი აზროვნების ან ადამიანობის ელემენტები შეეტანა, მაგრამ მანქანა ჯერჯერობით ვერ გასცდა აღნიშნულ სტანდარტს.

კიბერნეტიკის ინსტიტუტი უახლოეს დროში აპირებს კრიტიკოსი მანქანის სერიულ გამოშვებას, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და კრიტიკული შრომის ინტენსიურობას.

P. S.

ეს წერილი აწყვებს თუ არა, მოვიდა ცნობა ახალი ტიპის მოაზროვნე მანქანის შესახებ, რომელიც თურმე ისეა მოწყობილი, რომ ადამიანის დაუნხარებლად ამჩნევს ყოველგვარ ზედმეტ მოვლენას, ნივთსა თუ საქციელს და თვითონვე სპობს ამ ზედმეტობას.

გამოსაცდელად მანქანა პირველად წიგნის მალაზიაში მიიყვანეს და ჩამოიტყვეს ჩამრთეთო?! დატრიალდა თურმე ციბრუტივით, სულ გაანახევრა თაროები, ზოგიერთ მომხმარებელსაც გამოსტაცა ხელიდან უკვე ნაყიდი წიგნი და შორს მოიფრიალა. როგორც შემდეგ გამოირკვა, გადასროლილი წიგნები ვერის ბაზარში ჩავარდნილა, სადაც გასახვევ ქალაქებს ჰყიდიან, და გაცილებით ძვირად და სწრაფად გაყიდულა, ვიდრე მალაზიაში (ამბობენ, წიგნის ავტორებს უფასოდ ერგოთ ათ-ათი საავტორო პარკი).

შემდეგ მანქანა თანდათან დაწყნარდა, დამშვიდდა და სულ გაუქრა ადვოკატი, ბოლოს ჩამოიღო თაროზე დარჩენილი ლექსების ერთ-ერთი წიგნი, დინჯად გადაიკითხა, არაფერი არ მიუჩნევია ზედმეტად, მხოლოდ ავტორის გვარი წაშალა და მის ადგილზე რამდენიმე პოეტის გვარი მიაწერა.

ამის შემდეგ მოაზროვნე მანქანა მწერალთა კავშირში მიიყვანეს. იქ კრება ტარდებოდა ლიტერატურის საკითხებზე. ინჟინრები და ინტერესდნენ — შეამჩნევდა თუ არა მანქანა ზედმეტსიტყვაობას ზეპირი გადმოცემის პირობებში? ამის შესამოწმებლად მანქანა ტრიბუნასთან დადგეს, ისე რომ ორატორის სიტყვებს ჯერ მანქანაში უნდა გაეგო და შემდეგ დარბაზში გახმანებულიყო. ამბობენ, მანქანამ ხუთ ორატორს ერთი სიტყვაც არ ამოუგლო, მეექვსე ორატორს თურმე უცხოური ტერმინები „ამოუშალა“ ნაწილობრივ. მეშვიდე ორატორის სიტყვა კი მთლიანად გაუცხრილავს. ამ უკანასკნელი ორატორის გამოსვლიდან დარბაზმა გაიგონა მხოლოდ სიტყვის დასაწყისი — „ამხანაგებო!“, სიტყვის შუა ნაწილი — (პასუხი რეპლიკაზე) — „კაცო, შენ რომ ლაპარაკობდი, მე არ გიშლიდი ხელს“, და სიტყვის ბოლო ფრაზა — „თავს აღარ შეგაწყენთ, ამხანაგებო, მე უკვე დავმთავრე“.

იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში ლექსებს კითხულობდნენ ახალგაზრდა პოეტები. მოაზროვნე მანქანის გამოთიშვა დავიწყებულად და ხალხით გატენილი დარბაზი ოცი წუთის განმავლობაში სულგანაბული უსმენდა სამარისებურ სიჩუმეს, რომელსაც იშვიათად თუ დაარღვევდა ცალკეული სიტყვები: „როდესაც“, „როცა“, „არა“, „და სხვა“. რამდენიმე პოეტის გამოსვლა მანქანამ მთლიანად გადმოსცა, ჩახველებაც კი არ მიუჩნევია ზედმეტად.



იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ მუშაობს მანქანა, მოგიყვანთ ერთი პოეტის ლექსის ბოლო სტროფს:

„ჩემი ლექსები (რომანს არ ვწერო)
ხალხის გულებში უკვე თესია,
მავრამ არ ძალმიძს, რომ არ დავწერო
ათიათასჯერ უკეთესია“.

ამ სტროფის პირველი სტრიქონიდან მანქანამ მხოლოდ სიტყვა „ლექსები“ დატოვა, მთლიანად წაშალა მეორე სტრიქონი და გაანახევრა — მესამე. ასე რომ დარბაზმა მოისმინა შემდეგი სიტყვები: „ლექსები... რომ არ დავწერო... ათიათასჯერ უკეთესია“, რასაც ყველა ტაშისცემით შეხვდა.

მეორე დღეს მოაზროვნე მანქანას მწერალთა კავშირის წევრთა სია აჩვენეს, თვალისდახამხამებაში სია გამესამედდა. ვიღაც იქ დამსწრეს უხუმრია, აბა, მოდი, პრეზიდენტის სიაც ვაჩვენოთო. ამის თქმა და მანქანის გამოთიშვა ერთი იყო.


ამბობენ, მოაზროვნე მანქანას მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირებშიაც გამოსცდიანო.




3





1




4



2




5



6




7



8

შინააკსი:

1. პ. ინგოროყვა.
2. გ. ნატროშვილი.
3. ვ. გაბესკირია.
4. ს. ჭილაია.
5. შ. რაღიანი.
6. გ. აბაშიძე.
7. თ. ჩხეიძე.
8. ალ. ქუთათელი.
9. ლ. ავალიანი.
10. კ. ლორთქიფანიძე.




9



10

ნახატი-ხუმრობა

ჯემალ ლოლუასი





მოჯადოებულ წრეში.



პროტესისის ძალა რჯულზე უმტკიცესია!



— მიშველეთ!..



აშშ

„სანდილი“ მუსიკალური კომედიის თეატრი

ნიუ-იორკში უდიდესი წარმატებით იდგმება ვოლტერის „კანდილის“ ინსცენირება; „კანდილს“ დგამენ, როგორც მუსიკალურ კომედიას. მუსიკა, რომელსაც კრიტიკა აღიბეჭდის უწოდებს, რადგან ესაა ცნობილი ოპერების გონებამახვილური და მარჯვე პაროდია, დაწერა ახალგაზრდა კომპოზიტორმა ლიონარდ ბერნსტეინმა, ხოლო ინსცენირების ავტორია ცნობილი დრამატურგი ლილიან ჰელმანი.

„ვან-გოგის წამებულნი ცხოვრება“

პოლიფულში ნორმან კორვინმა დადა მხატვრული ფილმი — „ვან-გოგის წამებულნი ცხოვრება“. სურათი გადაღებულია ირვინგ სტონის ნაწარმოების, დოკუმენტური ცნობებისა და თვით ვან-გოგის წერილების მიხედვით. დამდგმელთა მიზანია იყო ირვინგის ნაწარმოების ცხოვრების მწვევ დრამა. წერილებისა და ამოკრებილია ყველაზე დრამატული ადგილები, რაც ხაზს უსვამს მის სიღარიბეს, გაჭირვებას, სიკეთეს, ალკოჰოლისადმი მიდრეკილებას. ფილმში ნაჩვენებია ვან-გოგის ყველა ნამუშევარი.

მაგრამ დამდგმელებმა მისცნ ვან-გოგის ცხოვრების მხოლოდ ერთი მხარე უჩვენეს მასურებელს. სურათს, კრიტიკოსების აზრით, პოლიფულის ელფერი

დაკრავს და ხანდახან მელოდრამატულიობაში გადადის.

„თავისუფლებას საქმე გამოაჩინეს“

ცნობილი ამერიკელი პროგრესული ჟურნალისტი კორლის ლამონტმა, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყოფილი მდივანმა, დაწერა წიგნი „თავისუფლებას საქმე გამოაჩინეს“, რომელიც მგზნებარედ აშხილებს ამერიკის მაკარტიზაციასა და მილიტარიზაციას. წიგნის წინასიტყვაობა დაწერა ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსმა ბერტრანდ რასელმა.

„დაიკარგა ნლოზა ცივილიზაციისა“

გამოჩენილი ამერიკელი კრიტიკოსი ვან ვიკ ბრუკსი გაუთ „ნიუ-იორკ ტაიმისს“ ლიტერატურული დამატების მოწინავე სტატიაში, რომელიც ეხება ამერიკული ლიტერატურის კრიზისს, წერს: „ჩვენ თითქმის ისევე უძლეური ვართ, როგორც ლოთები, რომლებიც ცდილობენ არ ჩამოეძინონ და ბნელში უშუქოდ წაიყვანონ ავტობილი. ამის მიზეზი ისაა, რომ საყოველთაოდ დაიკარგა ნდობა ცივილიზაციისა, ცხოვრებისა და კაცობრიობისა; ძალიან ვცდილობთ, მაგრამ ძლივს ვაბერებთ, რომ გონებაც არ დაეკარგოთ“. ბრუკსი ამერიკული ლიტერატურისათვის გამოსავალს ხედავს იმაში, რომ მოხდეს მისი იზოლაცია ტრადიციულ დასავლეთურ ანტიკულ

ნიმუშთაგან, მიბრუნება ნაციონალური წყაროებისაკენ. ბრუკსის აზრით, დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში მეტისმეტად დასახული პესიმიზმი იმ ფენებისა, რომელთაც იგემებს ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოლონიური სისტემის რღვევა.

ბელგია

650 მებრის სიმაღლის კოშკი

მსოფლიო გამოფენისათვის, რომელიც უნდა გაიხსნას ბრიუსელში 1958 წელს, არქიტექტორები ფ. და ა. პოლაკები აშაადებენ 650 მეტრის სიმაღლის კოშკის პროექტს. ეს კოშკი თავისი ზომით გადაჭარბებს დღემდე არსებულ ყველა მაღალ ნაგებობას — ნიუ-იორკის ემპაირ სტეიტ ბილდინგს (418 მ. სიმაღლისა) და ეიფელის კოშკს (300 მ. სიმაღლისა).

ბრაზილია

მაიაკოსკი კორტუზალური ენაზე

ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებას დღემდე თითქმის არ იცნობდნენ ბრაზილიაში. მხოლოდ ბოლო ხანებში ახალგაზრდა ბრაზილიელმა პოეტმა ე. კარერა გუერამ თავს იდვა საბჭოთა პოეტის ნაწარმოებთა პორტუგალურ ენაზე თარგმნის მძიმე ამოცანა. რამდენიმე ხნის წინ ამ პროგრესულმა პოეტმა გამოსცა მაიაკოვსკის ოთხი პოემის თარგმანი და გამოცემილობას გადასცა მაიაკოვსკის შემოქმედების ანთოლოგია



ვრცელი კომენტარებითურთ. კარგა გუერა, რომელმაც ადრევე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება ბლუკის ლექსების თარგმანით, მაიაკოვსკის შემოქმედების პროპაგანდას ეწევა უფრნალებშიც, სადაც ათავსებს როგორც მისი ცალკეული ლექსების თარგმანს, აგრეთვე სტატიებს დიდი საბჭოთა პოეტის შესახებ.

ბერმანი

ბერმანის დემოკრატიული რისკუბლიკა

ახალი ფილმები

გერმანული კინოურნალი „დოიჩე ფილმზუნტ“ იუწყება, რომ იმ რვა ფილმს გარდა, რაც ამჟამად წარმოებაშია, „დეფამ“ მუშაობა დაიწყო ცხრა ახალ ფილმზე. მათ შორის აღსანიშნავია „ემილია გალოტი“—ლენინის ამავე სახელწოდების ცნობილი პიესის მიხედვით, „ბარკაროლა“ — ოფენბახის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, და „გაენიცხული“ პიუგოს რომანის მიხედვით. ამ უკანასკნელი ფილმის გადაღებაში „დეფასთან“ ერთად მონაწილეობას იღებენ პარიზისა და იტალიის კინოფირმები. მთავარ როლს ასრულებს ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟან გაბენი.

ბორკლინის ოკპარ ბერლინის სენაზე

ბერლინის სახელმწიფო ოპერამ მამულებელს უჩვენა კომპოზიტორ ბორკლინის შესანიშნავი ოპერა „თავადი იგორი“.

პ. ჰინდის ძეგლი დაიდგმება ტულონში

როგორც ცნობილია, 1933 წელს ფაშისტებმა დაწვეს პაინრიხ ჰინდის წიგნები და აიღეს მწერლის ცნობილი ძეგლი, დანიელი მოქანდაკის მასელორის ნამუშევარი. გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ ცნობით ძეგლი ამჟამად საფრანგეთში ინახება და უნდა აღადგას ქ. ტულონში.

ბერმანის ფედერატიული რისკუბლიკა

მარიკ მარია რამარკის პირველი და მრთადართი პიესა

ამას წინათ ერთ-ერთმა თეატრმა დადგა რამარკის პირველი პიესა—„უკანასკნელი სადგური“. პიესის მოქმედების დროა 1945 წლის 30 აპრილი და 1 მაისი, მოქმედების ადგილი — ბერლინი. ბერლინის საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოიქცა ერთი ტუსალი, მას ეძებენ „ეხესელები“. ერთი ქალი ლტოლვილს თავისი გარდაცვლილი ქმრის სამხედრო ფორმას ჩააცმევს, რათა იგი იხსნას. მის კვალს მიაგებენ, მაგრამ არ იციან, ეს ლტოლვილია თუ ფრონტიდან დაბრუნებული მემართი. იქერენ მეორე ლტოლვილს, რომელიც იმავე ბანაკიდანაა გამოპარული. „ეხესელებს“ უნდათ მისი გამოყენება მოწმედ; ეს უკანასკნელი იცნობს პირველ ლტოლვილს, შიშობს არ გაცეო, ფანჯრიდან ვარდება და თავს იკლავს. აღმოჩნდება, რომ იგი ებრაე-ლი პროფესორი ყოფილა. ამასობაში რადიო აცხადებს პიტლერის თვითმკვლელობას, საბჭოთა ჯარი შედის ბერლინში. „ეხესელი“ ოფიცერი თავის გადასარჩენად ისკუთობებს მის მიერ მოკლული ანტიფაშისტის პირადობის მოწმობასა და ტანსაცმელს. საბჭოთა ჯარისკაცები ნიღაბს ხდიან მას.

ესპანეთი

ბარდელისა და ბერლინის ფილმები

ესპანეთის კინემატოგრაფიამ საზღვარგარეთ სახელი გაითქვა უმთავრესად თავისი ორი გამოჩენილი კინორეჟისორის—ბარდელისა და ბერლინის წყალობით. პირველი მათგანი, რომლის ფილმმა — „ეგლოსი-პედისტის სიკვდილი“ — ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპის პროგრესულ საზოგადოებრიობაზე, შარშანდელ ფილმში კოს ბროვამ საპრობოლიზმი ჩააგდო სტუდენტთა მღელვარებასთან დაკავშირებით. მხარდული გაათავისუფლეს ხმლოდ მთელი მსოფლიოს კულტურის პროგრესულ მოღვაწეთა პროტესტის გამო. მეორე კინორეჟისორი ბერლინის ცნობილია თავისი ფილმით — „მოგესალმებით, ბატონო მარშალო!“, რომელშიც გადმოცემულია, თუ რა რიგ გაუტეხა აშშ-ის ეხსანელებს ე. წ. „გურიკულია და ხმარებამ“. შარშანდელის კინოფესტივალზე, დიდი წარმატება ხვდა ამ რეჟისორის ფილმს — „კალაბახ“.

იაპონია

„ბათუნი ნაბასიკიზე“

იაპონიაში ამას წინათ დასრულდა იაპონია-საფრანგეთის ერთობლივი პირველი ფილმი—„ბათუნი ნაბასიკიზე“. ფილმის რეჟისორია იე სლამპი, მთავარ როლებს ასრულებენ დანიელ დარიე, ჟან მარე და კიში კიკო. პარიზის პროგრესული პრესა მაღალ შეფასებას აძლევს იაპონია-საფრანგეთის თანამშრომლობის ამ პირველ ცდას. სამიუელ ლაშივი „იუჰანიტიტი“ წერს: „ამგვარი ფილმები ხელს უწყობენ ერთმანეთისგან დაშორებულ ხალხებს გაიცნონ ერთმანეთი და გამოარკვიონ, რომ ისინი არცთუ იხე ხვადახხვანი არიან, როგორც ცდილობენ მათს დარწმუნებას ვიღაც-ვიღაცეები“. მთელი ფილმი შთაგონებულია ფრანგი მსახიობების სიმპათიით შრომისმოყვარე იაპონელი ხალხისადმი. ამასთან, ფრანგული კრიტიკა აღნიშნავს, იაპონური კინემატოგრაფიის ტექნიკური აღჭურვილობა ხვალბს თანამედროვე ფრანგულ ტექნიკას.

სახალხო მიჯნობითი ნამუშევრების გამოყენება

ტოკიოში, ცემატუს სამხატვრო გალერეაში, გაიხსნა გრა-



ფიკის გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია იაპონიის თერთმეტი გამოჩენილი სახალხო მერქუქორთმის ნამუშევრები. ყველა ეს მერქუქორთმე წერია იაპონური გრაფიკის კავშირისა, რომელიც წლების მანძილზე უწყევად იცავს პრინციპს— „გრაფიკა მშრომელ ხალხს უნდა ემსახურებოდეს“. ამ კავშირმა იაპონიის მრავალ ქარხანაში ჩამოაყალიბა წრეები, რომლებშიც ასწავლიან ხეზე ამოკეთას. ამით ფართო პრაქტიკას უწყევს ხელოვნების ამ სახეობას.

ინგლისი

„შექსპირი“ — ფსევდონიმი

ინგლისური ლიტერატურის მკვლევარი, ამერიკელი ლიტერატორი ჰოფმანი დღემდე დაუწინებოთ იცავს იმ აზრს, რომ მსოფლიოში ცნობილი ტრაგედიების ავტორი არ არის უილიამ შექსპირი. „ჰამლეტის“, „მეფე ლირისა“ და სხვა ნაწარმოებთა შემქმნელად მას მიაჩნია მე-16 საუკუნის ინგლისელი მწერალი ქრისტეფორ მარლო, რომელიც, ჰოფმანის მტკიცებით, ათეისტური შეხედულებების გამო „შექსპირის“ ფსევდონიმით წერდა.

აღნიშნული დებულების დამტკიცების მიზნით ჰოფმანი მიმართავს არქეოლოგიურ ძიებებსაც. უკანასკნელად მან 1956 წლის გაზაფხულზე, ინგლისის ხელისუფლებთან ხანგრძლივი დავის შემდეგ, მიიღო უფლება — გაეთხარა ერთი საფლავი კენტის საკრაფოში, სადაც, მისი აზრით, დაკრძალული უნდა იყოს მარლოს მეგობარი, ვინმე სერ თომას უოლმინგამი. ჰოფმანი ვარაუდობდა, რომ ეს არქეოლოგიური „ექსპერიმენტი“ რამდენადმე მაინც მოჰფინდა შეუქს საკითხს, თუ რატომ აირჩია მარლომ ფსევდონიმი „უილიამ შექსპირი“.

საფლავის მძიმე ლოდებს ქვეშ აღმოჩნდა მხოლოდ აგუ-

რისა და მინის ნატეხები შუა საუკუნეების დროიდან. კუბოს გახსნის უფლება ჰოფმანს არ მისცეს.

როგორც გერმანული ჟურნალი „ნოიე დოიჩე ლიტერატურ“ იტყობინება, მიუხედავად ამგვარი მარცხისა, ჰოფმანი ხელს არ იღებს თავის ჰიპოთეზაზე და აპირებს განაგრძოს ძიება ამ მიმართულებით.

ფიგნა... საღილის მინიშ

ბრიტანეთის საჯარო ბიბლიოთეკამ მოაწყო გამოფენა, რომელზეც თავის აბონენტებს უჩვენა ნიმუშები იმისა, თუ როგორ ეპყრობა ზოგი ადამიანი სხვის წიგნებს. მკითხველთა ვანდალიზმს მოწოდებენ წიგნები, რომლებიც აუქრედიწიან საღილის მენიუები, ან ოჯახის ნებიერ ფინას დაუღრღნია, ანდა ჩამოძინებულ მკითხველს ბუხარში ჩავარდნია და ძლივს მოუსწრია ცეცხლიდან ამოღება. ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია წიგნმა, რომლის სატიტულო ფურცელზე ეწერა: „გახსამი ფურნაჟია. ჩაი აიდუღე“.

კატალოგში შევა ნილიონი წიგნი

ბრიტანეთის მუზეუმმა დიწყო გამოცემა მონუმენტური კატალოგისა, რომელშიც შევა დასავლეთ ევროპის უმთავრეს ენებზე უკანასკნელი ხუთასი წლის განმავლობაში გამოცემული ყველა წიგნი. კატალოგი მოიცავს ხუთ მილიონზე მეტ ადასახელების წიგნს. მისი გამოცემა ექვს წელს გასტანს.

„მებათქაზე მხატვრის“ გამოფენა

ლონდონში მოეწყო სიურრეალისტური ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებლის — მაქს ერნსტის ნამუშევართა გამოფენა. ყოველკვირეული „ნოუ სტიტისმე“ ვიენაში წერს, რომ მაქს ერნსტი წარმოადგენს „გახაოცარ მაგალითს გამოჩენი-

ლი მხატვრისა, რომელმაც იციის ხატვა“, რითაც უნდა, რომ მთელი გამოფენა ძირითადად სიურრეალისტური მებათქაშეობაა.

ინლანდი

შურნალი უკონორაროდ

უკვე ორი წელია, რაც ინლანდიაში სისტემატურად გამოდის კულტურის ახალგაზრდა მოღვაწეთა ჟურნალი — „ბირტინგურ“, თუმცა ფინანსიურად საკმაო ხელმოკლეობას განიცდის და მკითხველი საზოგადოების ვიწრო წრე ჰყავს. ახალგაზრდა ისლანდიელ მწერალთა ენთუზიაზმსა და თავდადებაზე მეტყუელებს ის ფაქტი, რომ ჟურნალი არ იხდის დაბეჭდილი მასალის მოძიარას. ჟურნალში იბეჭდება თარგმნებიც, მათ შორის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ლიტერატურიდანაც.

იტალია

სახელმწიფო მღვიანი და ნიორკალიზმი

ცნობილი იტალიელი კინოსცენარისტი ჩეზარე ძავატინი ყოველკვირეული ორგანოს „ილ კონტემპორანოსი“ ერთ-ერთი უკანასკნელი ნომრის ფურცლებზე ეკამათება სახელმწიფო მდივნის განცხადებას კულტურის, კინოსა და ხელოვნების საკითხებზე, რომელშიც ნათქვამია — ნეორეალიზმი იტალიურ კინემატოგრაფიაში განწირული საქმეა და მომავალში არავითარი პერსპექტივები არა აქვსო. ძავატინი მრავალმა მაგალითით ამტკიცებს, რომ იტალიური კინოს—ნეორეალიზმის ევრეთ წოდებული კრიზისი არსებობს მხოლოდ მმართველ მოღვაწეთა თვალში, რომელთათვისაც ნეორეალიზმი მიუღებელია, რადგან ის თავისი დოკუმენტურობით ურადლებას ამახვილებს იტალიის ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე. ძავატინი დასძენს — საბედნიე-

როდ, ასე იოლი როდია მარტოოდენ მინისტრის ავტორიტეტით მოსპო მოძრაობა, რომელიც ორი-სამი პიროვნების თავში კი არ წარმოქმნილა, არამედ ღრმად აქვს გადგმული ფესვები იტალიელი ხალხის ცხოვრებაში.

დასახურებად ბანჭირული თეატრები

დირექტორმა ათი იტალიური თეატრისა, რომელთა შორისაც არის ისეთი სახელგანთქმული თეატრები, როგორცაა მილანის ლა სკალა, ნეაპოლის ნან კარლო და რომის ოპერა, განაცხადეს, რომ სახელმწიფო სტიპენდიების შემცირება, რაც გათვალისწინებულია იტალიის ახალი ბიუჯეტით, საფრთხეს უქმნის თეატრების არსებობას და შეიძლება გამოიწვიოს მათი დახურვა.

პრემიად — უინაური ცხოველები

იტალიის ქალაქ მანტუას მახლობელ სოფელში კულტურული ორგანიზაციები ყოველწლიურად მართავენ პროგრესულ მხატვართა და მოქანდაკთა ნამუშევრების გამოფენას. საუკეთესო ნამუშევრებს აჯილდოებენ თავისებური პრემიებით, რომელთაც იმდენიან ადგილობრივი მკვიდრი გლეხები და ხელოსნები. წელს პირველი პრემია—კვიცი მიიღო მოქანდაკე ფილუგერ სკალიაფინი ქანდაკებისათვის—„მრთობი ქალი“, ხოლო მეორე პრემია—ხმო—მხატვარმა ა. სასუმ სურათისათვის — „მეიტლმე“.

ლიბანი

კომეტა „ჭუთაშაბა-თობა“

ბერიუთში დაიწყო გამოცემა ახალი ჟურნალის—„შე-ში-ირ“ („პოეზია“). ჟურნალი გამოვა სამ თვეში ერთხელ. მისი დამაარსებელი, სამი ლიბანელი პოეტი, იმედოვნებენ, რომ ჟურნალი ხელს შეუწყობს პოეზიის განვითარებას მთელ შუა

აღმოსავლეთში. ჟურნალში გამოქვეყნდება არაბ პოეტთა ნაწარმოებები და უცხოელ პოეტთა არაბული თარგმანი; განზრახულია აგრეთვე მიმოხილვების, კრიტიკული სტატიებისა და სხვადასხვა ცნობების მოთავსება არაბული და მსოფლიო პოეზიის შესახებ. „შე-ში-ირის“ პირველმა ნომერმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა არაბულ საზოგადოებრიობაში. გარდა ამისა, ჟურნალი რეგულარულად აწუბებს „ხუთშაბათობებს“, რომლის დროსაც პოეტები ერთმანეთს უზარებენ თავიანთ შეხედულებებს. განზრახულია ამ ხუთშაბათობებზე მიწვიონ უცხოელი პოეტებიც.

რუმინეთი

ახალი კონსეფციი გომეთის და „შტურმ უნდა რანგის“ შესახებ

რუმინეთში მცხოვრებმა გერმანელმა ლიტერატორმა პაულ ლანგფელდერმა ამას წინათ გამოქვეყნა საინტერესო გამოკვლევა გოეთეს შემოქმედების შესახებ. უცხოური ჟურნალები აღნიშნავენ, რომ ლანგფელდერის შეხედულება მთელ რიგ პუნქტებში შორდება სხვა მარქსისტი გოეთელიკების შეხედულებებს. ლანგფელდერის ერთ-ერთი ძირითადი დებულება ისაა, რომ „შტურმ უნდა რანგის“ მიმდინარეობა შეიცავდა ძლიერ ასოციალურ ტენდენციას, რომელიც ინდივიდუალურს ანიჭებდა უპირატესობას საზოგადოების, კოლექტივის წინაშე. გოეთემ დაძლია ეს ტენდენცია და შეიგნო, რომ აღმნიანი საზოგადოებაში და საზოგადოებისათვის უნდა ცხოვრობდეს. აქედან გამომდინარე ლანგფელდერს „ფაუსტის“ მეორე ნაწილი და საერთოდ მეორე პერიოდის ნაწარმოებები გაცილებით სრულქმნილად და პროგრესულად მიაჩნია, ვიდრე „გოცი“, „ვერთერი“ და გოეთეს სხვა ადრინდელი ქმნილებანი.

საინტერესოა, რამდენად ანალოგიური შეხედულებები/რამდენიმე წლის წინათ გამოთქვა ოთარ ფინორამ გოეთესა და შილერის შესახებ თავის სა-ჟურნალგაზეთო წერილებში.

საფრანგეთი

„მონა ლიზას“ მკვამსროლა

ლიონარდო დავინჩის ცნობილი სურათი „მონა ლიზა“ ერთხელ კიდევ იქცა სენსაციის საგნად. ორმოცდაორი წლის ბოლივიელმა, ვინმე ვილევასმა, ლუერის დათვალიერების დროს მოულოდნელად ქვა ესროლა სურათს და გოეკონდას ნიდაუვზე ფერი დააზიანა. სურათი მაშინვე აღადგინეს, ხოლო დამნაშავე გადაგზავნილი იქნა ფსიქიატრულ საავადმყოფოში.

ლ. არაგონი კვლავ კომუნის უბრუნდება

პარიზში გამოიკცა ლ. არაგონის პოემა — „დადუთავრებული რომანი“. არაგონი დიდხანს სდუმდა, როგორც პოეტი. ანეტომ კრიტიკული მიმოხილვა“ მივსალმება არაგონის კვლავ პოეზიისკენ მიზრუნებას. პოემა დაწერილია სადა ენით და დიდ ემოციასაც აღძრავს.

რინხარდ შტრაუსის ოცნება შესრულდა

რამდენიმე ხნის წინათ პარიზის კომიკურმა ოპერამ დადგა რინხარდ შტრაუსის „კაპრიჩიო“. 75 წლისა იყო კომპოზიტორი, როდესაც ეს შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა. „კაპრიჩიო“ მან საფრანგეთს უძღვნა და მისი უკანასკნელი ნატვრა იყო — ენახა ის პარიზის სცენაზე, ფრანგულად აულერბული. ფრანგული კრიტიკოსების აწრით ეს ოპერა მშვენივრად უღერს ფრანგულად, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით კომიკური ოპერის შემსრულებლებს და მიუნხენიდან საგანგებოდ ამ დადგმისთვის ჩამოსულ რუდოლფ მარტანს.

„დადამიანები და მგლები“

პარიზის ეკრანებზე დიდი წარმატებით მიიღეს ახალი იტალიური ფილმი — „დადამიანები და მგლები“, რომელიც დადგა ცნობილმა იტალიელმა რეჟისორმა დე სანტისმა (მთავარ როლს ასრულებს მსახიობი ივ მონტანი).

კინოფილმები მპარც-ველთა სამსახურში

საანკეტო შეკითხვები მიიღეს ახალგაზრდა დამნაშავეებს იმ მიზნით, რომ გამოერკვათ, თუ რამდენად მავნედ მოქმედებს ახალგაზრდობაზე ზოგა კინოფილმი. 1069 დაკითხულიდან 172-მა აღიარა — კვირაში სამჯერ მაინც დავდივარ კინოში. ბევრმა მათგანმა თქვა — აღტებტურთ ფილმები გვირჩევდა და რასოდეს არ ვნახულობთ მულტოპლიკაციურ და დოკუმენტურ ფილმებსო. და, დასასრულ, თხოუმეტმა ახალგაზრდამ პირდაპირ განაცხადა, კინოფილმები რომ არა, ჩვენ ვერ მოვახერხებდით გაპარცვისა და ვაქურდვის ორგანიზაციასო.

დოკუმენტები პიკასოს შესახებ

პარიზში მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ყველა დოკუმენტი პიკასოს შესახებ 1900 წლიდან დღემდე. იქვე გამოფენილია პიკასოს მიერ ილუსტრირებული წიგნები. ოვიანის „მეტამორფოზები“ პიკასოს გაფორმებით 2 265 000 ფრანკად შეფასდა.

უთანასწორო კონაქრენცი

ამერიკაში თავისი კინოფილმების ექსპორტის მხრივ საფარაგეთს მესამე ადგილი უკავია. თუმცა ეს სრულიად არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ჰოლივუდის ფირმები საფრანგეთში თავიანთი ფილმების დემონსტრაციისათვის მხოლოდ ერთ დღეში იღებენ იმდენს, რამდენსაც იღებენ ფრანგული ფირმები მთელი წლის მანძილზე თავიანთი ფილმების ამერიკაში ჩვენებისათვის.

გაზრქმელება იქნება

ყველას ასოვს შესანიშნავი ფრანგული ფილმი — „მამა, დედა, მოახლე და მე“ (რეჟისორი ჟან პოლ ლე შანუა). დიდი ხანი არაა, რაც საფრანგეთის ეკრანებზე გამოვიდა ამ ფილმის გაგრქმელება — „მამა, დედა, ჩემი ცოლი და მე“. ასევე გრქმელება იტალიური ფილმი — „პური, სიყვარული და ფანტაზია“; მის მეორე ნაწილს ეწოდება „პური, სიყვარული და ექვიანობა“.

ბერტოლდ ბრექტის მიმდევნილი ნომერი

ურნალ „ეროისი“ უკანასკნელი ნომერი მთლიანად მიძღვნილია ბერტოლდ ბრექტისადმი. ასორმოდაათამდე გვერდი უკავია პ. აბრაჰამის, ვ. პოლნერის, ე. ბეკერის, ღ. ფოიხტვანერის, კ. ფედინის და სხვ. სტატიებსა და ნარკვევებს ბრექტის შესახებ, ასამდე გვერდზე დაბეჭდილია ბრექტის გამოუქვეყნებელი ლექსები, პროზა, ფიქრები თეატრალურ ხელოვნებაზე და პიესა — „გადაწვეტილება“.

ბრექტისადმი მიძღვნილ ამ ურნალში ასამდე ფოტოგრაფია მოთავსებული.

უნბრეითი

ოპტომგრის რეპოლუციონის მემორამცე წლისთავისათვის

ბუდაპეშტში, ლაიოშ კოშუტის მოედანზე, მიღე გაისუნება უნგრეთის ეროვნული გაღერეა, სადაც მოეწყოა უნგრელ მხატვართა ნაშუშვრების მუღმიფ გამოფენა. უნგრეთის საზოგადოებრთობა პირველად იხილავს თავისი ეროვნული მხატვრული მემკვიდრეობის მრავალ ტილოს, რომლებიც დღემდე ნატეფი ხელოვნების მუშეუშის საწყოებში ინახებოდა და სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში იყო მიმოფანტული. თავმყოფილი იქნება აგრეთვე სახალხო-ღემოკრატული უნგრეთის

პროგრესულ მხატვართა, გრაფიკოსთა და მოქანდაკეთა ნაშუშუშეერები. ოქტომბრის რევილუციის მე-40 წლისთავისთვის ეროვნული გაღერეა ამჟამებს გამოფენას — „უნგრული ფერწერა თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში“.

ურუგვაი

1955 წლის პრემიები ჯმრატ გაშუცემული

ურუგვაის ყოველთფიური ორგანოს „საცეტა დე კულტურას“ ერთ-ერთი უკანასკნელი ნომრის სარედაქციო სტატიაში მოტანილია საინტერესო მონაცემები ქვეყნის კულტურული ცხოვრების მდგომარეობის შესახებ. სტატიაში ჩამოთვლილია ურუგვაელი ინტელიგენციის ზოგადერთი საფუძვლიანი მოთხოვნა. მაგალითად, ურუგვაის ინტელიგენცია ცდილობს მაღწიოს იმას, რომ უნივერსიტეტებს მიეცეთ სუბსიდიები და რომ სახელმწიფომ, ბოლოს და ბოლოს, გასცეს პრემიები, მიკუთვნებული ჯერ კდევე 1955 წელს (1). ურუგვაელ მწერლებს არ განაჩათ სახსრები თავთი ნაწარმოებთა გამოსაცემად, წიგნის მაღაზიები კი სავესა ჩრდილოამერიკული „ბესტსელერებიითა“ და „კომიქსებით“. ასეთივე მდგომარეობაა თეატრსა და კინემატოგრაფიაში. „ლაბორატორიებს არა აქვთ ხელსაწყოები, მასწავლებლებს — სკოლები, პროფესორებს — კათედრები, მხატვრებს — გამოფენის დარბაზები, მწერლებს — გამომცემლობები“.

ჩინოსლოვაკია

მარია მაიმრამაის იუბილი

ჩეხოსლოვაკიაში ზეიმით აღი. ნიშნა რესპუბლიკის სახალხო მწერლის მარია მაიეროვას 75 წლისთავი. ჩეხი რეალისტი მწერლების უფროსი თაობის უდიდესი წარმომადგენელი,



კომუნისტი მარია მაიეროვა, რომლის მთელი ცხოვრებაც განუტრეღლად დაკავშირებულია მშობელ ხალხთან და მის ბრძოლასთან, თავის 75 წლისთვის შესვდა, როგორც მსოფლიოში სახელმწიფოებრივი მწერალი. მისი ნაწარმოებები ეხმარებოდა ჩეხოსლოვაკელ ხალხს უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლაში, მათში ხედავდა მუშა ხალხი თავის ისტორიულ დანიშნულებას. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის რუსულზეც.

შუამსპირის პიისის მულტიკონსერტის

ცნობილი ჩეხოსლოვაკელი რეჟისორი, მულტიპლიკატორი ჟირი ტრნკა ამჟამად ახალ ფილმს — შექსპირის „შაფხულის ღამის სიწმინდას“.

ჩილი

გაბრიელა მისტრალის დარქადა

ათასობით ჩილიელმა უკანასკნელი ვალი მოინახდა თავისი ნაციონალური პოეტი ქალის გაბრიელა მისტრალის წინაშე, რომლის კუბოც დადგმული იყო სანტიაგოს უნივერსიტეტის შენობაში. 21 იანვარი, მისი დარქადადღის დღე, ჩილის მთავრობამ ეროვნული გლოვის დღედ გამოაცხადა. ამჟამად ამროექტებენ დიდი მავსოლეუმის მშენებლობას გამოჩენილი

ჩილიელი ქალის ხსოვნის აღსანიშნავად. გაბრიელა მისტრალს, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ლიუსილა გოდოი ალკაიავა, 1945 წელს მიენიჭა ნობელის პრემია.

ჩინეთი

დისკუსია ლექსის ფორმის თაობაზე

სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მათ ძედუნის ავტორია შესანიშნავი ლექსებისა. უკანასკნელ წლებში მათ ძედუნს არ გამოუქვეყნებია თავისი ლექსები, თუმცა ზოგი მათგანი გავრცელდა ხალხში ზეპირად და ხელნაწერის სახით. ახალი ჩინური ლიტერატურის ყოველთვიურ ორგანოს — „პოეზიის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა მათ ძედუნის დღემდე გამოუქვეყნებელი თვარამეტი ლექსი, ხოლო შვიდი ლექსი მოთავსებული იყო ჩინურ გაზეთში „უენმინჟიხაო“. ამ შემთხვევის გამო მათ ძედუნმა ურნალ „პოეზიას“ გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნავს: არ მინდოდა ჩემი, ძველებური ფორმით დაწერილი ლექსების გამოქვეყნება, რათა ცუდი გაგონება არ მომეხდინა ახალგაზრდა პოეტებზე, რომლებიც ახალი ფორმით წერენ, მაგრამ ვინაიდან ეს ლექსები ხელნაწერის სახით გრცელდება და შეიძლება შეც-

დომებით იყოს გადაწერილი, გადავწყვიტე რამდენიმე წლის დაბეჭდვა.

ამჟამად ჩინეთის ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში გაცხოველებული დისკუსია იმის თაობაზე, თუ რა ურთიერთობა უნდა იყოს კლასიკური ფორმის, მეტად ნატიფ და მრავალი მკაცრი წესით შევლულულ პოეზიასა და ახალი ფორმით დაწერილ ლექსებს შორის. მათ ძედუნს, რომელიც კლასიკური ფორმით წერს, არ სურს მისი ავტორიტეტი გამოეყენონ ახალი სტილის პოეტების წინააღმდეგ, რადგან თვითონვე აღიარებს ძველ ფორმათა შევლულულობას.

სამი ათასი წლის წინადღელი ლექსები

მწერალთა კავშირის გამომცემლობამ გამოაქვეყნა „ჩინური ლექსები ოდების წიგნიდან“, შერჩეული და რედაქტირებული პროფესორ იუ კუან-იანის მიერ. ოდების წიგნი უძველესი ჩინური ლექსებისა და სიმღერების კრებულია და ჩინეთის ლიტერატურული მემკვიდრეობის საგანძური. ოდები დაწერილია სამი ათასი წლის წინადღელი ენით, რაც დღეს მრავალ ენობრივ სიმღერებს უქმნის მკითხველს. პროფესორმა იუ კუან-იანმა შეარჩია 8 ოდა, გადაამუშავა ისინი თანამედროვე ჩინურ ენაზე და დაურთო შენიშვნები.



16 856.

6-10/107

58/113



ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„Ц И С К А Р И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ